საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ლევან ფრუიძე

ყოფა და ტრადიციები

(ეთნოგრაფიული ეტიუდები)

„მეცნიერება"
თ ბ ი ლ ი ს ი
1981

902.7(с 41)
63,5(2 Г)
902.7+392](47,922)
ф 96

ვინ იყო უკანასკნელი მესტვირე? ვინ კერავდა ბოლო დრომდე ქართულ ტანსაცმელს? ვინ ქსოვდა ნოხს, ხალიჩას, ფარდაგს?..

რა მდგომარეობაშია ხალხური გამოყენებითი ხელოვნების კერები, ეთნოგრაფიული ძეგლები? რა ამოცანები აქვთ საქართველოს მუზეუმებსა და შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებებს, რომელთაც ევალებათ ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლა, წარმოჩენა, დაუნჯება.

როგორ უელიდა და ინახავდა ხალხი მშობლიურ მიწა-წყალს, ყანა-ვენახს, ტყეს; როგორი იყო ქართული სოფლის კოლორიტი, როგორია მისი შენარჩუნების შესაძლებლობანი.

გამოდგება თუ არა ძველი ზნე-ჩვეულებანი სადღეისოდ? საერთოდ, როგორ დამოკიდებულებაშია ქართული ეროვნული ტრადიციები და თანამედროვეობა — საწარმოო ჩვეულებიდან მოკიდებული, მუსიკითა და ხალხური საკრავებით დამთავრებული.

განვითარების რა გზა განვლო ქართულმა ეთნოგრაფიამ, რა ამოცანები და პრობლემებია მის წინაშე დასახული? აი, საკითხები, რომლებიც განხილულია წინამდებარე ნაშრომში.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და ფართო მკითხველისათვის.

ф $\frac{10602}{М\ 607\ (06)-81}$ 194—80 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981

შ ე ს ა ვ ა ლ ი

„ეთნოგრაფია“ ბერძნული სიტყვაა, „ეთნოს“ — ტომს, ხალხს, ხოლო „გრაფიო“ — „გრაფია“ — „გრაფეონ“ აღწერას ნიშნავს. მაშასადამე, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა ეთნოგრაფიისა „ხალხის აღწერაა“.

ეთნოგრაფია ისტორიული მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს ხალხის ყოფას და კულტურას ცოცხალ სინამდვილეში უშუალო დაკვირვებისა და გამოკითხვის გზით.

ამრიგად, ეთნოგრაფიის კვლევის საგანი ხალხი — ეთნოსია, ხალხი ისტორიის მთავარი მამოძრავებელი ძალა და ნივთიერი დოვლათის უშუალო მწარმოებელი. ეთნოგრაფიას ხალხის ცხოვრების ყველა ასპექტი აინტერესებს მის დიალექტიკურ განვითარებაში. აინტერესებს ადამიანი და ადამიანთა კოლექტივი, მისი სამოქმედო ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, საწარმოო და სოციალური ურთიერთობანი, მთელი მატერიალური და სულიერი კულტურა, ის ფასეულობა, რაც ადამიანმა ხანგრძლივი არსებობის მანძილზე შექმნა და თაობიდან თაობას გადასცა. ყოველივე ამის შესწავლას ეთნოგრაფია დიფერენციული მიდგომით აღწევს, ოღონდ, სხვა დარგთაგან განსხვავებით, მისი ძირითადი წყარო და ამოსავალია ცოცხალი ყოფა, ადამიანი.

ეთნოგრაფიის უპირველესი საკვლევაძიებო სფერო ის ემპირიული ცოდნა-გამოცდილებაა, რაც კაცობრიობას არსებობისათვის ბრძოლაში მოუპოვებია. ხალხის წიაღში ეთნოგრაფმა სწორედ ამ მასალას უნდა მიაკვლიოს, მეცნიერულ დონეზე გადაამუშაოს და შემდგომ ისევ ხალხს დაუბრუნოს. თუ არქეოლოგი ველად გადის, ზვერავს გარდასული ცივილიზაციების ნაშთებს, ნასოფლარებს ან ნაქალაქრებს, წინასწარ ითვალისწინებს და საზღვრავს მიწის ქვეშ რისი მიგნება შეიძლება, ეთნოგრაფი სოფლად ან ქალაქში მიემგზავრება და უშუალო კონტაქტს ამყარებს მცხოვრებლებთან, შესწავლილი აქვს საკვლევი რეგიონის ისტორია და სხვა მონაცემები, ამიტომ დაახლოებით იცის, რა მასალის მოპოვებას შესძლებს, არქეოლოგი ბარს იმარჯვებს და კულტურული ფენის მისაგნებლად საც-

დელ თხრილს გააკლებს. ეთნოგრაფი პროფესიულ ტაქტს მიმართავს და შერჩეულ მთხრობელთან სასურველ საუბარს გააბამს. ასე იწყება ორი წიაღსვლა — მიწის სიღრმეში და ადამიანის სულში. სწორედ ამიტომ სჭირდება ეთნოგრაფს განსაკუთრებული სიფრთხილე, მოთმინება და არჩეული თემის ღრმა ცოდნა. მთხრობელი არა მარტო ინფორმატორია, არამედ მიუკერძოებელი გამომცდელიც, ეთნოგრაფი კი მეცნიერია და მეცნიერულ ღირსებას თვალისჩინივით უნდა გაფრთხილება. აქედან, ცოცხალ სინამდვილეში, უშუალო დაკვირვების გზით, ხალხის ყოფისა და კულტურის შესწავლა, მრავალმხრივი, ფსიქოლოგიურად რთული და შრომატევადი პროცესია.

საველე მუშაობა მხოლოდ მთხრობელებთან გასაუბრებით არ ამოიწურება. ეს ეთნოგრაფიული საქმინობის ერთი მხარეა. ეთნოგრაფი უშუალოდ უნდა აკვირდებოდეს ყოფას მთლიანობაში, შესწევდეს მისი აღქმის უნარი, უნდა იგრძნოს, განიცადოს თითოეული ჩვეულების თუ შრომის პროცესის არსი, სწორედ მაშინ შეძლებს ჩაწვდეს და შემოქმედებითად გადმოსცეს მასალა, წინააღმდეგ შემთხვევაში ზედაპირული აღწერა გამოვა, რაც ტრაფარეტის ჩარჩოებს ვერ გაშორდება. ამდენად, საველე-ეთნოგრაფიული მუშაობა შემოქმედებითი მეცნიერული კვლევა-ძიების განუყოფელი ნაწილია. მოკლედ რომ ვთქვათ, ყოფაში მოპოვებული მასალა განსაზღვრავს ეთნოგრაფიული ნაშრომის ღირსებას. ამიტომ ჩვენს მიერ წლების განმავლობაში ნანახი და განცდილი დაედო საფუძვლად წინამდებარე წიგნს, რომლის მიზანია ფართო მკითხველს გააცნოს ქართული ეთნოგრაფიის განვითარების გზა, ეთნოგრაფიისა და სამუზეუმო საქმის ურთიერთკავშირი, ხალხური ხელოვნების ზოგიერთი ასპექტი, ეთნოგრაფიული ძეგლების გამოვლენის და დაცვა-აღდგენის შესაძლებლობანი და ,საზოგადოდ, ყოფასთან დაკავშირებული სადღეისოდ გადასაწყვეტი მრავალი პრობლემა.

შეიძლება პირდაპირ ითქვას, ეთნოგრაფია დღეს პრაქტიკულ მეცნიერებადაც იქცა, მის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია სრულყოფილად წარიმართოს საქართველოს მთიანი რეგიონების განვითარება. საერთოდ, განსახლებისა და ურბანიზაციის მიმდინარე პროცესების მეცნიერული მართვა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ სოციოლოგიურ-ეთნოგრაფიული თვალთახედვით, გამოწვლილვით შევისწავლით მთიანეთის თანამედროვე ყოფას, მთლიანად გამოვავლენთ იმ ბუნებრივ-სამეურნეო და ისტორიულ-ეკონომიკურ საფუძვლებს, რის შედეგადაც დღემდე ცხოვრობდა და არსებობდა მთის თითოეული სოფელი. მხოლოდ ასეთი შესწავლის

შედეგად მივიღებთ სწორ დასკვნებს და შემეცნებით ნიადაგზე წარ-ვმართავთ მთური დასახლებების ბედ-იღბალს.

საქართველოს ყოველი რეგიონის სასოფლო-სამეურნეო განვითარება, ძირითადად, უნდა გავიაზროთ იმ მრავალსაუკუნოვანი საწარმოო ცოდნა-გამოცდილების მიხედვით, რომელიც ქართველმა ხალხმა თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე გამოიმუშავა. ცნობილია, რომ ჩვენთან ვერტიკალური ზონალობის დაცვით ჰქონდა ადგილი მიჩენილი ყველა სათეს და მრავალწლიან კულტურას, რასაც სამწუხაროდ, პრაქტიკაში ხშირად როდი ეწევა ანგარიში. სწორედ ხალხის გამოცდილების უგულვებელყოფამ, სახელდობრ, ზვრების დაბლობზე — მდინარეთა ჭალებში გაშენებამ გამოიწვია მათი მასიური მოყინვა. უარყოფითი შედეგი მოაქვს აგრეთვე ჯიშების ზედმეტ სტანდარტიზაციას როგორც ღვინის ხარისხზე, ისე ბუნებრივი მოვლენების მიმართ ვენახის გამძლეობაზე. სათესი კულტურების ნაირგვარობა არა მარტო ნიადაგის ნაყოფიერებას ზრდიდა, არამედ მრავალფეროვან და მაღალკალორიულ საკვებს იძლეოდა. ახლა თითქმის დავიწყებულია ძველქართული ხორბლის ჯიშები, ცერცვისნაირები, ფეტვისნაირები და სხვა. მაშასადამე, როცა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგების განლაგებისა და სპეციალიზაციის მოდელირების საკითხები წყდება, სერიოზული ანგარიში უნდა გაეწიოს ეთნოგრაფიული კვლევის მონაცემებს.

ხალხის მიერ ხანგრძლივი დაკვირვებით მიღებული შედეგების გამოუყენებლად შეუძლებელია საკვები სავარგულების რაციონალური ექსპლუატაცია. მხედველობაში გვაქვს მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის შერჩევითი ძოვება, ე. ი. საბალახოების დანიშნულების მიხედვით ტრადიციული დანაწილება, რაც დღეს, რატომღაც, უარყოფილია და შედეგიც სავალალოა.

ნიადაგის დაცვის ხალხური საშუალებების გაუთვალისწინებლად ძალზე ძნელია წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა. ტყის ხალხური ექსპლუატაცია მის მოვლასაც გულისხმობდა, დღეს ბევრმა აღარ იცის ფერდა და ჭალის ტყეების ჭრის ყადრი.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ტურიზმის განვითარების თანამედროვე დონე უეჭველს ხდის ჩვენი დაბა-ქალაქების და სოფლების კოლორიტის შენარჩუნებას და ამ საშვილიშვილო საქმეში გადამწყვეტი სიტყვა ეთნოგრაფიას ეკუთვნის. აუცილებელია ეთნოგრაფიული ძეგლების (ხალხური არქიტექტურის ნიმუშები, იარაღ-ჭურჭელი, კოსტიუმი და სხვა.) შენარჩუნება, ხალხური სუვენირების გაყალბების საპირისპიროდ, ხალხური გამოყენებითი ხელოვნე-

ბისა და შინახელოსნობის ადგილობრივი კერების აღორძინება, ეთ-
ნოგრაფიული ნაკრძალების შექმნა (ნაკრძალად შეიძლება გამო-
ცხადდეს მთელი სოფელი ან ქალაქი, სოფლის ან ქალაქის უბანი,
ნაგებობა ან ნაგებობათა კომპლექსი, რომელსაც სანახაობითი, უფ-
რო სწორად, ისტორიულ-ესთეტიკური სახე აქვს შენარჩუნებული).

დიდია ეთნოგრაფიის როლი საყოფაცხოვრებო მოვლენების (ქორწილი, ტირილი, ნათლობა და სხვ.) გათანადროულებასა და სასურველად ნორმირების საქმეში, კვების რაციონის მოწესრიგებასა და აზრიანი გართობა-თამაშობების ორგანიზაციაში, აგრეთვე რელიგიურ ცრურწმენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

წარსულის მავნე გადმონაშთებს და, ასევე, მავნე უცხოურ ზეგავლენასაც ეთნოგრაფია უნდა იკვლევდეს, სწავლობდეს და ებრძოდეს. რამდენადაც ეთნოგრაფია ხალხის შემსწავლელი მეცნიერებაა, ის ვალდებულია პასუხი გასცეს ყოველგვარ ყოფით მოვლენას — დადებითს თუ უარყოფითს, ადამიანის სიძლიერის თუ სისუსტის მახასიათებელს.

რა თქმა უნდა, აქ აღძრულ ყველა პრობლემას ჩვენ ვერ შევეხებით და რომელსაც შევეხებით, მისი ამომწურავად გაშუქების პრეტენზია არა გვაქვს, მხოლოდ საკითხის დაყენებას ვისახავთ მიზნად. ვიმედოვნებთ, ყველა ეთნოგრაფი იტყვის თავის სათქმელს, ეს მით უფრო საჭიროა, რომ რომელიც ენებავთ ყოფითი ინსტიტუტი სათავეს იღებს კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე და მისი წედომა — დათარიღება ყოველთვის არ ხერხდება. მაგრამ დღეს, ძველისა და ახლის ჭიდილის კვირაძალზე, როცა განვითარების თავბრუდამხვევი ტემპია, როცა ახლანდელი ათი წელი ფეოდალური ეპოქის ათ საუკუნეს უდრის, ხოლო უფრო ადრინდელს — მეტსაც, თითქმის ყოველდღიურად, უნებური მოწმენი ვხდებით ძველი ინსტიტუტების გედის სიმღერისა. ამა თუ იმ მოვლენის ან მატერიალური კულტურის ელემენტთა გაქრობის მომენტში ეთნოგრაფს არა აქვს უფლება მაზიარებელი მღვდელივით ინერტული იყოს, საჭიროა ამ პროცესის ტექნიკის თანამედროვე საშუალებებით მეცნიერული ფიქსაცია და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება. ამჯერად არა აქვს მნიშვნელობა დადებითსა და უარყოფითს, ფიქსაციის დროს დაუშვებელია რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება, აღრიცხვა ერთია და მისი მეცნიერული ინტერპრეტაცია — მეორე....

დასამალი არ არის, რომ მსოფლიო ინდუსტრიალიზაციამ ადამიანი შეაეიწროვა. უფრე მეტიც, დედამიწაზე ბუნებრივი ჰარმონიის დარღვევის რეალური საფრთხე წარმოიშვა. ამიტომ იწერება

წიგნები ასეთი სათაურებით: „მკერდში დაჭრილი ბუნება“ [42][1], „ეიდრე ბუნება მოკვდებოდეს“ [134; 163] და სხვ. თუ ადრე ადამიანს სტიქიის მიმართ დაუძლეველი შიში ცრურწმენებსა და მისტიციზმში აგდებდა, ახლა, ბუნებაზე გამარჯვებულმა, საკუთარი მიღწევების მსხვერპლად გახდომის საშიშროება შეიქმნა. გიგანტურმა ფაბრიკა-ქარხნებმა, ნაგებობებმა, მანქანებმა არარაობად აქციეს პირველქმნილი ბუნების ის ნაზი მყუდროება და უბრალოება, რაც ყოველი ეპოქის მცხოვრებთა ნორმალური არსებობისათვის არის აუცილებელი. ეს პროცესი ჯერ კიდევ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ შენიშნა კარლ მარქსმა და მიუთითა, რომ ხელშეუხებელი ბუნება უკვე აღარსად არსებობს, „გარდა ავსტრალიის ცალკეული უახლესი წარმოშობის მარჯნის კუნძულებისა“ [55, 45]. ამიტომ წარმოიშვა დიზაინი [145; 137], რომელიც ფუნქციისა და ფორმის იდეალური შერწყმით ცდილობს შეათანხმოს უტილიტარული და ესთეტიკური, ერთად ამყოფოს ია და ბულდოზერი, მარტენის ღუმელი და თოვლის ფანტელი. დიახ, ადამიანს სჭირდება ერთიც და მეორეც, რის გამოც მოაზროვნე კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი დღეს — მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში — მათი შეთანაწყობისათვის წარმატებით იღვწის.

დიზაინი, ბუნებრივია, ეყრდონობა და იყენებს იმ ცოდნა-გამოცდილებას, რაც ხალხს საუკუნეთა მანძილზე მოუპოვებია. მაგრამ, როგორც ვ. ი. ლენინი საგანგებოდ მიუთითებდა მაქსიმ გორკს, ყოველივე „ხალხური“ როდია დემოკრატიული, პროგრესული. „ხალხური“ წარმოდგენა ფუფალაზე და ფუფალურზე — ეს არის „ხალხური“ სიჩლუნგე, დაბეჩავება, სიბნელე, სავსებით ისეთივე, როგორც „ხალხის წარმოდგენა“ მეფეზე, ქაჯზე ცოლების ცემატყეპაზე. როგორ შეგიძლიათ თქვენ „ხალხის წარმოდგენას“ ღმერთზე „დემოკრატიული“ უწოდოთ, აბსოლუტურად ვერ გამიგია“ [48]. სწორედ ამის გამო, დიზაინერთა გვერდით ეთნოგრაფი უნდა იდგეს და წარსულის მემკვიდრეობიდან აწმყოსა და მომავლისათვის არჩევდეს რაციონალურს, საუკეთესოს, რომლის საჭიროებას და ღირებულებას ჟამთა სვლა ვერაფერს დააკლებს. პროგრესული ძველშიც არის, ოღონდ მას მიგნება და ახალ ყოფაში შესაბამისი ფორმითა და შინაარსით უნდა დანერგვა. დიდი ლენინი გვასწავლის: „საჭიროა ლამაზი შევინარჩუნოთ, ავიღოთ ის, როგორც ნიმუ-

[1] ლიტერატურა ტექსტში მითითებული გვაქვს შემდეგნაირად: კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული პირველი ციფრი აღნიშნავს დამოწმებული ლიტერატურის სიის (ერთვის წიგნს) რიგით ნომერს, ხოლო მძიმით გამოყოფილი მეორე ციფრი — გვერდს. როცა ციფრებს შორის წერტილ-მძიმეა, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ლიტერატურაა მითითებული.

ში, დავეყრდნოთ მას, თუნდაც ის „ძველი“ იყოს. რატომ უნდა შევაქციოთ ზურგი ჭეშმარიტად მშვენიერს, უარვყოთ ის, როგორც გამოსავალი პუნქტი შემდგომი განვითარებისათვის მხოლოდ იმის საბაბით, რომ ის „ძველია“? რატომ უნდა მოვიხაროთ ქედი ახლის წინაშე, როგორც ღმერთის წინაშე, რომ ის „ახალია“? უაზრობაა, სრული უაზრობაა!“ [49; 139; 140]. ეთნოგრაფი, ისევე როგორც დიზაინერი, უნდა ებრძოდეს კიჩს, რომელიც ფუნქციის უარყოფით, ბრჭყვიალა და საეჭვო ზიზილ-პიპილებით ცდილობს მსოფლიოს დაპყრობას. კიჩი დიზაინის მსგავსად ახალი არ არის. ორივე მათგანის ჩასახვა, ალბათ, მაშინ მოხდა, რომ ადამიანმა მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა შექმნა იწყო.

„დიზაინ“ (ინგლისური — design — პროექტირება, ხაზვა, ჩაფიქრება, აგრეთვე პროექტი, გეგმა, ნახატი) ტერმინია, რომელიც გამოხატავს საგანთა სამყაროს პროექტირების ახალ სახეს და ჩვენში, ძირითადად, ტექნიკური ესთეტიკის სახელწოდებითაა ცნობილი. დიზაინი წარმოიშვა XX ს. დასაწყისში, როგორც რეაქცია საგანთა სამყაროს ვიზუალური და ფუნქციონალური თავისებურებების სტიქიური განვითარების გამო. იგი ქმნის რაციონალური აგებგმარების, მხატვრული კონსტრუირების ნიმუშებს, რომელიც შეესაბამება თანამედროვე საზოგადოების რთულ ფუნქციონირებას, ხშირად დიზაინის ცნებით გამოხატავენ მხოლოდ ერთ ასპექტს, სახელდობრ, სამრეწველო ნაწარმის ესთეტური თვალთახედვით გაფორმებას, თუმცა საგანთა სამყაროში ის წყვეტს შედარებით ფართო სოციალურ-ტექნიკურ პრობლემებს, დაგეგმარების ყველა ტრადიციული სახის გათვალისწინებით. დიზაინი ცდილობს ისეთი საგნობრივი ორგანიზაციის დანერგვას, რომელიც ჰარმონიას შეუქმნის, შვებას და სიხარულს მიანიჭებს როგორც საზოგადოებას, ისე პიროვნებას.

„კიჩი“ (გერმანული — Kitsch — 1. უვარგისი, ცუდი, საძაგელი, ძველმანი, წასმა-თხუპნა, ნარეში; 2. ხალტურა, ბულვარული ლიტერატურა, განსაკუთრებით გაუფასურებული მხატვრობა)[2]. ეს უცნაური სიტყვა, საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, მიუნპენის ბოჰემურ წრეებში წარმოიშვა და თავდაპირველად უხამსი ლიტერატურული ვარჯიშის დამახასიათებლად გამოიყენებოდა. შემდეგ უფრო ფართო შინაარსი შეიძინა და ყოველგვარი უგემოვნობის გამომხატველად იქცა. კიჩი მრავალმხრივია, ცხოვრების ყველა სფეროში აღწევს და, უპირველეს ყოვლისა, მტრად ევლინება დახვეწილ, რაფინირებულ გემოვნებას. იგი „კერძომესაკუთრულ ფუნქციათა კომბი-

[2] კიჩის შესახებ იხ. ლიტერატურა [138; 158; 162; 164; 167; 168; 173; 175; 278; 182; 185; 186].

ნაციაა“ [78]. კაპიტალისტურ სამყაროში კიჩმა ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვა, ის იქცა მოხერხებულ იარაღად რეკლამის წარმმართველთა ხელში, რომლებიც ცდილობენ ხელოვნება ნივთებამდე დაიყვანონ, ხოლო ადამიანთა სწრაფვა ხელოვნებისადმი — ნივთთა მოხმარებამდე. კიჩი წარმატებას აღწევს საზოგადოების ყველა სფეროში — მილიონერთა სალონებშიც ზეიმობს და ღარიბთა ქოხმახებშიც. „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“, რომელთაც ფუფუნება მოყირჭდათ, კიჩის იაფფასიანი ელარუნებით ერთობიან; ხოლო ფართო ფენების ზოგიერთი, მოდას აყოლილი წარმომადგენელი კიჩის მეშვეობით იოკებს შინაგან ცდუნებას. კიჩი ხომ თავის წიაღში აერთიანებს ყოველგვარ უხამსს, პორნოგრაფიულს — ეროტიული სცენების ამსახველი ჟურნალებიდან ანტიკური ხელოვნების ნიმუშთა გაყალბებულ ასლებამდე.

ზოგიერთი სოციოლოგი დასავლეთში კიჩს პიროვნების თავისუფლების ნიშან-სვეტად აცხადებს. მართლაც, კიჩი ბურჟუაზიული ხრწნადი მორალის ხორცშესხმაა, რომელშიც კარგად გამოიხატება პიროვნების ვითომდა თავისუფლება პათოლოგიური ინსტინქტების ჩათვლით. კიჩი ადუნებს მასების კლასობრივ სიფხიზლეს, აიძულებს ადამიანებს შეეგუოს უპერსპექტივო სინამდვილეს და დამყოლ, მორჩილ მასად აქციოს ისინი. მაშასადამე, კიჩი XX ს. სუპერ-რელიგიაა, ხალხთა ოპიუმია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ჯანსაღ, სოციალისტურ საზოგადოებაში მას ნიადაგი არ გააჩნია, რეციდივის სახით მაინც აღწევს. ხშირად კიჩს „წარსულის მავნე გადმონაშთად“ ვნათლავთ, თუმცა იგი „ძველის“, „ტრადიციულის“ მხოლოდ ქურქითაა შემოსილი, ხოლო შინაარსს ახალს ატარებს. ამის მაგალითად გამოდგება ანგარების მიზნით უზარმაზარი ქორწილის ან ქელეხის გადახდა და იქ მოსაწვევი ბარათებით ხალხის დაპატიჟება, ყოვლად გამოუყენებელი ვეებერთელა სახლების აგება და სამშვენისებით მორთვა, ხალხურის ან კლასიკურის მიბაძვა და ფალსიფიკაცია, უცნაურად ჩაცმა, ჟარგონული მეტყველება და სხვა მრავალი. დიახ, დროდადრო გულისამრევი კიჩი ჟონავს ჩვენს ყოფაში და, რაც მართალია მართალია, მას საჭირო ენერგიითა და შეურიგებლობით ვერ ვებრძვით. პირველ ყოვლისა, კიჩს ეტანება ყოველი მომხვეჭი, რომელსაც კმაყოფილი, მაძღარი ადამიანის სნობიზმი დაუფლებია და ცდუნება აწვალებს, რათა ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განსხვავდებოდეს. ეს ამბიცია, ლტოლვა „უკვდავებისაკენ“, სამწუხაროდ, უკვე ამჩნევია ჩვენს დასახლებებს, ისტორიულ ძეგლებს, სასაფლაოებს...

კიჩს უნდა დავუპირისპიროთ ჯანსაღი ხალხური ტრადიციები

და მას ფეხისმოკიდების შესაძლებლობა არსად არ მიუცეთ. აგრეთვე გამოვიყენოთ თანამედროვე დიზაინი, რომელიც კიჩის საპირისპირო მოვლენაა და, როგორც დავინახეთ, ფრიად კეთილშობილურ მიზნებს ისახავს.

თუ ტრადიციას გავიგებთ, როგორც რაციონალურ, პროგრესიულ მოვლენას, რომელიც მატერიალური ან სულიერი კულტურის, სოციალური ან საოჯახო ურთიერთობის გარკვეულ საფეხურზე ჩაისახება, განვითარდება და ამა თუ იმ ეთნოსის (ხალხის) სპეციფიკურობის, თავისთავადობის განმტკიცების მიზნით თაობიდან თაობას გადაეცემა, მაშინ მის საპირისპირო მოვლენად უნდა ჩაითვალოს გადმონაშთი — უარყოფითი დანაშრევი. ის, ჩვეულებრივ, აბრკოლებს საზოგადოების წინსვლას და ანაქრონიზმად გვევლინება. ყოფის რთულ ქსოვილში (ყოფა ზოგადად ჩვენ გვესმის, როგორც ადამიანთა თანაცხოვრება გარკვეულ დროსა და გეოგრაფიულ გარემოში), საზოგადოების მიზანსწრაფული მოღვაწეობის შედეგად ყოველთვის წარმოიშობა კულტურის, სოციალურ ორგანიზაციათა ახალი ელემენტები, ე. წ. ინოვაციები (ი ნ ო ვ ა ც ი ა, ლათ. inovatio — განახლება), რომელიც ფაქტიურად ტრადიციის საწყისი ფორმაა. იგი, როგორც წესი, ეამთასვლის მკაცრ გამოცდას გადის და თუ გაუძლო, გაამართლა — ტრადიციად იქცევა [131]. ინოვაციის ანტიპოდად კიჩი გვესახება, ხოლო დიზაინი დადებით ტრადიციათა და ინოვაციათა გამიზნულად წარმოქმნა-დამკვიდრების (მეტადრე მატერიალური კულტურის სფეროში) უაღრესად თანამედროვე და ამ საქმეში მრავალსაუკუნოვანი ემპირიზმის ინტელექტუალურად დაძლევის ქმედითი საშუალებაა.

წინამდებარე წიგნში, რამდენადაც შეგვეძლო, შევეცადეთ გვემხილებინა და ნიღაბი აგვეხადა კიჩისათვის. მოტანილი მაგალითები მცირეა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ტიპიურობა არ აკლია. საერთოდ ნაშრომში, ძალაუნებურად, მრავალ თემას და პრობლემას შევეხეთ. ბუნებრივია, ყველა მათგანი ერთნაირად დაძლეული არ არის და უკმარობის გრძნობა ავტორსაც აწუხებს. და თუ მისი პუბლიკაცია მაინც გადავწყვიტეთ, ეს გამოწვეულია ასეთი წიგნის აუცილებლობით და საჭიროება კი დღის წესრიგში თვით ცხოვრებამ დააყენა. ამჟამად, როცა ჩვენს რესპუბლიკაში გაჯანსაღების კეთილისმყოფელი ატმოსფერო შეიქმნა, შეუძლებელია ეთნოგრაფიული მეცნიერება ვიწრო ჩარჩოებში დარჩეს და სადღეისოდ გადასაწყვეტ პრობლემებზე არ იზრუნოს.

ავტორის მიზანი მიღწეული იქნება, თუ ის მკითხველს აღძრულ პრობლემატიკას მეტ-ნაკლებად გააცნობს და აგრეთვე წამოჭრილ საკითხებზე ჩააფიქრებს.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ქართული ეთნოგრაფიის განვითარების გზა

(უძველესიდან უახლესამდე)

> განათლება, სწავლა ისაა, რომ გამოიყენოთ, ავითვისოთ მთელი ის სულიერი მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს.
>
> ლ. ტოლსტოი

ეთნოგრაფიის — ხალხთა შემსწავლელი ამ მეცნიერების წყაროთა სათავე იმ შორეულ ეპოქაშია საძიებელი, როცა კაცობრიობა ცხოველურ მდგომაროებას თავს აღწევს და კულტურულ ღირებულებათა შექმნას იწყებს. ეთნოგრაფიისათვის უაღრესად ძვირფასია ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ადამიანის აზროვნებისა და საქმიანობის ამსახველი ყველა ძეგლი. როგორც კი წარმოიშობა პირველი დამწერლობა, მაშინვე ჩნდება ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის მყარი დოკუმენტური მასალა. მაგრამ მისი ძირითადი მკვლევარი არტერია იმთავითვე ცოცხალი ყოფა — ხალხია, ხოლო ეთნოგრაფის უმთავრესი ამოცანა — ხალხის ემპირიული ცოდნა-გამოცდილების შესწავლა.

მეცნიერების განვითარების ადრეულ საფეხურზე, როცა ცალკეული დარგები დიფერენცირებული არ იყო, ყოველი ისტორიკოსი ძალაუნებურად ეთნოგრაფიც იყო. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ხალხთა პირველი ისტორია უმთავრესად ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით დაიწერა.

ესა თუ ის ხალხი (ეთნოსი) თავისი არსებობით უკვე ქმნიდა საკუთარ ეთნოგრაფიას, მაგრამ თვით საგნის ფორმირება შედარებით გვიან მოხდა...

ქართულმა ეთნოგრაფიამ განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ადგილობრივი, ძვე-

ლაღმოსავლური და ძველბერძნული მითოლოგია, აგრეთვე ხეთური, ასურული და ურარტული წერილობითი ძეგლები და არამეული, ებრაული და ბერძნულ-რომაული ლიტერატურა. ნიშანდობლივია, რომ „ისტორიის მამად" წოდებული, ძვ. წ. აღ. V ს. ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს თხზულებებში არა მარტო აღწერილობით ცნობებს ვხვდებით ქართველთა წინაპრებზე, არამედ იმ დროისათვის სერიოზულ, თეორიულ მოსაზრებებსაც, სახელდობრ კოლხთა ეთნოგენეზის შესახებ.

ქართული ეთნოგრაფიისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მიკვლეულ უძველეს არქეოლოგიურ მასალას, მდიდარ საისტორიო და სასულიერო მწერლობას. „შუშანიკის წამება" ბრწყინვალე ლიტერატურული ძეგლიცაა და V ს. საქართველოს სინამდვილის თვალსაჩინო სარკეც. ასევე ითქმის შემდეგი დროის — გიორგი მერჩულეს, ბასილ ზარზმელის, იოანე საბანისძის და სხვათა უკვდავ ქმნილებებზე. ქართული საისტორიო ძეგლები („მოქცევაჲ", „ქართლისაჲ, „ქართლის ცხოვრება"), რომელთაც ჩამოყალიბებული პროფილი უკვე VII-VIII სს. ჰქონდათ, წარმოადგენენ ეთნოგრაფიული მასალის განზოგადების გასაოცარ ნიმუშებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლეონტი მროველის თხზულება „ცხოვრებასა ქართველთა მეფეთსა და პირველთაგანი მამათა და ნათესავთა", რომელიც მხოლოდ ქართველთა კი არა, მთელი კავკასიის ხალხების ისტორიისა და ეთნოგრაფიისათვის ფასდაუდებელი ნაშრომია. XIV ს. ანონიმი ავტორი „ეამთააღმწერელი" ისეთი სიცხადით იძლევა ქართველებისა და მონღოლების — დაპყრობილთა და დამპყრობთა — ყოფით დეტალებს, რომ თანამედროვე მკითხველსაც მწვავედ განაცდევინებს მომთაბარეთაგან განადგურებული მაღალკულტურული ქვეყნის მძაფრ ტრაგედიას. ასეთი მდიდარი ისტორიული ტრადიციები ასაზრდოებდა XVIII ს. გამოჩენილ ქართველ მეცნიერს ვახუშტი ბაგრატიონს, როცა მან შექმნა სამაგალითო ნაშრომები — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" და „საქართველოს ისტორია". ეს „თხზულებანი, ფაქტიურად, საქართველოს შესახებ ნამდვილ ისტორიულ, გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ ენციკლოპედიას წარმოადგენენ" [57, 4].

ვახუშტის შემოქმედებას ქართული ეთნოგრაფიისათვის საეტაპო მნიშვნელობა ენიჭება. მისი სამოქმედო პროგრამა ფართოა და სრულიად არ ჩამორჩება იმ დროის ეთნოგრაფიულ აღწერილობათა საუკეთესო პროგრამებს [97, 72]. მოწინავე მეთოდოლოგიური მიდგომით (აღწერის სიზუსტე, ფაქტობრივი მასალის სწორი ანალიზი, მოვლენების შედარება და დაპირისპირება) ვახუშტის

შესძლო მეცნიერულად აესახა თანადროული საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილე. მან ერთ-ერთმა პირველმა სცადა ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის სინთეზით ერის ეთნო-ფსიქოლოგიის გარკვევა.

დიდი მოაზროვნის საქმეს იმქამად გაგრძელება არ ეწერა. მალე საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა. ხალხთა უბოროტესი მტრის ცარიზმის კოლონიურმა რეჟიმმა შეაფერხა ქართული მეცნიერების ნორმალური განვითარება. მეტადრე დაზარალდა მეცნიერების ყველაზე ეროვნული დარგი — ეთნოგრაფია, რომელიც, ჯერ კიდევ ევროპაში „სოციალურ განათხართა", „ტუზემცთა", „ველურთა" და „ნახევრად ველურთა" შემსწავლელ მეცნიერებად და, აქედან გამომდინარე, კოლონიზატორთა იარაღად აქციეს. მეფის რუსეთის ექსპანსიის მესვეურებმა ამ იარაღს მაშინვე ხელი ჩასჭიდეს, რითაც საქართველოს ეთნოგრაფიული შესწავლის ახალი ხანა დაიწყო: ქართველებს სწავლობენ არა როგორც ცივილიზებულ, კულტურულ ერს, არამედ როგორც არასრულფასოვანს, ჩამორჩენილს. არ შეიძლება ამას არ ემოქმედა საკუთრივ ქართული ეთნოგრაფიის და საერთოდ ეროვნულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებაზე. დამოუკიდებლობის დაკარგვა, კოლონიური უღლის დადგმა იყო ის ბორკილი, რამაც XIX ს. მეორე ნახევრამდე — თერგდალეულთა გამოჩენამდე დააბრკოლა ქართული საზოგადოებრივი აზრის წინსვლა. ამიტომ არც ქართველ „ენციკლოპედისტებს", რომლებიც პეტერბურგში ყოვლად ძლიერი იმპერატორის მოწყალებით ცხოვრობდნენ, და არც რუსეთის გუბერნიებად ქცეულ საქართველოში ჩინოვნიკად ნაკურთხ ორიოდე ქართველ ისტორიკოსს აღარ შეეძლო მშობლიური ისტორიისა და ეთნოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი რამ შეემატებინა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ვახუშტის შემდეგ ქართული ეთნოგრაფიული აზრის დაქვეითება-დაკნინება. ეთნოგრაფიის განვითარება დააბრკოლა აგრეთვე ქართული კლერიკალურ-ფეოდალური წრეების რეაქციულმა რომანტიზმმა, წარსულის უაზრო იდეალიზაციამ, ჩაგრულ ფენათა მიმართ წოდებრივმა ზიზღმა. ეთნოგრაფიული მუშაობა თავისთავად ხალხთან სიახლოვეს გულისხმობდა, საზოგადოების განათლებულ ნაწილს კი ხალხის ეშინოდა. ეს მდგომარეობა მანამდე გაგრძელდა, სანამ თვით ხალხის წიაღიდან გამოსულმა ინტელიგენციამ, რუსეთში მიღებული ევროპული განათლებით, ქვეყნის ცხოვრებაში თავისი ადგილი არ დაიჭირა. ამათგან ერთ-ერთი პირველი იყო ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ბაქრაძე.

დიმიტრი ბაქრაძე საზოგადოებრივ ასპარეზზე XIX ს. 50-იან

წლებში გამოდის. პირველად იგი ეთნოგრაფიულ წერილებს ბეჭდავს, რომლითაც იწყება ქართული ეთნოგრაფიის ახალი პერიოდი. ეთნოგრაფია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საპატიო სამსახურში დგება. მაგრამ XIX ს. 60-იან წლებამდე ეთნოგრაფიული მუშაობის ასპარეზი ძალზე შეზღუდულია. თვით დიმიტრი ბაქრაძე — მშობელი ხალხის სიყვარულით გულანთებული მკვლევარი იძულებულია თავისი ნაშრომები ოფიციალურ პრესაში გამოაქვეყნოს და მეცნიერული სინამდვილე ველიკორუსული შოვინიზმით გაჟღენთილ ჩინოვნიკთა გემოვნებას შეუგუოს. ერთადერთი ქართული ჟურნალი „ცისკარი“ უმწეო მდგომარეობაში იყო, მაშინდელი მოაზროვნე ინტელიგენციის შეზღუდულ პირობებს კარგად ასახავს შემდეგი ფაქტი: დიმიტრი ბაქრაძეს „ცისკარში“ გაუკრიტიკებია ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი, აი რას წერს იგი პასუხად ოპონენტს: „იცით როგორ მესიამოვნა თქუენი გარკვევა, ჩემს ქართულ უბნობაზე ანუ წერაზე? მე თქვენს მემამულეს იცით რამდენი ათასის წლისას? ხედავთ დიმიტრი რას მოვესწარ? ჩუენს ქართულს ჟურნალს და ერთმანეთის წერილებზე განხილვის დაწერას! მხოლოდ იმ ერთმა ღმერთმა იცის ამ ჩემის გულის ანბავი, როგორ კმაყოფილებაში ვარ ახლა მე. მომეტებულს აღარას ვიტყვ, მხოლოდ ამის მეტს, რომ ნურაფერში ნუ დამზოგავ, ყოველს ჩემს წერილზედ მეტყოდით, თქუენსა აზრსა სრულსა, რომლითაც დიდი მადლობელი გახლდებით ჭეშმარიტად და დიდაც დამავალებთ. ამით მეც მიზეზი მექნება, იქნება ჩემი აზრიც წარმოვთქვა ხოლმე“-ო [107].

მაშინ, როდესაც ევროპასა და რუსეთში მრავალი პერიოდული ორგანო ჰქონდათ და დისკუსიები ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ჩვენს დაჩაგრულ ინტელიგენციას შესაბრალის სიხარულს გვრიდა აზრის გამოთქმის ის ნამცეცი, რაც მეფის მთავრობამ „ცისკრის“ სახით მათ მიუგდო. მხოლოდ თერგდალეულთა გამოჩენის შემდეგ მიეცა შედარებით ფართო გზა ქართულ საზოგადოებრივ აზრს.

კარგად იცოდა მშობლიური ისტორიისა და ეთნოგრაფიის ფასი ქართველი ერის დიდმა მოამაგემ ილია ჭავჭავაძემ. სწორედ მან მოითხოვა მეფეთა ცხოვრების ნაცვლად ხალხის ისტორიის დაწერა. სწორედ ის ამოუდგა მხარში დიმიტრი ბაქრაძეს და სარბიელზე გამოიყვანა ქართველ ეთნოგრაფთა მთელი პლეადა. „დროება“, „ივერია“, „მოამბე“, „გუთნისდედა“, „მწყემსი“, „კვალი“ და სხვ. ხშირად ბეჭდავდნენ ეთნოგრაფიული ხასიათის წერილებსა და ნარკვევებს. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოიდან რ. ერისთავი, ნ. ხიზანაშვილი (ურბნელი), ბ. ნიეარაძე (თავისუფალი სვანი), ივ. გვარამაძე

(ვინმე მესხი), დიმიტრი და მოსე ჯანაშვილები, თ. სახოკია, ნ. ჯანაშია, ვაჟა-ფშაველა, ალ. ყაზბეგი და სხვები. გროვდება და ქვეყნდება მნიშვნელოვანი მასალა, რომელზე დაყრდნობითაც შეუპოვრად აკრიტიკებენ მათ, ვინც ქართველი ხალხის კულტურულ მონაპოვართა შებღალვას ცდილობს. ეთნოგრაფიის მომარჯვებით მტკიცდება ეროვნული თვითშეგნება და დაუნდობელი ბრძოლა ჩაღდება კუთხურობის, პროვინციული შეზღუდულობის წინააღმდეგ. ეს ვითარება საერთოდ დამახასიათებელია რევოლუციამდელი ქართული ეთნოგრაფიისათვის, მაგრამ მაშინდელი საქმინობის ნაკლი ის იყო, რომ ეთნოგრაფებს არ გააჩნდათ ნათელი სამოქმედო პროგრამა, უფრო ზუსტად — მუშაობის მეთოდი. მასალების შეგროვება სპორადულად, თვითდინებით ხდებოდა და დამოკიდებული იყო მკვლევარის ინტუიციასა და ალღოზე. ამიტომ არის, რომ XIX ს. შესრულებული ეთნოგრაფიული ნაშრომები მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ვახუშტის დონეზედაც ვერ დგანან. თვით ფრიად განსწავლულმა, მაშინდელი ევროპული მეცნიერების მიღწევებს ზიარებულმა დ. ბაქრაძემაც ვერ შესძლო ეთნოგრაფიის ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბება. თუ თვალს გადავავლებთ მის პროგრამას, რომელიც ჯერ „ივერიაში" (1888, №23), ხოლო შემდეგ „საქართველოს ისტორიაში" (ტფ., 1899) გამოქვეყნდა, თვალნათლივ საცნაურია ეთნოგრაფიის აღრევა სხვა მომიჯნავე მეცნიერებებთან. სწორედ ამან განაპირობა შეგროვებული მასალების შეზღუდულობა და, რაც მთავარია, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს დაწერის სიძნელე, რასაც შეეწირა დიმიტრი ბაქრაძის სიცოცხლე.

XIX ს. დასასრულისათვის საქართველოში კლასთა ბრძოლა მწვავდება. სოციალური საკითხები საზოგადოების ფართო ფენების დიდ ინტერესს იწვევს. საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსეთის პროლეტარიატის მხარდამხარ იბრძვის. სოციალურ უსამართლობაზე ყურადღების გამახვილებამ განაპირობა „ერთგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი, ისტორიის ეროვნული ასპექტისადმი". ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის მიმართ ასეთი გულგრილობა გარკვეულად დამახასიათებელი იყო ქართველი ხალხოსნებისათვის [57, 7]. სწორედ აქ უნდა ვეძებოთ იმის მიზეზი, რომ ქართველი ხალხოსნები ხალხთან მისვლას ეთნოგრაფიის გარეშე შეეცადნენ. მათი ნაწარმოებები, ძირითადად, ბატონყმობის სიმძიმეს და ფეოდალური წყობილების მახინჯ მოვლენებს ასახავ-

დნენ, ხოლო ეთნოგრაფიული მხარე მარტოოდენ მხატვრული ლიტერატურის მონაცემების დონეზე აინტერესებდათ.

„XIX—XX სს-თა მიჯნაზე საფუძველი ეყრება ქართველ საზოგადოებაში ისტორიული პრობლემებისადმი მარქსისტულ მიდგომას", მაგრამ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხზე მთელი ყურადღების კონცენტრაცია და ეროვნული საკითხისადმი ნაკლები ყურადღება [57, 8], რაც განვითარების პირველ ეტაპზე ქართულ მარქსისტულ სკოლას ახასიათებდა, ეთნოგრაფიის, როგორც უაღრესად ეროვნული მეცნიერების, იგნორირებას განაპირობებდა. ყოველივე ამის შედეგად საქართველოში ეთნოგრაფიის ცალკე სამეცნიერო დარგად ჩამოყალიბება დაგვიანდა. თვით ევროპაში ეთნოგრაფია დამოუკიდებელ მეცნიერებად XIX ს. შუა ხანებიდან იქცა. ამ დარგის ფუძემდებლები არიან ბასტიანი, ტეილორი, მორგანი და სხვები. მაგრამ მათი სამოქმედო პროგრამა და მუშაობის მეთოდი ქართული სინამდვილისათვის ნაკლებგამოსადეგი იყო, რადგან ისინი უმეტესად ჩამორჩენილ ხალხებს სწავლობდნენ, ხოლო საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიაში „შემონახულია განვითარების უძველესი ფორმების მხოლოდ რელიქტური მოვლენები და მათ გვერდით წარმოდგენილია მაღალი კულტურული მიღწევები და მრავალი ისტორიული ფაქტი" [97, 76].

ქართული ეთნოგრაფიის ნაციონალურ ნიადაგზე დაყენება წილად ხვდა დიდ ქართველ ისტორიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს, რომელმაც თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში ფართოდ გაუხსნა გზა ეთნოგრაფიულ მასალას. ამ თვალთახედვით ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი დღეს, მისი დაბადებიდან ასი წლისთავზედაც კი, სათანადო სისრულით შეფასებული არ არის და ცალკე, სპეციალურ კვლევას საჭიროებს.

ქართული ეთნოგრაფიის სწორი, მარქსისტული მეთოდოლოგიით შეიარაღება საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოხდა. ქართულ საბჭოურ ეთნოგრაფიას უნდა დაეძლია ეთნოგრაფიის ჩამორჩენილ ხალხთა შემსწავლელ მეცნიერებად ქცევის საერთო ტენდენცია და მისგან გამომდინარე მავნე შედეგები: ხალხების დამონება-ჩაგვრის გამართლება, ეროვნული თვითშეგნების მიჩქმალვა, გადმონაშთური მოვლენების და ტრადიციების შეუფასებლობა. საჭირო იყო აგრეთვე მეცნიერულად დასაბუთებული უარყოფა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების თუ სამუზეუმო საქმინობის არამარქსისტული მეთოდებისა, რომელთაც ათეული წლობით ნერგავდნენ ჩვენთან ცარიზმის დროინდელი რუსი და უცხოელი სწავლულები. ამ პრობლემათა გადაწყვეტისათვის

გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა აკად. გ. ჩიტაიას 1926 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომს — „ქართული ეთნოლოგია" („მიმოხილველი", I), სადაც ზოგადად მოცემულია კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის მონახაზი, რომელიც შემდგომ კიდევ უფრო დაიხვეწა. აღნიშნული მეთოდის საფუძველი გახდა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ბუნებისა და საზოგადოების შესახებ. კომპლექსში ივარაუდება ბაზისური და ზედნაშენური მოვლენები, როცა ყოველი საგანი აღიწერება, „როგორც ადამიანის შრომის ჯამი" (მარქსი), ე. ი. სტრუქტურის, ტექნიკისა და ფუნქციის მიხედვით. ამასთან ერთად, ტექსტუალური მასალა პირველწყაროებზე დაყრდნობით უნდა გროვდებოდეს, ხოლო ნივთიერი — ორიგინალების სახით, ზუსტად განსაზღვრულ ეთნიკურ-გეოგრაფიულ გარემოში.

მეთოდიდან გამომდინარე, ეთნოგრაფიული დაკვირვების სიღრმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიფართოვე; მნიშვნელოვანია მცირე რაიონის ღრმა შესწავლა, ვიდრე ეთნოგრაფიული მოვლენის ვრცელ ტერიტორიაზე გავლით დამოწმება. მასალის გადაჯვარედინებული ფიქსაცია და ადგილზე კარგად შედგენილი ბიოგრაფია ერთი კონკრეტული სახენელი იარაღისა იძლევა მეტს, ვიდრე მრავალი ათეული ამგვარი იარაღის ზერელე აღწერილობა. ამასთან ერთად, მუშაობა უნდა წარმოებდეს ცალკეულ პატარა და დიდ სოციალურ ერთეულებში [97; 95; 156; 35].

ამგვარად, ეთნოგრაფია, რომელიც კოლონიზატორთა იარაღად იყო გამოყენებული, პროგრესულ, სახალხო მეცნიერებად იქცა და ხალხთა ძმობის განმტკიცების საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა.

კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის ქმედითად გამოყენების შედეგად, მონოგრაფიულად დამუშავდა მრავალი პრობლემა, სახელდობრ მიწათმოქმედების ფორმები და სისტემები, სამუშაო იარაღები, მესაქონლეობა, ნადირობა, ხელოსნობა, საცხოვრებელი, სამეურნეო და საკულტო ნაგებობანი, დასახლების თავისებურებანი, სოციალური ურთიერთობანი და რელიგიის განვითარების საფეხურები, გვარი, ოჯახი, ნათესაობა, სახალხო დღესასწაულები და სხვ.

ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს ისეთ ნაკლებად შესწავლილ თემებზე, როგორიცაა ხალხური მედიცინა, ჩვილის აღზრდა, გათბობისა და განათების არქაული საშუალებანი, ხალხური კოსმეტიკა, მიცვალებულის კულტი და ა. შ.

შემდგომ ამომწურავ შესწავლას მოელის პრობლემები: ეთნოგრაფიული ჯგუფების და ერების წარმოშობა ზოგადად, ხოლო კონკრეტულად სასურველია გაღრმავდეს ქართველების, საქართვე-

ლოში მცხოვრები სხვა ხალხებისა და ეთნიკურ უმცირესობათა კვლევა. გაირკვეს ეთნოგრაფიული ყოფის მიმართება საზოგადოებრივი ფორმაციების და კლასების მარქსისტულ გაგებასთან, ხალხთა, ტომთა, თემთა, სოფელთა, ოჯახთა სოციალურ-ეკონომიკური კავშირები, დემოგრაფიისა და ურბანიზაციის საკითხები, საყოფაცხოვრებო მოვლენების სოციალური არსი, წარმოდგენანი სამყაროზე: სამყაროს წარმოშობის ხალხური ახსნა; ხალხის ასტრონომიული და ასტროლოგიური თვალთახედვა, ბუნების მოვლენების შეცნობა საერთოდ და კერძოდ ატმოსფერული და ტექტონიკური მოვლენებისა, მათი წინასწარმეტყველებისა და გაუვნებლობის რაციონალური და ირაციონალური საშუალებანი; დროის შეცნობის ხალხური წესები: კალენდარი, წლების, თვეების, წლის დროთა ხალხისეული გააზრება და სამეურნეო ციკლთან შეთანაწყობა; ხალხის მიერ სივრცის აღქმა, გეოგრაფიული თვალსაწიერი, წარმოდგენანი მთებსა და ველებზე, ზღვებსა და ოკეანეებზე. მეზობელ და შორეულ ქვეყნებზე; გზები, გზაჯვარედინები, ბილიკები; საბრძოლო და საომარი ტექნიკა; საარსებო-საცხოვრებელი შემოგარენის ათვისება: რელიეფის, ჰავის, წყლის შეცნობა-მოხმარება; „ბუნების მზა ნაწარმის“ ანუ, როგორც ხალხი ამბობს, „ტყის და ველის ნაწილის“ (ველური მცენარეები, ძირხვენები, ნაყოფი) გამოყენება; ტყის მოვლა-ექსპლუატაცია; სქესის რაობა, წარმოდგენანი ქალსა და მამაკაცზე ,ქორწინების ჰიგიენა; სუფრა, კვების რეჟიმი, სტუმარმასპინძლობა, ზრდილობის, ქცევის წესები, ტრადიციულ უმცროსუფროსობა; ქალაქური ყოფა; საქართველოს ცალკეულ კუთხეთა შორის ეთნოგრაფიული სხვაობების მიზეზთა ახსნა, ხალხთა ფსიქოლოგია ზოგადად, კერძოდ ქართული ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბება; ეთოლოგიის (ქცევათმცოდნეობის) პრობლემები, წინათგრძნობა, წინასწარმეტყველება, ტელეპათია ანუ ნათელხედვა; დიზაინისა და კიჩის ურთიერთდამოკიდებულება ხალხური ყოფის ფონზე და სხვ.

ჯერ კიდევ ორი თუ სამი ათეული წლის წინათ ყოფაში უდიდეს როლს თამაშობდა ცხენი, როგორც მიწის დამუშავების, ტვირთზიდვისა და ტრანსპორტირების მთავარი საშუალება. მექანიზაციის განვითარების არნახულმა ტემპმა იგი ყოფიდან განდევნა. ბევრ ქვეყანაში ამ ცხოველს ინარჩუნებენ და ამრავლებენ სპორტული, გასეირნება-გართობის და სხვა მიზნით, ჩვენთან კი ცხენი სანთლით საძებარი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ მთიან რაიონებში მისი საჭიროება მწვავედ იგრძნობა. ქართველი ეთნოგრაფები მსხვილფე-

ხა მესაქონლეობას ინტენსიურად სწავლობენ, ხოლო მეცხენეობა უყურადღებოდ არის დატოვებული, მაშინ როდესაც მესაქონლეობის ამ უძველესი დარგის შესწავლას, შემეცნებითთან ერთად, სათანადო გამოყენებითი მნიშვნელობაც ენიჭება.

საზოგადოდ ყურადღება უნდა გამახვილდეს სადღეისოდ დასანერგ პრაქტიკული ეთნოგრაფიის მრავალ პრობლემაზე, რომელთა უფრო სრულად, ამომწურავად მიკვლევა და წარმოჩენა ქართული ეთნოგრაფიის საპატიო ამოცანაა.

თავი მეორე

ეთნოგრაფია და სამუზეუმო საქმე

> საქართველო მთლიანად მუზეუმია და
> ჩვენ ამას არ ვიკენებთ!
>
> ივანე ჯავახიშვილი

§ 1. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმი

სამუზეუმო საქმიანობა ეთნოგრაფიული მუშაობის შემადგენელი ნაწილია, რამაც ასახვა ჰპოვა კომპლექსურ-ინტენსიურ მეთოდში: „საჭიროა ტექსტუალური მასალა გროვდებოდეს პირველწყაროების მიხედვით და ნივთიერი — ორიგინალების სახით", — ხაზგასმით აღნიშნავს აკად. გ. ჩიტაია. ყოველი ნივთი „ადამიანთა შრომის ჯამია" და ამდენად მეცნიერთა შესწავლის საინტერესო ობიექტია. ნივთით განმტკიცებული სიტყვიერი მასალა შორსმწვდომი და სანდო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. ამიტომ ექსპონატების სწორი მეთოდოლოგიური მიდგომით შეგროვებას ისეთივე მნიშვნელობა ენიჭება, როგორც მონათხრობ მონაცემებს. დაგმობილ იქნა რა „კავკასიის მუზეუმში" გაბატონებული ანტიკვარული და რარიტეტული მეთოდები, ეთნოგრაფიის ხაზით სამუზეუმო საქმიანობის საფუძველი კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი გახდა. იგი შესაძლებლობას იძლევა უშუალოდ ყოფიდან იქნეს აღებული საგანი, რომელსაც ცხოვრებაში გამოყენებითი, პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ამაშია ნივთის უმთავრესი ღირებულება. იქცევა რა იგი სამუზეუმო ექსპონატად, ამით კამერული დამუშავების ობიექტს წარმოადგენს და მეცნიერული წყაროს ღირებულებას იძენს. აქედან გამომდინარე, ყოველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიზანია სამუზეუმოდ ვარგისი კოლექციების გამოვლენა-შეგროვება, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ღია ცის ქვეშ მუზეუმების საქმიანობაში.

კარგა ხანია ცნობისმოყვარეთა ყურადღებას იპყრობს კუსტბის სანახებში, ფერდობზე შეფენილი ოდა-სახლები და სხვა ნა-

გებობანი, რომელთაც თავს ამაყად დასცქერის ტანკენარი სვანური კოშკი. ეს არის ძველი საქართველოს ხორცშესხმა — თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმი.

ჩვეულებრივი ტიპის მუზეუმი გულისხმობს შენობის შიგნით მოწყობილ ექსპოზიციას, სადაც საგანგებო კარადებსა და ვიტრინებში ფიგურირებს მცირე ზომის ექსპონატები. გამოყენებულია თვალსაჩინოების სხვადასხვა საშუალებანი: ფოტოები, ნახატები, სტენდები და სხვა, ხოლო ღია ცის ქვეშ მუზეუმი ითვალისწინებს შესაფერის ბუნებრივ გარემოში ქვეყნისათვის დამახასიათებელ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ნატურალური ზომით წარმოჩენას — შესაბამისი ყოფითი დეტალებით.

ასეთი სახის მუზეუმის შექმნის იდეა XVIII ს. დასასრულს ჩაისახა. მისი ავტორია შვეიცარიელი სწავლული ჩარლზ ბონსტეტენი. ფართო მასშტაბით ღია ცის ქვეშ მუზეუმის მშენებლობა მხოლო ასი წლის შემდეგ დაიწყო. 1891 წ. გამოჩენილმა ეთნოგრაფმა არტურ გეზელიუსმა შვეციაში დააარსა მსოფლიოში ცნობილი მუზეუმი „სკანსენი“. ექვსი წლის შემდეგ ღია ცის ქვეშ მუზეუმი ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში აამენეს, 1901 წ. — დანიაში, 1909 წ. — ფინეთში, მოგვიანებით (1924 წ.) ლატვიის დედაქალაქ რიგაშიც აიგო, ხოლო შემდეგ (1936 წ.) ბუქარესტსა (რუმინეთი) და ტალინში (1957 წ. ესტონეთი).

ღია ცის ქვეშ მუზეუმი ძალზე პოპულარული გახდა თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში, რაც მწვავე აუცილებლობითაა გამოწვეული. თანამედროვე გლობალური ცივილიზაცია ანიველირებს ეროვნულ თავისებურებებს, ძველი ყოფისა და კულტურის რეალიები ,სადაც ჩაქსოვილია ამა თუ იმ ერის მრწამსი და საკუთარი სახე, გაქრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ; რაც დრო გადის, მათთვის ცხოვრებაში ადგილი არ რჩება და ისინი ოავშესაფარს სწორედ ღია ცის ქვეშ მუზეუმში ჰპოვებენ. სწორედ ამით აიხსნება, რომ დღეს ყველა მოწინავე სახელმწიფო ცდილობს ჰქონდეს თავისი ეთნოგრაფიული მუზეუმი, რისი მეშვეობითაც შთამომავლობას უნდა შეუნარჩუნონ ყოველივე ის, რაც მშობლიური ხალხის ყოფას ახასიათებდა. ამიტომ აღმოჩნდა ჩარლზ ბონსტეტენის იდეა მეტად სიცოცხლისუნარიანი და ბევრგან წარმატებით ხორცშესხმული.

თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმისათვის ტერიტორია 1960 წ. გამოჰყვეს, ჯერ თხუთმეტი ჰექტარი, შემდეგ ოცდახუთი. მშენებლობის დაწყებას წინ უძღოდა ფართო მეცნიერულ-ორგანიზაციული მუშაობა. მუზეუმის მოწყობის ძირითადი პრინციპები აკად.

გ. ჩიტაიამ შეიმუშავა, ხოლო გენერალური პროექტი პროფ. ლ. სუმბაძემ შეადგინა. ასე ჩაეყარა საფუძველი დიდ ეროვნულ საქმეს.

ქართველ მეცნიერებს გაუწალდავი გზით მოუხდათ სიარული, რადგან არც ერთი ღია ცის ქვეშ მუზეუმის მშენებლობის გამოცდილება საქართველოსათვის არ გამოდგებოდა. სკანდინავიის, ბალტიისპირა თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს არ ახასიათებთ რელიეფის, მეურნეობის და, აქედან გამომდინარე, ნაგებობათა ისეთი მრავალფეროვნება, როგორც ჩვენს სამშობლოს. ბუნებრივ-სამეურნეო არეებად დაყოფა, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა, თვით ერთი ხეობის შიგნით საკუთარი ბარისა და მთის არსებობა, მრავალდარგოვანი შერწყმული მეურნეობა, მრავალპროფილიანი ეზო-კარმიდამოები და ნაგებობანი, საოცრად რთული და მაღალი სამიწათმოქმედო კულტურა შესაბამისი შრომის იარაღებითა და შენობებით, თითოეული ბუნებრივ-სამეურნეო არის ანუ საქართველოს კუთხის ყოფითი თავისებურებანი, გამოხატული დასახლების ტიპსა თუ სხვა მნიშვნელოვან, ან ერთი შეხედვით უმნიშვნელო ელემენტებში, დიდ სიძნელეს ქმნის. მიუხედავად ამისა აკად გ. ჩიტაიამ წარმატებით შესძლო მოეცა მეცნიერულად გააზრებული მოძღვრება მუზეუმის დაფუძნებისათვის, რის შედეგადაც პროფ. ლ. სუმბაძემ გენერალურ პროექტში, ძირითადად, სწორად ასახა ძველი საქართველოს თითოეული კუთხე.

გამოიყო ათი უმთავრესი ზონა, რომელთაგან ხუთი — აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავს, ხუთი კი — დასავლეთს. ეს ზონებია: 1. ცენტრალური (შიდა და ქვემო ქართლი); 2. აღმოსავლეთის (შიგნი და გარე კახეთი); 3. სამხრეთის (სამცხე-თრიალეთი და ჯავახეთი); 4. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი; 5. აღმოსავლეთ მაღალმთიანეთი (ხევი, მთიულეთ-გუდამაყარი, ფშავ-ხევსურეთი და მთათუშეთი); 6. შავიზღვისპირეთის ანუ კოლხეთის ზონა (გურია-სამეგრელო); 7. დასავლეთის ანუ რიონისპირეთის ზონა (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი)); 8. აჭარის ასსრ; 9. აფხაზეთის ასსრ; 10. დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთი (სვანეთი, მთის რაჭა) [77, 54—5]. მეთერთმეტე დამხმარე ზონა განკუთვნილია ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლებისათვის, ხოლო მეთორმეტე—ადმინისტრაციულ-ტექნიკური ნაგებობისათვის. გარდა ამისა, იქნება მწვანე ზონები, წყალვარდნილები და ტბა.

თითოეული ზონის შიგნით გამოიყოფა ქვეზონები, რათა მხედველობიდან არ იყოს გამორჩენილი ქართველი ხალხის განსახლების არც ერთი ნიუანსური თავისებურება. სწორედ ამიტომ ყოველი

ზონა შემდგომ დეტალურ ეთნოგრაფიულ-არქიტექტურულ დამუშავებას საჭიროებს, რაც, ბუნებრივია, თანდათან განხორციელდება. ვინაიდან „ღია ცის ქვეშ მუზეუმში უნდა აისახოს ჩვენი ქვეყნის საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობანი მათი (შინაგანი) ინტერიერითურთ, — წერს აკად. გ. ჩიტაია, — უნდა აისახოს საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები, სახელოსნოები, მაღაროები, ხიდები, გზები და სხვა. მიზნადაა დასახული ყოველგვარი ნაგებობა წარმოდგენილი იყოს თავის ბუნებრივ გარემოცვაში და თვითეული მათგანისათვის შესაფერის ანსამბლში. ეს გულისხმობს, რომ დაგეგმარება უნდა ითვალისწინებდეს საქართველოსათვის დამახასიათებელ ბუნებრივ-სამეურნეო არეებს, რომლისთვისაც ძირითადი მაჩვენებელია ვერტიკალური ზონალობა“. მეცნიერი შეტადრე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „გადმოსატანი და მუზეუმში დასადგმელი ობიექტების შერჩევის პრინციპი უნდა ითვალისწინებდეს საგნის აღნაგობას, მის ტექნიკას, დანიშნულებას, ბუნებრივ არეს და ისტორიულ მონაცემებს. უნდა შეირჩეს მთავარი, წამყვანი და ტიპიური. ამ თვალსაზრისით არ კმარა შენობის დაშლა ნაწილებად და ჩამოტანა, არამედ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ აღდგენილი და ექსპონირებული ძეგლი ისევე ეფექტს იძლეოდეს, როგორც ეს იყო მისთვის ადგილზე დამახასიათებელი“ [98, 49]. ყოველივე ამის განხორციელების შედეგად შეეძლებთ ავაშენოთ და მომავალ თაობებს შემოვუნახოთ ძველი საქართველოს სრულყოფილი ხატება — ღია ცის ქვეშ მუზეუმი, რომლის ექსპონატები მეცნიერული კვლევა-ძიების ობიექტები იქნებიან საუკუნეთა მანძილზე. ამავე მუზეუმმა უნდა გადაარჩინოს და შეინარჩუნოს ხალხური გამოყენებითი ხელოვნებისა და შინახელოსნობის კერები, რისთვისაც სათანადო მუშაობის ჩატარება აუცილებელია და გადაუდებელი.

ამჟამად შედარებით სრულყოფილადაა მოწყობილი მეგრული და გურული სამოსახლოები. აღნიშნულ კუთხეთა ბუნებრივი გარემო და მეურნეობა თითქმის ემთხვევა ერთმანეთს. მაშასადამე, კარ-ჩიდამოთა ტიპები და ნაგებობანი, ძირითადად, ერთნაირია, მაგრამ არის მაინც რეგიონალური სახესხვაობანი, მაგალითად სამეგრელოს მრავალდარგოვან, შერწყმულ მეურნეობაში უფრო მეტი სპეციალიზაცია ახასიათებს მესაქონლეობას. გურიაში ქვევრები, როგორც წესი, გარეთ — „ცაწმინდას ქვეშაა“ ჩაფლული, მაშინ როდესაც სამეგრელოში უმეტესად დახურულ მარნებს ვხვდებით.. რა თქმა უნდა, მუზეუმის ექსპოზიციაში ყოველივე ეს და სხვა მისთანანი უნდა აისახოს და ნაწილობრივ აისახა კიდეც.

საერთოდ, მუზეუმის ტერიტორიაზე ეთნოგრაფიული ხასიათის სამასამდე შენობა უნდა აიგოს. გარდა ამისა, განსაკუთრებულ ზონაში, შესაფერის ნაგებობებსა და გარემოცვაში უნდა განხორციელდეს ხალხური გამოყენებითი ხელოვნებისა და შინაბელოსნობის ცოცხალ კერათა დემონსტრაცია. მიუხედავად იმისა, რომ ასეა გათვალისწინებული ღია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობის ძირითად პრინციპებსა და გენერალურ პროექტში, ამ საშური და გადაუდებელი საქმის მოსაგვარებლად, ჯერჯერობით, პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. დრო კი არ ითმენს...

მუზეუმის მშენებლობის პროცესში თავი იჩინა ზოგიერთმა ნაკლმა, სახელდობრ სრული არ არის გურულ და მეგრულ კარმიდამოებში სახლებისა და სამეურნეო ნაგებობების შეთანაწყობა. მაშინ, როდესაც იმერეთში თვალსაჩინოდ გამოხატულია კარმიდამოთა თავისთავადობა, ეზოთა სრულყოფილი სტრუქტურა, აქ ღია ცის ქვეშ მუზეუმის სანახებში იმერეთიდან ჩამოტანილ შენობათა განლაგება ქაოტურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. მართალია, მეტად რთული, დანაწევრებული რელიეფი მშენებლებს ბევრ სიძნელეს უქმნის, მაგრამ სწორედ ამიტომ სათანადო სიფრთხილეა საჭირო. გზების გაყვანამ და ხევების გაჭრამ კოლორიტულ ლანდშაფტს ბუნებრივი მიმზიდველობა დაუკარგა. შეიძლება ითქვას, მშენებლები თავიანთი გაყვანილი გზების ტყვეობაში მოექცნენ. დაირღვა ზონალობა, მაშინ როდესაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს თავისი ბუნებრივი საზღვარი მოეპოვება და უშუალოდ ერთმანეთში იშვიათად გადადის. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი რატომღაც გაუთვალისწინებელია, ამიტომ იმერული ოდები „რაჭას“ მიებჯინა და ქართლური, ბანიანი სახლი, ფაქტიურად, ისტორიულ-არქეოლოგიურ ზონაში აღმოჩნდა. აღნიშნული ნაკლის გამოსასწორებლად, სანამ გვიან არ არის, აუცილებელია თითოეულ ზონას შორის დატოვებულ ექნეს გარდამავალი ზოლი, რათა დამთვალიერებელს ნახულის აღქმის შესაძლებლობა ჰქონდეს.

დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს ემატება კიდევ ერთი საინტერესო სანახაობა — ძველი, მინიატურული საქართველო; მუზეუმის მესვეურნი დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დგანან, მათ გეგმაზომიერად უნდა ასახონ ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხე ნიუანსურ თავისებურებათა ჩვენებით, მრავალი ეთნოგრაფიული ძეგლი უნდა გამოავლინონ და მუზეუმის ექსპოზიციაში წუნდაუდებლად დაამკვიდრონ. ამჟამად პირველშენების გზნებამ გაიარა და უკვე შეიმჩნევა ამ ახალი, დიდი საქმის შუქრჩდილები. დროა ზოგიერთი რამ ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანოთ, რათა

ღია ცის ქვეშ მუზეუმს ერთეულები კი არა, მთელი საქართველო აშენებდეს.

ქართველი ხალხის ყოფა რთული და მრავალფეროვანია. საქართველო ხალიჩას ჰგავს, სხვადასხვა ფერთა გამა სრულყოფილი სილამაზის წარუშლელ შთაბეჭდილებას ქმნის. დააკელით რომელიმე ფერი და მთლიანობა დაირღვევა, დაკარგავს წინაპართა რუდუნებით ნაქსოვი ხალიჩა მომხიბლაობას და უშუალობას. ამიტომ არის საჭირო ყოველი ეროვნული წამოწყების განხორციელებაში საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება.

დრო დადგა მშენებარე ცალკეული ობიექტისათვის დამუშავდეს ეთნოგრაფიულ მასალაზე დამყარებული, დაწვრილებითი საექსპოზიციო გეგმა, რომელიც საფუძვლად დაედება ამა თუ იმ კუთხის ასახვას. უპირველეს ყოვლისა, ამ მიზნით, მოცემულ კუთხეებზე უნდა დაიწეროს ეთნოგრაფიული ნაშრომი, რომელიც ამოსავალი იქნება არქიტექტურული დაგეგმარებისათვის. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ასეთი მუშაობის ჩაუტარებლად საქმე ბრკოლდება. რა თქმა უნდა, წინასწარი გააზრებისა და წერილობითი დასაბუთების გარეშე დაუშვებელია მუზეუმში რაიმეს გაკეთება. ნაგებობების ჩამოტანამდე საჭიროა მისთვის ადგილი ყოველმხრივ მომზადდეს, იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც საექსპოზიციო კუთხეს ახასიათებს. ექვივალენტად აღებული უნდა იყოს კუთხისათვის ტიპიური, მაგრამ საუკეთესო კარმიდამო, რომელიც წინასწარ უნდა დაგეგმარდეს და მუზეუმში მისი ასლი იქნეს გადმოღებული. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ნაგებობა თავისთავად არაფრის მთქმელია, თუ ჩვეულ ბუნებრივ-ისტორიულ გარემოში არ ზის. მრავალპროფილიანი ეზოს გაუთვალისწინებლად ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ შექმნის გურული, მეგრული, რაჭული და რომელიც გნებავთ სახლი. სამწუხაროდ, მუზეუმში დადგმულ შენობებს დღემდე არ მოეპოვებათ სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული კარმიდამოთა დეტალური, მეცნიერული გეგმა, რისი უარყოფითი შედეგები ყოველდღიურად იჩენს თავს.

ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსების მიზნით შევკრიბეთ და გავაანალიზეთ მუზეუმის ექსპოზიციაში რაჭა-ლეჩხუმის სწორად ასახვისათვის საჭირო ეთნოგრაფიული მასალა [85].

დასახლების ტიპი და გლეხის კარმიდამო რაჭა-ლეჩხუმში შეუსწავლელია. არის მხოლოდ გამოთქმული ორიოდე სავარაუდო მოსაზრება. აკად. გიულდენშტედტი, რომელმაც რაჭაში XVIII ს. შუა ხანებში იმოგზაურა, წერს, რომ „სოფლები მთაში უფრო მჭიდროდაა დასახლებული, დაბლობში კი სახლები უფრო დაშო-

რებულია ერთმანეთისაგან და ხშირად ყანებით არის დაფარული"-ო [22, 203]. მსგავსი მოსაზრება გამოთქმული აქვს ფ. ბობილევს [130, 250]. ეთნოგრაფ ნ. რეხვიაშვილის ცნობით, რაჭაში „დასახლებულ ხეობათა თითოეული კუთხე განსაკუთრებული ლანდშაფტით და ზოგიერთი ეთნოგრაფიული თავისებურებით ხასიათდება. სხვადასხვაობა თავს იჩენს საცხოვრებელი და სამეურნეო „შრამელის", ტანისამოსის, ავეჯის, ზნე-ჩვეულებისა და ენობრივი მონაცემების მხრივ. ზემოთ ე. ი. მთის სოფლებში მიჯრით ცხოვრობენ, ხოლო ქვემოთ — ბარად „იმერული სახის მსუბუქ შრამელობას და გაშლილ დასახლებას ამჯობინებენ" [66, 111].

აქედან გამომდინარე, რაჭისათვის, ძირითადად, დამახასიათებელია დასახლების ორი ტიპი: მთის სოფლებში, სახელდობრ გლოლაში, ღებსა და ჭიორაში („მთის რაჭა") — შეჯგუფული დასახლება მცირე ეზოიანი ან უეზოო, ერთმანეთზე მიჯრილი სახლებით, ქართლის მსგავსად, და ბარად, გაშლილი „იმერული" [1] კარმიდამო[1].

ლეჩხუმის შესახებ ვახუშტი შენიშნავს: „არ არის მოსახლე, რომელსა არა ედგას კოშკი ქვითკირისა და შენობანი ყოველივე ქვითკირისანი" [28, 149]. ასეთი ნაგებობანი სვანეთმა შემოგვინახა, ამჟამად ლეჩხუმში ისინი არ გვხვდება. დღეს ეს კუთხე კარმიდამოთა კომპლექსით და ნაგებობათა სტილით არ განირჩევა ქვემო რაჭისაგან. მაგალითად, ორივე კუთხისათვის დამახასიათებელია „შუასახლი" [43], რომლის ნიმუში უკვე დგას მუზეუმის ტერიტორიაზე, მაგრამ ყოველივე ეს არ გამორიცხავს ამ თვალთახედვით საგანგებო კვლევა-ძიებას და მუზეუმში გადმოსატანი ექსპონატების საგულდაგულო შერჩევას. მითუმეტეს, ასეთი მუშაობა წლების განმავლობაში მიმდინარეობდა რაჭაში.

რაჭველი და ლეჩხუმელი გლეხი მეტად რთულ შრომით საქმიანობას ეწეოდა. სოფლის მოხერხებული მდებარეობა ფართო მასშტაბით მემინდვრეობის, მეევენახეობის და მესაქონლეობის განვითარების საშუალებას იძლეოდა. ამიტომ მეურნეს სამოსახლო იქუნდა აერჩია, საიდანაც ყველა საქმეს ადვილად მისწვდებოდა. სწორედ ასეთი ადგილი იყო მთის ძირი, ციებისაგან დაცული, ჯანსაღი ჰაერით. ალპურ. საძოვრებთან და სათიბებთან სიახლოვე ხელს უწყობდა მეცხოველეობას. იქვე იყო ტყეც, რაც სარის, შეშის და საამშენებლო მასალის მომარაგებას ადვილებდა. სოფლის „მზი-

---

[1] არქიტექტორი ლ. სუმბაძე ზემო რაჭას დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთის ზოლში ათავსებს [77, 36]. ვფიქრობთ, აქ აუცილებელია კორექტივის შეტანა, მაღალმთიანეთად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ „მთის რაჭა" (გლოლა, ღები, ჭიორა) და ზემო რაჭის ორი სოფელი — შქმერი და მრავალძალი.

გულ“ ფერდობებზე საუკეთესო ღვინის მომცემი ვენახები იყო გაშენებული, ხოლო მდინარისპირა ნოყიერ ჭალებში მარცვლეულის ყანები ჰქონდათ. ტვირთზიდვა ადვილად ხორციელდებოდა მთიან რელიეფში უაღრესად ხელსაყრელი ტრანსპორტით — ფრჩხილეებიანი (ჩოჩიალა) ურმით. ადგილობრივი მცხოვრებნი მრავალმხრივ, კომპლექსურ მეურნეობას სწორად შერჩეული სამოსახლო ადგილის და შრომის წინდახედული ორგანიზაციის მეშვეობით ართმევდნენ თავს. მეურნეობის სამი უმთავრესი დარგის (მევენახეობა, მემინდვრეობა, მეცხოველეობა) გაძღოლას ისინი ალოთა გონივრული განაწილებით აღწევდნენ. „მზიგულ“ ფერდობებზე თოვლს ადრე იღებდა და როგორც კი მიწა შეშრებოდა, ვენახს მაშინვე ამუშავებდნენ. მერე კი სახნავს „დაუტრიალდებოდნენ“. „გარილდებოდა“ თუ არა საქონელს საძოვარზე გაუშვებდნენ და „ნობათის“[2] მეშვეობით მწყემსავდნენ.

ივნისის დამდეგს, როცა გამწვევი ძალა სოფლად საჭირო აღარ იყო, ხარებს და არამეწველ პირუტყვს მთის იალაღებზე მიერეკებოდნენ და ივლისის დამლევამდე იქ აძოვებდნენ. შემდეგ მკა იწყებოდა და გამწვევი ძალა სოფლად ჩამოჰყავდათ. მკას შეშის დამზადება და თიბვა მოჰყვებოდა. თიბვა უმეტესად ალპურ სათიბებზე წარმოებდა. მიდიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად სამი-ოთხი კაცი, კარავს დგამდნენ და ერთად თიბავდნენ, თივას „მარხილობით“ ინაწილებდნენ. მერე „მარნობა“ და რთველი იწყებოდა. ალოობა მხოლოდ ზამთრის პირზე „ჩაკარდებოდა“.

სოფელთა განლაგება და გლეხის კარმიდამო ყოველმხრივ პასუხობდა მრავალდარგოვანი, შერწყმული მეურნეობის საჭიროებას. სოფლის უბნები — კუთხეები ერთმანეთს „სახარო“ გზებით უკავშირდებოდნენ. სოფელი დაქსელილი იყო „საცალფეხო“ ბილიკებით. სახარო გზა ზოგჯერ ყორეებს შორის გაიელიდა, მაშინ მას „ორჭეს“ ეძახდნენ; „მოვალეს ორჭეში კარგად დაიჭერო“ — ხუმრობდა ხალხი.

გაშლილი, მრავალპროფილიანი ეზო ადგილობრივი მოსახლეობის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა. იქ, სადაც ბუნებრივი პირობების გამო საკარმიდამო სივრცე შეზღუდული იყო, მაინც უკან არ იხევდნენ და დაუღალავი შრომით ტერასების მთელ კომპლექსს ქმნიდნენ. მაგალითად, სოფელ ხვანჭკარაში ტყეშელაშვილების „ზედა კუთხე“ კლდოვან, დაქანებულ ფერდობზეა გაშენებული. მხოლოდ დაუღალავი გარჯით შეიძლებოდა ამ მწირი ადგილის აყვავებულ უბნად ქცევა.

---

[2] „ნობათობა“ საქონლის მორიგეობით მწყემსვაა.

ბუნებრივია, საგანგებო შესწავლას საჭიროებს საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა ინტერიერი და ექსტერიერი. ამათგან მხოლოდ მარნებია ჩვენს მიერ მონოგრაფიულად დამუშავებული.

ცალკე კვლევაა აუცილებელი კარმიდამოში ნარგავების განლაგებისათვის. მაგალითად, გასათვალისწინებელია, რომ გლეხი მარანთან თუთას არასდროს არ დარგავდა — ნაყოფით ჭურის თავებს დასვრისო, არც კაკლის ხე შეიძლებოდა მარანთან ახლოს — ღონიერი ფესვი აქვს და ჭურს გახვრეტსო. საბელავებად ხომ განსაკუთრებული ჯიშის ხეებს არჩევდნენ.

კარმიდამოში სახლს ცენტრალური ადგილი ეჭირა, რომლის „დასამხრისად" განლაგდებოდა სამეურნეო ნაგებობანი. მუზეუმის კონკრეტულ ვითარებაში, რაჭული სახლის პირველ ტერასაზე, გზასთან ახლოს დადგმამ მდგომარეობა გაართულა. ეს სახლი ან მეორე ტერასაზე უნდა იქნეს გადატანილი ან სხვა რაიმე გამოსავალი უნდა გამოინახოს.

საერთოდ, რაჭისათვის განზრახულია სამი სახლი და კარმიდამო, ამდენივე უნდა დაეთმოს ლეჩხუმს. ვინაიდან ქვემო რაჭა და ლეჩხუმი დასახლების ტიპითა და ნაგებობების კომპლექსით ერთმანეთისაგან ბევრად არ განსხვავდება, დასაშვებად მიგვაჩნია ამ ორი კუთხის ერთად ასახვა.

ამჟამად ერთი სახლი უკვე დგას, კარგი იქნება თუ მოეწყობა ტერასული კარმიდამო. ვინაიდან შუასახლი, რომელსაც „საჯალაბო სახლსაც" ეძახდნენ, აუცილებელი ელემენტი იყო ძლიერი თავადისა და აზნაურის ეზოსათვის (შიგ შინაყმები ცხოვრობდნენ), მას ჩვეულებრივ, „შავ ეზოში" აშენებდნენ. ამრიგად, თუ პირველ ტერასს შავ ეზოდ ჩავთვლით, შეიძლება შუასახლი იქ დარჩეს, ოღონდ მეორე ტერასზე უნდა აიგოს „სათავადო სახლი", რომლის შესაბამისად განლაგდება სამეურნეო ნაგებობანი. ბოსელი და მარანი ძველად მიღებული წესის თანახმად შუასახლთან პირველ ტერასზე იქნება, ხოლო მათი მეორე სართულები (საბძელი, მარნის ოთახი ბეღელი) — მეორე ტერასზე.

გარდა ამისა, თუ ზემოთ თქმული პრაქტიკულად განხორციელდება „სათავადო სახლის" კომპლექსში შუასახლის მოქცევით მუზეუმის ექსპოზიციას შეემატება თვალსაჩინო სოციალური ელემენტი. ამასთანავე, შესაძლებლობა გვექნება ავაგოთ სრულყოფილი მარანი, სადაც განლაგდება რაჭა-ლეჩხუმის ყოფაში ჯერ კიდევ შემონახული, გასაოცარი სიდიდის, ასი—ასორმოცდაათი ფუთის გამომავალი, მთლიანი ხის საწნახელები, რითაც ხაზი გაესმება ხალხური მეღვინეობის მაღალ დონეს. ასევე თვალსაჩინო გახდება დანარ-

ჩენი შრამულ-ბურულები: საბძელ-ბოსელი, ბეღელი და სხვ. სხვათა შორის, სოფ. გოგოლათში (ამბროლაურის რაიონი) ახლაც მოიპოვება თხილის მასიური ფიცრებისაგან ნაგები საუკეთესო ბეღლები.

ერთი ან ორი სახლი და კარმიდამო უნდა დაეთმოს გაშლილ ეზოებს, სადაც ყველა ნაგებობა ჰორიზონტალურ ჭრილში იქნება წარმოდგენილი. სულ ზემოთ, „სვანეთისაკენ" გარდამავალ ზოლში აშენდება მთის რაჭისათვის დამახასიათებელი ქვისდუროიანი სახლი და „სასტუმრო სახლი" თავისი მცირე ეზო-კარით და სამეურნეო ნაგებობა — „მაჩათი". აქვე უნდა მოეწყოს სოფლის მოედანი წყაროთი და „სანახშოთი". სანახშოსთან მგზავრი ძელებით მოგებული გზით უნდა მივიდეს.

რაჭის ძველი სოფლებისათვის მეტად სპეციფიკური იყო აგრეთვე ე. წ. „საფერიცხო" („საფერხისო") — კალოსმაგვარი, შერჩეული ადგილი სოფლის შუაგულში, სადაც „დიახწვლებზე" (რიტუალურ დღესასწაულებზე) ფერხულს — „ფერხისას" ჩაატარებენ. კიდევ, მუზეუმის ექსპოზიცია აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს საკულტო ადგილებს (წმინდა ხეების კორომები, ნიშები და სხვ.), რომელთა გარეშე შეუძლებელია ძველი ქართული სოფლის სპეციფიკის ჩვენება.

ჩვენი აზრით, თითოეული კარმიდამოს, ნაგებობის და სხვათა გეგმა არქიტექტურულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით დეტალურად უნდა დამუშავდეს.

რაჭა-ლეჩხუმისათვის გამოყოფილი ადგილის გვერდით, ხევში სასურველია აიგოს აღნიშნულ კუთხეებში გავრცელებული ორი ტიპის წისქვილი: „დოლაბი" და „ბუჭულა". დოლაბი დიდი, სამინდო წისქვილია ორი-სამი თვლით და ღარებით, ბუჭულა „ერთი მეკომურის" პატარა წისქვილია „მოღირღიტე ობოლა თვლით" და ხის ან ქვის კოდით (ლეჩხ. „გვიმით"). სასურველია ღარიანი, ხისა და ქვისკოდიანი წისქვილები ცალ-ცალკე აიგოს. შესაძლოა აქვე მოეწყოს მექანიკური საფრთხობელაც.

არ უნდა დავიიწყოთ რაჭა-ლეჩხუმში ძალიან გავრცელებული ძველი წესი ძელებით გზის მოპირკეთება, აგრეთვე ფერდობის დაცვის ხალხური საშუალებანი. ამასთანავე, ასახული უნდა იქნეს „მთიელთა მევენახეობისა" და მესაქონლეობის თავისებურებანი. რაჭა-ლეჩხუმის მთის სოფლებს მასიურად ჰქონდათ ბარად ვენახები და მარნები. მთის რაჭისათვის აგრეთვე დამახასიათებელი იყო სუბალპურ ზოლში ქოხ-ბოსლის დადგმა და ზამთრობით იქ საქონლის გამოკვება. მეურნეობის აღნიშნულ ფორმებს შეესაბამებოდა შრომის

ორგანიზაციის თავისებური სისტემა, რაც თავის მხრივ, ოჯახთა სეგ-მენტაციას და საბოლოო ჯამში ახალი სოფლის წარმოქმნას აპირობებდა (შდრ. სვანური „ლაბავი“ და გურული „აგვართა“).

„მთიელთა“ ვენახისა და მარნისათვის შესაფერის ადგილად მიგვაჩნია რაჭული შუასახლის ქვემოთ, გზასთან მდებარე მონაკვეთი, ხოლო მესაქონლეთა ქოხ-ბოსლისა და ქართასათვის ადგილი შესარჩევია.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს „კაროკალი“ (გურული „სათაღრო კარი“), რომელიც ყანა-ვენახებისა და სათიბებისაკენ მიმავალ გზას კეტავს. ლეჩხუმში ასეთ ჭიშკარს მექანიკურ საკეტს უწყობენ: დაასობენ ელასტიურ სარს ან ახლოს ამოსულ ჩქოლა ხის კენწეროს მოშვილდავენ და ჭიშკრის თავზე გამოაბამენ, იგი კარს გაღებისთანავე დახურავს.

ვინაიდან რაჭამ სოფელ წედისში ყველა კუთხეზე გვიან, XX ს. დასაწყისამდე, შემოინახა რკინის მადნის მოპოვებისა და დნობის ძველხალხური წესები, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ღია ცის ქვეშ მუზეუმში გაკეთდეს წედისური მაღაროები და ბრძმედები, იქვე აიგოს ძველებური სამჭედლო.

ასეთია ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმში რაჭა-ლეჩხუმის წარმოჩენისათვის საჭირო ეთნოგრაფიული მასალის ზოგადი მონახაზი. ვიმედოვნებთ, ეს მასალა შემდგომ კიდევ შეივსება, დაკონკრეტდება და საფუძვლად დაედება ამ კუთხეთა ამსახველ ექსპოზიციას.

დასახლების ტიპი შედარებით სრულყოფილადაა შესწავლილი სვანეთში, მთიულეთსა და იმერეთში. რა თქმა უნდა, ღია ცის ქვეშ მუზეუმის მშენებლობის პროცესში ყველა მეცნიერული მონაცემი გათვალისწინებული იქნება. აგრეთვე ამ თვალთახედვით უსათუოდ უნდა იქნეს მოპოვებული რაც შეიძლება მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა. ბუნებრივია, ასეთი მუშაობის შედეგად ნაკლს მინიმუმამდე დავიყვანთ.

§ 2. ეთნოგრაფიული მუშაობა მხარეთმცოდნეობის, მემორიალურ და სასკოლო მუზეუმებში

მხარეთმცოდნეობის მუზეუმი კომპლექსური ხასიათის სამეცნიერო-კულტურული დაწესებულებაა, სადაც თავს იყრის მოცემული მხარისათვის დამახასიათებელი ისტორიული სიძველეები, ბუნების ამსახველი ექსპონატები, რევოლუციური რელიკვიები, ადგილობრივი, გამოჩენილი ადამიანების მემორიალური მასალები, ახალი ყოფის რეალიები და სხვა [146; 147; 183; 148; 135; 144; 187].

ისტორიულ სიძველეებში შედის არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, წერილობითი და არქიტექტურული ძეგლები. არქეოლოგიას, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს კაცობრიობის უძველესი ხანის (პალეოლითის — ძველი ქვის ხანა, ნეოლითის — ახალი ქვის ხანა, ბრინჯაოს და რკინის ხანა) ამსახველი მატერიალური კულტურის მონაცემები [129; 3; 4; 39], რომელიც, ჩვეულებრივ, მიწაშია ჩაფლული და მისი მოპოვება, ე. ი. გათხრების წარმოება, ნებადართულია მხოლოდ სპეციალისტთათვის. მაგრამ მიწის სამუშაოების ჩატარების დროს, ხშირად ადგილი აქვს შემთხვევით არქეოლოგიურ აღმოჩენებს, რადგან ჩვენი უძველესი, ისტორიული მიწა უამრავ განძს ინახავს. სამწუხაროდ, ნაპოვნ ნივთთა მხოლოდ მცირე ნაწილი აღწევს სამეცნიერო კერებამდე, ხოლო უმეტესობა იკარგება ანდა მოსახლეობაშია გაბნეული, გამოყენებულია სამკაულებად, ჭურჭლად და სხვა უტილიტარული მიზნით. სხვათა შორის, ამჯერად, არქეოლოგიური ნივთი ეთნოგრაფიის კვლევის სფეროში ხვდება და სწორედ ამ დარგის მუშაკთა მოვალეობაა მისი გამოვლენა და მუზეუმში დაუნჯება.

საერთოდ, ეთნოგრაფიის ინტერესთა არე ფართოა და მთელი მატერიალური და სულიერი კულტურის ელემენტთა ფიქსაციას ითვალისწინებს [157; 69; 92; 60; 75]. ისე არასდროს არ ყოფილა საველე-შემგროვებლობითი მუშაობა საჭირო, როგორც დღეს. თანამედროვე ქალაქმა და სოფელმა სწრაფად იცვალა სახე. ყოფიდან ქრება დასახლების ძველი სტრუქტურა, ნაგებობანი, ავეჯი, ჭურჭელი, კოსტუმი, ქსოვილები, სამეურნეო იარაღები და სხვა მრავალი. დღეს მოზარდმა უკვე აღარ იცის სახვნელი და კევრი რა არის, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ტრანსპორტის ძველ საშუალებებზედაც. გავა ათიოდე წელი და სოფლად უკვე ვეღარ ვიპოვით დიდ გუთანს, სახვნელს. სადღაა ჭაჭის საწნეხი წბერ-ჭახრაკები, სამთო და საბარო ურმებიც თითზე ჩამოსათვლელია. რა თქმა უნდა, ჟამთა სვლას და ცივილიზაციის განვითარებას თავისი გზა-კვალი აქვს, ყოფიდან ის ქრება, რაც უკვე საჭირო აღარ არის. ეს უტილიტარული თვალსაზრისით, მაგრამ ყოველ ეთნოგრაფიულ ნივთს უდიდესი მეცნიერულ-ისტორიული ღირებულება ენიჭება და რაც დრო გავა, მით უფრო ფასდაუდებელი გახდება. რესპუბლიკურ მუზეუმებს არ ძალუძთ ყველა რაიონს და მით უმეტეს, სოფელს მიხედონ. ეთნოგრაფიულ ექსპონატთა შენახვის საშვილიშვილო საქმე, პირველ რიგში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმებმა უნდა იკისრონ. სამწუხაროდ, გამონაკლისს გარდა, ადგილობრივი მუზეუმების მესვეურნი ეთნოგრაფიას ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. ჯერ კიდევ მოუგვარებელია

ეთნოგრაფიულ ნივთთა გამოვლენის, აღრიცხვისა და დაცვის საქმე [60; 129]. ამ მდგომარეობას ისიც უწყობს ხელს, რომ დღემდე დაუდგენელია ეთნოგრაფიულ ძეგლთა რაობა. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რაიონულს კი არა რესპუბლიკურ მუზეუმებსაც არ გააჩნიათ სრულყოფილი ინსტრუქცია, სადაც განსაზღვრული იქნება რა ეთნოგრაფიული ნივთი შეიძლება ჩაითვალოს სამუზეუმო ღირსების ექსპონატად. ამ საქმეში ზოგჯერ ინტუიციას უფრო ვეყრდნობით, ვიდრე მყარ, მეცნიერულ კრიტერიუმს.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კვლევა-ძიების მასშტაბი მეტად მრავალმხრივია [44; 172; 176] და, ჰუმანიტარულს გარდა, ბუნების შემსწავლელ მეცნიერებებს ითვალისწინებს [142]. ამიტომ სათანადო სიფრთხილეა საჭირო, რომ იაფფასიან დილეტანტიზმამდე არ დავეშვათ. მაგრამ ეთნოგრაფიულ მუშაობაში ამოსავალია თვით ხალხი. აქედან გამომდინარე, ეთნოგრაფიას უპირველესად აინტერესებს ხალხის თვალით დანახული და განცდილი ესა თუ ის მოვლენა, ბუნებისმიერია ის, თუ ცხოვრებისეული. ამის გათვალისწინების შედეგად, ყამირში ხნული ადვილად გაივლება.

რაც შეეხება მემორიალურ მუზეუმებს, მათთვის ეთნოგრაფია სასიცოცხლო აუცილებლობაა. ის გარემო, ყოფის დეტალები, სადაც ამა თუ იმ გამოჩენილი პიროვნების აღზრდა-ჩამოყალიბება მოხდა, ძირითადად, ეთნოგრაფიის კვლევის სარბიელია, მაშასადამე მემორიალური მუზეუმის შექმნა ან უკვე შექმნილის შესაბამისი ექსპოზიციის მოწყობა სპეციალისტ ეთნოგრაფთა გარეშე არ უნდა ხდებოდეს.

ბორის ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა სასახლის ინიციატივით და მხარდაჭერით მრავალი სასკოლო მუზეუმი ჩამოყალიბდა და მოქმედებს. ამათგან საყოველთაო აღიარება ჰპოვა ქორეთის (საჩხერის რაიონი), ჩხარის (თერჯოლის რაიონი), გომბორის (საგარეჯოს რაიონი), აბარის (ამბროლაურის რაიონი) და სხვა მუზეუმებმა [142].

გამოცდილი პედაგოგების თაოსნობით და ხელმძღვანელობით მოსწავლეები ექსპონატებს აგროვებენ და სასკოლო მუზეუმში აუნჯებენ. თითქოს, ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზეა და სასარგებლო საქმე კეთდება, მაგრამ აქაც არის ერთგვარი შუქ-ჩრდილები. ზოგჯერ სამუზეუმო ინსტრუქციით გათვალისწინებული პიროებების უქონლობის გამო, ექსპონატებს დაღუპვის საფრთხე ემუქრება. ხშირად იგრძნობა არქეოლოგიური ნივთების შეგროვებით გატაცება და ხანდახან ადგილი აქვს თვითნებურ გათხრებსაც. როგორც წესი, მუზეუმის დაარსების ინიციატორები ენთუზიასტები

არიან, თუკი ენთუზიაზმა გაიარა, ნივთები უპატრონოდ რჩება და ნადგურდება კიდეც, რისი ფაქტებიც არქეოლოგმა გურამ ლორთქიფანიძემ გურიაში საკმაოდ გამოავლინა [51]. ყოველივე ეს იმის მაუწყებელია, რომ სასკოლო მუზეუმების ორგანიზაციის საქმე მთლად რიგზე ვერ არის. ეს საკითხი შემდგომ შესწავლას და რესპუბლიკური მასშტაბით საერთო ღონისძიებების გატარებას საჭიროებს.

ჩვენი აზრით, სასკოლო მუზეუმი, უპირველეს ყოვლისა, სწავლების, თვალსაჩინოების მიზნებს უნდა ემსახურებოდეს და არა სამეცნიერო-კვლევითს. თავისთავად აქ ცუდი არაფერია, მაგრამ ადგილზე ამის შესაძლებლობა იშვიათადაა. სასკოლო მუზეუმში კოლექციების აღრიცხვის და დაცვის საქმეც მოიკოჭლებს. მეცნიერულ დონეზე არ ხორციელდება, აღწერას რომ თავი დავანებოთ, ნივთების პასპორტიზაციაც. ბევრ სკოლაში ამისათვის არც სათანადო სპეციალისტები მოიპოვებიან და არც ბაზა გააჩნიათ. ასეთ პირობებში წესდებით დაუშვებელია სამეცნიერო ღირებულების ექსპონატები, მითუმეტეს ორიგინალები, სასკოლო მუზეუმებში ინახებოდეს. ჩვეულებრივ, სასკოლო მუზეუმი მხარეთმცოდნეობის ან რესპუბლიკური მუზეუმის ფილიალი უნდა იყოს და ძირითადად ასლებით — მულაჟებით კომპლექტდებოდეს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასკოლო მუზეუმმა თავის სამოქმედო რეგიონში ექსპონატების მოძიება არ აწარმოოს, პირიქით, ეს საქმიანობა უნდა გაიხადოს მოქმედების უმთავრეს მიზნად, ოღონდ სპეციალისტთა ზედამხედველობით და მითითებით. მაგალითად, მიწის ზედაპირზე მოხვედრილი არქეოლოგიური მასალის დამცველი და შემგროვებელი, პირველ რიგში, სასკოლო მუზეუმი უნდა იყოს. განსაკუთრებით სიფხიზლე და მონდომებაა საჭირო ეთნოგრაფიული ნივთების, შინახელოსნობის და გამოყენებითი ხელოვნების კერების, კერძო პირთა ხელთ მოხვედრილი წერილობითი ძეგლების და სხვათა გადარჩენისათვის. ამ საშვილიშვილო საქმეში სასკოლო მუზეუმს შეუძლია ფასდაუდებელი სამსახური გაუწიოს მეცნიერებას. სკოლის კოლექტივმა ხომ შესანიშნავად იცის თავის სამოქმედო მიკროარაიონში რა ხდება. ამიტომ სკოლა არ უნდა დარჩეს მუზეუმის გარეშე და არც ერთი სასკოლო მუზეუმი მოკლებული არ უნდა იყოს შეფობას — მეცნიერულ ხელმძღვანელობას. ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმის თაობაზე, თუ რა კულტურულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ასეთ შემოქმედებით კავშირს. სწავლებაში ქმედითი თვალსაჩინოების დანერგვაც ამ გზით არის ეფექტური და სასურველი შედეგის მომტანი.

ვიმედოვნებთ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, კულტურის სამინისტრო და საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ერთობლივ ღონისძიებებს გაატარებენ, რათა სასკოლო მუზეუმის მუშაობა უკეთ წარიმართოს.

საზოგადოდ, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ მუზეუმი მხოლოდ ძველი ნივთების საცავი კი არ არის, არამედ უაღრესად თანამედროვე დაწესებულებაა [136, 178]. მას წმინდა ისტორიულ-მეცნიერული მისიის გარდა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. ის არის ახალგაზრდობის აღზრდის კერა, თვალსაჩინო სწავლების საფუძველთა-საფუძველი, რესპუბლიკის თუ რაიონის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი ორგანიზატორი. კარგ მუზეუმში შეპირისპირებითაა გადმოცემული ძველი და ახალი ყოფა, ჩანს დადებით ტრადიციათა უწყვეტობა, დრომოჭმულის წინააღმდეგ ბრძოლა. მხარეთმცოდნეობის თუ სასკოლო მუზეუმი — ეს რეალური სახეა რაიონისა, სკოლისა, მათი წარსულის, აწმყოსი და მყოფადისა. მუზეუმს წამახალისებლის როლიც აკისრია. ისტორიულ პირთა გვერდით, იქ ფართოდ უნდა დაეთმოს ადგილი ჩვენს დამკვრელ მუშებს, კოლმეურნეებს, პედაგოგებს, მოსწავლეებს, საერთოდ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს. თანამედროვე დონეზე მოწყობილი მუზეუმი ათეიზმისა და ანტირელიგიური ბრძოლის მძლავრი კერაა. მეცნიერების მიღწევების პროპაგანდა, მასების იდეური წრთობა, ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების გაღვიძება — აი, პრინციპები, რომელთაც უნდა ემსახურებოდეს ყოველი მუზეუმი.

§ 3. ეთნოგრაფიული ძეგლები

მატერიალური კულტურის ძეგლები ისტორიის უტყუარი წყაროა. ისინი რეალურად განსაზღვრავენ ერის ნიჭიერებას და შემოქმედებით პოტენციას. ვისაც საქართველო მოუვლია და უხილავს თვალშეუდგამი ციხე-კოშკები, ბარელიეფებითა და ჩუქურთმებით ნაქარგი ტაძრები, მთათა ფერდობებზე, მუქმწვანე ხეობებში თვალმარგალიტებივით ჩასმული სოფლები, შეუძლებელია წინაპართა მიმართ მოკრძალებითა და პატივისცემით არ გაიმსჭვალოს. რა ძალა, რა ენერგია, შენებისადმი რა დაუოკებელი ლტოლვა ჰქონიათ მათ. დგანან ძველ, სწორუპოვარ ოსტატთა უბადლო ქმნილებანი და დაკინებული დუმილით ჩვენგან დაცვა-შესწავლას მოითხოვენ. და განა მარტო ციხეს ან ეკლესიას სჭირდება სითბო და ყუ-

რადღება, არამედ თითოეულ ქვას, ძელს, რომელსაც კი კაცის ნახელავი და შრომის კვალი ატყვია.

საერთოდ, „მატერიალური კულტურის ძეგლები“ ფართო ცნებაა. აქ შედის როგორც სახელმწიფოებრივი არქიტექტურის ნიმუშები, ისე ეთნოგრაფიულად საინტერესო ნაგებობანი და ნივთები, რომელთა გამოვლენა-აღრიცხვა-დაცვისათვის, ჯერჯერობით, ნაკლებად ვზრუნავთ. ამის გამო განუკითხავად იკარგება ეროვნული ისტორიისათვის მეტად ძვირფასი განძი. საქმე იმითაც რთულდება, რომ ეთნოგრაფიული ძეგლები, ძირითადად, კერძო პირთა ხელშია და ზოგიერთმა არც კი იცის მათი მნიშვნელობა.

ეთნოგრაფიული ნივთის შექმნაში ჩაქსოვილია მწარმოებლის შესაძლებლობა — განპირობებული მისივე განვითარების დონით. მაგალითად, „რაჭული სახვნელი“ სახვნელ იარაღთა შორის ერთ-ერთი ყველაზე სრულქმნილია. ახლა ბევრს ღიმილს გვრის ჩოჩიალა ურემი, მაგრამ თავის დროზე ის ხალხური ტექნიკის თვალსაჩინო მიღწევა იყო, რადგან ძირს დაშვებული ფრჩხილეებითა და უღელზე ელასტიური გადაბმით იდეალურად ეგუებოდა მთიან რელიეფს. ხალხური ტექნიკური აზროვნების კარგ ნიმუშს წარმოადგენს ჭაჭის საწნეხი ჭახრაკიანი „წბერი“ — „საქაჯაკი“. მაშასადამე, სახვნელი, ურემი, წბერი ეთნოგრაფიული ძეგლებია. წარსულში ხალხი რასაც თავისი ხელით აკეთებდა და იყენებდა, დღეისათვის ყველაფერი ეთნოგრაფიულ ძეგლადაა ქცეული, სახელდობრ, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, ავეჯი, იარაღ-ჭურჭელი, ქსოვილები, ტანსაცმელი, რიტუალური ნივთები და სხვა.

არქიტექტორმა თ. კვირკველიამ ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახადა „იუნესკოსთან“ არსებული ძეგლთა დაცვის ორგანიზაციის მიერ ვენეციაში 1964 წ. მოწვეულ მეორე საერთაშორისო კონგრესზე შემუშავებული დოკუმენტის — „ვენეციური ქარტიის“ მონაცემები, ჩვენს რესპუბლიკაში ამ თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობასთან შეპირისპირებით. ქარტია გვამცნობს:

ა) „ძეგლის ცნების განსაზღვრა გულისხმობს ყოველგვარ ობიექტს, რომელიც ინტერესს წარმოადგენს არქეოლოგიური, ესთეტიკური და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. ეს განსაზღვრა ითვალისწინებს აგრეთვე ძეგლის ტერიტორიაზე ნაპოვნ საგნებს“.

ბ) „ღირშესანიშნავი ადგილის განსაზღვრა გულისხმობს ბუნების, ადამიანის ან ბუნებისა და ადამიანის მიერ ერთად შექმნილი ობიექტების ერთობლიობას, რომელთა დაცვას საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს“.

ქარტია ღაღადებს: „ისტორიული ძეგლის ცნება გულისხმობს ცალკეული არქიტექტურული ნაგებობის და აგრეთვე ქალაქისა და სოფლის მთელ კომპლექსებს, დაკავშირებულთ განსაზღვრულ კულტურასთან, ფაქტთან ან ისტორიულ მოვლენასთან. ეს ცნება მოიცავს არა მარტო ღირშესანიშნავ, გამოჩენილ ძეგლს, არამედ გაცილებით შეუმჩნეველს, მოკრძალებულს, რომელიც მომავალში მნიშვნელოვან კულტურულ ღირებულებას შეიძენს“ („ძეგლის მეგობარი“, № 36, 1974, გვ. 5, 6).

სწორედ ასეთი ბუნებისაა ეთნოგრაფიული ძეგლები, რომელთაც ახლა ხშირად ვერც ვამჩნევთ, ორიოდე წლის შემდეგ კი სანთლით საძებარი გახდება.

ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან ხაზგასმით აღნიშნა: „ძალიან კარგია, რომ ახლა გვაქვს იურიდიულად დასაბუთებული ნორმები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევს მიზანდასახულად ვაწარმოოთ მუშაობა ბუნების დასაცავად“ („კომუნისტი“, 25 თებერვალი, 1975, გვ. 8).

მშობლიურ ბუნებას უხსოვარი დროიდან შეერწყა და მის მშვენებად იქცა მატერიალური კულტურის ძეგლები, სადაც ჩაქსოვილია ხალხის შემოქმედებითი გენია. ამრიგად, ბუნების დაცვის გლობალური პრობლემა თავისთავად გულისხმობს ისტორიული რელიკვიების მოვლა-პატრონობასაც, რაც ამომწურავად აისახა უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში—„კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“[37; 38]. ხალხის ისტორიაზე ზრუნვის ამ ნათელი პროგრამით ძეგლთა დაცვის საქმეში ახალი ხანა დაიწყო.

აკად. გ. ჩიტაიას კლასიფიკაციით ეთნოგრაფიული ძეგლები ორი რიგისაა [150, 42]: ადგილზე დასაცავი (ეთნოგრაფიული ნიშან-თვისებების მატარებელი — ქალაქი, სოფელი, უბანი, ქუჩა, კარმიდამო, ნაგებობა და ა. შ.) და მუზეუმში გადმოსატანი (ნაგებობანი, უმეტესად ხისა, საყოფაცხოვრებო თუ სხვა დანიშნულების ნივთები). პირველი რიგის ძეგლები ეთნოგრაფიულ ნაკრძალთა კატეგორიას განეკუთვნებიან, ხოლო მეორეთაგან მუზეუმებში დასაუნჯებელი ექსპონატები შეირჩევა.

ეთნოგრაფიული ძეგლების გამოვლენა იოლი არ არის და ამ საქმეში სათანადო მეცნიერული ალღოა საჭირო. ყოველი ნაგებობა და ნივთი, როგორი გარეგნული ბრწყინვალება არ უნდა ჰქონდეს მას, ყოფის მახასიათებელ ნიმუშად არ გამოდგება. უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს რამდენად ტიპიურია იგი მოცემული

რეგიონისათვის, რომელ ეთნიკურ სამყაროს განეკუთვნება და არის თუ არა ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული. ამგვარად, ეთნოგრაფიულ ნივთთა შემკრები ერუდირებული და გამოცდილი პიროვნება უნდა იყოს, რათა საველე პირობებში, როგორც იტყვიან — „ერთი თვალის გადაკვლებით", შეძლოს ამოიცნოს სამუზეუმოდ ვარგისი ექსპონატის ღირსება.

საერთოდ, კოლექციების შეგროვებას სპორადული ხასიათი აქვს. როგორც წესი, თითოეული მეცნიერი მუშაკი ცდილობს მოიპოვოს თავის საკვლევ თემასთან დაკავშირებული ნივთიერი მასალა, ხოლო სხვა დანარჩენს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. ეს დაღს ასვამს როგორც სამუზეუმო ფონდების შევსების საქმეს, ისე ეთნოგრაფიულ ძეგლთა აღრიცხვას და დაცვას. არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ მუზეუმების მესვეურები კოლექციების გამოსაკლენად იშვიათად აწყობენ სრულყოფილად ორგანიზებულ სამეცნიერო ექსპედიციებს, ამიტომ ზოგჯერ სარბიელი განძის მაძიებლებსა და კერძო კოლექციონერებს რჩებათ. ისინი ხშირად საეჭვო რეპუტაციისანი არიან და მათი ინიციატივა უმთავრესად ანგარებაზეა დამყარებული.

კოლექციების შემძენი საგანგებო ექსპედიციები იშვიათია, თან მცირერიცხოვანი და მოკლევადიანია. მთელი ყურადღება გადატანილია მთხრობელთაგან მასალის ჩაწერაზე, ნივთები კი მეტწილად უყურადღებოდ რჩება. ექსპონატების შესაძენი თანხაც უმნიშვნელო რაოდენობითაა გამოყოფილი. გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 1972—1976 წწ. სვანეთის სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ეთნოგრაფები, არქეოლოგები და ხელოვნებათმცოდნეები (ხელმძღვანელი მ. ჩართოლანი). დიდი სამუშაოები ჩატარდა ზემო სვანეთის ეკლესიებში შემონახული ნივთების აღწერა-დაცვის თვის. ასეთი ღონისძიების გატარების შედეგად ფასდაუდებელი განძი იქნა გადარჩენილი, რომლის ისტორიული მნიშვნელობა ეროვნულ საზღვრებს სცილდება [72].

მსგავსი ექსპედიციები უნდა მოეწყოს საქართველოს ყველა კუთხეში და გადაჭარბებული არ იქნება ამ თვალთახედვით მარტო ეკლესიებს კი არა ცალკეულ ოჯახებსაც თუ შევისწავლით. მხოლოდ ასეთი საშუალებით შეიძლება ხალხური საუნჯის შთამომავლობისათვის შემონახვა.

დაინტერესებულმა პირებმა საველე მუშაობის დროს უნდა გაითვალისწინონ შემდეგი: ზოგიერთი კულტურის ელემენტი, ემპირიული მიგნების შედეგად, განსაზღვრულ გეოგრაფიულ გარემოშია

დამკვიდრებული და ხანგრძლივად მიჩენილი ლოკალური ფარგლეხების გარეშე ნაკლებ ეფექტს იძლევა. თუნდაც მისი მატარებელი მოსახლეობა ამოწყდეს, ის მაინც ადგილზე რჩება და მოსულთ ძალაუნებურად თავს აათვისებინებს. მაგალითად, გაირკვა, რომ ქვემო ქართლში უცხოტომელნი, დაეუფლნენ რა ქართულ ნასოფლარებს, იძულებულნი გახდნენ კულტურის ადგილობრივი რეალიები მიეღოთ [9; 63; 84]. მაღალგანვითარებული საწარმოო ყოფა, თუგინდ ნაშთად ქცეული, მაინც ზეგავლენის ქვეშ მოიქცევს მოსულთ. და ვინ იცის, რამდენი ცდა, თავისტეხვა და დაეიდარაბა დასჭირდათ ახალბედებს, რათა გამჭრალი მოსახლეობის მიღწევანი შეეცნოთ და პრაქტიკულად გამოეყენებინათ. ამისი ცოცხალი დადასტურება აკად. ნ. ბერძენიშვილს მოეპოვება თავისი „ბორჯომის ხეობის დღიურში" [12].

ამრიგად, მატერიალური კულტურის მკვლევარმა და მით უმეტეს სამუზეუმო კოლექციების მაძიებელმა გვერდი არ უნდა აუაროს საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხებს. შესაძლოა მათთან ქართული კულტურის მახასიათებელი უფრო ძველი ელემენტიც კი აღმოჩნდეს, უშუალოდ მიწისქვეშეთიდან ან ნანგრევებიდან აღებული.

ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოხატული ზონალობა: მთა, მთისძირი ანუ ფერდა და ამათ შორის არსებული ბარი. რელიეფი დასერილია მრავალი ხეობით, რომელთაგან ზოგი სიგრძით, ხოლო ზოგი ვერტიკალური მიმართულებით არიან მცირე კავკასიონის ქედებთან. თვითეულ ძირითად ზოლს თვით მაღალმთიანეთშიც კი საკუთარ წყაღშივე მოეპოვება თავისი „ბარი", „ფერდა" და „მთა". მაშასადამე, მთავარი დაყოფის ძირითადი მაჩვენებელი მცირე რაიონის (მიკრორაიონის) ფარგლებშიც მეღავნდება. მაგალითად, ბარისათვის ტიპიურია: „დიდი გუთანი 7—8 უღელი ხარით, დიდი მოდგამი, დიდი ქვევრი, დიდი გელაზი, დიდი ბარული ურემი, კევრი, ხოლო მთისათვის — აჩაჩა სახვნელი ერთი უღელი ხარით, მოძრავი საქონლის ფეხით ლეწვა; ფერდაში ორხელა სახვნელი 2—3 უღელი ხარით, ჩოჩიალა ურემი და ბოლოთრია, მოდგამი და სხვა. ნაგებობების მხრივ მკვეთრად გამოირჩევა: მთისათვის — ვერტიკალური განზომილებით ერთპერქვეშ მოქცეული შენობა, რომელშიც მოცემულია როგორც ადამიანის საცხოვრებელი, ისე საქონლის სადგომი, როგორც ადამიანის, ისე საქონლის მარაგის სათავსოები, ხოლო ბარში ნაგებობანი ჰორიზონტალურ განზომილებაშია მოცემული — ცალკე ნაგებობა ცალკე სახურავით თვითეული დანიშნულების შენობისათვის. რაც შეეხება გარდამავალ

ზოლს, აქ უპირატესად ნარევი ტიპის ნაგებობებთან გვაქვს საქმე“ [98].

ყოველივე ამასთან ერთად საველე მუშაკს წარმოდგენა უნდა ჰქონდეს დასახლების ტიპსა და კარმიდამოთა სტრუქტურაზე; იცოდეს ამა თუ იმ კუთხის საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა თავისებურებანი, მეურნეობის და საზოგადოდ, საწარმოო ყოფის სპეციფიკა; მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს ეზოებისა და საკარგულთა შემოკავების საშუალებანი, აგრეთვე მიჯნები, სამანები, ჭიშკრები, სოფლის თავშეყრის (საერობო, საფეხვნო, სანახშო და სხვ.) და საკულტო ადგილები ნაგებობებით თუ მოწყობილობით; ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები (ტაძრები, ციხე-კოშკები, სასახლეები და სხვ.), რომლებიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ მახლობლად მცხოვრებთა ფსიქოლოგიასა და ყოფაზე. მაგალითად, წრომის ტაძრის კონსტრუქციები დამკვიდრებულია ხაშურის რაიონის მცხოვრებთა საფლავის ქვებზე, ნიკორწმინდის ბარელიეფების და ჩუქურთმების მიბაძვას ნახავთ რაჭულ სახლებსა და ჭიშკრებზე. ამ გზით ისტორიული ძეგლი ეთნოგრაფიული კვლევის სფეროში შემოდის, რაც უსათუოდ გასათვალისწინებელია.

თანამედროვე ქართულ სოფელში ამჟამად მასიურად დამკვიდრდა რკინა-ბეტონით, აგურით ან ქვით ნაგები ე. წ. „ქალაქური სახლი“, ხოლო ძველი კოლორიტული ნაგებობანი იშვიათი გახდა, მაგრამ აქა-იქ ჯერ კიდევ შენარჩუნებულია მიწურბანიანი და ერდოიან-გვირგვინიანი სახლი [99; 100], დარბაზი, შუასახლი, დუროიანი სახლი, ოდა, მაჩუბი, ციხესახლი [33], ჯარგვალი, ფაცხა, ფაქუტა და სხვ. არის თანამედროვე „მოდაზე“ გადაკეთებული ძველი შენობებიც. ეთნოგრაფმა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ძველი ნაგებობანი უნდა აღრიცხოს, შეისწავლოს მათი მდგომარეობა, სახელდობრ, რამდენად აკმაყოფილებენ ისინი ეთნოგრიფიული ძეგლის ყველა მოთხოვნას, ე. ი. არიან თუ არა ტიპიურნი და იმდენად შენახულნი, რომ დაცვა შეიძლებოდეს.

სამეურნეო ნაგებობანი, რომელთაც რაჭა-ლეჩხუმში „შრამელბურულებს“ უწოდებენ, ხოლო იმერეთში „ნამშრალებს“, წარმოშობილია მეურნეობის იმ ლოკალური თავისებურებათა მიხედვით, რომელიც ამა თუ იმ რეგიონს ახასიათებს. საერთოდ, საქართველოს ყველა კუთხეში მეურნეობის ძირითადი და წამყვანი დარგები იყო მემინდვრეობა, მევენახეობა-მეღვინეობა და მესაქონლეობა. ისინი საუკუნეთა მანძილზე შერწყმულად, სიმბიოზურად ვითარდებოდნენ, რა თქმა უნდა, ვერტიკალური ზონალობის მიხედვით მეტ-ნაკლები დასპეციალებით, რამაც, თავის მხრივ, გა-

ნაპირობა ნაგებობათა პროფილი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აგრეთვე ცალკეულ კულტურათა მოთხოვნილება, სახელდობრ, ხორბლეულის შესანახად აღმოსავლეთ საქართველოში მოხერხებული აღმოჩნდა ორმო-ხაროები, დასავლეთში კი ხულა-ბეღლები. ბზემ საბძელი მოითხოვა, ხოლო ჩალამ და თივამ ზვინები. ღომის და სიმინდის კულტურას ნალია დასჭირდა. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა აგრეთვე მარნის განსხვავებული ტიპები: ღია და დახურული, მარანი საცხოვრებელი სახლის კომპლექსში, „მთიულთა მარანი" და ა. შ.

მესაქონლეობის ხასიათსა და დონეზე დიდად არის დამოკიდებული ამ დარგისათვის განკუთვნილ ნაგებობათა რაობა. თუ მესაქონლეობა მომთაბარულ (არა ნომადური გაგებით) ხასიათს ატარებს, აქ უფრო მსუბუქი სამწყვდევები (ქოხ-ბოსელი, ქართა, საჩიხე, ბაკი და სხვ) გვაქვს, სადაც სოფელს არ შორდება თავლა და საბძელ-ბოსელი. საბძელი ბზის გარდა პარკოსანთა (ლობიო, ცერცვისნაირი) ჩენჩს და თივასაც ითავსებს. ეზოში ზვინქვეშა მშრალი ადგილი ხშირად წნულითაა მოზღუდული ან სახელდახელოდ შეფიცრულია (გურ. „გორძლო"), გამოიყენება სხვადასხვა მიზნით: პირუტყვის სამწყდევად, ხილის, ხმელი ფოთლის, ფუჩეჩის, ნაფოტების, დაჭრილი შეშის და მისთანათა შესანახად.

ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით უხვად იყო ნაგებობანი მეფრინველეობისა და წვრილფეხა მესაქონლეობისათვის: საღორე, საცხვრე, სათხე (მეგ. მარაკა), საქათმე, საბატე-საიხვე და ა. შ.

იქ, სადაც ტექნიკური კულტურები (სელი, კანაფი, კაკალი და მისთან.) მოჰყავდათ და ამუშავებდნენ, გამართული ჰქონდათ ზეთსახდელები. წყლის წისქვილები (დოლაბი, ბუჭულა, გვიმიანკოდიანი და სხვ.). ხომ ქართული ყოფის დამახასიათებელი იყო, აგრეთვე სამჭედლო, სამეთუნეო ნაგებობანი და სხვ.

ეთნოგრაფის ფხიზელ თვალს არ უნდა გამოეპაროს ისეთი „ხურვილები", სადაც გადასაწვიმებლად ან მზეზე გასაშრობად თავსდება დაუბინავებელი მოსავალი, ასეთია: ფარდული, ლაფარო, დოშკანი, ცალმაგი, ჩხანჭი, საფიცხობელი და მისთანანი. განსაკუთრებული ინტერესის შემცველია საკულტო დანიშნულების ნაგებობანი: ეკლესია, სამრეკლო, სამლოცველო, ნიში; კიდევ სამალავი, სახიზარი, დილეგი, ხარო, გვირაბი, დარანი, წყაროსთვალი, აბანო, საპირფარეშო, დუქანი, ფუნდუკი, აბაყა, მეზვრის ქოხი, მეველის კარავი და სხვ.

სახლის ტიპზე, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია ოთახთა და სათავსოთა განლაგება, რისი სწორად აღქმაც შესაძლებლობას მოგ-

ვცემს გავერკვეთ ინტერიერის განაწილების სტრუქტურაში, რაც არავითარ შემთხვევაში ქაოტური არ არის, არამედ შეპირობებულია გეოგრაფიული გარემოთი, კლიმატით, მეურნეობის ხასიათით, ოჯახის სულადობით, შეძლებით და სხვა რაციონალური ფაქტორებით.

ძველებურ სახლებში ცენტრალური ადგილი უჭირავს კერას. იქ წარმოებდა უმთავრესი საოჯახო საქმიანობა, აგრეთვე პურის ჭამა, კულტმსახურება და სხვ. [90]. კერასთან გარკვეულ დროს თავს იყრიდა მთელი ოჯახი, დაჯდომის ჟამს დაცული იყო უფროს-უმცროსობის წესი (სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში ბოლო დრომდე შემორჩა საუფროსო სკამი — საკარცხული). კერასთან იმართებოდა საუბრები და, რაჭაში გამოვლენილი მასალების მიხედვით, მიმდინარეობდა მოზარდი თაობის აღზრდა და სწავლება [81].

კერას თავისი ატრიბუტები ჰქონდა (კერის ქვა — ხშირად მზის სტილიზებული გამოსახულებით შემკული, ყვერბი, სოხანე, კერის ჯაჭვი, ოჯინჯალი, კაკიბერა, კაჩა და სხვ.), საქართველოს კუთხეთა მიხედვით სხვადასხვა ფორმით და ტერმინოლოგიით.

კერის მრავალფეროვან იარაღ-ჭურჭლიდან ჩამოვთვლით ზოგიერთს: ცეცხლის ასანთები საშუალებანი (ტალ-კვესი, აბედი), საბერველი, ღველფის საჩხრეკები, საკეცე, სადგარი, სამფეხი, საჭმლის მოსახარში ქვაბ-ქოთანი, წყლის გასათბობი და ასადუღებელი კარდალები, თუნგები, შესაწვავი და საცხობი ტაფები, კეცები, შამფურები და ა. შ. აქვე შეიძლება განლაგებული იყოს გასანათებელი საშუალებანი: საკვარე, საჭრაქე, საშანდლე, ჭაღი, საყინულილე და სხვ.

კერასთან ახლოს ჰქონდა ადგილი მიჩენილი დასაგველ ხელსახმარს: ცოცხს, აქანდაზს, ნაპტკენ-საფოთრებს (ფრინველთა ფრთებისაგან გაკეთებული ბუჯრის, მაგიდის, კარადის, ტაფა-კეცების და მისთანათა გამოსასუფთავებელი). კერის მდებარეობა განსაზღვრავს ფქვილის შესანახი, გასაცრელი, მოსაცომი დგამ-ჭურჭლის (ბუჯერი, კიდობანი, კოდები, გობები, ტომარა, გუდა, საცერი, სამტკიცი, მერდიმი, ვარცლი, სასაფუვრე), გამომცხვარი პურისა და მჭადის სათავსოთა (კიდობანი, სალარო, კალათები), ყველის ამოსაყვანი ჭურჭლის (ქოთნები, ფილები, ქვაბები) ადგილს. ასევე საწყლე (ჩაფები, კოკები, დოქები) და მათი მოსათავსებელი საგანგებო დგამები; პურობის ავეჯი და ჭურჭელი (მაგიდა ,სუფრა, ტაბლა, ფეხშუმი, სალა, საღვინეები, სასმისები, ჯამები, თეფშები...); დასაჯდომი ავეჯი (საკარცხული, სამფეხა, ჯორკო, დომბურა, ბოკონი, კველა—საქალებო სკამი, გოგორდინა ჭილისა, გირძესკამი, სკამლოგინი და სხვ.); დასაბანი და სარეცხი საშუალებანი (ტაშტი, გობი, ორე-ჯიროლი-

მერე, პირსახოცი, სასაპნე, სავარცხელი, სარკე), საწოლი ავეჯი და ქვეშაგები (ტახტები, ლოგინი, საგებ-სახურავი, ჯეჯიმები, ფარდაგები, ხალიჩები, ტყავები); ბავშვის გასაზრდელი, ფეხის ასადგამი საშუალებანი (ხოჭიჭი, აკვანი, ოქიორა, თანდური) და სათამაშოები; ქალთა ხელსაქმის იარაღები (საქსოვი დაზგა, ჯარა, საჩეჩელი, თითისტარი...) და სხვა მრავალი ორიენტირებულია კერასთან.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია სხვადასხვა საოჯახო ნივთები, ხელსაწყოები, ავეჯი და ჭურჭელი: ძვირფასეულობის და საბუთების შესანახი მაქალოზი, ინკუსტრირებული ყუთები, საბუთების ასაკინძი ხის ყდა; ძველი წიგნები და ფოტოალბომები, მათი სათავსოები; ტანსაცმლის მოსათავსებელი კარადები, სკივრები, ზანდუკები; ქალის პირადი ნივთების შესანახი მოჩუქურთმებული, ნამზითვი სკივრი; ხელსაფქვავები, საცეხვი, სანაყი, სასრესი, სახეხი, ზეთსახდელი საშუალებანი: სამარილეები და მარილის შესანახი ჭურჭელი; სანელებელთა შესანახი ჭურჭელი; მწნილის ჭურჭელი; ქონის, თაფლის და მისთანათა სათავსოები; ქონის გადასადნობი ჭურჭელი; ხორცის დასაშაშხი, დასამარილებელი და კვამლზე გამოსაყვანი საშუალებანი; საზამთრო ფხალეულობათა და სოკოს შესანახი საშუალებანი; ხილის, ტკბილეულის, ჩურჩხელის, ტკბილკვერის, ტყლაპის, ქუმელის, ჩირის და სხვა მისთანათა შესანახი ჭურჭელი: წოს, მაშარაფის, ტყემლის, ბადაგის მოსადუღებელი და შესანახი საშუალებანი; საგზლის, ძღვნის, საზიდავი ჭურჭელი; თუთუნის გამოსაყვანი, შესანახი და მოსაწევი საშუალებანი; ღვინის, არაყის, ლუდის, ბურახის, რანგის, დატას, თაფლუჭის საზიდავი და შესანახი ჭურჭელი; ხორცის პროდუქტების შესანახი ჭურჭელი; წამლების, სამკურნალო მცენარეების, იარაღების მოსათავსებელი დგამ-ჭურჭელი; საპნის დასამზადებელი საშუალებანი; საწყავი ჭურჭელი: მარცვლეულის საწყავი (თაღარი, კოდი, ბათმანი, ყურიანა...), ფქვილის საწყავი (კორუა, ბოყუჩა), ღვინის საწყავი (კოკა, ჩაფი, დორა, მენახევრე, თუნგი); არყის საწყავი (ჩარექა, ხელადა, ბოთლი): სასწორები, საწონები; რძის და რძის პროდუქტებისათვის ჭურჭელი და ხელსაწყოები: ძროხის, კამეჩის, თხის, ცხვრის საწველი, კარაქის სადღვები, მაწვნის, დოს, ერბოს, კარაქის შესანახი ჭურჭელი; ყველის შესანახი და საზიდავი ჭურჭელი: დერგი, ხალამი, ქვევრი, გუდა, გვარდა და ა. შ.

საკიდრები: ტანსაცმლის, თოფ-იარაღის, მუსიკალური ინსტრუმენტების, კალათების, აბგის და სხვ.; კავები ხისა, რქისა, რკინისა (ჯღა, გარჯღა, ლურსმან-მარწუხი); შაშხის საკიდრები კერასთან (ხისა ღვლეჭაბმული, რკინისა ჯაჭვჩაბმული); კედელზე

მიკრული სადანეები, სარკინეები, საიარაღეები: საკერავი და საქარგავი საშუალებანი: ნემსი, სანემსე, ყაისნაღი, ჩხირები, ძველებური საკერავი მანქანა; მუსიკალური ინსტუმენტები: ფანდური, ჩონგური, ჭიანური, ჩანგი, გუდასტვირი, სალამური, ლარჭემი, სოინარი, დოლი, დაირა და სხვა; სალოცავი ადგილი სახლში: ხატები, ავგაროზები და სხვა წმინდა რელიკვიები; საოჯახო იარაღები; სხვადასხვა დანიშნულების დანები (საჭმლის მომზადების დროს სახმარი, სუფრის, ხილის, ღორის დასაკლავი და ა. შ.): ხორცის საჭრელი და საკეპი ხელსახმარი (ნაჯახები, ხის „სადებები"), ჩანგლები, ჩქიფქები, კოვზები, კვატუშები, ლაფერთხები, სუთები (ღომის ამოსაქნელი), ქაფქირები, სატუკელები (ლობიოს საზელი), ფხლის და მისთანათა „საკეპლები", ორომი, „ნამცხვრის დასაყვავებელი" ხონჩები, სინები და სხვა; საბრძოლო და სანადირო იარაღები: თოფი, ხმალი, სატევარი, დამბაჩა და სხვა; თხილამურები, მუჯირები, ჯოხები, ყავარჯნები და მისთანანი.

ყველა სამეურნეო ნაგებობას თავისი შესაფერისი ინტერიერი და მოწყობილობა მოეპოვება; მაგალითად, ქართულ მარანში, როგორი ტიპისაც არ უნდა იყოს იგი, აუცილებლადაა ყურძნის დასაწური ჭურჭელი — საწნახელი (ხის, ქვის); ტკბილის მოსაკავებელი ჭურჭელი: თაღარი, გეჯა, მერე, ქვაბი, ისარნა, ჩაჭრილა; ღარები, საწურები; საწნეხი საშუალებანი: საქაჯავი, წბერი; ქვევრები: ზომის, დანიშნულების და განლაგების მიხედვით; ჭურის თავის ინვენტარი: სარქველი, ძელბარა, საგოზელა, ჩოტი; ქვევრიდან სითხის ამოსაღები საშუალებანი: ხრიკა, კოპე, ორკოპე, ჯანთასი, ორშიმო, ხელადა და სხვა; ჭურის ამოსამშრალებლები: მაწაწური, ოსირო; თხლის ამოსაღებები: ლაპოტი, ავგარდანი, სათხლევე; ქვევრის სარეცხი საშუალებანი: სარცხები, კრაზანები; არყის სახდელი მოწყობილობა: ქვაბი, ზარფუში, ორე-ორიკა.

თავლა-ბოსელში უსათუოდ არის ბაგა, ჭერი, სანარწყული; სანთური-არმანა; საკვების მოსატანი და საჭმევი ჭურჭელი: გიდელი, გოდორი, კალათი, თოფრა; დასახვეტ-დასაგველი საშუალებანი: თოხი, ნიჩაბი, ცოცხი; საქონლის დასავარცხნ-დასასუფთავებელი ხელსაწყოები (სამონელი, სავარცხელი) და სხვა [87].

ზეთის სახდელი, თაფლისა და ხილის საწური მოწყობილობა; ხილის, ჩირის, ტკბილისკვერის და მისთანათა გასამზეურებელი; ფერდობზე სასუქის (ნაკელის) გასანაწილებელი; პირუტყვისა და ფრინველების წყლისდასალევი ჭურჭელი; მარილის სატლეკი დგამები, ქვები; ტყავის გამოსაყვანი, იარაღის სალესი, თუთუნის გასაშრობ-დასაჭრელი ხელსაწყოები; თოფისწამლის დასამზადებელი სა-

შუალებანი; ამწე ოწინარები, ჭოჭონაქები; სპორტული დანიშნულების ნივთები (საჯილდაო ქვა) და ა. შ.

შეიძლება იარაღ-ჭურჭელი გამოვლენილ იქნეს მასალის მიხედვით, მაგალითად: ხის, ქვის, რკინის, ილეკროსი, რქის, ძვლის, თიხის, ტყავის, ქსოვილის, ნაბდის, წნული, მცენარეთა ნაყოფის, (აყიროს) და ა. შ. აგრეთვე დანიშნულების მიხედვით: „გამჭრელი" იარაღი, სათიბი, სამკალი, საკრეფი, საბრძოლო, სანადირო, სათევზაო და სხვა; საფრთხობელები (მექანიკური, ფიტულები); ყურძნის, ხილის, მარცვლეულის, ბოსტნეულის, ნაკელის, წყლის, ღვინის, ტკბილის და სხვათა მოსაკავებელი და საზიდავი ჭურჭელი, რომელიც შეიძლება ასე დავყოთ: გამწევი ძალით ვადასატანი, ზურგით საზიდავი, საკიდარ-სასაპალნე ჭურჭელი.

აქვე შევჩერდებით ტრანსპორტის საშუალებებზე, რისი კლასიფიკაციაც შემდეგნაირად უნდა მოხდეს: სახმელეთო და საწყლო ტრანსპორტი. სახმელეთო ტრანსპორტიდან გამოვავლენთ ბორბლიანს [17] (ურემი, ეტლი), „სათრიელებს" (მარხილი, ციგა, თავკავი, ტაფა-ფჩხილა და სხვ.) და სასაპალნე ტრანსპორტს. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია უნაგირები, კეხები, კურტანი, ჩული; სხვადასხვა დანიშნულების თოკები და ტყავის ნაწარმი: ჭაპანი, ჯამბარა, აპეური, ჯანთაო და სხვ. საწყლო ტრანსპორტი განიყოფა სამდინაროდ და საზღვაოდ. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ტივი, ბორანი, ნავი, ნავტიკი და მისთანანი.

ყოველივე ზემოთქმულს გარდა, საჭიროა საველე მუშაობის დროს ყურადღება გავამახვილოთ შინახელოსნობისა და ხალხური, გამოყენებითი ხელოვნების ჯერ კიდევ ცოცხალ ან ნახევრად ჩამქრალ კერებზე. მათ გამოვლენას არა მარტო შემეცნებითი, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება, რაზედაც დაწერილებით ქვემოთ ვისაუბრებთ, ამჯერად ამ მნიშვნელოვანი საქმიანობის მხოლოდ ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით: საფეიქრო საქმე, მეთუნეობა; ხის, ლითონის, რქის, ძვლის, გიშრის და ძვირფასი ქვების მხატვრული დამუშავება, აგრეთვე ტყავის, ბეწვის, ძუის, ჯაგრის, ბალნის და მსგავსთა დამუშავება; ჭილის, ნამჯის, კოროლის, ჩალის, ფუჩეჩის დამუშავება; თექის, ნაბდის შეთელვა; ბავშვის სხვადასხვა სათამაშოები და გასართობები; ხატვა, ქანდაკება, სამლებრო საქმე...

საქართველოს დაბა-ქალაქებში, ჯერჯერობით, შესაძლებელია ფასეული მასალა გამოვლინდეს ძველ ხელოსანთა გარდასული საქმიანობის შესახებ, იქნებ კიდევ იყენენ დარჩენილნი დაბაღები (მეტყავენი), ჭონები (ტყავის ტანსაცმლის მკერავნი), მკუპრავნი, ხა-

რაზნი, მეწალენი, მექალმნენი, თერძ-დერეიკნი (ქართული ტანსაცშლის მკერავნი), მექუდენი, ყაზაზნი-მეყაითნენი (აბრეშუმის ძაფის სირმა-ზონრების, ოქრომკედის მოხელენი), მუთიბნი (ჭაპინისა და ბაწრის მგრეხავნი), მეუნაგრენი, ნალბანდნი, მექვაბენი, მკალავნი, ყვინჩნი (ოქრომჭედლები), თოქმაჩნი (თითბერზე მომუშავენი), ხითხურონი, ქვითხურონი, მეაეჯენი, მეკურტნენი, მღებავნი, დალაქნი, ხაბაზნი, მზარეულნი და სხვ.

ინტერესმოკლებული არ არის ძველ მოვაჭრეებთან (მეწკრილმანენი, მეფართლენი, სირაჯნი, ბაყალნი) მუშაობა. სწორედ ასეთ ხალხთანაა შემორჩენილი ძველებური ტანსაცმელი. ფეხსაცმელი და იარაღ-ჭურჭელი, ამიტომ საველე მუშაკი მათ საგანგებოდ უნდა „ეძიებდეს და ჰპოვებდეს“...

თვით ამ არასრული, სახელდახელო ჩამოთვლილიაც ნათელია, თუ რა მდიდარი და მრავალფეროვანია ის ყოფითი რეალიები, რაც ქართველ ხალხს თითქმის დღემდე შემორჩა. რამდენიმე ხნის შემდეგ, არამცთუ ძველი ნივთები, მათი ხსოვნაც გაქრება. ამის გამო საზოგადოებრივ საქმედ უნდა ვაქციოთ ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვება და თუ ეს დროულად არ გაკეთდა, ჩვენს მატერიალურ კულტურას აუნაზღაურებელი ზარალი მოუვა.

სასურველი მდგომარეობა არც ძველქართული სახლებისა და კარმიდამოების შენარჩუნების საქმეში გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ეთნოგრაფიული ძეგლია გამოვლენილი და შესწავლილი არქიტექტორთა და ხელოვნებათმცოდნეთა მიერ (გ. ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე, ლ. რჩეულიშვილი, ი. ადამია, ლ. სუმბაძე და სხვ.), მათი ღვაწლის შედეგად შთამომავლობას შემოენახა უნიკალურ ნაგებობათა ანაზომები, მაგრამ თვით ნაგებობათა უმრავლესობა მთლიანად ან ნახევრად განადგურებულია. ასეთ ფონზე საგანგებოდ შესასწავლი და მეტად პრობლემატურია ეთნოგრაფიული ნაკრძალების შექმნის საკითხი. ამ თვალთახედვით სპეციალური კვლევა-ძიება ჯერ არავის ჩაუტარებია. ნაკლებად ვიცნობთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებასაც. დრო მიდის, ჩვენ თვალწინ კი ქრებიან ეროვნული კოლორიტის მქონე სოფლები, ქალაქებში — უბნები. ამისათვის თბილისის მაგალითიც კმარა. ვინ მოთვლის, კიდევ საქართველოში რამდენმა დასახლებამ დაკარგა თავისი სახე, რამდენი ძვირფასი ეთნოგრაფიული ძეგლი განადგურდა უცოდინარობის თუ გულგრილობის შედეგად. ჯერ კიდევ აკად. ივ. ჯავახიშვილი სწუხდა თბილისური აივნების მასიურად გაქრობის გამო. 1946 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ დასვა საკითხი მთავრობის წინაშე ორი ეთნოგრაფიული ობიექტის — სოფელ ლახირის (ზემო

სვანეთი) და სოფელ შატილის (პირიქით ხევსურეთი) სახელმწიფო ნაკრძალად გამოცხადების შესახებ. მთავრობის სახელზე დაიწერა სათანადო მოხსენებითი ბარათი, რომელმაც ყველა ინსტანციაში დადებითი დასტური მიიღო, მხოლოდ იურისტების მხრით წააწყდა წინააღმდეგობას. მათ ვერ გამონახეს სათანადო იურიდიული მოდუსი ამ წინადადების ცხოვრებაში გასატარებლად, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი სახელმწიფოებრივი ნაკრძალი ბევრ სახელმწიფოში არსებობდა [98, 40].

ეს საკითხი ამჟამად შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს, რადგან კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ" მეოცე მუხლში ნაკრძალების დაცვას საგანგებოდ ითვალისწინებს: „განსაკუთრებული ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული თუ სხვა კულტურული ღირებულების მქონე ისტორიისა და კულტურის ძეგლების ანსამბლები და კომპლექსები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება გამოცხადდეს ისტორიულ-კულტურულ ნაკრძალებად, რომელთა დაცვა თვითეული მათგანის შესახებ განსაკუთრებული დებულების საფუძველზე ხორციელდება" („კომუნისტი", 31/XI, 1976).

დღეს ნაკრძალთა შექმნის საქმეში გარკვეული პროგრესი იგრძნობა. საქართველოს მთავრობამ მიიღო მთელი რიგი საგანგებო დადგენილებანი: 1968 წ. ქ. მცხეთა მუზეუმ-ნაკრძალად გამოცხადდა, 1970 წლიდან დაბა მესტია შემოგარენით ნაკრძალია. მიღებულია აგრეთვე მთელი რიგი გადაწყვეტილებანი: 1970 წ. — „ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლის შატილის ნაკრძალად გამოცხადებისა და მისი კეთილმოწყობის შესახებ"; 1971 წ. — „უშგულ-ჩაჟაშის არქიტექტურულ ნაკრძალად გამოცხადების შესახებ"; 1975 წ. — „ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფოებრივი დაცვის ზონის შექმნის შესახებ"; 1976 წ. — „ქალაქების თელავისა და სიღნაღის ისტორიული უბნების დაცვის ზონების შექმნის შესახებ"; 1977 წ. „მცხეთის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის შექმნის შესახებ" და სხვ. („კომუნისტი", 20 აპრილი, 1978, გვ. 3).

ნაკრძალებად ითვლება ვარძია, უფლისციხე, დავითგარეჯი, მაგრამ აქ უფრო სპელეოლოგიური, არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძეგლები იგულისხმება, ხოლო ეთნოგრაფიულს ჯერჯერობით ნაკლები ყურადღება ექცევა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ ზოგი რამ მაინც გაკეთდა, სახელდობრ, დაარსდა ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის თბილისის ღია

ცის ქვეშ მუზეუმი [76] და ზოგიერთი ეთნოგრაფიული ძეგლის დაცვაზე არის ზემდგომი ორგანოების დადგენილება.

ღია ცის ქვეშ მუზეუმის შექმნა თავისთავად დიდი მნიშვნელობის მოვლენაა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზე მისი მუშაობა ვერ წარიმართა. დასამალი არაა, დღემდე ეთნოგრაფიულ ძეგლთა გამოვლენას შემთხვევითი ხასიათი აქვს. ამ თვალსაზრისით არ ხდება ჩვენი ქალაქებისა და სოფლების გეგმაზომიერი, მეცნიერული შესწავლა. თითო-ორ-ოლა ექსპედიცია, ბუნებრივია, ამინდს ვერ შექმნის და შეღეგიც მუდამ ნაკლები იქნება, თუკი ამ საშვილიშვილო საქმეში არ ჩავაბამთ ფართო ფენებს, არ შემოვიკრებთ ენთუზიასტებს. მუზეუმი ჯერჯერობით ასეთ მასობრივ მუშაობას ვერ ეწევა, ამის გამო არსებული ეთნოგრაფიული ძეგლების მეცნიერული აღწერა კი არა, უბრალო სიაც არ მოგვეპოვება. მით უმეტეს, მუზეუმი საკმაო ხანია არსებობს და მხოლოდ რამდენიმე სახლის და სამეურნეო ნაგებობის დადგმა განხორციელდა, ისიც ეთნოგრაფიული სპეციფიკის გაუმართლებელი დარღვევით. რა თქმა უნდა, ასეთი ტემპით და ორგანიზაციით შორს ვერ წავალთ. ყოველი დაყოვნება, უმიზნოდ დაკარგული თითოეული თვე და წელი, უეჭველია, მრავალი უნიკალური ძეგლის მოსპობის მიზეზი გახდება.

შედარებით დაწინაურდა სვანეთის ეთნოგრაფიული ძეგლების შესწავლისა და დაცვის საქმე, რისთვისაც სერიოზული მუშაობა გასწია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა. „ეთნოგრაფიული ძეგლების დაცვის გამო დღემდე, თუმცა ამის შესახებ საკმაოდ დაწერილა პრესაში, სერიოზულად არავის უმუშავნია, — წერს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი მიხეილ ჩართოლანი, — საქმის დაწყებისას საჭიროა მისი სწორი ორგანიზაცია. ევროპის ბევრ ქვეყნებში დიდი სიყვარულითა და მონდომებით ინახავენ და იცავენ იმ ნაგებობებს, რომლებიც წინაპრებს უშენებიათ. ამას ისინი სხვადასხვა გზით ახერხებდნენ: ნაკრძალებად აქვთ გაჩოცხადებული ძველი ტიპობრივი სოფელი ან უბანი. იცავენ ღირშესანიშნავ ცალკეულ ნაგებობებს, ღია ცის ქვეშ მოწყობილი აქვთ მუზეუმები. სადაც თავმოყრილია ეროვნული ხასიათის ძეგლები. სანამ ჩვენში კვლავ არსებობს ეთნოგრაფიული ძეგლები, საჭიროა პრაქტიკულად შევუდგეთ საქმეს. ჩვენი აზრით, საჭიროა დაარსდეს ხელმძღვანელი ორგანო, განყოფილება, სექტორი თუ სექცია, რომელიც შეიმუშავებს ეთნოგრაფიულ ძეგლთა ადგილზე დაცვის პროგრამას და დასახავს პრაქტიკული მუშაობის გეგმას“ [91]. მაგრამ ამ დროულ და საქმიან წინადადებას არავინ

გამოეხმაურა. სამწუხაროდ, ეთნოგრაფიულ ძეგლთა დაცვაზე წამოჭრილ პრობლემათა მიმართ გულგრილობა და გამიზნული დუმილი ახლაც გრძელდება. მ. ჩართოლანმა, საქართველოს მუზეუმის მესვეურთა მხარდაჭერით, მაინც შეძლო პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა და ზემოთ უკვე ნახსენები სვანეთის სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიციის მოწყობა, რომლის შედეგები მოხსენდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს. პრეზიდიუმის შუამდგომლობის საფუძველზე, 1973 წ. 30 მაისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება: „სვანეთის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლთა და ფასეულობათა დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". ამ ისტორიული დადგენილებით საფუძველი ჩაეყარა ეთნოგრაფიული ძეგლების მოვლის სათანადო ორგანიზაციას. სვანეთში შეიქმნა ძეგლთა დაცვის ზონალური სისტემა, რაც ითვალისწინებს ძეგლთა რეგიონალურ პატრონობას ტერიტორიული პრინციპის მიხედვით. ამ საქმის პრაქტიკულად უკეთ განხორციელების მიზნით, მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი კულტურის სამინისტროდან გადაყვანილ იქნა მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, იწოდა „სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმად". მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლები პასუხისმგებელნი გახდნენ მათთვის მიკუთვნებულ რეგიონში არსებულ ძეგლებზე, უპირველეს ყოვლისა, გამოვლენის და დაცვის თვალსაზრისით. მინისტრთა საბჭომ ამისათვის გამოჰყო სათანადო სახსრები და საშტატო ერთეულები.

1969 წ. პროფ. მ. გეგეშიძემ, ხალხური არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშის — შატილის მძიმე მდგომარეობის გამო, კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა და ძეგლის შესანარჩუნებლად წამოაყენა პრაქტიკული წინადადებები. სახელდობრ, მისი რესტავრაციის და გადახურვის აუცილებლობა, ტურისტულ მარშრუტში ჩასმის შესაძლებლობა, მოსახლეობის ადგილზე შენარჩუნებისათვის ზრუნვა და სხვა [19].

წერილმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. გამოხმაურებებმა ცხადყო, რომ „შატილი დაღუპვის პირასაა ძისული. ამ ძვირფასი ძეგლის გადასარჩენად საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება" [20]. მართალია, ზომები მიღებულ იქნა, მაგრამ მუშაობის ტემპი სრულიადაც არ არის საკმარისი ასეთი გრანდიოზული კომპლექსის დაცვა-გამოყენებისათვის. დრო კი არ ითმენს. შატილს ასე თუ ისე პატრონი გამოუჩნდა, მაგრამ რა ეშველება ხალხური ხუროთმოძღვრების ისეთ ანსამბლებს, როგორიცაა დანო, კვაელო, ჩოღო, დოჭუ, ჰელო, ფარსმა (თუშეთი), ახიელა, ამღა, ჭიმღა, ლებაისკარი, კისტანი, გუ-

რო, მუცო, ხახაბო, არდოტი (ხევსურეთი) [124]. მართალია, მათ შესახებ განგაში ჯერ არ ატეხილა, მაგრამ ჩამოთვლილ ძეგლთა მრავალსაუკუნოვან მტკივნეულ მდუმარებასაც ხომა აქვს აზრი. იმ ძველმა ნანგრევებმაც რა ქნან, რომელთა სახელი, ჯერჯერობით, ვერ გამოგვივლენია და რამდენია ასეთი „უსახელონი“...

დიახ, ჩვენი წინაპრები აშენებდნენ, ქმნიდნენ და ჩვენ სრულყოფილი სიის შედგენაც ვერ მოგვიხერხებია — დღემდე არ ვიცით, საქართველოში რამდენი მატერიალური კულტურის ძეგლი გვაქვს. ძეგლთა დაცვის ერთ-ერთ ყრილობაზე ითქვა: ძნელია თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ქართველ ხალხს რაც აუგია, ყველაფრის რამდენიმე თვეში აღრიცხვა და დაცვა.

ამ სიტყვებში არის ჭეშმარიტება, მაგრამ ვაი, რომ თავისმართლება და იოლი გამოსავალი საქმეს ვერ შველის. ასე რომ ეფიქრა ექვთიმე თაყაიშვილს, საქართველოს ეროვნული განძი აღარ ექნებოდა. მთელი თაობების სიმძიმე რომ არ აეწია ივანე ჯავახიშვილს, ჩვენი ისტორიული მეცნიერება ახალ საფეხურზე ვერ ავიდოდა. „ზღვა კოვზით დაილევაო“, — უთქვამს ხალხს, მემკვიდრეობას მოვლა და შემატება სჭირდება. ჩვენში ძეგლთა სიუხვემ ერთგვარი ნიჰილიზმი დაბადა. ისიც ნიშანდობლივია, რომ გაცილებით მეტ ყურადღებას ვაქცევთ უძველეს ნაგებობებს, ხოლო შედარებით ახალი თითქმის არაფრად მიგვაჩნია. ასეთი ფუფუნება თუ თვითდამშვიდება მხოლოდ საკალალო კი არა, მავნებელიცაა. მართალია, ძეგლის ასაკი საპატიოა, მაგრამ ხანდაზმულობა ყოველთვის მისი ღირსების (მით უმეტეს ეთნოგრაფიული ძეგლის) საზომად არ გამოდგება. წინაპართა გარჯის ნიშანი რასაც ამჩნევია, ყველაფერი სათუთი ყურადღებისა და დიდი გულისხმიერების ღირსია. ვინც შრომის ფასი იცის, სხვის ნაამაგარს იოლად ვერ გაიმეტებს. ამდენად, თითოეული გულამოღებული თუ გამოკოპიტებული ქვა, კლდეში გაკვრილი სახიზარი თუ დარბაზი ყველა ფასეულია, მეცნიერებისა და მომავალი თაობებისათვის ისეთივე აუცილებელი, როგორც ჯვარი, სვეტიცხოველი თუ ნიკორწმინდა. ამ დიდებული ტაძრებისა და ხუროთმოძღვრული კომპლექსების დაცვის შესახებ ხშირად იწერება, ხოლო მცირე და უჩინარი ძეგლები ღვთისანაბარადაა მიტოვებული. აბა, ვის რაში ენაღვლება, თუ სადმე ბულდოზერმა საფლავის ქვა, წბერის კალო-ტაბაკი ან დოლაბი ხევში გადაჩეხა, გზის გაფართოების დროს აფეთქებათა შედეგად დარან-სახიზრები და კლდეკარნი დაანგრია. სწორედ განუკითხავმა აფეთქებებმა დაამახინჯა ხიდიკარის (რაჭა) და მურის (ლეჩხუმი) ისტორიული კლდეკარები. ლენტეხის მიმართულებით გზატკეცილის გაფართოებამ შეიწირა „ქრისტეს-

ფეხისნადგამი" ლეგენდარული ქვა [64, 143—4], რომელიც მე-
ვენახეობის ზონის სამანად იყო მიჩნეული [83].

გარდა ამისა, უამრავი სამწუხარო მაგალითია იმისა, თუ ძეგ-
ლებს რა უდიერად ეკიდებიან [12; 61; 45; 67; 68 და სხვ.].

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წ.
14 სექტემბრის ბრძანებულებით კულტურისა და ბუნების ძეგლთა
მკრეხელთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრათ [14],
მაგრამ ძეგლებს ბოროტმოქმედთაგან მოსვენება მაინც არა აქვთ.
სწორედ ამიტომ საქმის თანამედროვე დონეზე წარმართვისათვის
1978 წ. 24 თებერვალს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სა-
ქართველოს ცენტრალური კომიტეტის 1977 წ. 25 ოქტომბრის
დადგენილების შესაბამისად მიიღო დადგენილება „საქართველოს
სსრ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გა-
მოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", რომლის ძა-
ლითაც ლიკვიდირებულია ძეგლთა დაცვის ყველა არსებული ორ-
განო და შექმნილია ერთიანი ისტორიის, კულტურისა და ბუნების
ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო
სამმართველო სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მძლავრი შტა-
ტით („კომუნისტი", 22 აპრილი, 1978, გვ. 3).

ამრიგად, ზღვარი დაედო ძალებისა და სახსრების გაუმარ-
თლებელ განთესვას, რასაც აქამდე ჰქონდა ადგილი. უწინარეს ყო-
ლისა, გადაუდებელ დახმარებას საჭიროებენ ეთნოგრაფიული ძეგ-
ლები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, აქამდე კანონგარეშე იყვნენ.
აქვე ისიც უნდა შეენიშნოთ, რომ ჰესების, წყალსატევების და სა-
ერთოდ მნიშვნელოვანი მშენებლობების დროს გათვალისწინებული
არ არის ეთნოგრაფიული ძეგლების დაცვა-გადატანა, რაც გაუმარ-
თლებელია. ამიტომ სასურველია დროულად გამოიყოს მეცნიერთა
(ეთნოგრაფები, არქიტექტორები, ხელოვნებათმცოდნეები) კომისია,
რომელიც ეთნოგრაფიულ ძეგლთა და ნაკრძალთა გამოვლენა-დაც-
ვის მიზნით საქართველოს რაიონებს შემოივლის, შეიმუშავებს სა-
თანადო კრიტერიუმს ეთნოგრაფიული ძეგლების შენარჩუნებისა-
თვის და პრაქტიკულ, საქმიან ღონისძიებებს დასახავს არა ცალკე-
ული კუთხეებისათვის, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით.

ძეგლთა დაცვის სრულყოფილი ორგანიზაციისათვის უპირვე-
ლესად საჭირო მათი სწორი მეცნიერული კლასიფიკაცია. ცალკე
უნდა გამოიყოს ისეთი გრანდიოზული არქიტექტურულ-სპელეო-
ლოგიური კომპლექსები, როგორიცაა ვარძია, უფლისციხე, დავითგა-
რეჯი, აგრეთვე ნაქალაქარები: სამშვილდე, დმანისი, უჯარმა, კვე-
ტერა, ნოქალაქევი, ვაშნარი და სხვა მრავალი. მათი თხრა ისე უნ-

და წარიმართოს, რომ მთელი ქალაქის პირვანდელი სახით აღდგენა ითვალისწინებდეს. ასევე უნდა იყოს ნასოფლართა მიმართაც. წინააღმდეგ შემთხვევაში გათხრებს უარყოფითი შედეგი მოაქვს და და ისედაც იავარქმნილ ძველ დასახლებებს გამოუსწორებელ ზიანს აყენებს, რაც მთავარია, მომავალ თაობებს უკარგავს ამ ფასდაუდებელი ძეგლების გეგმაზომიერად აღდგენის შესაძლებლობას. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში — ძეგლთა დაცვის ღონისძიებათა გაუმჯობესების შესახებ, საგანგებოდაა აღნიშნული: „დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული არქეოლოგიური ძეგლების ფიქსაციის საქმე. რესპუბლიკაში არ მოგვეპოვება ცენტრი, რომელიც არეგულირებდეს და კოორდინაციას უწევდეს არქეოლოგიის ძეგლების ფიქსაციის, დაცვის და გამოყენების საქმეს. დაინტერესებული უწყებები არ გამოუყოფენ სახსრებს არქეოლოგიურ ექსპედიციებს წინასწარ საკონსერვაციო სამუშაობისათვის, არ მოგვარებულა აგრეთვე გაუთხრელი და შეუსწავლელი არქეოლოგიური ძეგლების საკითხი“ [67].

ამჟამად გადამწყვეტი ღონისძიებანია დასახული დღემდე მოღწეული ციხე-სიმაგრეების, საკულტო ნაგებობების, ხალხური ხუროთმოძღვრების ნიმუშების რესტავრირება-შენარჩუნებისათვის — მისასვლელი გზებიდან მოკიდებული კედლების გამაგრება-გადახურვამდე. სანამ ეს გაკეთდებოდეს, რაც შეიძლება მალე, უნდა შევძლოთ მიწის ზედაპირზე მოქცეული ყველა ძეგლის მეცნიერული აღრიცხვა-პასპორტიზაცია, რადგან ბოლოს და ბოლოს დავადგინოთ მათი რაოდენობა. პირველ რიგში, უნდა შევძლოთ ძეგლების სრული სიის შედგენა და დაცვის საჭიროების მიხედვით რაღაც რიგის დაწესება. ეს სამუშაოთა განსაზღვრაში დაგვეხმარება და მეტად საჭირო წინასწარ ცნობებს მოგვცემს საერთო მდგომარეობის შესახებ. ამ საქმის განსახორციელებლად აუცილებელი იყო შესაბამის ინსტანციათა არა მარტო კოორდინაცია, არამედ ერთი პასუხისმგებელი ორგანოს ჩამოყალიბება, სადაც გაერთიანებული იქნება სახსრები და სპეციალისტები. ასეთი დაწესებულება უკვე არსებობს, რომელიც, უეჭველია, იკისრებს როგორც ეთნოგრაფიული ნაგებობების, ისე ნივთების, კოლექციების პატრონობასაც, რა თქმა უნდა, შესაბამის მუზეუმებთან მჭიდრო კონტაქტის პირობებში.

აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ძეგლთა დაცვა მისი მარტოოდენ რესტავრაციით არ განისაზღვრება, მით უმეტეს ზოგიერთი ნაგებობა რესტავრაციას ვეღარც აიტანს. ასეთ შემთხვევაში უმაღლეს დონეზე უნდა გადაწყდეს მათი ხელახლა აგების საკითხი,

ოღონდ, სანამ ეს მოხერხდებოდეს, თანამედროვე მეცნიერულ-ტექ-ნიკური საშუალებებით უნდა მოხდეს თიოოეული მათგანის შემო-გარენით ფიქსაცია (კინო-ფოტო გადაღება, არქიტექტურული აგეგ-მარება-აზომვა და ა.შ.). კომპლექსური ფიქსაცია ძეგლის დაცვის არსებითი მხარეა, რასაც, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ვითვალის-წინებთ.

ეთნოგრაფიულ ძეგლთა გამოვლენა-შენარჩუნების საკითხი უფრო რთულია, რადგან მრავალი დასახლება და ოჯახია შესასწავ-ლი. ამას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, თუ მეცნიერულ მეთოდიკას შევიმუშავებთ და, სათანადო მომზადების შემდეგ, ამ საქმეში ფარ-თო აქტივს ჩავაბამთ, მეტადრე ახალგაზრდობას და პენსიონერებს.

არ არის სავალდებულო მოსახლეობაში თავმოყრილი ყველა ეთნოგრაფიულად ღირებული ნაგებობის თუ ნივთის მუზეუმში და-უნჯება. ეს არა მარტო შეუძლებელია, არამედ არასასურველიც (ჩვენ გვაქვს ფაქტები მუზეუმებში ექსპონატების გაფუჭებისა). უნდა გა-კეთდეს მეცნიერულად ფასეულ ნივთთა სრული აღრიცხვა და მათ მფლობელს დავაკისროთ შენახვის პასუხისმგებლობა. რასაც ითვა-ლისწინებს კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის და გამოყენების შესახებ".

დაუყოვნებლივ უნდა შემოწმდეს მუზეუმში თავმოყრილი ეთ-ნოგრაფიული კოლექციების, განსაკუთრებით ადვილად გასაფუ-ჭებელი (ხე, ქსოვილი, ტყავი და სხვ.) ნივთების მდგომარეობა. გა-მოინახოს მათი დაცვა-შენახვის გზები და სახსრები. რაც მთავარია, აშენდეს მიწისზედა. და მიწისქვეშა (ექსპონატების მოთხოვნილე-ბათა შესაბამისად) სპეციალური საცავები, სადაც მიღწეული იქ-ნება საჭირო ტენიანობა და მუდმივი ტემპერატურა. აღნიშნული სა-ცავები ისე უნდა დაპროექტდეს, რომ ნივთთა იქ განლაგება ექ-სპონირებასაც გულისხმობდეს, მაშასადამე, სანახაობით მხარესაც. მით უმეტეს, რომ ბევრ კულტურულ ქვეყნებში მუზეუმი, მატერია-ლური კულტურის ძეგლი არამცთუ თავისთავს ინახავს, არამედ მო-გებას იძლევა, ხოლო ჩვენთან ამის განხორციელება რატომღაც ვერ ხერხდება. და თუ ამ მოჯადოებულ წრეს გადავლახავთ, ძეგლზე გა-წეული ხარჯები მოკლე ხანში ანაზღაურდება და მუდმივი შემოსავ-ლის წყაროდ იქცევა.

გარდა ამისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ძეგლთა დაცვის მესვეურთა და ძეგლების მონახულების მსურველთა შორის სასურ-ველი კოორდინაცია არ არსებობს. იქნებ არსებობს, მაგრამ ცხოვ-რებაში ეს არ იგრძნობა. მაგალითად, სოფელ გლოლაში მდებარეობს რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე ტურისტული ბაზა. სად იყვნენ

აღნიშნული ბაზის ხელმძღვანელები, როცა ამ სოფლის უძველესი უბანი ხელაღებით ინგრეოდა. შოვის ღვთაებრივი ბუნების შემდეგ, რა შეიძლება ენახათ ტურისტებს მასზე უკუთესი? ანდა ტურისტულ მარშრუტში რატომ არ უნდა იყოს ჩართული ჭიორა და ღები, თუკი იქ გადარჩენილ ეთნოგრაფიულ ძეგლებს სახეს დავუბრუნებთ, ე. ი. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და ესთეტურ ღირებულებას აღვუდგენთ. სანამ გვიან არ არის, ღირს ყოველივე ამაზე დაფიქრება და თავის შეწუხება.

არანაკლებ მტკივნეულია ექსკურსიების კვალიფიციური გიდებით მომსახურების საკითხი. გიდის მოვალეობას ხმირად და ძალაუნებურად ძველის მცველი ასრულებს და, ბედნიერი გამონაკლისის გარდა (ნიკორწმინდა, არმაზი), ცნობისმოყვარე სტუმრებს რაღაც ანდა-უბდით ვუმასპინძლდებით. უნდა ვაღიაროთ, რომ ტურისტულ ბაზებსა და ბიუროებშიც იშვიათადაა სათანადო ცოდნისა და მომზადების ექსკურსიამძღოლები. ხომ არ აჯობებდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს დაკისრებოდა ეს მოვალეობა, რომელთანაც შესაძლებელია შეიქმნას კვალიფიციურ ექსკურსიამძღოლთა განყოფილება. ვფიქრობთ, ეს ადვილი განსახორციელებელია, რადგან მხარეთმცოდნეობის მუზეუმი თითქმის ყველა რაიონში არსებობს, ხოლო სადაც არ არის უნდა შეიქმნას. საერთოდ, უმჯობესია ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმებმა, რესპუბლიკურ დაწესებულებებთან ერთად, იკისრონ ყოველგვარ ძეგლთა გამოვლენის, დაცვის და პოპულარიზაციის საშვილიშვილო საქმე, მათთვის განკუთვნილ რეგიონში. ასე უფრო ქმედითად და მოხერხებულად გვესახება, თუგინდ იმიტომაც, რომ პასუხისმგებლობა შედარებით კონკრეტული და ზღვარდადებული იქნება.

ტურიზმის განვითარების თანამედროვე დონე, მოსახლეობის ინტერესი საკუთარი ისტორიისა და მხარისადმი, აზრიანი, კულტურული დასვენება, რომელიც ისევე საჭიროა დღეს, როგორც წყალი და ჰაერი, შესაბამის დარგებში აუცილებელს ხდის მუშაობის კარდინალურ გარდაქმნას. ბუნებრივია, სულიერ მოთხოვნილებათა უმაღლესი ინდუსტრიის ხანაში კუსტარული მეთოდებით ფონს ვეღარ გავალთ.

დასასრულს უნდა დავძინოთ, რომ ძველი კულტურის ელემენტთა, ბუნებრივ და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ფასეულობათა დაცვა-შენარჩუნება ჩვენი რესპუბლიკისათვის ისეთივე სასიცოცხლო ამოცანაა, როგორ პარტიის მიერ დასახული პროგრამის პირნათლად შესრულება.

თავი მესამე

ხალხური ხელოვნების საბანძურიდან

რა განძი გექონია,
რა მხნე, რა მდიდარი.

გალაკტიონი.

§ 1. ძველი ხალხური საკრავები რაჭაში

თანამედროვე რაჭაში ბოლო დრომდე შემორჩენილი იყო ორი ძველი საკრავი: გუდა-სტვირი და ჭიანური. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ სათანადოდ აღწერილი და შესწავლილი არ არის. აკად. ივ. ჯავახიშვილმა წიგნში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები" ღრმა-მეცნიერული ანალიზით მოგვცა საქართველოში გავრცელებული თითქმის ყველა ტიპის მუსიკალური ინსტრუმენტის აღწერილობა, ოღონდ რაჭულ ჭიანურზე არაფერს წერს. მხოლოდ პროფ. დიმიტრი არაყიშვილს თავის „ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერასა და გაზომვაში", სხვა ხმიან საკრავებთან დასახელებული და აღწერილ-გაზომილი აქვს „რაჭული ჭიანური, ანუ ჭიანტური"[1], ოღონდ გათვალისწინებული არ არის ცალკეულ ნაწილთა ადგილობრივი ტერმინოლოგია. ზოგადად ქართული ჭიანურისა და ჭუნირის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ივ. ჯავახიშვილი, დ. არაყიშვილი, ია კარგარეთელი და სხვები. ეს საკრავი ძველად დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რაზედაც მიგვითითებს ივ. ჯავახიშვილი: ჭიანური „XVII საუკუნის მეორე ნახევარში ფართოდ ყოფილა საქართველოში გავრცელებული და შვილდაკიან საკრავთა ჯგუფთაგან ყველაზე მეტად ყოფილა ხალხისათვის ცნობილი" [120, 168].

ჩვენთვის საინტერესო მუსიკალური ინსტრუმენტი საერთოდ სამძალიანია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ დასავლურ ჭიანურს, ისინი ყველა ერთმანეთის მსგავსია, ოღონდ მეტად თავისე-

[1] რაჭაში ჭიანურს უწოდებენ არა „ჭიანტურს", არამედ „ჭიანდურს".

ბური და ყველასაგან განსხვავებულია რაჭული ჭიანური. მას ნაწილების საკუთარი ლექსიკაც აქვს.

დღეისათვის ჭიანური მთის რაჭაშია გავრცელებული. ამ უკანასკნელ ხანებამდე ის ჰქონდათ უწერაში, აგრეთვე მდ. საკაურასა და მდ. ჯეჯორის ხეობათა ზოგიერთ სოფელში. მაშინ, როდესაც ჩვენ მასალებს ეკრებდით (1957 წ. ივნისი), ჭიანურის კეთებისა და დაკვრის რამდენიმე ოსტატილა იყო დარჩენილი: ოსია წყალობას ძე მეტრეველი (95 წლის, სოფ. უწერა), ვასილა ზაზოს ძე რეხვიაშვილი (90 წლის, სოფ. ჭიორა), ნესტორ ნიკოს ძე ბიძიშვილი (68 წლის, სოფ. გლოლა), ვასილა ნიკოლოზის ძე გავაშელი (46 წლის, სოფ. ღები). რამდენიმე ახალგაზრდაც უკრავდა, მაგრამ ძველებს ოსტატობით ვერ შეედრებოდნენ.

რაჭასა და სვანეთში ჭიანურზე საინტერესო ლეგენდებია შეშონახული. უწერელმა ოსია მეტრეველმა მზატვრულად გვიამბო ლეგენდა ჭიანურის წარმოშობის შესახებ; აი, მოკლედ მისი ნაამბობი: ფალავანმა ერთ-ერთი შერკინების დროს ვერავული ღალატით სასიკვდილოდ დაჭრა საკუთარი შვილი ზურაბი. ზურაბი ობლობაში გაიზარდა და როცა დაჭაბუკდა დაკარგული ჰამის საძებრად იწყო მოგზაურობა. მალე ყველაფერი გამოირკვა, მომაკვდავს აღმოხდა:

— მე მომკალ, მაგრამ მამაჩემ როსტომს სად წაუხვალო!

ამასთან, დედისეული აეგაროზი და იავარდით მორთული უნაგირი დაბეჯითებით ადასტურებდა ზურაბის ვინაობას. უიმედობა დაეუფლა როსტომ გმირს. მაშინ კეთილმა ანგელოზმა ურჩია: გაჭერი ცხრა მხარი მიწა, ჩაიყვანე იქ შვილი და განკურნებამდე ფეხი არ მოიცვალოო.. მართლაც ასე მოიქცა როსტომი. გაეიდა ხანი. როსტომს წვერ-ულვაში დაუგრძელდა, შეატოლა რამდენიმე ღერი, გაბა შვილის ჯერ კიდევ უმოძრაო ხელებზე, ააკენესა ისინი, თავსაც ინუგეშებდა და დაჭრილსაც ართობდა. ეს იყო ჭიანური, პირველად როსტომის მიერ გაკეთებული. ამიტომ არის, ავადმყოფებს ძალიან უხდებათ ჭიანურის დაკვრაო[2] — ასკვნის მთხრობელი.

დამაღონებელია სვანური ლეგენდის შინაარსიც: მამას მტერთან ბრძოლაში დაღუპვია ერთადერთი ვაჟი, დარჩენილა მიუსაფარი მოხუცი მარტოდმარტო, უმემკვიდრეოდ. შვილზე. დარდში ათენებდა თურმე ღამეებს. მის ნატვრაში ამოსდიოდა სული. ეეღარ მოითმინა, ბოლოს გაჭრა შვილის საფლავი, ამოიღო მისი თავის ქალა გაუკეთა ტარად მკლავის ძვალი, გაბა ზედ ძუები, შვინდის წნელი-

[2] ეს ლეგენდა ჩაწერილი აქვს აკად. შ. ძიძიგურს მთის რაჭის დიალექტის დაცვით [110, 243—5].

საგან შვილდა გააკეთა, გაუსვა ძუებსა და ააქვითინა. სოფელ-სოფელ დადიოდა თურმე, ტიროდა თავის უბედურებაზე და აკვნესებდა მის მიერვე შექმნილ მუსიკალურ ინსტრუმენტს — ჭიანურს[3].

ამ ლეგენდათა სევდიანობა, ჩვენი აზრით, განაპირობა თვითონ ჭიანურის მგრძნობიარე ხმის ტემბრმა. ის თავდაპირველად მწუხარებისა და ტირილის თანმხლები საკრავი უნდა ყოფილიყო. ახლაც კი ავადმყოფის გასართობად კარგ მეჭიანურეს დაუძახებენ ხოლმე. სადაც წუხილია, ჭიანურის ხმა მალამოსავით მოქმედებს. იგი თანამგრძნობიც არის და მაიმედებელიც.

რაჭაში ჭიანურს ხაკმაოდ მარტივი წესით აკეთებდნენ: სუფთა, ელასტიურ ფიჭვის ან სოჭის ყავარს საცრისებურად მოდრიკავდნენ. თხილის ტკეჩით თავებს ერთმანეთზე მიუმაგრებდნენ, ზედ საქონლის ფაშვის თხელ, გამჭვირვალე ფენას გადააკრავდნენ, რომელსაც „სეირა" ჰქვია, მთლიანად კი „რკვალი" ეწოდება. რკვალში შიგნიდან გატარებულია ჭიანურის ტარი, მის პატარა „თითზე" მავრდება ორი „ძუა"[4]. რკვალს სვანური ჭუნირის მსგავსად ფსკერი არა აქვს. სეირის შუა ადგილას თავსდება „ჯორა", ხოლო ძუები დაჭიმულია ტარის ბოლოზე მიმაგრებული „რიკების" მეშვეობით. ამ რიკებითვე იმართება ძალები. ტარს არა აქვს დანაყოფები, მაგალითად, როგორც ჩონგურს. მარჯვენა ძალი 15 ცალი ძუისაგან შედგება, მარცხენა კი 20 ცალი ძუისაგან[5]. ძუებს საგულდაგულოდ არჩევენ, ფრჩხილით გამოქნიან, შეატოლებენ, რამდენჯერმე დაჭიმავენ და მიამაგრებენ ჯერ ჭიანურის თითს, შემდეგ რიკებს. ძალებს შეუყენებენ ჯორას.

ქამანჩას ან ხემს (როგორც დ. არაყიშვილი უწოდებს) ჰქვია „კაკვი", ეძახიან შვილდასაც (ივ. ჯავახიშვილის მიერ ნახმარი ტერმინი). კაკვად არჩევენ შვინდის ან არწკლის წკეპლას, ცეცხლზე გამოწვავენ, სასურველ ფორმას მისცემენ, ზედ 15—20 ძუას გაჭიმავენ და ჭიანური უკვე მზად არის. მისი დაკვრა მჯდომარე მდგომარეობაში ხდება: რკვალს მუხლებს შორის იჭერენ, მკერდზე, მარცხნივ, ტარის ბოლოს იყრდნობენ, ძალებს მარცხენა ხელით მართავენ, ხოლო მარჯვენა ხელით შვილდას (კაკვს) უსვამენ. რკვალს ერთ მხარეზე ფისი აქვს სქელ ფენად დასხმული, ფისს დროდადრო

---

3 სვანური ლეგენდა 1958 წ. ჩავიწერეთ გორის პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტების გერონტი და დავით ლიპარტელიანებისგან.

4 „ძუას" ხმარობენ ძალის აღმნიშვნელ ტერმინად.

5 ძუათა რაოდენობას ოსტატი ზოგჯერ „ხმის გამოცემის" მიხედვით საზღვრავს.

ცეცხლზე შეათბობენ და შვილდას ძუით გაუსვამენ, ამით ძალებს კეთილხმოვნება ემატება. საერთოდ, ცეცხლისა და სითბოს გარეშე ჭიანურზე დაკვრას ძლიერ ერიდებიან.

დ. არაყიშვილს, ზემოთ მოხსენებულ ნაშრომში, აქვს ზომები რაჭული ჭიანურისა, მაგრამ რაჭაში ჭიანურის დამზადების სტანდარტი არ არსებობს. მისი დაკვრის წესი ისეთნაირია, რომ ინსტრუმენტის სიგრძე თვითონ ადამიანის სიდიდეზეა დამოკიდებული. გლოლელი ნესტორ ბიძიშვილის თქმით, „გააჩნია ვინ როგორ მოირგებს, სხვის ტანზე გაკეთებული ჭიანური ძნელი დასაკრავია. ჩვენ თვითონა ვართ, ვინც დაკვრა ვიცით, ჭიანურის კეთების ოსტატი. და ისე გამოვიყვანთ რანაირადაც მოგვეხერხება“.

რაჭული ჭიანურის სახით ჭიანურის ერთ-ერთ უძველეს სახეობასთან უნდა გვქონდეს საქმე. ამ საკრავს ვიოლინოსთან უკვე ივ. ჯავახიშვილი აიგივებს [120, 303]. უდავოა ჭიანური ვიოლინოს პირველადი სახეობა ყოფილა ოდესღაც. ვფიქრობთ, ასეთი ტიპის მუსიკალურ ინსტრუმენტთა შორის ყველაზე ძველი. შესაძლოა, რაჭული ჭიანური იყოს, თუნდაც მისი ორძალიანობის გამო. აკად. ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით „საკრავიერი მუსიკა თავდაპირველად მხოლოდ შებანებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი“. მაშასადამე, „პირველად ბანი ხმის ძომცემი ძალი უნდა გაჩენილიყო“ [120, 336]. ბანის შემდეგ რომელი ხმა გაჩნდა — მსხირპანდ, ყირი თუ სხვა, ორძალიანი ფანდურის ამ თვალსაზრისით შესწავლა მოჰფენსო ნათელს. გამოჩენილი მკვლევარის ეს მოსაზრება რაჭული ჭიანურისათვის გამოდგება: როგორც ვიცით იგი ორძალიანია. სადავო არ არის, რომ ძალთა სიმცირე მის სიმარტივესა და უძველესობაზე მიუთითებს. ჭიანურის ამ მხრივ შესწავლა გაარკვევდა ბანის შემდგომი ხმის გაჩენას. უკვე აღნიშნული იყო, რომ ერთ მხარეზე ოცი ცალი ძუა ებმის, ხოლო მეორეზე — თხუთმეტი. ხომ არ იქნება ოცძუიანი ძალი ბანის გამომცემი პირველადი ხმა, თხუთმეტძუიანი ძალი კი შემდგომი მეღერადი ძალი?... რა თქმა უნდა, ამ ვარაუდის დამტკიცებას სათანადო მუსიკალური წიაღსვლა სჭირდება.

მთის რაჭის ცხოვრებაში ჭიანურს ფართო გამოყენება ჰქონია. ლხინსა თუ ჭირში, შრომასა თუ ბრძოლაში იგი განუყრელი მეგობარი ყოფილა მთიელი რაჭველისა. მისი ტკბილი ხმა ძალას მატებდა. ზვიად ბუნებასთან შერკინებულ ადამიანს. ხანმოკლე ზაფხულს მოსდევს უხვთოვლიანი ზამთარი. იწყება „წლისოდენა“ გრძელი ღამეები. გიზგიზებს ბუხარი და მოლიცლიცე ალით მკრთალად ნათდება. დარბაზი. საკარცხულზე ზის ოჯახის უფროსი მამაკაცი, ჭიანურს

აკვნესებს, თან ლექსებს დაჰღიღინებს. მრავალფეროვანია ლექსთა შინაარსი. მთაში ხომ ყველა მნიშვნელოვანი შემთხვევა სალექსო თემად იქცევა ხოლმე! განსაკუთრებით პოპულარულია საგმირო-სარაინდო ხასიათის ლექსები. კავკასიის ქედის კალთებზე მცხოვრები ხალხებისათვის კერძ-მოკეთეობაზე დამყარებული ჩვეულებრივი, მშვიდობიანი ცხოვრება დროდადრო დაირღვეოდა, ატყდებოდა ძმათმკვლელი ომი და სახალხო პოეტი ამ სავალალო მოვლენას ლექსით უკვდავყოფდა, რათა ყველა თაობის ადამიანისათვის ყოფილიყო ჭკუის სასწავლებლად. ჭიანურზე დასამღერებელი მრავალი ასეთი ლექსი იცის ვასილა გავაშელმა, მოვიტანთ ერთ-ერთ მათგანს:

„აიძრა დიდი სვანეთი
ღვიოდა მთა და ბარია,
მათ რო აბჯარი ჩაიცვეს,
არ მოშორდება თვალია.

ესეცერი და უშგული
შეიქნა დიდი ძალია.
ბრილი ჭალას რო დავიდენ
მიზას დაასხეს ზარია.

თითო ფარფალა დალიეს,
მით იზიარეს თავია.
თევრეშოც კაი სოფელი,
გარს გაუარეს მხარია.

ხიდითაეთან რო მივიდენ,
ახსენეს მაცხოვარია.
მაცხოვარსაც კი მიართვეს
რქათეთრი, ქერა ხარია.

დედაღვთისასაც მიუძღვნეს
რქადახვეული ვერძია.
ჭიორა კაი სოფელი,
დაბლა ქალაქის კარია,

ზემოთა კარსაც მიადგა
შავი სვანეთის ჯარია.
ხელო და ხმალო გაპერი,
სისხლისა ნატალახია,

ფეხო, ნუ მოგვიცურდები,
ბურჯად არავინ გვახლია.
ბოცორ დაკრეს და გაიქცა
ვით რო დედალი თხანია.

ჭიორი ჭალის ყელასა
ღებურნი სცემენ ყველასა.
სვანთა მეფე დოუპირავს
ციდამტკაველა გელასა.

მისამღერი

ართუზელი, ბართუზელი,
ზამთარ თქვენი, ზაფხულ ჩვენი.
ბეი, მტერო, მტერო, მტერო,
ვერ ღაბალახო ცხენი,
ვერ გამოუქნიო ცელი".

ჩვენ შესაძლებლობა არ გვაქვს გადმოვცეთ ჭიანურზე სასიმღერო ლექსთა მუსიკა. ვასილ გაგაშელი ჯერ ხნიერი არ არის. მხოლოდ ისღა უკრავს ღებში ჭიანურს, დაკვრის კარგი ხელოვანია და შდიდარ სასიმღერო რეპერტუარსაც ფლობს. მისი ჭიანური თვითნაკეთი და სამძალიანია. მესამე ძალი თვითმიხვედრით დაუმატებია ოსტატს. ვასილის წინაპრები ყველანი მეჭიანურენი ყოფილან.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მეზობელთა ბრძოლა არა მარტო მოლექსეთა ფანტაზიას კვებავდა, არამედ სახალხო კომპოზიტორთა შთაგონების წყაროდ ქცეულა. ვინც ჭიანურზე სიმღერებს შოისმენს, ნათლად იგრძნობს ხალხის ხელოვნების უბადლო ძალას. ჭიანურს მეტად მდიდარი სასიმღერო რეპერტუარი მოეპოვება, რაც საგანგებოდ შეგროვებასა და შესწავლას საჭიროებს. განსაკუთრებით გავრცელებული და პოპულარულია შემდეგი ლექსები: „დიგორსა დასხდნენ ვაზირნი", „ერელეთი", „დიგორი და ბასიანი", „ყაჩაღ ჯამათას ლექსი" და სხვა. ამასთან, კარგი დამკვრელი ჭიანურს უწყობს თითქმის ყველა სიმღერას, თვით მაყრულსაც კი. „რა სიმღერა გინდა, დოუკრამ ჭიანურზე, — გვითხრა უწერელმა ოსია მეტრეველმა, — ოღონდ ჯერ მე უნდა ვისწავლო, ჭიანური ჩემი მორჩილია ყოველთვისო".

ჭიანურს უკრავდნენ ქორწილში, არის მკრთალი გადმოცემა ამისი ტირილში გამოყენების შესახებაც. ჭიანურის ხმის უაღრესი მელოდიურობა, მომხიბვლელი ტემბრი იძლეოდა ალბათ ამის საშუალებას. დღეობანი, სახალხო თამაშობანი ჭიანურის გარეშე არ იქნებოდა. დაკვრის ოსტატი ხალხში ყოველთვის პატივისცემით და სიმპატიით სარგებლობდა. ზოგჯერ სანახშოზე ეწყობოდა შეჯიბრებანი ჭიანურის საუკეთესო დამკვრელთა შორის, გამარჯვებულს ხალხი ტაშით აჯილდოვებდა. ჩვეულებრივ უკრავდნენ ერთ ჭიანურს, ხოლო სიმღერაში მონაწილეობა ბევრს შეეძლო.

მთხრობელთა მტკიცებით, ჭიანურს მაგიური ძალა აქვს. მას შეუძლია ადამიანთან ლაპარაკი, სულების გამოხმობა და სხვა. „ლაპარაკი არაა, ბატონო, — გატაცებით საუბრობდა ვასილ რეხეიაშვილი, — ჭიანურს დოუკრავ აგატირებუე, გაგაცინებუე, გაცეკვებუე". ამ საკრავს წინასწარმეტყველების უნარიც ჰქონია თურმე: „თუ ვინ-

ეს მიეპარა სიკვდილი, ჭიანური ადრე შეიტყობს, — განაგრძობ ასილი, — დოუკრავ, აკვნესდება იგი შვილმკვდარ დედასავით. ჯიტყვი, გლახთაა ჩვენი საქმე, არაფრისგულისათვის არ გაწბილ-დება, ვილაცა რო არ მოკვდეს სოფელში ყოველად შეუძლებელია".

ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, ჭიანურის დაკვრა გვამცნობს, თუ როგორი ამინდია მოსალოდნელი. მისი მგრძნობიარე, ნაზი სიმები ყველაფერს ხვდებაო.

სოფელ გლოლაში ახლაც ყვებიან თქმულებას გოგოჩეთზე (გოგოჩიშვილზე). თქმულებაში მოცემულია, თუ რა მოხერხებულად გამოიყენა ჭიანური მოხუცმა გოგოჩეთმა. ქოლიდას მთაში ერთი გლეხი — გოგოჩიშვილი ცხოვრობდა. სანამ ოსები გლოლას დაეცემოდნენ, გზად იმ გლეხისას გამოიარეს. პურ-ღვინით დაუხვდათ მოხუცი გოგოჩიშვილი. მისი ვაჟი კი ბოსელში დაიმალა. მტერთან სუფრის გაშლის მიზანი იყო მათი დაყოვნება. ამასთანავე, მოხუცს გლოლაში სასწრაფოდ მაცნე უნდა გაეგზავნა, მაგრამ შვილს ვერაფერს ეტყოდა, „სტუმრები" მიუჩვდებოდნენ. ამიტომ აიღო ბერმა გოგოჩიშვილმა ჭიანური, ვითომ მომხვდურთა პატივსაცემად ააყვერა და დაამღერა:

„გოგოჩეთო რეგვენაო,
გეყურება თუ არაო,
აქეთ წადი მალვითაო,
იქით მოდი ბრაველითაო!"

შვილმა გაუგო მამას. ბოსლიდან გაიპარა და გლოლისაკენ დაეშვა. როდესაც სოფელს მიუახლოვდა საშინლად დაღლილი წყაროს დაეწაფა[6]. დაღლილზე წყალმა ცუდად იმოქმედა — დამუნჯდა ვაჟკაცი. დარჩა ამბავი მიუტანელი, მაგრამ ახალგაზრდაც ხერხიანი გამოდგა, ავიდა ზედქალაქის გორაზე, ამოიღო ხმალი და ქნევა დაიწყო. გლოლელებმა იცნეს გოგოჩეთის ხმალი, მიხვდნენ რაშიც იყო საქმე და თავდამსხმელებს თვითონვე დაესხნენ თავს.

ამგვარად, ეს მოკლე მიმოხილვაც გვიჩვენებს, თუ რა ადგილი ეჭირა ჭიანურს რაჭველთა ცხოვრებაში. იგი ერთ-ერთი საყვარელი მუსიკალური ინსტრუმენტი იყო. ადრე თითქმის ყველა თავმომწონე ვაჟკაცს სცოდნია დაკვრა. მათ შორის უპირველესი სოფლის ბრშვენებად ითვლებოდა, მაგრამ დღეისათვის ჭიანური მივიწყებულია, თვით მოხუცებსაც მოუძულებიათ იგი. მხოლოდ ღებელი ბწყემსი ვასილ გავაშელი ვერ შელევია მამაპაპურ „გულის მოსაფხანს", ხშირად უკრავს და ყველას არწმუნებს, უამისოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო.

[6] ეს წყარო ახლა გლოლის ტოპონიმიკურ სახელთა შორის იხსენიება, როგორც „ბლუის წყარო", ე. ი. ბლუს წყარო, ბლუ ნახმარია მუნჯის გაგებით.

•

თუ რაჭაში ჭიანურზე დაკვრის რამდენიმე ოსტატის გამოვლენა მაინც შევძელით, გუდასტვირზე დამკვრელი მხოლოდ ერთი კაცი ყოფილა დარჩენილი. რაჭველი მესტვირეები — ეს ქარაფველი ტრუბადურები, ადამიანები, რომლებიც საქართველოს არც ერთ კუნჭულს არ ტოვებდნენ ფეხდაუდგმელს, გადაშენებულან. აღარ ისმის ბათი სტვირების დამატკბობელი დუდუნი, აღარ ჩქეფს გონებამახვილური ლექსების დაუშრეტელი შადრევნები.

რაჭა მთიანი კუთხეა. იქაური ხალხი მიწის სიიწროვეს განიცდიდა, ამიტომ ძველთაგანვე რაჭველები მრავალნაირ ხელობას მისდევდნენ. გვიან შემოდგომით, როცა მთაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები დამთავრდებოდა, რაჭველი ხურო, მჭედელი, ხარაზი, მზარეული, ხაბაზი, მეწისქვილე და სხვა, დატოვებდა ოჯახს და საქართველოს რომელიმე კუთხეში გაემგზავრებოდა, უმეტესად მარცვლეულით მდიდარ რაიონებში. აგრეთვე ხშირი სტუმრები იყვნენ ჩრდილო კავკასიისა. მთელი ზამთრის განმავლობაში დაუზარელი შრომით აგროვებდნენ ოჯახისათვის წლის ხარჩოს. ადრე გაზაფხულზე, როდესაც საგაზაფხულო ალო დადგებოდა, „მონავებით“ დატვირთული ოსტატი „მოსაგებიდან“ ბრუნდებოდა. გუშინდელი ხელოსანი დღეს მიწის მუშად — გლეხად იქცეოდა და მუყაითად შეუდგებოდა კუთვნილი ფერდობის დამუშავებას. ერთ-ერთი ხელობა იყო მესტვირეობაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სახელოსნო იარაღების ნაცვლად, რაჭველ მესტვირე-გლეხს „მოსაგებში“ სათუთად შენახული და მოვლილი გუდა-სტვირი მიჰქონდა. სარჩოს მოსახვეჭად სამშობლოს თითქმის ყველა სოფელში ღიღინებდა იგი. პატრიოტულ ლექსებთან ერთად, ზოგჯერ ბილწსიტყვაობასაც არ ერიდებოდა, თავის კოლეგებთან გაჯიბრებული. დაუღალავი მუხლი, მახვილი გონება, სიდინჯე და მოთმინების დიდი უნარი, ხალხის ხელგაშლილობა, პატივისცემა და სიყვარული მრავალ რაჭველს უბიძგებდა ამ საქმისათვის მოეკიდა ხელი. აქედან გასაგებია, რაჭველმა ჰესტვირეებმა თუ რატომ მოიპოვეს პირველობა მთელ საქართველოში. წიგნში „ქართველი მესტვირული პოეზია“ დაცულია სახელგანთქმული მესტვირის ზაქარია ერაძის ცნობა: ერთდროულად „ჩვენს ფარახეთში 120 მეშტვირე იყოო“ [105, 42].

რაჭველი მესტვირე, როგორც არაერთხელ დაუმტკიცებიათ სამეცნიერო ლიტერატურაში [101; 102, 105], ნახევრად პროფესი-

ონალი იყო. ეს იმიტომ, რომ მესტვირეობასთან ერთად ის ეწეოდა სხვა საქმიანობას, კერძოდ, მიწათმოქმედებას. მარჩენალი მიწის სიყვარული ყველგან მიჰყვებოდა მოხეტიალე მუსიკოსს. სადაც არ უნდა ევლო რაჭველ ხელოსანს, მესტვირე იქნებოდა იგი თუ ოქრომჭედელი, თავის ძვლებს მაინც საყვარელ მთებში მოიტანდა და მრავალტანჯულ სხეულს მშობლიურ მიწას მიაბარებდა.

ზოგჯერ ერთი და იგივე კაცი მესტვირეც იყო, მზარეულიც, მეკურტნე და მხვნელ-მთესველიც. ლუკმაპურისათვის დამაშვრალი რაჭველი ხშირად მიმართავდა მხსნელად სტვირს. მისთვის გუდასტვირი არა მარტო სულიერი მეგობარი იყო, არამედ შემოსავლის წყაროც. „ქუთაისში მინახავს მეკურტნე რაჭველი, — წერს „დროების“ კორესპონდენტი, — რომელსაც უქმე დღეებში დაუნებებია კურტნისათვის თავი, რადგან ამ დღეებში გამორჩომის იმედი არ ჰქონია, აუღია სტვირი, ამოუჩრია იღლიაში გაბერილი გუდა და უვლია კარიდან კარზე, რომ ქების შესხმით და არსენას ლექსის თქმით გროშები იშოოს“ [25].

დიდი ხანია მესტვირეობას სოციალური საფუძველი გამოეცალა. დღეისათვის უკვე ბუნებრივია მისი გაქრობა, მაგრამ მესტვირეობა არ უნდა მოისპოს, როგორც ერთ-ერთი სახე ხელოვნებისა. კულტურის დარგში მომუშავე დაწესებულებებმა საჭიროა შეინარჩუნონ ეს სასიამოვნო ხმის მქონე ინსტრუმენტი. თითო-ოროლა ცდა, თუგინდ წარმატებული, საქმეს ვერ უშველის.

აკად. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, „გუდასტვირი მთელ საქართველოში უნდა ყოფილიყო გავრცელებული“ [120, 191]. მაგრამ გუდასტვირი ამჟამად (ე. ი. 1938 წლისათვის ლ. ფ.) მხოლოდ მესხეთში, ქართლში, რაჭასა და აჭარაშიღაა შემორჩენილი“ [120, 150]. როგორც აღვნიშნეთ, რაჭაში მხოლოდ ერთი ნახევრად პროფესიონალი მესტვირე იყო დარჩენილი — ესტატე (თომა) კიკოს ძე ერაძე. წიგნში „ქართული მესტვირული პოეზია“ მოცემულია რაჭველ მესტვირეთა სია, მაგრამ ესტატე ერაძე დასახელებული არ არის, თუმცა მას თავისი ძმისაგან, ცნობილი მესტვირე — ზაქარია ერაძისაგან უსწავლია ეს ხელობა. ძმებს ხშირად ერთად უვლიათ, ჭირი და ლხინი გაუზიარებიათ. „რავარც რიონს წყალი არ დეელეეა, ისე ზაქარიას ლექსები არ დეელეოდაო“, — ამბობდა ესტატე. იგი ფარახეთიდან შარდომეთს ჩასიძებულა. ყოჩაღად შრომობდა კოლმეურნეობაში, ამასთან ერთგულად მისდევდა ფშაპაპურ ხელობას. ზემო რაჭის ბევრ სოფელში ნახავდით განუყრელი გუდა-სტვირით. ენაწყლიანი, ხალისიანი კაცი იყო, ხალხი უხვად ასაჩუქრებდა. ჩვენ ესტატეს 1957 წ. უწერაში შევხვდით. აგვისტოს ცხელ საღამოს

რიონის ტალღების ხშირი სუნთქვა და მთის ნიავი აგრილებდა. უწერლები სანახშოზე გამოსულიყვნენ. ამ დროს ტანმორჩილი მოხუცი გამოჩნდა, ხალხი აჩოჩქოლდა და წინ მიეგება, ვეებერთელა წრე შეიკრა, სტუმარი შუაში ჩაიყვანეს. მან საოცრად მეტყველი თვალები მოავლო ირგვლივ მყოფთ და სტვირი აიხმიანა, ერთხანს ყური მიუგდო, მერე ნელი ღიღინით აჰყვა; ლექს ლექსი ჩაენაცვლა. დიდხანს არ დამცხრალა სტვირის საამო ღუღუნი, ხან აცინა და ხან ცრემლი მოჰგვარა მესტვირემ ხალხს.

იმ ღამეს ერთი მასპინძელი აღმოგვიჩნდა. ბევრი ვისაუბრეთ. ესტატე ჩიოდა: ახალგაზრდობა არ სწავლობს სტვირის საქმეს, მოვკვდები და მიწაში წამყობაო ეს ხელობა, სტვირსაც ვერავინ გააკეთებს, სტვირის ნამდვილი ოსტატი მხოლოდ მისი დამკვრელიაო. სიყვარულით იგონებდა ესტატე თავის ძმას ზაქარიას. მის ფრჩხილადაც არ ვღირვარო, ამბობდა გულწრფელად, მასავით არც დაკვრა ვიცი და არც ლექსებიო. აბა, რა გასამხელია ჩემი საზანდროობა, მარა ასე რო გადაკარდა სტვირის საქმე სახლში ვული აღარ მიჩერდებაო.

დილით ესტატე სტვირის „გამართვას“ შეუდგა: მან ფრთხილად დაშალა ინსტრუმენტი და ყველა ნაწილი ქისაში საგულდაგულოდ შენახული ხავერდით დაწმინდა. შევნიშნე, რომ დედნებში რაღაც ბალახი მოათავსა. რად უნდა მეთქი — ვკითხე, მრავალ მნიშვნელოვნად ჩაიცინა და საიდუმლოდ მითხრა:

— ურჩხას თავთავებია, ხმას უქუქუნებს შტვირს.

შემდეგ ესტატეს თითქმის ყოველ ზაფხულს ვხვდებოდი. ღრმა მოხუცებულობის მიუხედავად ის მაინც მოგზაურობდა რაჭის სოფლებში განუყრელი გუდა-სტვირით, ხშირად კურორტებს — შოვსა და უწერას ესტუმრებოდა.

— თუ დამცალდა, ქალაქადაც ჩავალ და ქვეყანას ვაჩვენებ, რომ ფარახეთში მესტვირეები კიდევ ცოცხლობენო! — გაიძახოდა მხნედ. მაგრამ არ დასცალდა ესტატეს. 88 წლის სიმძიმემ თავისი გაიტანა. და ეს უკანასკნელი მესტვირე 1959 წ. 15 სექტემბერს გარდაიცვალა. მისი სიკვდილით შეწყვიტა არსებობა რაჭველ მესტვირე — ნახევრად პროფესიონალთა მძლავრმა სკოლამ.

ცოტა ხნით ადრე დაიხოცნენ განთქმული მესტვირეები ლუკა ტოგონიძე და ზაქარია ერაძე, რომელთაც, როგორც ფარახელი მოხუცები ამბობენ, „ფხიანი სიტყვა ჰქონდათ და სიმღერაც გულისმოსაფხანი იცოდნენ“. ლუკა 1947 წ. გარდაიცვალა, ხოლო ზაქარია 1953 წ. 12 აპრილს [82].

მაშინ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი

ვიყავი. ჩვენთან მოვიდა ესტატე ერაძის ვაჟი — მამაჩემის გუდა-სტვირი დაგვეკარგა, ქორწილი გვაქვს და იქნებ სტვირი მუზეუმიდან გვათხოვოთო. რა თქმა უნდა, უარით გავისტუმრეთ, მით უმეტეს მუზეუმში დაცული ორადორი გუდა-სტვირისაგან დასაკრავად არც ერთი არ გამოდგებოდა. ამგვარად, უკანასკნელი მესტვირის ინსტრუმენტიც უგზოუკვლოდ გაქრა. შემდეგ რამდენჯერმე მოვიძიე ფარახეთში გუდა-სტვირები, მაგრამ ამაოდ. ეს მით უფრო დასანანია, რომ ამ საკრავის სრული კოლექცია საქართველოს არც ერთ მუზეუმს არ მოეპოვება.

ესტატე ერაძის თქმით, სტვირის კეთების ოსტატი ისაა, ვინც მისი დამკვრელია, „შეუედილობის გარდა, შტვირს ჩვენ ვაკეთებდით, მერე მიგვქონდა ოქრომჭედელთანო". სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობის შემდეგ, რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს სტვირის კეთების ოსტატი სხვა ყოფილიყოს, ხოლო დაკვრის ოსტატი კიდეე — სხვა. მართალია, გამორიცხული არ არის, რომ სტვირი საგანგებო ოსტატის მიერ კეთდებოდა და მას მესტვირე მზამზარეული სახით იძენდა, ამისი საბუთი მკვლევარებს ბევრი მოაქვთ; მაგალითად ქ. გორში ყოფილა სტვირების ცნობილი მკეთებელი ალექსი ნოდარიშვილი [105, 191], მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მესტვირე თვითონ საგულდაგულოდ არჩევდა და აკეთებდა სტვირის ცალკეულ ნაწილებს („ყანწს", „დედნებს". „დამკვრელებს", „გუდას" და სხვ.), შეკრავდა მთლიან ინსტრუმენტად და „შეუედილობისათვის" ე. ი. შესამკობად ოქრომჭედლებთან მიჰქონდა. ესტატეს თვითონვე გაუკეთებია გუდა-სტვირი, ასევე თვითნაკეთი სტვირები ჰქონიათ ლუკა ტოგონიძეს და ზაქარია ერაძეს. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ მესტვირეთა უმრავლესობა თვითნაკეთ სტვირებს იყენებდა, ყოველ შემთხვევაში დედნები და დამკვრელები მაინც საკუთარი ხელით შერჩეული და გაკეთებული ექნებოდათ.

მესტვირე იღლიაში ამოჩრილი გუდა-სტვირით დაუპატიჟებელი, მაგრამ აუცილებელი და სასურველი სტუმარი იყო დღეობებისა და ქორწილებისა. ტირილში და საზოგადოდ სამგლოვიარო საქმეზე მაწვევის გარეშე მისვლას ერიდებოდნენ და თუ შეატყობინებდნენ, ამ შემთხვევისთვისაც ჰქონდათ ლექსებისა და სიმღერების დაუშრეტელი მარაგი.

მესტვირეები უმეტესად სწავლობდნენ საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილ ზეპირად მოარულ ლექსებს. დროდადრო რომელიმე ნიჭიერთაგანი ამდიდრებდა მესტვირულ რეპერტუარს. ესტატე ერაძის აღიარებით „ლექსის გაჩოთქმას დიდი ჯაფა უნდა. ჩემ ძმას

ზაქარიასაც უპირდა ახალი ლექსების გამოთქმაო". აქვე ისმის კითხვა: მესტვირეობას ოსტატთან შეგირდობით სწავლობდნენ როგორც ხელობას, თუ იგი მემკვიდრეობით გადაეცემოდა. ზოგიერთი მკვლევარი პირველი მოსაზრების სასარგებლოდ წყვეტს საკითხს, რატომღაც უგულვებელყოფილია მემკვიდრეობა. ჩვენი აზრით, ორივე ფაქტორი მნიშვნელოვანია. ოღონდ მემკვიდრეობას უპირატესობა უნდა მივანიჭოთ, სხვაგან თუ არა, რაჭაში მაინც. ღრმად გვჯერა, თანდაყოლილი ბუნებრივი ნიჭისა და სათანადო ოჯახური ტრადიციის გარეშე მესტვირედ ვერავინ შეიქმნებოდა, ბუნებრივია, „ოსტატობა-შეგირდობასაც" ჰქონდა ადგილი და საკმაოდ მასობრივადაც, მაგრამ რაჭაში მესტვირეობა უფრო მემკვიდრეობით გადადიოდა. რომელ სოფელშიც არ უნდა მიხვიდეთ და იკითხოთ, გეტყვიან: „მესტვირეები ფარახეთში იყვნენ, ახლა აღარავინ არის, დაიხოცნენო". მართლაც, ძირითადად, ფარახეთში ცხოვრობდნენ მესტვირეები და ამ ხელობას მისდევდნენ სამი გვარის (ბურდილაძე, ერაძე, ტოგონიძე) წარმომადგენლები. ავიღოთ რაჭველი მესტვირეების სია, იქ ჩამოთვლილი 82 მესტვირედან 21 ბურდილაძე, 16 ერაძე და 13 ტოგონიძეა. დანარჩენი სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები არიან. ამათგან ერთი გვარიდან ხუთზე მეტი არ არის. სამივე გვარის (ბურდილაძე, ტოგონიძე, ერაძე) მესტვირეები ფარახეთიდან იყვნენ. ეს ფაქტი მიგვითითებს, რომ მესტვირეობის შთამომავლობით გადაცემას ძლიერ ჰქონია ფესვები გადგმული. უეჭველია, შეგირდობითაც სწავლობდნენ, მაგრამ ისინი ერთეულები იყვნენ. თუ ვიგულისხმებთ, რომ აღნიშნულ სიაში ყველა რაჭველი მესტვირე არ არის შეტანილი, თუ გავიხსენებთ ზაქარია ერაძის ცნობას „ჩვენ ფარახეთში 120 მეშტვირე იყოო" და დავუმატებთ ესტატეს სიტყვებს, რომ „მარტო სამი გვარი მისდევდა ამ ხელობასო", დავრწმუნდებით ჩვენი მოსაზრების სისწორეში. მის განსამტკიცებლად ზაქარია ერაძის კიდევ ერთი ნათქვამიც გამოგვადგება: „რაჭას ერთი მოხუცებული კაცი ყოფილიყო, ეს ლექსი იმის მიერ არის გამოფქმული. იმას ესწავლებინა ბაბუაჩემისთვის. ბაბუაჩემს — მამაჩემისთვის, მამაჩემმა კი მე მასწავლაო". ამრიგად, არა მარტო სტვირის კეთება და დაკვრის ოსტატობა, არამედ მესტვირული პოეზიის ძირითადი რეპერტუარიც მემკვიდრეობით გადადიოდა.

რაჭაში მესტვირეები საკმაოდ კარგად ახსოვთ. მოხუცი ესტატე ერაძე ხომ ბოლო დრომდე კვლავ მონდომებით განაგრძნობდა წინაპართა საქმეს. სტვირი დაიკარგა, თორემ მესტვირულ ლექსებსა და შაირებს ხალხი დღესაც მღერის. ერთი მესტვირული ლექსი ჩაგ-

აწერინა ონის რაიონის სოფელ გომის მცხოვრებმა 80 წლის ოქრუა იხრაძემ:

„აგერ მოდის თქვენი მამა,
ქვეითგანი მობძანდება,
ჭეღერა წვერი ჰქონია,
კეთილად შეაბერდება.
თქვენი მგზავრები წასულან
ოსეთშია თუ კახეთში,
შინ მშვიდობით ამოვიდნენ
ბონაგებითა ნაქები.
ფული ბევრი მოიტანონ,
ოჯახისთვის შესაძენი,
ყანა რო ბევრი იყიდონ,
ვენახი ყველგან საქები.
ბარანში აქ სავსე ქვევრი,
ბეღელში საგვერდულები,
რაც სტუმარსა გაისტუმრებს
ხველა მიდის მადლიერი".

ვინც მესტვირულ ლექსებს იხსენებს, ვერ მოუხერხებია ჩვეულებრივი ხმით თქვას, აუცილებლად მესტვირული ღიღინით ჰყვება.

გაივლის ხანი. მოხუცები დაიხოცებიან და გაქრება მოგონება მესტვირეებსა და გუდა-სტვირზე, მაგრამ ეს ასე არ უნდა მოხდეს. უფრო მეტიც, მესტვირეობა — ხალხური შემოქმედების დიდად საინტერესო და სპეციფიკური ჟანრი ყოფას უნდა დავუბრუნოთ. ვფიქრობთ, ჩვენი ესტრადა, კინო, რადიო-ტელევიზია კარგ საქმეს გააკეთებს, თუ ხშირად გამოიყენებს გუდა-სტვირს — ამ ძალზე თავისებური ჰარმონიის და იერსახის მქონე ეროვნულ საკრავს.

§ 2. მიცვალებულის სიმღერით დაბირება

ქართველი ხალხის ყოფაში მიცვალებულის კულტს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. საუკუნეთა მანძილზე სულთა თაყვანისცემა მრავალგვარ საწესჩვეულებო რიტუალებში ვლინდებოდა. ეს ჩვეულებანი გადმონაშთების სახით აქა-იქ ახლაც ცოცხლობს.

ამჯერად ჩვენი მიზანი არ არის მიცვალებულის კულტის მთლიანობაში განხილვა. ეს რთული საკითხი თავის მკვლევარს მოელის, შევეხებით მხოლოდ დატირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს — სამგლოვიარო სიმღერას. არსებული ლიტერატურული მასალები ნათელყოფს, რომ საქართველოში სხვადასხვა სახის სამგლოვიარო სიმღერა სცოდნიათ. მათგან ყველაზე უფრო ცნობილი

და გავრცელებულია ზარი. დასავლეთ საქართველოში ზარს უმეტესად მამაკაცები ასრულებდნენ. ა. ლამბერტის, თ. სახოკიას და სხვათა ცნობით სამეგრელოში მიცვალებულის დასაფლავების დღეს ჭირისუფლის თხოვნით მოიწვევდნენ ოთხი-ხუთი კაცისაგან შემდგარ მოზარეთა გუნდს. გუნდი „უსიტყვოდ" ე. ი. უტექსტოდ მღეროდა [47, 61-2; 70, 163; 54, 138; 16].

დიდმა ქართველმა კომპოზიტორმა ზაქარია ფალიაშვილმა ჩაწერა და შეისწავლა სვანური ზარი, რომელსაც მამაკაცები ასრულებდნენ [79]. ზარი სცოდნიათ იმერეთში [27; 58; 86; 11], გურიაში [11; 104; 113], ფშავში [30, 14], აგრეთვე აფხაზეთში [1, 102]. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ზარის არსებობაზე მეტყველებს ერეკლე მეფის დაკრძალვისას პროცესიის წინ „ორ ხოროდ"[7] მოზარეთა „წამძღვარება" [36; 106].

ზარი რაჭაში იყო გავრცელებული, რის შესახებაც ცნობებს გვაწვდიან ნ. მინდელი [143], ს. მერკვილაძე [59], ალ. შარაბიძე [88]. მაგრამ მითითებული ლიტერატურა, გამონაკლისის გარდა, შემთხვევითი ხასიათისაა და მხოლოდ იმისათვის გამოდგება, რომ დავადასტუროთ მაშინდელ ეთნოგრაფიულ ყოფაში ზარის, როგორც სამგლოვიარო სიმღერის, არსებობა.

ამჟამად რაჭაში ზარის მცოდნე არავიან არის დარჩენილი, მხოლოდ რამდენიმე მოხუცის მეხსიერებასღა შერჩენია მკრთალი მოგონება ამ საინტერესო სამგლოვიარო სიმღერაზე. სოფელში ყოველთვის იყვნენ კარგი მომღერალი მამაკაცები, რომელთაც სცოდნიათ ზარის თქმაც („დაძახება"). მათ შორის სახელგანთქმულს, მიცვალებულის დასაფლავების დღეს[8], ჭირისუფალი იწვევდა. მოზარენი[9] სამ კაცზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყვნენ, ეს იმიტომ, რომ სიმღერა სამხმიანი იყო[10] და მას „სამ კაცზე ცოტა ვეღარ დაიძახებდა". ხვანჭკარელი კალიტე ჭარბაძის (81 წ.), ნიკორწმიდელი ბეგლარ კობახიძის (80 წ.), ღარელი გალაქტიონ ჯელაძის (70 წ.) და სხვათა ცნობით[11], ზარი „ულექსოდ", „უსიტყვოდ" იმღერებოდა, მარტო-

---

7 სხვათა შორის სამეგრელოშიც გუნდების „ორ ხოროდ" გაყოფა ყოფილა მიღებული (იხ. მითითებული მასალები).

8 ასეთივე ცნობა აქვს ნ. მინდელსაც.

9 „კულაშელი ვალდებული გლეხის" განმარტებით „მოზარე არის განსვენებულის სამგლოვიარო ხმის მგალობელი" [27].

10 აფრ. მერკვილაძის ცნობით, იმერეთში ზარს სამი კაცი ასრულებს: „ერთი იწყებს, მეორე მაღალს ამბობს და მესამე ბანს" [58].

11 ზარის შესახებ რაჭაში მასალებს ვაგროვებდი 1959 წ. ივნის-იელისში და 1960 წ. სექტემბერ-ოქტომბერში.

დენ „ოი-ოი“-ს, „ვაი-ვაი“-ს, „ოჰი-ოჰი“-ს იძახდნენ. ამას ადასტურებს ა. ლამბერტი, თ. სახოკია, ნ. მინდელი, აფრ. მერკვილაძე და სხვები.

ჩვეულებრივ, მოზარეთა ადგილი მიცვალებულთან იყო. ისინი ნახევარწრედ[12] იდგნენ თავთან, ხშირად ჯოხებზე დაყრდნობილნი; გამორჩეული ტანისამოსი არ ეცვათ, ოღონდ შუბლი შავი ხილაბანდით ჰქონდათ წაკრული. მოზარეთა ერთი ჯგუფი ეზოში მიდი-მოდიოდა, მათ ეკისრებოდათ მომსვლელ მოტირალთა ზარით შეგებება და მიცვალებულის „ჟურჟლამდე“ მიცილება. ამ მორიგე მოზარეებს პატარა ბიჭები ღვინით სავსე დოქებით დასდევდნენ. კვაცხუთელი მელიტონ გოგობერიშვილის თქმით მოზარეები მერიქიფეებს ხშირ-ხშირად მიაძახებდნენ: — „არიქა ბიჭო, გაშრა ყელიო!“ და „ხმის გასაწმენდად“ ზედიზედ ცლიდნენ მომცრო ყანწებს. მიცვალებულთან მდგომ მოზარეებს მოშორებით ტაბლა ედგათ და ისინიც „ხმის დასაყენებლად“ ხშირად მიირთმევდნენ ღვინოს.

იმის გარდა, რომ ზარი ტირილს „ამშვენებდა“, მას ჰქონდა „პრაქტიკული“ დანიშნულებაც, კერძოდ, მთხრობელთა გადმოცემით, ვინც ტირილი არ იცოდა, იოლად გამოდიოდა — ზარის ხმაში მაინც არაფერი ეყურებოდა ჭირისუფალსო. ანალოგიური მოსაზრება გამოთქმული აქვთ დ. ბარნაბიშვილს და აფრ. მერკვილაძეს. რა თქმა უნდა, ზარის ასეთი შეფასება გულუბრყვილოა.

მოყვარე-მოკეთეებს თავიანთი მოზარეები მიჰყავდათ „ტირილში“[13]. ბევრი და კარგი მოზარის წაყვანა სასახელო საქმედ ითვლებოდა. რაჭაში დღესაც ხმარებაშია გამკილავი თქმა: „გასვენებაში წადი თუ არა, შენც ცხრაპირი მოზარე არ წაიყვანოო“. როგორც კი მიუახლოვდებოდა „ასაბია“ (მოტირლები) მიცვალებულის სახლს, „აუშვებდნენ“ ზარს, ატეხდნენ წივილ-კივილს[14] და ასე „დამშვენებულნი“ შეეიდოდნენ ჭიშკარში. აქ მათ „მორიგე“ მო-

---

12 მიცვალებულის თავთან ნახევარწრედ დგომა რაჭის ბევრ სოფელში დადასტურებულ. მთხრობელთა თქმით, „რგვლად“ იმიტომ დგებიან, რომ ხმები უფრო კარგად „შეხვდეს“ ერთმანეთს.

13 ამ ცნობას ადასტურებს ნ. მინდელი, ა. შარაბიძე და ს. მერკვილაძე. საინტერესოა, რომ ერეკლე მეფის დაკრძალვაზე ყველა სადროშო თავისი მოზარეებით მოდიოდა [36; 106].

14 ძველად ნიკორწმინდაში, ბეგლარ კობახიძის, არქიფო კანდელაკის და სხვათა ცნობით, ყოფილან ე. წ. „მოკივარი“ ქალები. მათ, თმაგაშლილებს შესვამდნენ თურმე ცხენებზე და „მოყვრის“ დასატირებლად წაიყვანდნენ. მოკივრის მოვალეობა იყო რაც შეიძლება ხმამაღლა და შემზარავად კივილი. მსგავსი გადმოცემა ჩავიწერეთ სოფ. კვაცხუთშიც. „მოკივრები“ გურიაშიც ყოფილან (პროფ. გ. ჩხიკვაძის ზეპირი ცნობა).

ზარეები და „ჩამყოლები“[15], ე. ი. გამცილებლები შეეგებებოდნენ. ჩამყოლთა მოვალეობა იყო მოტირალთა მიყვან-მოყვანა და თვალყურის დევნება, რომ თავისთავის არაფერი ევნოთ, სახე არ დაეკაწრათ, თმები არ დაეგლიჯათ და სხვა.

მოსული მოზარეები დამხვდურებს შეუერთებოდნენ და მოტირალს წაუძღვებოდნენ, კარებამდე მიაცილებდნენ, „იქ კი გადასცემდნენ მეორე პირ მოზარეებს, რომლებიც დარბაზში იყვნენ და შეუწყვეტლივ ამბობდნენ ზარს“ [59]. მიცვალებულის გასვენების დროს მოზარეები პროცესიას მღვდლის შემდეგ მიუძღვებოდნენ და ზარს ხანგამოშვებით ამბობდნენ. მკვდრის დასაფლავების შემდეგ რაჭაში ზარის თქმა აღარ იცოდნენ, სამეგრელოში კი, ა. ლამბერტის ცნობით, 40 დღის განმავლობაში, კვირის გარდა, ყოველდღე იმართებოდა ტირილი. მოტირალნი და მოზარენი მიცვალებულის სახლის წინ „მზის ჩასვლის ჟამს იკრიბებოდნენ და გააბამდნენ ზარით ტირილს“ [47, 71]. აგრეთვე დ. ბარნაბიშვილს აღწერილი აქვს „ორმოცზე“ მეგრელები როგორ დასტირიან მიცვალებულს საფლავზე „ორ პირი“ მოზარეთა თანხლებით [7].

რაჭაში გასამრჯელო მოზარეებს არ ეძლეოდათ, ოღონდ ისინი აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ მიცვალებულის ყველა „რიგზე“. ამასთანავე, კარგი მოზარენი სოფელში დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდნენ. ხნიერი ხალხი დღესაც მადლიერების გრძნობით იხსენებს მათ. ზარის თქმა ჩვეულებრივ მიღებული ყოფილა მოხუცთაგან. ახალგაზრდებს იშვიათად თუ გამოიყენებდნენ მესამე ხმის, „ბანის“ სათქმელად. ზარის შესრულებას არ ახლდა რომელიმე მუსიკალური ინსტრუმენტის აკომპანიმენტი. ზარს მოსმენით ითვისებდნენ, მაგრამ მას ზოგჯერ საგანგებოდაც სწავლობდნენ. აი,რას მოგვითხრობს კალიტე ჭარბაძე: „სოფელში გამოჩინებულ მოზარეს თხოვდა ახალგაზრდა — ზარი მასწავლეო. წევიდოდნენ სოფლის განაპირას ლაქაშინაში (ერთი ყრუ ადგილია). შაგირდი წეიღებდა პურ-ღვინოს, თან ქეიფობდნენ, თან ზარს ამბობდნენ, მერე ქვე ისწავლიდა, აბა რავა იქნებოდა“. ასეთი სახით ზარის შესწავლა სხვაგანაც დასტურდება [113]. ამგვარად, აქ ოსტატობა-

---

15 ტერმინი „ჩამყოლი“ ზემოთ მოცემული გაგებით ნახმარი აქვს ალ. შარაბიძეს და ს. მერკვილაძეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აფრ. მერკვილაძის ნაშრომი, სადაც საინტერესოდ არის აღწერილი იმერული დატირების მთელი პროცესი. ავტორი გამოპყოფს ტერმინებს და იქვე იძლევა მათ განმარტებას. „ჩამყოლთა“ გარდა მას მოეპოვება ტერმინი „მეკრე“. მეკრეები იმ ორ კაცს ერქვა, რომლებიც კარებში იდგნენ და მოტირალთა შემოსვლას აწესრიგებდნენ [58]. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს მეფეებს თავიანთი „საწოლის მეკრე“ ჰყოლიათ [31].

მეგირდობის სკოლასთან გვაქვს საქმე. სოფელში მოზარე ისეეე ნახევრად პროფესიონალი ჩანს, როგორც მესტვირე, თუმცა მესტვირე ფულს იღებს, მოზარე კი პურმარილით კმაყოფილდება. მაგრამ შორს მანძილზე მოზარეთა წაყვანის შემთხვევაში მათაც უძღეოდათ ფულადი გასამრჯელო.

ზარის უძველესობისა და წარმართულობის შესახებ არაერთი მკვლევარი მიუთითებს [2, 90-95]. მაგრამ ამ სიმღერის წარმომავლობაზე ჯერჯერობით საფუძვლიანი გამოკვლევა არ არსებობს.

*

* *

გლოვის ინსტიტუტთან დაკავშირებით გვაქვს ერთი ნაკლებად ცნობილი ტერმინი — „ზრუნი", რომელიც ჯერ კიდევ იხმარება მთის რაჭის ცოცხალ მეტყველებაში მეტად თავისებური და საინტერესო სამგლოვიარო სიმღერის აღსანიშნავად. მის შესახებ ცნობები მეცნიერულ ლიტერატურაში თითქმის არ მოიპოვება. პროფ. ს. მაკალათიას წიგნში „მთის რაჭა" იგი გაკვრითა აქვს მოხსენიებული. პროფ. ქ. სიხარულიძე „ზარსა" და „ზრუნს" მოთქმის აღმნიშვნელ ტერმინებს შორის ათავსებს, ხოლო „ზრუნი" კუთხურ ტერმინად მიაჩნია [74, 76]. „ზრუნი", როგორც ლიტერატურული სიტყვა და მუსიკალური ტერმინი, ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანს აქვს ფიქსირებული თავის ცნობილ ლექსიკონში, შემდეგ კი აკად. ივ. ჯავახიშვილს [120, 303—306]. პროფ. ე. ვირსალაძე წერს: „დატირებას რაჭაში ზრუნს უწოდებენ" [29, 52]. სიტყვა „ზრუნი" ცნობილია მარტო მთის რაჭისათვის, რომელშიც მხოლოდ სამი სოფელი შედის: გლოლა, ღები და ჭიორა. ამჟამად ამ ტერმინს ძირითადად ღებში ხმარობენ, გლოლაში კი ზრუნის შესატყვისად „შაირი" გამოიყენება. მთლიანად რაჭაში დატირების აღმბეველ ტერმინად „ტირილია"[16] მიღებული, ხოლო ზრუნი მარტოოდენ სამგლოვიარო სიმღერას ჰქვია, ისიც ერთ მიკროორაიონში.

საბას „ზრუნი" გოდებაში ერთ-ერთი ხმის, სახელდობრ ბანის გამომხატველად მიაჩნია. აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, დაბალი ხმა-ბანი საფუძველია მრავალხმიანობისა, ხოლო „ადამიანის ხმაშეწყობილობის უმარტივეს და უძველეს სახესხვაობას ქართული გოდებისა და ტირილის ზრუნი წარმოადგენს" [120, 333]. აქედან გამომდინარე, მუსიკალური ტერმინი „ზრუნი" გოდების ანუ

---

[16] ჩვენს მიერ მითითებულ XIX ს. პერიოდიკაში ტირილის (დატირების) გამოსახატავად ხშირად იხსენიება „გამოტირალი", ზოგჯერ ეს ტერმინი უფრო ზოგადი ხასიათისაა და მიცვალებულის სხვა რიგებსაც გამოხატავს.

ᲬᲬუხარების გამომხატველი, ჩამონაკვთილი ვოკალური ხმიანობის (ჩვენი გაგებით სამგლოვიარო სიმღერის) ორგანული ნაწილია და შემთხვევითი არ არის, რომ იგი სამგლოვიარო სიმღერის სახელად ქცეულა. ამ სიტყვის მთის რაჭაში შემორჩენა კი ბუნებრივია, ეს კუთხე ხომ ცნობილია თავისი დიალექტის არქაულობით [109].

ძველ ლიტერატურულ წყაროებში, ჯერჯერობით, ზრუნს ვერ მივაკვლიეთ. აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: „სამწუხაროდ მე-17-ს-ზე უწინარესი ძეგლები, რომელშიც ქართული გალობა-სიმღერის ხმების სახელები გვხვდებოდეს, ჯერ ცნობილი არ არის“ [120,59]. ამ მხრივ დიდი მეცნიერის გარდაცვალების შემდეგაც, მაინცდამაინც, არ გაუმჯობესებულა მდგომარეობა. ალ. ჭინჭარაულს მონოგრაფიაში „ხევსურულის თავისებურებანი“ ერთი ჩვენთვის მეტად საინტერესო ცნობა მოეპოვება: „მსხვილფეხის ხმამაღალ ხმიანობას ყვირილი ეწოდება, ხმადაბალს ზრუნი“ [114, 233]. საფიქრებელია, რომ ხევსურულმა დიალექტმა სიტყვა „ზრუნის“ თავდაპირველი მნიშვნელობა შემოგვინახა. პრინციპში სულხან-საბა ორბელიანისა და ივანე ჯავახიშვილის მიერ მუსიკალურ ტერმინად აღიარებული ზრუნი დაბალი, გაბმული ხმიანობაა და მეტი არაფერი. შესაძლებელია, დროთა განმავლობაში ზრუნის დაბალი ხმა ისე დაწინაურდა, რომ უმთავრესი როლი ითამაშა მწუხარების ვოკალური საშუალებით გამოხატვაში. იგი ხომ „ადამიანის ხმაშეწყობილობის უმარტივესი და უძველესი სახეობაა“. თავის დროზე, ალბათ, სამგლოვიარო სიმღერასაც დაერქვა, რაც ცოცხალ მეტყველებაში მთარაჭულმა შემოინახა.

არსებითი სახელი „ზრუნი“ თავის მხრივ გენეტიკურ კავშირში უნდა იყოს ზმნა „ზრუნვა“-სთან. „ზრუნვა“ ქართულ ოთხთავში თანამედროვე გაგებით იხმარება: „არას ზრუნავ არავისთჳს“ (მ. 22, 16); „ხვალემან იზრუნოს თავისა თჳსისაჲ (მ. 6,34); „ნუ წინასწარ ზრუნავთ, რსა იტყოდით“ (13, 11C) [34, 212].

„ზრუნვა“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასეა ახსნილი: „მოვლა, პატრონობა, ამაგის გაწევა-მზრუნველობა“. ჩვენი ვარაუდით, ამ სიტყვამ მითითებული შინაარსი სამგლოვიარო სიმღერიდან მიიღო. ეფიქრობთ, მაშინ, როდესაც სამგლოვიარო სიმღერა სულის „საოხ“, დიდ სასიკეთო, საქველმოქმედო საქმედ იქცა, მისი აღმნიშვნელი უძველესი ტერმინი განზოგადდა და წარმოშვა ზემოთ ხსენებული ზმნა. შემდგომ „ზრუნვას“ სხვა მნიშვნელობა მიუღია, კერძოდ „რუსუდანიანზე“ დართულ ლექსიკონში იგი ასეა განმარტებული: „ზრუნვა... დარდი, წუხილი, მწუხარება,

ურვა". აქ უკვე ამ სიტყვას გლოვის ინსტიტუტში ვხვდებით, რაც ბუნებრივად მიგვაჩნია[17].

ახლა ჩვენს მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების[18] საფუძველზე განვიხილოთ სამგლოვიარო სიმღერა „ზრუნი". ეს სიმღერა მთის რაჭის ყველა სოფელში ერთნაირად სრულდება, სასიმღერო რეპერტუარშიც არ არის არსებითი განსხვავება.

მთის რაჭაში მიცვალებულის კულტი, ჯერჯერობით, არავის შეუსწავლია, მხოლოდ პროფ. ს. მაკალათიას მოეპოვება მცირეოდენი ცნობები [53, 56—57]. მკვდარს მარტო ერთ ღამეს ათევინებდნენ სახლში[19]. მეორე დღეს იმართებოდა ტირილი და გასვენება. ამ დროისათვის მოიწვევდნენ „ზრუნის დამძახებლებს". ადრე „მეზრუნენი" ბევრი ყოფილან, 1960 წ. კი რამდენიმე მათგანიღა იყო დარჩენილი; სოფ. გლოლაში: შრუშანა ივანეს ასული ბერიშვილი (75 წ.), ფროსინა ქიტოს ასული ბაკურაძე (73 წ.), თეკლე თევდორეს ასული გიორგაშვილი (70 წ.), სოფ. ღებში: ფროსინა სვიმონის ასული გავაშელი (80 წ.), თეკლე ღათეს ასული ლობჯანიძე (68 წ.), ელისო ღათეს ასული ლობჯანიძე (82 წ.), ნათელა ივანეს ასული ლობჯანიძე (80 წ.),

ჭიორაში ზრუნის მცოდნე ვერავინ გამოვაელინეთ, ამიტომ მასალები, ძირითადად, ღებსა და გლოლაში შევკრიბეთ.

ზრუნის თქმა მამაკაცებსაც სცოდნიათ, მაგრამ მიცვალებულის დატირების პროცესში ქალთა გუნდს ჰქონია უპირატესობა. ელისო ლობჯანიძის ცნობით, მამაკაცი მხოლოდ მაშინ იტყოდა „ზრუნის შაირს", როცა მისი ახლობელი ნათესავი, „გულსაწვავი" ვინმე გარ-

---

17 სულხან-საბას განმარტებით: „ზრუნვა (6.25 მათე) შიში დაცემისა, გინა ნაღვლიანსა". გავიცნოთ თვით ტექსტი: „ამისათვის გეტყჳ თქუჱნ: ნუ ჰზრუნავთ სულისა თქუჱნისათვის, რაჲ ჰსჭამოთ და რაჲ ჰსუამოთ, ნუცა ხორცთა თქუჱნისათჳს, რაჲ შეიმოსოთ, ანუ არა სული უფროს არს საზრდელისა და გუამი სამოსლისა" [32, 10]. ჩვენი აზრით, „ჰზრუნავთ" ნახმარია თანამედროვე გაგებით. „შიში დაცემისა, გინა ნაღვლიანსა" აქ არ ჩანს, მხოლოდ ნათქვამია, რომ ნუ იზრუნებთ მარტოოდენ ჭამისა და შემოსვისთვის, სული უფრო მთავარია საკმელსა და ტანსაცმელზეო. ამის შემდეგ „ზრუნვა" თითქმის ყველა მუხლშია ნახმარი (მეშვიდე თავამდე), რაც ნაწილობრივ მოტანილი გვაქვს ზემოთ, მაგრამ ამ სიტყვის საბასეული გაგება ვერსად დავადასტურეთ.

18 მასალებს ვაგროვებდით 1960 წ. სექტემბერ-ოქტომბერში.

19 ეს წესი ადრე მთელ რაჭაში ყოფილა გავრცელებული. სოფ. ტოლაში (ამბროლაურის რაიონი) მცხოვრები, XIX ს. ცნობილი კორესპონდენტი ქაიხოსრო გელოვანი „მწყემსში" (1887, № 12) გამოქვეყნებულ წერილში ჩიკვის: გლეხობა მკვდარს გარდაცვალების მეორე დღესვე ასაფლავებსო და მღვდლებს მოუწოდებს „მდაბიოთ" უქადაგონ, რათა ქრისტიანული წესით, გარდაცვალების მესამე დღეს მიაბარონ მიცვალებული მიწას.

დაიცვლებოდა. ზოგჯერ ზრუნს ქალთა და მამაკაცთა შერეული გუნდი ასრულებდა. „ზრუნვის დაძახება“ მეტად საპატიო, მიცვალებულის სულის „გასანათლებელ“ საქმედ ითვლებოდა. „ისეთი ზრუნი უთხრეს ნამდვილად უკვდავიაო“ — იტყოდნენ ზოგჯერ მსმენელები. ჰირისუფალი ყოველთვის იმის ცდაში იყო, როგორმე კარგ მომღერლებს „დაემშვენებინა“ მისი მიცვალებული[20]. ზოგიერთი სიცოცხლეშივე ირჩევდა მეზრუნეებს და იბარებდა მათ მითხრან ზრუნიო. დედისა და მამის გარდა, ყველა ახლობელს შეეძლო „ზრუნის დაძახება“. ნათესაობა-ახლობლობა აუცილებელი ყოფილა, თეკლე ლობჯანიძის გადმოცემით „მარტო მოკეთეებთან მიდიან ზრუნის სათქმელად“. გასამრჯელოს მეზრუნენი არ იღებდნენ, ოღონდ მიცვალებულის რიგზე მათ ყოველთვის იწვევდნენ და საპატიო ადგილსაც უთმობდნენ. იმ მეზრუნის მიმართ, რომელიც კარგ ხმას და მდიდარ სასიმღერო რეპერტუარს ფლობდა თანასოფლელები მოწიწებით და პატივისცემით იმსჭვალებოდნენ. დატირებაზე მისგან ნათქვამი სიმღერის ზემოქმედება დიდხანს არ ნელდებოდა და მოსაგონრად რჩებოდა. განსაკუთრებული ტანსაცმელი ზრუნის მთქმელებს არ ეცვათ, ოღონდ აუცილებელი იყო „თავდახურვა“ და სუფთად, ლამაზად ჩაცმა. საერთოდ, ზრუნის თქმა „სნეში ჩამღგარ“ მანდილოსანს „შვენოდა“. იმის გარდა, რომ ზრუნი მიცვალებულის სულისათვის სასარგებლო იყო, იგი შთამაგონებლად მოქმედებდა მსმენელებზე. „როცა ზრუნს ვყურობ, ასე მგონია თავად ღმერთი მელაპარაკებაო“ — გვითხრა 90 წლის გლოლელმა მოხუცმა იასონ ჯიქიშვილმა.

ზოგიერთი მთხრობელის მტკიცებით, ზრუნის მოვალეობაა „სიმწრის კურცხალი შეაშროს ჰირისუფალს“, ზოგი პირიქით აცხადებს: კარგმა მეზრუნემ ისეთი შაირი უნდა თქვას, რომ მსმენელებს „მოეჟმაროს, მოეკოტოს გული“, ჰირისუფალი ხომ მთლად „თმებს უნდა იწიწკნიდეს“ და ცრემლად უნდა იღვრებოდესო.

ძველად ერთი მიცვალებულის დატირების ჟამს რამდენიმე გუნდი ყოფილა. ამჟამად კი ცოტანი დავრჩით, „ერთ ჯერად აღარ ვკმარვართო“ — სინანულით აცხადებდნენ ზრუნის თქმის ოსტატები. სხვათა შორის, ისინი ძალზე წუხან და განიცდიან ეს სიმღერა ყოფიდან რომ გამოდის. დიდია მათი სინანული: „ახალგაზრდები არ სწავლობენო, — ჩივიან, — ჩვენ ყველა კვტარს ვემსახურებით, დავიხოცებით და ძაღლებივით უზრუნოთ ჩაგვყრიან მიწაშიო“.

ზრუნს მოსმენით ითვისებდნენ, მაგრამ მას ზარის მსგავსად

---

20 ხევსურეთში მსგავს მოვლენაზე ეუთითებდით ზემოთ.

საგანგებოდაც სწავლობდნენ. ფროსინა ბაკურაძე ახლაც სიამოვნებით იგონებს თავის პაპას, რომელიც თურმე ზამთარში კერასთან „ყვერბზე“ თავს მოუყრიდა შვილიშვილებს და მოუთხრობდა თქმულებებს, ზღაპრებს, ლეგენდებს, ლექსებს და ასწავლიდა სიმღერებს. „ი ცხონებული ზრუნსაც ქვე გვათქმევინებდა მე და ჩემ დასო“. მაგრამ უმეტესად ზრუნის შესწავლა „მთის ნაწილის“ მოპოვებისას ხდებოდა. „თვედამპალში“ — ივნისში ქალები მიდიოდნენ ალპურ საძოვრებზე, აგროვებდნენ მუყუდოს, მდუსს, მდიყს, ყარდიმელას და სხვ. ნორჩ ყლორტებს, რომელთა ჭამა მხოლოდ გაფცქვნის შემდეგ შეიძლებოდა, აქედან მათ „საფცქვნელი“ დარქმევია. „მთის ნაწილში“ შედის აგრეთვე ფხალეული: ქალაკოდა, ლატი, მეკენძალა...; სოკო — მაჭკვნარა; ხილეული: ჟოლო, მოცვი, ძახველი (მძახველი) და სხვა. ყოველივე ამის შეგროვება ხდებოდა ახალგაზრდა ქალების მიერ შესაფერის დროს. მთაში ისინი, ჩვეულებრივ, „ღამიმთევ“ მიდიოდნენ. მიჰქონდათ საგზალი. ამასთანავე, მათ მიჰყვებოდნენ ნათესავი ვაჟები ტვირთის საზიდავად და დამცველებად. მაშინ, როდესაც ქალები „მთის ნაწილის“ შეგროვებას შეუდგებოდნენ, ვაჟები დაიწყებდნენ ღამის გასათევი ბინის შემზადებას. შეშას მოზიდავდნენ, საღამოთი კოცონს გააჩაღებდნენ, მწუხრის ჟამს ცეკვა-თამაში იმართებოდა. ამ დროს ერთ-ერთ ვაჟს ხუმრობით დააწვენდნენ, ჭირისუფლებივით მიუსხდებოდნენ და მოთქმა-ტირილს დაიწყებდნენ, შემდეგ როცა ყველა დაჩუმდებოდა, სიმღერის მცოდნენი ზრუნს იწყებდნენ. ვაი მისი ბრალი, ვისაც შეეძლებოდა, ქოქოლას დააყრიდნენ, გაამასხარავებდნენ, ამიტომ ყველა ცდილობდა შეუცდომლად ემღერა. ბევრი მომღერალი თურმე ზრუნის თქმას ასეთ დროს სწავლობდა.

დატირების პროცესში მეზრუნენი ყოველთვის მიცვალებულთან ისხდნენ, უფრო თავის მხარეს, კარისაკენ ზურგშექცევით, ჭირისუფლის პირისპირ. მათი რაოდენობა, მოზარეთა მსგავსად, სამზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, ბანის მთქმელები 4—5 კაცზე ზევით აღარ შეიძლებოდა, „მეტი ბანი აღარ შვენის, ხმა აღარ იყურება“ — აცხადებენ მთხრობლები. თუ ზარი მოთქმისას იმღერება და ტირილისათვის ფონს ქმნის, ზრუნი პირიქით, სწორედ მაშინ ითქმება, როცა სიჩუმეა, მოტირალი და ჭირისუფალი ტირილით „გამაძღარია“. ასეთ დროს ვინმე უფროსთაგანი მიმართავს მთავარ მეზრუნეს ე. ი. დამწყებს:

— აბა, ზრუნი უთხარით ამ საცოდავს, თქვენი ჭირიმეთ!

მომღერლები ცოტახანს იყუჩებენ, მერე „დამძახებელი“ ნელი ხმით დაიწყებს, შაირის ერთ სტროფს რომ იტყვის, მიჰყვება „მიმ-

ძახებელი“, რომელსაც სიმღერა თანდათან მაღალ ტონალობაში აჰყავს. რეფრენის შეწყობის ჟამს აგუგუნდებიან „ბანის მთქმელები“:

„შავ კლდესა შავი ყორანი
ჩავა და ჩაექროლება,
ეო ეოი, ჰო, ჰეი, ოჰო...
გაძღება შავი ლეშითა,
აშოსელა დაეზარება,
ჰუ, ჰე, ჰო, .ო, ეო, ეოი, ჰო, ჰო...“

ზრუნის სახით სამგლოვიარო ჟანრის სამხმიან სიმღერასთან გვაქვს საქმე. საჭიროა, სანამ იგი ყოფიდან არ გაქრალა, შესწავლილ იქნეს მუსიკათმცოდნე სპეციალისტების მიერ[21]. ვფიქრობთ, ჩვენს მუსიკალურ ფოლკლორში ეს სიმღერა საპატიო ადგილს დაიჭერს.

ხელოვან მეზრუნედ ითვლება ის, ვისაც შეუძლია „დაძახება“ და „მიძახება“. დატირებაში წინასწარ არჩეული ბანის მთქმელებით არ მიდიან, იქვე სახელდახელოდ გამონახავენ მოხალისეებს. მაგრამ ბანის გარეშე ზრუნს არასდროს არ ამბობენ, ე. ი. სიმღერის პროცესში ბანი აუცილებელი და სრულფასოვანი ხმაა.

გასვენებისას გზაში ზრუნს მხოლოდ მოხუც მიცვალებულს ეუბნებიან. სამარის პირას უკვე აღარ „ზრუნავენ“, აღარც მიცვალებულის შემდგომ რიგებზე იციან ზრუნის თქმა. მეზრუნენი „ჭურჭელს“ ჭირისუფლის შემდეგ მიჰყვებიან. ზრუნის შესრულების დროს მუსიკალურ საკრავს არ იყენებენ. ძველად მკვდრის დატირებაზე მომღერლები მარტო ზრუნით არ იფარგლებოდნენ, ასრულებდნენ თურმე იავნანასაც, მეტადრე ახალგაზრდა ქალი ან ბავშვი თუ იყო გარდაცვლილი. მთხრობელთა გაღმოცემით, ადრე „საზრუნავად“ მთის რაჭის გარედაც მიდიოდნენ. ეს მაშინ, როდესაც ახლომახლო სოფლებში მოყვარე ან ნათესავი მოუკვდებოდათ. მაგალითად, ზემო რაჭაში ბევრ ღებელ მეზრუნეს უსახელებია თავი. თვით შთის რაჭის შიგნით ადგილი ჰქონია სხვადასხვა სოფლის მეზრუნეთა შეჯიბრებას. გამარჯვებული ის გამოდიოდა, ვინც კეთილხმოვანი სიმღერით მეტ აზრიან ლექსს იტყოდა.

ზრუნის სასიმღერო რეპერტუარს ის ფლობს, ვინც მისი შესრულების ოსტატია. შინაარსობლივად და მუსიკალურად გამართული ლექსები თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

---

21 „ზრუნი“ 1958 წ. ივლისში პროფ. გ. ჩხიკვაძეს სოფ. გლოლაში ჩაუწერია. იმედია ამ სიმღერის მუსიკალური რაობის შესახებ პატივცემული პროფესორი იტყვის თავის სიტყვას.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების ანალიზს იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ სამგლოვიარო სიმღერა ქართველი ხალხის უძველესი კულტურული მონაპოვარია. მან განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო — მარტივი რეჩიტატივიდან რთულ მრავალხმიანობამდე. ამ ჟანრის სიმღერათა წარმოშობის მთავარი საფუძველი მიცვალებულის კულტის ჩასახვა-განვითარებაშია საძიებელი.

და ბოლოს გვინდა დავძინოთ, რომ ხშირად მკვლევრები სამგლოვიარო სიმღერის აღმნიშვნელ ტერმინებს ურევენ დატირებაში, საზოგადოდ ტირილში. დატირება ფართო ცნებაა და მოიცავს სამგლოვიარო სიმღერასაც. თვითონ სამგლოვიარო სიმღერა დატირებაში შემავალი ვოკალური ერთეულია და საჭიროებს მიცვალებულის რიგის საერთო პროცესიდან გამოყოფას, მაშასადამე, ცალკე შესწავლას.

§ 3. დღეს შველა შეიძლება, ხვალ გვიან იქნება

ლენინგრადში, საბჭოთა კავშირის ხალხთა მუზეუმში გამართულ საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე, ჩვენი რესპუბლიკების წარმომადგენელთა გარდა, მონაწილეობდნენ სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების (ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი) წამყვანი მეცნიერები. ეს იყო ხალხთა მეგობრობის ჰეშმარიტი ფორუმი, სადაც მეცნიერულ-თეორიული საკითხების გვერდით მრავალი სადღეისოდ გადასაწყვეტი პრაქტიკული პრობლემა წამოიჭრა. ამათგან უმთავრესი იყო ხალხური გამოყენებითი ხელოვნების თანამედროვე მდგომარეობა. ჩეხი პროფესორის ლუდვიგ კუნცის მოხდენილი თქმით, თანამედროვე ცივილიზაცია იმ მანქანას გავს, რომელიც გზატკეცილზე ასფალტს ტკეპნის და ყოველივეს ასწორებს. მუზეუმის მუშაკები და ეთნოგრაფები წინ უნდა უძღოდნენ მას და წარსულის ყოფის ლამაზ, სურნელოვან ყვავილებს მომავალ თაობებს უნარჩუნებდნენ. მართლაც დიდი მოვალეობა აკისრიათ იმ სწავლულთ, რომელთაც შესწევთ უნარი შეიცნონ და შეაფასონ ძველი რეალიების თანამედროვე პირობებში არსებობისა და გამოყენების შესაძლებლობა. პროფესორმა კუნცმა ისიც გვაუწყა, რომ მორავიაში 1970 წ. გარდაიცვალა უკანასკნელი სახალხო მეთუნე და ამით ჩეხოსლოვაკიაში შეწყდა შთამომავლობით კერამიკოსთა სკოლის არსებობა. სამაგიეროდ პროფესიონალი მხატვრები აგრძელებენ მათ საქმეს და მკაცრად იცავენ ხალხური, ტრადიციული ფორმების სიწმინდეს. მაგრამ ბრნოს ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი კუნცი სინანულს ვერ ფარავდა, ხალხური

გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი უკანასკნელი კერის ჩაქრობის გამო.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენთან — საქართველოში? როგორია ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ბედი? აი, კითხვები, რომლებიც კარგა ხანია გვაწუხებს და შეეეცდებით შეძლებისდაგვარად გავცეთ პასუხი. მოტანილი მასალა სრული არ იქნება, მაგრამ მკითხველს ერთგვარ წარმოდგენას მაინც შეუქმნის.

ქართულ ხალხურ „გემოყენებით ხელოვნებას" თუ „მხატვრულ რეწვას" მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს. მისი ფესვები ჩვენი ისტორიის სიღრმეში იკარგება და ხანგრძლივი, განსაკუთრებული კვლევა-ძიებაა საჭირო მათ გამოსავლენად. საერთოდ, ხელოვნების ეს დარგი საქართველოში საგანგებო, მეცნიერული შესწავლის საგნად იშვიათად გაუხდიათ და დღემდე ამაოდ მოელის მოჭირნახულეს [132].

ჩვეულებრივ, ხალხურ გამოყენებით ხელოვნებას „ოჯახური მრეწველობის" ან „შინამრეწველობის" სფეროში ათავსებდნენ და ამდენად მისი უტილიტარული მხარე აინტერესებდათ, ხოლო როგორც ხელოვნების დარგს ყურადღება ნაკლებად ექცეოდა. ეს მდგომარეობა მეტ-ნაკლებად ახლაც გრძელდება. ბუნებრივია, ახლა ამ ხარვეზს ვერ შევავსებთ, ჩვენი მიზანი მხოლოდ საკითხის დასმაა.

„ოჯახური მრეწველობა" და მისი შედარებით განვითარებული სახე „შინამრეწველობა" სპეციალურ ლიტერატურაში განიხილება როგორც მრეწველობის ჩანასახოვანი, პრიმიტიული ფორმა, რომელიც დამახასიათებელი იყო ჩამორჩენილი, ნატურალური მეურნეობისათვის და თითოეულმა მათგანმა კაპიტალიზმამდე მოაღწია, როგორც რუტინულმა გადმონაშთმა. ასეთ ფონზე გასაგებია ხალხური გამოყენებითი ხელოვნების სავალალო ბედი, როცა მას ოჯახურ ან, უკეთეს შემთხვევაში, შინამრეწველობად თელიდნენ და, აქედან გამომდინარე, დღესაც კი ამ საქმის მესვეურებს კერძო, რიგით ხელოსნებსავით ბეგრავენ.

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ხელოვნება ადამიანთა სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება, ხოლო ხელოსნობა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა თუ წარმოების სხვა სფერო, ძირითადად, უტილიტარულ მიზნებს ისახავს. მაგრამ გამოყენებითი ხელოვნება ითავითვე მტკიცედ იყო შერწყმული ყოველდღიურ მოთხოვნილებასთან, ამიტომ ყოველთვის უჭირდათ გაერჩიათ ამ საქმეში ნამდვილი ხელოვანი ხელოსნისაგან, შემოქმედი — მუშისაგან. ადამიანის ხატოვანი აზროვნება მისი ჩასახვის პირველ ეტაპზეევე ფართო, მრავალმხრივი და დაუსაბამო იყო. ზო-

გი სიტყვა კაზმულობაში და მუსიკაში ავლენდა „ზეშთაგონებულ ნიჭს“, ზოგი ქვას ამღერებდა, ან რაიმე ნივთში აცოცხლებდა მხატვრის დაუდგრომელ სულს. პოეტები, მუსიკოსები და მისთანანი იმ-თავითვე აიყვანეს ხელოვნების მეშვიდე ცაზე, ნივთებისაგან პოეზიის შემქმნელნი კი დღესაც არ არიან აღიარებულნი. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, რომელ მათგანს რა ნიშნის მიხედვით დავადგათ ხელოვანის დაფნის გვირგვინი. მათთვის, ჯერჯერობით, შესაფერისი სახელიც ვერ გამოგვინახავს, ხან ხელოსნებს ვეძახით და ხან შინამრეწველებს.

ამ სტრიქონების დაწერამდე ბევრი ვიფიქრეთ, რა ტერმინი გვეხმარა, ბოლოს შეთხზული თუ ნასესხები გამოთქმა „გამოყენებითი ხელოვნება“ ვარჩიეთ; მაგრამ გულს გვაკლია, ნუთუ ქართულში არ გვაქვს უფრო მარჯვე, შესაფერისი სიტყვა? მერე და, ხელოვნების ეს დარგი რა მდიდარი, რა მრავალფეროვანი იყო ჩვენში. ქართველთა ნაოსტატარი ხომ ევროპას, ინდოეთს და სხვა შორეულ ქვეყნებსაც აღწევდა. ქართული ნაქარგობანი და მეტადრე ოქრომკედი მთელ მახლობელ აღმოსავლეთში პირველობდა ღ> მაღალ ფასებში იყიდებოდა [128, 334]. ამ საქმის სწორუპოვარი ოსტატი თვით თამარ მეფე იყო. მემატიანე იუწყება: „ხელსაქმარი მისი განიყიდის და ეგოდენი ფასი გლახაკთა მისცის და ორა სამეფო შემოსავლისაგან“. ქვრივ-ობოლთა და გლახაკთა საბოძვარი სახელმწიფო ხაზინიდან კი არ უნდა გაცემულიყო, არამედ საკუთარი ნაჯაფ-მონახვეჭისაგან [121, 141]. სახელმწიფო საქმეებიდან თავისუფალ დროს, თამარი თავდაუზოგავად შრომობდა, რათა სამოწყალოდ გასაცემი თანხა ჰქონოდა. სხვათა შორის, ხეთური კანონების მიხედვით, ქსოვაში დახელოვნებული ხალხი სხვა საქმისაგან მთელი სახლობით თავისუფალნი იყვნენ [21, 142].

მხატვრული რეწვის ტრადიცია საქართველოში კარგა ხანს ცოცხლობდა. 1887 წ. გაზეთი „ივერია“ (№ 80) გვამცნობს: დაბა ლანჩხუთში „ჰნახავთ ლამაზ ქალების ხელში გასაყიდად გამოტანილ მშვენიერ ნახელავს, თუ დარაიებს და თუ აბრეშუმის წამოსასხამებს, თავ-საფრებს, ქისებს, ყაბალახებს და აბრეშუმ ნარევ შალებს და სხვა. რომ ვერ დაიჯერებთ, თუ ისინი მართლა მათი ნახელავია და მათის ხელის ნამოქმედარი. დღეს ვნახე ერთის გასათხოვარის ქალის ხელში საუცხოვო ნახელავი სათუთუნე ქისა მოქსოვილი ხელოვნურად, რომელიც თვითონვე მოექსოვა თავის საკუთარის თმისაგან. არაერთხელ გამიგონია რკინის გზით გამვლელ ევროპელ მოგზაურთაგან“ ადგილობრივ ნახელავთა ქება-დიდებაო.

დიახ, ეს იყო XIX ს. დამლევს, ამჟამად კი ქართველ ქალთა მხატვრული ხელსაქმე თითქმის დავიწყებულია.

ცარიზმმა დროულად იგრძნო კავკასიური გამოყენებითი ხელოვნების უდიდესი მნიშვნელობა და მის ძარცვაში დიდი გულმოდგინება გამოიჩინა. სამეფო კარი, დიდებულები, ევროპელი თუ ამერიკელი ანტიკვარული ნივთების მოყვარულნი, ყოველი ჯურის კაპიტალისტი თუ ავანტიურისტი ერთმანეთს ეჯიბრებოდა კავკასიურ „ეგზოტიკურ ნახელავთა“ დატაცებაში. ჩალის ფასად მიჰქონდათ ძვირფასი ნაკეთობანი, მათი შემქმნელი დიდოსტატები კი არავის ახსოვდა. ასე გრძელდებოდა თითქმის მთელი XIX საუკუნე, მაგრამ 1899 წ. თბილისში შეიქმნა „შინამრეწველობის კავკასიური კომიტეტი“[22], რომელმაც სასარგებლო მუშაობა გასწია, გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი ადგილობრივი „შინამრეწველობის“ შესასწავლად და ასაღორძინებლად. დაარსდა საჩვენებელი, სასწავლო სახელოსნოები (თბილისში, ბაქოში, შუშაში, სტეფანწმინდაში, ოზურგეთში და სხვ.). მენოხეობა-მეაბრეშუმეობის ძველი კულტურის აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით განსაკუთრებით აღსანიშნავია 1907 წ. გახსნილი „სამხატვრო სახელოსნოს“ საქმიანობა, „რომლის მიზანი იყო თავმოყრა, შესწავლა და აღდგენა ძველებური ადგილობრივი ორიგინალური ხალხური ორნამენტებისა და ამათი კიდევ ჩანერგვა შინამრეწველთა ნაკეთობაში. ეს საჩქარო საქმედ იქნა მიჩნეული, რადგან „კავკასიის ხალხთა ძველებური ორიგინალური ორნამენტები სწრაფად ქრება, შედეგად იმისა, რომ საზღვარგარეთ გააქვთ მხატვრულის თვალსაზრისით ყველა განთქმული ძვირფასი ძველებური შინამრეწველური ნაკეთობანი“ [24, 113].

კომიტეტი იღვწის აგრეთვე ილეკროს ნაკეთობათა, მეთუნეობის, წნული ჭურჭლის და დგამ-ავეჯის ხალხური წარმოების გამოვლენა-გამოცოცხლებისათვის. ადგილზე აგზავნის გამოცდილ სპეციალისტებს, რომლებიც არა მარტო სწავლობენ ხალხის შემოქმედებას, არამედ დაინტერესებულ პირებს ასწავლიან კიდეც მამა-პაპიდან მომდინარე უკვე დავიწყებულ საქმიანობას. „კომიტეტს ჰქონდა შინამრეწველობის მუზეუმი (1913 წლიდან), რომელიც ემსახურებოდა ასევე წმინდა პრაქტიკულ მიზნებს. კომიტეტი რუსეთსა და უცხოეთის (ტურინის — 1911 წ.; მოსკოვის — 1912 წ.; პეტერბურგისა და ლონდონის — 1913 წ.; ბერლინის — 1914 წ.) გამოფენაზე აგზავნიდა ადგილობრივი შინამრეწველობის ნაკეთობათ, რათა გაეფართოვებინა მათი ბაზარი“ [24, 113-4]. კომიტეტი ნედლეულით

22 ა. ფირალოვის ცნობით, კომიტეტი 1900 წ. ბოლოს შეიქმნა [149,3].

ამარაგებდა ოსტატებს და ცდილობდა მათი ნაწარმის გასაღებას. რა თქმა უნდა, აქ გამორიცხული არ იყო ექსპლუატაცია, რაც მაშინდელი წყობილების ბუნებიდან გამომდინარეობდა. ავრეთვე ადგილი ჰქონდა ქართული ეროვნული ინტერესებისადმი ერთგვარ ნიჰილიზმს და ქართული ბურჟუაზიის იგნორირებას, რაც, ბუნებრივია, ამ უკანასკნელის უკმაყოფილებას იწვევდა. მიუხედავად ამისა, „შინამრეწველობის კავკასიური კომიტეტის“ საქმიანობა საგანგებო შესწავლას საჭიროებს, იქნებ დღესაც გამოგვადგეს მისი გამოცდილება.

1916 წ. გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა აკად. ივ. ჯავახიშვილმა საქართველოში მოღვაწე ეროვნულ საზოგადოებებს ასე განუსაზღვრა მოქმედების ასპარეზი: „საისტორიო-საეთნოგრაფო საზოგადოება საქართველოს ყველა კუთხეში საეთნოგრაფო მასალებს და შინამრეწველობის ნიმუშებს შეაგროვებდა და თავის მუზეუმში თავს მოუყრიდა, რომ მათი შესწავლა ადვილი იყოს. რასაკვირველია, ამისათვისაც შემკრებთათვის ცალკე სამოქმედო გეგმისა და სახელმძღვანელო დარგების შედგენაა საჭირო.

ქ-ლ ხელოვანთა საზოგადოებამ თავის მხრივ უნდა ამ მასალების მხატვრული შესწავლა იკისროს, მოყვანილობისა და სახეების მხრივ და თანდათან ქართული მხატვრული შინამრეწველობის განახლებისათვის საჭირო სახეების ნიმუშები და სამაგალითო ესკიზები შეადგინოს.

ხოლო ქ-ლ სამეურნეო საზოგადოებამ უნდა საეთნოგრაფო მასალების და შინამრეწველობის ნიმუშების ტექნიკური შესწავლა იკისროს, ნამუშევრის მასალის თვისებები და ხელოსნური ტექნიკა, მათი ღირსება-ნაკლოვანება გამოიკვეთოს და თანაც ქ-ლი მხატვრული შინამრეწველობის განახლების და შესაქები ყველა ტექნიკური საკითხები გაითვალისწინოს და მათი საბოლოო განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური მხარეც გამოარკვიოს“ [122, 45].

აღნიშნულმა საზოგადოებებმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იარსებეს და მრავალი სასარგებლო საქმე გააკეთეს, მაგრამ ქართული ხალხური გამოყენებითი ხელოვნების მეცნიერული შესწავლისათვის, მაინცდამაინც, ბევრი არაფერი შეუმატებიათ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიწსახკომთან 1926 წლამდე იყო „შინამრეწველობის განყოფილება“, რომელიც შემდეგ სარეწაო კოოპერაციას გადაეცა, ამით თავის მიზანს ასცდა და მალე გაუქმდა კიდეც. 1937 წ. საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლთან ჩამოყალიბდა ქართული ხალხური ხელოვნების მუზეუმი, შემდეგ კი — ქარ-

თული სახვითი ხელოვნების სასწავლო ექსპერიმენტული კომბინატი, სადაც ცნობილი ოსტატები მუშაობდნენ. ამ კომბინატმა 1941 წლამდე იარსება. სამამულო ომის დროს მან დროებით შეწყვიტა მუშაობა, ხოლო 1945 წ. კვლავ განაახლა. მისი ექსპონატებით ქართული ხალხური სახვითი ხელოვნების მუზეუმის ფონდები მდიდრდებოდა. 1949 წ. კომბინატი, იმის გამო, რომ რენტაბელური არ იყო, დაიხურა და იქ მომუშავე რამდენიმე სპეციალისტი კულტურის სამინისტროს საწარმოო კომბინატში გადავიდა. 1966 წ. სამხატვრო აკადემიასთან ჩამოყალიბდა სასწავლო საწარმოო, სადაც თავი მოუყარეს ლითონის, ხის მხატვრული დამუშავების, ქსოვა-ქარგულობის ხალხურ ოსტატებს. 1973 წ. ეს საწარმო გაუქმდა, უფრო სწორად კულტურის სამინისტროს საწარმოო კომბინატს გადაეცა. 1975 წ. 1 იანვრიდან კულტურის სამინისტრომ ეერცხლის საწარმოო სხვა საწარმოებთან ერთად თეატრალურ საზოგადოებას გადასცა, რომელიც მასობრივი წარმოებით უფროა დაინტერესებული, ვიდრე უნიკალური ნაკეთობებით [16]. უპირველეს ყოვლისა, გაურკვეველია ამ დაუსრულებელ გადაცემა-გადმოცემათა მექანიკა, რაც უეჭველია დარგის დაზარალებას იწვევს. ასეთ პირობებში ნეშეცნებით-მეცნიერულ საქმიანობაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ექსპონატთა შეგროვებას და პოპულარიზაციას ეწევა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული საქართველოს ხალხური გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი, რომელიც მემკვიდრეა შინამრეწველობისა (იგივე კუსტარულ ნაკეთობათა მუზეუმი) [154] და ქართული ხალხური ხელოვნების მუზეუმისა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში არის მცირე და გამოყენებითი ხელოვნების განყოფილება. ასეთია სქემატური მონახაზი იმ საზოგადოებების და დაწესებულებათა ისტორიისა, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული იყვნენ ქართულ ხალხურ რეწვასთან.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, როცა პარტიისა და მთავრობის მთელი ყურადღება მიქცეული იყო ქვეყნის ინდუსტრიულ და აგრარულ გარდაქმნასა და სოციალიზმის სწრაფი ტემპით მშენებლობაზე, ხალხურ გამოყენებით ხელოვნებას ჯეროვანი ზრუნვა აკლდა. ცალკეული პირების ინიციატივა ძალაუნებურად იზღუდებოდა. ისინი ჩვეულებრივ ხელოსნებად ითვლებოდნენ და იბეგრებოდნენ. ასევე ქალაქად თუ სოფლად ფართო მასებს უკვე საერთო საწარმოო ინტერესები ჰქონდათ და ყველა შრომისუნარიან-

ნი ადამიანი ამ სახალხო საქმეში უნდა ჩაბმულიყო, ამიტომ „შინამრეწველობისათვის“ აღარავის ეცალა. სოფლის კოლექტივიზაციის შემდეგ, იქ, სადაც ძველი ხალხური ხელოსნობის კერები იყო (კერამიკა, ქვისა და ხის დამუშავება, ფეიქრობა და სხვ.), სცადეს საკოლმეურნეო სარეწების შექმნა, მაგრამ ცუდი ორგანიზაციის გამო საქმეს თავი ვერ გაართვეს და მათი უმეტესობა მალე დაიშალა. ოსტატებს კი კერძო მუშაობის უფლება არ მისცეს, რადგან ისინი საკოლმეურნეო შრომაში უნდა ჩაბმულიყვნენ, ეს მდგომარეობა მეტ-ნაკლებად ახლაც გრძელდება, რის შედეგადაც დღემდე მოღწეული ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ბევრი კერა ჩვენს თვალწინ ქრება და მათი გამოვლენა-შესწავლისათვის თითქმის არაფერი კეთდება; ამ კერათა რაოდენობაც კი არა გვაქვს დადგენილი, მითუმეტეს, არავის უწარმოებია მხატვრული რეწვის შთამომავლობით მიმდევარი და მცოდნე პირების აღრიცხვა. ჯერჯერობით არც ხალხური ხელოსნობის დავიწყებული დარგებისათვის ზრუნავს ეინმე.

1935 წ., აკად. ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით, სარეწაო კოოპერაციის პრეზიდიუმმა დიდი სახალხო საქმე წამოიწყო, გადაწყდა საქართველოს შინამრეწველობის ისტორიის შესახებ აკადემიური ხასიათის კაპიტალური ნაშრომის გამოცემა. ადგილებზე დაიგზავნა „ახალგაზრდა სამეცნიერო ძალები“. ისინი მასალებს აგროვებდნენ აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული პროგრამით, რომელიც გაზ. „საქართველოს შინამრეწველში“ (№ 9, 1935) გამოქვეყნდა. პროგრამა ორ ძირითად მიზანს ისახავდა: სამუზეუმო ნივთების გამოვლენას და შეგროვებას, აგრეთვე საცხოვრებელ, სამეურნეო და თავდაცვით ნაგებობათა, მეურნეობის ძირითადი დარგების, ხის, ქვის, რკინის, ილეკროს, საამშენებლო მასალების და სხვათა დამუშავების, ფეიქრობის, ავეჯის და საზოგადოდ ყოფა-ცხოვრებისათვის საჭირო ყველა დარგის შესწავლას ითვალისწინებდა. ახალგაზრდა მეცნიერებმა ეს გრანდიოზული ამოცანა წარმატებით შეასრულეს. შეგროვდა მდიდარი, უნიკალური მასალა, რომლითაც შესაბამისი დისციპლინები დღესაც იკვებება. მასალების თავმოყრის ამ ერთმა მასობრივმა კომპანიამ ცხადყო ჩვენი ხალხის დაუშრეტელი შემოქმედებითი ნიჭი [56]. შემდეგ ქართველმა ეთნოგრაფებმა მონოგრაფიულად დაამუშავეს მატერიალური და სულიერი კულტურის მრავალი პრობლემა, ამით „შინამრეწველური“ დარგების შესწავლამაც საგრძნობლად წაიწია წინ, მაგრამ თითქმის დავიწყებულ იქნა ამ საკითხის პრაქტიკული მხარე, რაც ცხოვრების მოთხოვნილებამ მთელი აუცილებლობით კვლავ დააყენა ჩვენს წინაშე. ამ-

ჟამად უეჭველი გახდა, რომ თვით სოციალისტური მრეწველობის პირობებშიც კი დიდი მოთხოვნილებაა ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმზე. ისე, როგორც ფოტოგრაფია მხატვრობას ვერ შეცვლის და გამომთელელი მანქანა — პოეტს. ქარხნულ-ფაბრიკული პროდუქცია ვერ გამოდგება სახალხო ხელოვანთა შემოქმედების სანაცვლოდ. დროთა მსვლელობაში ეს უფრო და უფრო საგრძნობი ხდება, მეტადრე მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისა და უცხოეთთან კონტაქტების გაცხოველების გამო. ამიტომ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დროული დადგენილება: „ხალხური მხატვრული რეწვის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (1968 წლის 14 აგვისტო). ამ საქმის განსახორციელებლად ჩვენს რესპუბლიკაში, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან 1969 წ. 1 იანვარს ჩამოყალიბდა გაერთიანება „სოლანი“. ეს კეთილხმოვანი სახელი, რომელიც ხელოვნებისა და ხელოსნობის სვანური ღვთაების კუთვნილებაა, გაერთიანებას აკად. გ. ჩიტაიამ უწოდა. „ხალხური სარეწებისა და სამახსოვროების კომბინატი“ ჩამოყალიბდა „ცეკავშირთანაც“, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ბევრი საამქრო „ხალხური სუვენირების სამჭედლოდ იქცა“.

დასახელებულ ორგანიზაციებს წინ ფართო ასპარეზი გადაეშალათ. ქართველ ხალხს ხომ საუკუნეთა მანძილზე შეუქმნია მხატვრული ღირებულების მქონე დიდი თუ მცირე ძეგლები, რომელთა ფორმა და შინაარსი შეიძლება აკმაყოფილებდეს თანამედროვე ადამიანის სულიერ მოთხოვნებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ყოფაში დღემდე შემონახული ხალხური გამოყენებითი ნაკეთობანი ისეთი დარგებიდან, როგორიცაა: ხის, ქვის და ლითონის დამუშავება, კერამიკა, ქსოვა და ქარგვა, გიშრის მოპოვება-დამუშავება და სხვ. აღნიშნული დარგები მეტ-ნაკლებად იყო განვითარებული საქართველოს ცალკეულ თემებში და ზოგან თითოეული მათგანის სპეციალიზაციამ პროფესიულ დონეს მიაღწია. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სახელდობრ თუშეთში (ომალო, ზემო და ქვემო ალვანი), ძველთაგანვე ამზადებდნენ ეროვნული ორნამენტებით შემკულ ხალიჩებს, ფარდაგებს, ხურჯინებს, ჩითაებს, ჩუსტურებს და ა. შ. მაღალ დონეზე იდგა ფერადი თექების, თუშური ქუდებისა და ვერცხლის სამკაულების წარმოება.

ხევსურეთი განთქმული იყო ორნამენტირებული ქსოვილებით (სათაურა, მანდილი, ფარდაგი, ჩითაები), შალის ქსოვის სხვადასხვა სახეებით (ორშიანი, წაღუკუღმა, ცალპირა), ფეხსამოსით (ჯორაები, პაჭიჭები, ჩუსტურები), ხეზე კვეთილობით (სკივრი, მაქალო-

ზი, სახრელი, ტაგრუცი), ოქრომჭედლობით (საყურეები, თავსამკაული, სამაჯურები, ბეჭდები, ყელსადები...). ფშაველებს ჰქონდათ ვერცხლის შესანიშნავი სამკაულები, სახიანი წინსაფრები, ყავარჯნები; მთიულებს მოჩუქურთმებული მერხები, სავარძლები, ქვაზე კვეთის საუცხოო ნიმუშები, რქისა და ძვლის ნივთები, ბავშვის მრავალფეროვანი სათამაშოები.

რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში განვითარებული იყო ხის დამუშავება (მრავალგვარი ავეჯი, სასმისები), ოქრომჭედლობა (სარტყლები, სამკაულები, სასმისები), მუსიკალური ინსტრუმენტების დამზადება (გუდა-სტვირი, ჩანგი, ჭიანური, ჭუნირი), მეთუნეობა, ქარგვა-ქსოვა, თექის მოთელვა და სხვა.

მთას არც საქართველოს ბარი ჩამორჩებოდა. თბილისის, თელავის, გორის, ახალციხის, ქუთაისის, ოზურგეთის, ზუგდიდის ოქრომჭედლობა (სევადი, ცვარა, მინანქარი, სადაფი) უძველესი დროიდანვე იყო ცნობილი საქართველოს ფარგლებს გარეთაც. განსაკუთრებით იქცევდა ყურადღებას აბრეშუმის დამუშავება, ქარგვა-ქსოვა (ოქრომკედი, აპლიკაცია, გვირისტი, სარტყელ-გულისპირები, თავსაკრავები, ჩახსაკრავები, ყაბალახები, დარაიები, აბრეშუმის გრეხილი ძაფის ბადიელა ჩანთები, დაბასმული ლეჩაქები, ხალიჩები, ფარდაგები, ლურჯი სუფრები და ა. შ.), კერამიკა, ხესა და ქვაზე კვეთა, ტყავის დამუშავება და სხვა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ოკრიბაში (ტყიბულის რაიონი) შემორჩენილ გიშრის მოპოვებაზე. ამ კეთილშობილი მინერალის ხალხური წარმოება მხოლოდ საქართველოს სინამდვილისათვისაა დამახასიათებელი.

ეს არასრული სიაც ნათლად გვიჩვენებს ხალხური შინამრეწველური დარგების მრავალფეროვნებას, მართალია, ბევრი მათგანი დავიწყებას მიეცა, მაგრამ ზოგიერთი ჯერ კიდევ ცოცხლობს.

ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედი საწარმოები ანტიკვარულ ნივთებსა და სუვენირებზე ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებენ გაზრდილ მოთხოვნილებას, ვერც პროდუქციის რაოდენობით და რაც მთავარია ხარისხით. მათი ნამზადი დაბალი ღირსებისაა, ხშირად უგულვებელყოფილია ეროვნული კოლორიტი, დავიწყებულია ხალხური სისადავე, უბრალოება. ზოგიერთი ნივთის ფორმაში აშკარად ჩანს ნაციონალურ თავისებურებათა უცოდინარობა. საერთოდ იგრძნობა, რომ ჩვენს წინაპართა ცოდნა-გამოცდილებას ნაკლებად ვიყენებთ, რის გამოც ბევრ რამეს ვკარგავთ. ჯერ ერთი, სამუდამოდ იღუპება და დავიწყებას ეძლევა ისტორიულ ქარცეცხლში გამოტარებული ხალხური ხელოვნება, ხელს ვიღებთ ადგილობრივი

კულტურის პოპულარიზაციასა და ბოლოს მნიშვნელოვან ფულად შემოსავალზე. მაშინ, როდესაც მოძმე ქვეყნებში ამ საქმისადმი გაცილებით მეტ ყურადღებას იჩენენ. მაგალითად, ჩეხოსლოვაკიაში, ხალხური ხელოვნების განვითარების მიზნით, გამოდის ორიგინალურად ილუსტრირებული ჟურნალი, სადაც საინტერესო სტატიების გვერდით ვხვდებით ქსოვილების და ტყავის ნატურალურ ნიმუშებს. უკეთესი თვალსაჩინოებისათვის ეროვნული ორნამენტის სახეები დაბეჭდილია თვით ქსოვილზე. ჟურნალი მრავალფასიანი ტირაჟით ვრცელდება. პოლონეთსა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში კარგა ხანია შექმნილია „ფირმები" და „გაერთიანებანი", რომლებიც პატრონობენ მატერიალური კულტურის ამ სფეროს.

როგორც აღნიშნული გვქონდა, ჩვენთანაც დაარსდა მსგავსი დაწესებულებანი, რაც მისასალმებელი ფაქტია. მოგვარდა ამ ს შვილიშვილო საქმის „ტექნიკური მხარე", მაგრამ ისევ ღიად რჩება უფრო მნიშვნელოვანი — მეცნიერული. რესპუბლიკაში ადრე მოქმედ საწარმოებს „ეროვნულობის" პრეტენზია მაინცდამაინც არ ჰქონდათ, ამიტომ მათ მკაცრ მოთხოვნებს ვერ წავუყენებდით. ახლა კი, როცა ამ მიზნით ჩამოყალიბდა საგანგებო საწარმოები, ბუნებრივია, პასუხისმგებლობა იზრდება. აუცილებელია მათი საქმიანობა დასაწყისშივე მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერული პრინციპებით წარიმართოს. ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიული სკოლა, თითქმის ხუთი ათეული წელია ჩვენი ხალხის სულიერ და მატერიალურ კულტურას სწავლობს. საქართველოში არ არის დარჩენილი სოფელი, სადაც ეთნოგრაფებს არ ემუშავოთ. დაგროვილია უამრავი მასალა, რის გამოუყენებლადაც წარმოუდგენელია ხალხური ხელოსნობის თუ ხელოვნების განვითარება. პირველ რიგში სწორედ ეს უნდა გაითვალისწინონ ახლადშექმნილ „გაერთიანებათა" მესვეურებმა. უკეთ რომ მოხდეს დაგროვილი ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა და თანამედროვე დონეზე გაიშალოს შინამრეწველობის მოქმედი და აღსადგენი კერების გამოსამეღავნებლად საველე მუშაობა, ამისათვის საჭიროა შესაბამის ორგანიზაციათა წარმომადგენლების და ეთნოგრაფების ერთობლივი მოქმედება. მაგრამ ჯერჯერობით ნაკლებია კონტაქტი, მეცნიერებს სამუშაოდ არ იწვევენ, ველზე ზოგჯერ არასპეციალისტები მიდიან და, აქედან გამომდინარე, შედეგიც არ ჩანს. დრო კი არ ითმენს. ცალკეული მოხალისის ან ენთუზიასტის კეთილი სურვილები ამინდს ვერ შექმნის, აუცილებელია სახელმწიფოებრივი ღონისძიებების გატარება, ადგილობრივი ორგანოების დარაზმვა და ხალხში სათანადო აგიტაციის გაწევა. ყოველივე ამას სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონდეს და არა კამ-

პანიური. მარტოოდენ ხანგრძლივი, კომპლექსური მუშაობა გამოიღებს სასურველ ნაყოფს. დიდ პასუხისმგებლობას გვავალებს ის ფაქტი, რომ ქართული ხალხური შინამრეწველობის შესაძლებლობანი დაუშრეტელია. მაგალითად, ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა შემოგვეკლო ქვემო სვანეთი და ლეჩხუმი. აღარას ვიტყვით იმის შესახებ, რომ გლეხის კარმიდამოს, ხახლკარის და შრამელ-ბურულის (სამეურნეო ნაგებობანი) განლაგება დასრულებული არქიტექტურული ანსამბლია, ხოლო ყველა სოფელი გასაოცარი სრულყოფილებით არის შერწყმული კონტრასტულ რელიეფს და რა დასანანია, როცა ალაგ-ალაგ ხელაღებით ირღვევა დასახლების ეროვნული სტილი. ამჯერად მხოლოდ იმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომ თანამედროვეობის მძლავრი ზეგავლენა ძირფესვიანად სპობს ყოველივე ძველს. სოფლები მოფენილია აწ გამოუსადეგარი, ნახევრად დანგრეული ნაგებობებით, „ცაწმინდას" ქვეშ ყრია, ისპობა მრავალი საინტერესო სამუზეუმო ღირებულების ნივთი, რაც არავის აწუხებს, არც ხალხური გამოყენებითი ხელოვნებისათვის სცალია ვინმეს. თუ რომელიმე მოხუცი გაიხსენებს ძველ საქმეს, წახალისების ნაცვლად ავიწროვებენ. სწორედ ამ არასწორმა მიდგომამ გაანადგურა ცაგერის რაიონის სოფელ საირმის მეთუნეობა.

საირმე — რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე მდებარეობს ეს სახელგანთქმული სოფელი. სპეტაკი კირქვის კლდოვანებს, რომელთაც ზღაპრულ ციხე-კოშკთა სახე მიუღიათ, სურომოდებული ტყით ჩახუჭუჭებული ჭიუხები ენაცვლება, მერე ყანა-ვენახები და ხეხილში ჩაფლული კარმიდამოებია. ვისაც აივნებმოჩუქურთმებული ოდასახლები და ბეღლები, ქართული დარბაზის გვირგვინთა მსგავსად ნაგები მრგვალი საბძლები, თლილი ქვის სვეტებიანი ჭიშკრები, ჭურმარნები, დორები და დერგები უნახავს, ვინც აქაურ ხუროთა, ქვისმთლელთა და მეთუნეთა დახვეწილ ნახელავს დაჰკვირვებია, შეუძლებელია აღტაცება დაფაროს მათი გულმოდგინების და ხელოვნებამდე ამაღლებული ოსტატობის გამო. თუმცა ბევრი მათგანი მოხუცებულა, დაუძლურებულა ,მაგრამ საყვარელ საქმეს მაინც ვერ შელევია, მეტადრე კერამიკოსებს მიუწევთ მამაპაპური ხელობისაკენ გული.

ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და ქვემო რაჭის რომელ სოფელშიც არ უნდა მიხვიდეთ, ყველგან გაიგონებთ ჩივილს საირმული ჭურჭლის გაქრობის გამო. ადგილობრივი ნაწარმი უბადლო იყო როგორც ფორმის სრულყოფით, გამძლეობით, ისე სითხის შენახვის მაღალი ღირსებით. ოც წელზე მეტია, რაც საირმეში ჭურჭელს ნაკლებად ამზადებენ, ამიტომ ყოფაში ფართოდ დაინერგა ლითონის

ფაბრიკული ნაწარმი, მისი უარყოფითი ზეგავლენა ხალხმა იმთავითვე იგრძნო, მაგრამ საქართველოს სხვა კუთხეებიდან შემოტანილი კერამიკა გაზრდილ მოთხოვნილებას ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს, ცაგერის რაიონში კი ამ საქმეს გულშემატკივარი არ ჰყავს. ეს მით უფრო დასანანია, რომ სხვაგან ახალი სტანდარტების გამომუშავებისა და რეკლამირებისათვის უამრავ ენერგიას და თანხას ხარჯავენ. ჩვენ კი საუკუნეთა მანძილზე, ტრადიციულად შექმნილ სტანდარტებს ვივიწყებთ.

ვინც საირმეში ჩავა, უსათუოდ შეხვდება მოხუც მეჭურჭლეებს ისინი გაბრწყინვებული თვალებით გიამბობენ თავიანთი ხელობის გარდასულ დიდებაზე, წელიწადში რამდენი დღეა, იმდენ დორიანი (დორაში ორი ფუთია), ვეებერთელა ჭურების შენებაზე, შემდეგ კი სინანულს გამოთქვამენ მამაპაპური საქმის დავიწყების გამო. საირმული მეთუნეობის დაცემა ერთბაშად არ მომხდარა. სამამულო ომის წინა წლებში კოლმეურნეობა შეეცადა კერამიკული საწარმო შეექმნა, ააგეს ქურა, მაგრამ უხეირო ხელმძღვანელობის გამო საქმე ჩაიშალა. სამაგიეროდ ინდივიდუალურ ხელოსნებს მეშაობა აუკრძალეს და ბოლოს შედეგიც სავალალო მივიღეთ.

სხვათა შორის, საირმე ერთადერთი კერა იყო, სადაც ამზადებდნენ სრულქმნილი პროპორციის მქონე ორყურა დორებს, რომელთა ანალოგები უხვად მოიპოვება საქართველოს განათხარ კერამიკაში. ეს ქართულ მიწაზე მეთუნეობის ტრადიციის უწყვეტობის მაჩვენებელია.

საირმეში ხელოსანთა სპეციალიზაცია იმდენად შორს იყო წასული, რომ თითოეული გვარი რომელიმე ჭურჭლის კეთებაზე იყო დაოსტატებული. თიხას მოპოვების ადგილის მიხედვით ასხვავებდნენ: ჭურის დასამზადებლად „კახურას“ მიწა გამოიყენებოდა, „სასახლის“ თიხა კარგი იყო ქოთნების, ფილების, თონეებისა და კეცებისათვის, „გაღმარეულში“ კი წყლისა და ღვინის საჭურჭლე მასალას იღებდნენ. თიხის მოძიება-მოტანა დიდ სიძნელეებთან არ არის დაკავშირებული, მხოლოდ მონდომებაა საჭირო, რომ მეთუნეობა კვლავ აღდგეს. დიახ, მონდომებაა საჭირო, ოღონდ დროული, ძველი ოსტატები თითზე ჩამოსათვლელია. 1971 წ. გარდაიცვალა ვანო კაკიტაძე, რომელიც წინაპართა ნაანდერძევ საქმეს ვერ შეელია, ქ. ონის კერამიკულ ქარხანაში მუშაობდა, მერე პენსიაზე გავიდა, სახლთან პატარა ქურა გამართა და ხანდახან „ხელობის ჭიას იკლავდა“. ამაოდ ოცნებობდა ვანო მშობლიურ სოფელში მეთუნეობის კვლავ აღორძინებაზე, 1972 წ. მოვინახულეთ 85 წლის დომენტი თევდორეს ძე ხუციძე, მისთვის ქურა დაუნგრევიათ. —

„ღმერთმა შეუნდოსო, — გვითხრა, — სახელსა და გვარს ნუ მკითხავთ, დაწერთ სადმე და მის მონაგარს შერცხვებაო...“

ბარაქალა შენს სულგრძელობას დომენტი, მაგრამ საუცხოო ჰურჭელს რომ მაინც აკეთებ და გამოუწვავი „პალატში“ გიწყვია საცოდაობა არ არის? რა კელაპტარივით ჩამოგიქნია ეს საღვინეები, ხალმები, დორები, დოქები, თონეები...

მთელი სოფელი შემოვიარეთ, სამუზეუმოდ გამოსადეგი ადგილობრივი კერამიკის ნიმუშები რომ გვეშოვა, ტყუილად გავისარჯეთ, საირმელებს განთქმული საირმული ჰურჭელი აღარ გააჩნიათ. ზოგიერთს ისე გაჭირვებია, ჩაფები და დოქები ქუთაისიდან მოუტანია. ვაი, სირცხვილო! საირმელი კაცი სხვისი ხელის შემყურე უნდა გახდეს! მერე კარგი გამძლეობა და მოყვანილობა მაინც ჰქონდეს სხვათა ნამზადს, ან წყალს და ღვინოს ინახავდეს გემოიანად, იმ სიშორიდან უნდა მოიტანო და ორ დღეში ხელზე შემოგემტვრევა, „ნამეტანი სულსწრაფადაა ნაკეთები“.

ის იყო უკან ხელცარიელი ვბრუნდებოდით, რომ დომენტისთან გვირჩიეს მისვლა. ვერ დაგეხვდა გუნებაზე: „თუ ასე საძებარი იყო საირმული ჰურჭელი ადრე გეფიქრათო“ — გვისაყვედურა, მაინც პატივი დაგვდო, კედელ-ყურე გადმოაქოთა და რაც გააჩნდა არ დაიშურა. ახლა ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ღია ცის ქვეშ მუზეუმში „კათხასახლს“ ამშვენებს მისი ნაამაგარი დორა, სურა, დოქები, დერგები და ფილ-ქოთნები. დაგვითმო საკუთარი ხელით ნაძერწი მთლიანი თიხის რთული კონსტრუქციის ღუმელი, რომელიც ყველა მნახველის განცვიფრებას იწვევს, განსაკუთრებით უცხოელებს უკვირთ — რა შესაძლებელია თიხას! თიხას კი არა ოსტატს რა შესაძლებია — მიწისთვის სული ჩაუდგამს, აუმღერებია, ჩვენ კი რატომღაც ამ საამო მელოდიის მოსასმენად ყურს ვიხშობთ...

სიქველე და თავმდაბლობა არ აკლია მოხუც მეთუნეს: „ჩემზე უკეთესი მოხელეები ქველობანს (ქვემო საირმეს) არიანო„—გვითხრა. იქაც ჩავედით, ვნახეთ ვანო კაკიტაძის ნახევრად დანგრეული პატარა ქურა, უკანასკნელი მოქმედი ქურა საირმეში. ოსტატები მართალია ჯერ კიდევ არიან, მაგრამ რა ქნან, ქურის გამართვას და მუშაობას ვერ ბედავენ...

სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე?! ნუთუ არავინ უნდა ითავოს საირმეში მეთუნეობის აღდგენა?! იქაური ჰურჭელი ხომ ყველას და პირველ რიგში თვით საირმელებს სჭირდებათ!

რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში ბევლად მასიურ ხმარებაში იყო ხის ჰურჭელი, რომელიც თითქმის ყველა ოჯახში მზადდებოდა.

განსაკუთრებით დასპეციალებულნი იყვნენ სასაშელი ონიანები. ისინი ზამთრობით ჯგუფ-ჯგუფად გადადიოდნენ მდინარე ლაჯანურის სათავეებში, ცაცხვით მდიდარ ლანქორის ტყეში. იქ გამოქვაბულში დაბანაკდებოდნენ (გამოქვაბული იმდენად დიდი იყო, რომ თხების მთელი არვე ეტეოდა), გამართხვდნენ სახარატო დაზგებს და ნაირგვარ ჭურჭელს ამზადებდნენ, თან ლაჯანურის საცალფეხო ხიდებსა და ბოგირებზე კვერნების დასაჭერად ხაფანგებს აგებდნენ. როცა საკმაო რაოდენობის ჭურჭელს და ბეწვეულს დააგროვებდნენ ცაგერის, ლაილაშის, ონისა და ქუთაისის ბაზრებზე მიეშურებოდნენ და თავიანთ ნახელავს ყიდიდნენ. დიდ მოწონებაში იყო წყლისა და ღვინის მოხერხებული საზიდავი, ხელკასრის მაგვარი, მთლიანი ხის ორიგინალური ჭურჭელი „ოხარი“, ვედროსნაირი „სეგდა“, ფქვილისა და მარცვლეულის მოზრდილი სათავსო „ნობრ“, სამისები: „კათხა“, „კვანჩხა“, ნაირგვარი კოდები, ჯამები, გობები, სუფრასთან ნამცხვრისა და ტკბილეულის მისატანი ორნამენტირებული ხონჩები და სხვ.

საშუალება მოგვეცა ამ თვალსაზრისით გურიასაც გაეცნობოდით.

... აცანა და აკეთი! ვის არ სმენია ამ სოფლების შესახებ. ისინი ხომ მთელ საქართველოში განთქმული მეთუნეობის კერებია. რაჭას აღწევდა იქაური გურული საღვინეები, აცანური ქვევრი ხომ ახლაც უბადლოა. გურიაში არ არის ოჯახი, სადაც აცანელ და აკეთელ ხელმადლიან ოსტატთა ნახელავს არ ხმარობდნენ. ამიტომ მოვინახულეთ ის სოფლები, სრულიად დარწმუნებული ვიყავით, რომ მამაპაპური საქმის გამგრძელებელ მრავალ მეთუნეს ენახავდით, მაგრამ ჩვენი იმედი არ გამართლდა, თურმე აკეთში ჭურჭელს აღარავინ აკეთებს, მხოლოდ აცანაში დარჩენილა თითო-ოროლა კერამიკოსი. ისიც გაირკვა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას მაინცდამაინც არ აღონებს ეს ფაქტი. მართლაცდა ახლა, „ატომის ხანაში, რაღა დროს მიწის თითხნაა“, მაშინ როდესაც კოლმეურნეობას სხვაც ბევრი საზრუნავი აქვს. მომრავლდა შრომის გმირები, გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი, მეთუნეობა კი გაჭირვებისა იყო. თითქმის არაფერი მოდიოდა აცანისა და აკეთის მწირ მიწაზე. მაღლარი ვენახიც კი ნაკლებად ხარობდა, ამის გამო იქაური გლეხი ყურძნის საკრეფად, ღღიურ ქირაზე, ვაკეჯვრის, შემოქმედის და მაკვანეთის თემებში დადიოდა. სიცოცხლის რისკის ფასად, დღეში თითო ფუთ ღვინოს იღებდნენ, მარცვლეულს კი თავიანთი ნახელავი ჭურჭლის გაყიდვით შოულობდნენ. ასეთი იყო მათი მწარე ხვედრი, ახლა კი ჩაიმ — „მწვანე ოქრომ“ გაამდიდრა. ორიეე სო-

ფელი. „ვიღას სცალია მეთუნის ჩარხს მიუჯდეს. თუმცა ზოგიერთმა არ მოიშალა და მაინც ზელს მიწას, გასაკვირი კია, ალბათ ფულს არიან დახარბებულნი, მერე თიხა ადვილი საშოვნელი მაინც იყოს“.

— როგორ, კლდიდანაა გამოსაღები?

— არა, მაგრამ ვიღაც-ვიღაცეები ყიდიან...

— მიწას ყიდიან?

ჩვენმა გაოცებამ მასპინძელი დააფრთხო და ამ ავბედითი ვაჭრობის შესახებ მეტი ვერაფერი გავიგეთ. დაე, ეს იკვლიოს მან, ვისი საქმეც არის, ოღონდ აქვე უნდა დავძინოთ, რომ ხალხური გამოყენებითი ხელოვნების მრავალი ჩამქრალი თუ ნახევრად ჩამქრალი კერა გვინახავს, მაგრამ ასეთი კურიოზული ფაქტი ჯერ არსად შეგვხვედრია.

რაც შეეხება ზემოთ მოტანილ თვალსაზრისს, ვერ დავეთანხმებით. მართალია ჩვენი სოფელი გარდაიქმნა, ეს საბჭოთა ხალხის დიდი ისტორიული მიღწევაა, მაგრამ ჩაის მკრეფავის შრომაზე ნაკლები როდია მეთუნის შრომა. შეუძლებელია აქვე არ გავიხსენოთ ერთი მეტად საგულისხმო მოვლენა, რომელიც მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიამ შემოგვინახა, უძველეს ეპოქაში მესოპოტამიელი მექოთნის (მეთუნის) ხელობა მოქანდაკის საქმიანობასთან იყო გაიგივებული [174, 136]. ახლა აკადემიადამთავრებულ ნიჭიერ კერამიკოსებს სათანადო პატივს მივაგებთ, ხოლო ვინც შთამომავლობით დახელოვნებულა, მამაპაპათა ჯადოქრულ ოსტატობას დღემდე აცოცხლებს მათ რად ვდევნით?!

„დევნა“ — იქნებ გადაჭარბებულია ეს გამოთქმა? სრულებითაც არა. როცა ერთ-ერთ კერამიკოსთან სტუმრად მივედით, დიასახლისს გული ცუდად გაუხდა, ხოლო დაბნეული ოსტატი თავს იმართლებდა: პენსიონერი ვარ და რა მოხდა თუ ხანდახან ჭურჭელს გავაკეთებო.

... მთელ დღეს მასთან დავრჩი და მისი საქმიანობით ვტკბებოდი: ერთად დაუწყია 16 ჭურის „აშენება“, თითოეული ოცი-ოცდათფუთიანი იქნებოდა. ათი მათგანი დაემთავრებინა, დანარჩენი კი „თავდასადგამი“ იყო. ვუცქეროდი ამ ქვევრებს და მაგონდებოდა ყარმირ-ბლურის ურარტული მარანი. ამჟამად მარტო ჩვენში აგებენ თიხის ასეთ უზარმაზარ ჭურჭლებს. თანამედროვე სამეთუნეო ტექნიკას, ჯერჯერობით, ვერ მიუღწევია შექმნას მისი ნახევარი ტევადობის სათავსო, ჩვენი წინაპრები კი განსაცვიფრებელი სიდიდის ქვევრებს აკეთებდნენ. XIX ს. პრესაში ძალიან პოპულარული იყო მინდაციხის (რაჭა) უზარმაზარი ჭური — „ჩასავალი“, რომელშიც იმდენი კასრი ღვინო ჩადიოდა (კასრი ორი ფუთია), რამდენი დღეც

იყო წელიწადში. მსგავსი ქვევრები სხვა ციხე-სიმაგრეებზეც ჰქონიათ, სახელდობრ, ასკანის ციხეზე. ორას-სამას ფუთიანი ქვევრები ხომ ზოგიერთ ოჯახში დღესაცაა შემონახული. თიხისაგან ასეთი ვეებერთელა ჭურჭლის აგება განსაკუთრებული ტექნიკური მიღწევაა, რაც შთამომავლობით მიღებულ მრავალსაუკუნოვან ცოდნა-გამოცდილებას და რაღაც ჯადოსნურ ინტუიციას ემყარება.

აგერ, ჩემ თვალწინ, იღვწის აცანელი დიდოსტატი. „მორგვზე" გამოუყვანია ჭურის „კუშტული". ზედვე გაუშვრია და ძირს დაუდგამს, ირგვლივ სამი ქვა აქვს შეყენებული, ფენა-ფენა აშენებს თიხის „გორგალებს". დღეში მხოლოდ ერთი „შემოყოლა" შეიძლება, მერე ჭიაფერას ფოთლები უნდა დააფაროს და მეორე დღემდე იცადოს, რათა გაშრეს. ამიტომ აკეთებს ერთდროულად რამდენიმე ქვევრს. არავითარი ხელსაწყო არა აქვს „ფიჩის" — სავარცლისა და ხის დანის გარდა, რომელთაც მარტოოდენ მოსამანდაკებლად და ორნამენტების გამოსაყვანად იყენებს. ყველაფერი დამოკიდებულია ოსტატის მგრძნობიარე თითებსა და მახვილ თვალზომაზე. შენების პროცესში პროპორციულობა თუ დაირღვა, ჭური მაშინვე ჩაწვება. ის ხომ წვრილ წვერზე — „კუშტულზე" დგას, რომელზედაც გადის „ფეხზე სადგომი სისწორის ხაზი". და ალღოიან ხელოვანს საარაკო მიხვედრილობით ყოველგვარი ზუსტი ინსტრუმენტის გარეშე (ასეთი ხელსაწყო არც არსებობს) შეუძლია ქვევრის კედლები კვერცხივით ჩამოქნას, გამოძერწოს. ეს მისტიციზმი როდია ,არამედ ქართველი კაცის ნიჭიერების მღაღადებელი ხორცშესხმული რეალობა.

გატაცებით მუშაობს აცანელი მეჭურე, ღვარად ჩამოსდის ოფლი და ნამავს გაცოცხლებულ თიხას. ასე შრომობდნენ ჩვენი წინაპრები უხსოვარი დროიდან და თიხით სასწაულს ახდენდნენ. ამ სასწაულმა სწორედ ამ თმაშეევრცხლილი კაცის წყალობით დღემდე მოაღწია და, რა დასანანია, რომ მის დიდებულ ხელოვნებას ვერ ვაფასებთ. გულისტკივილით გამანდო ოსტატმა თავისი ხვაშიადი: „დიდი ხანი აღარ ვაკეთებდი ჭურებს. მერე პენსიაში გავედი და ვეღარ მოვისვენე, რა ვქნა, მიყვარს ეს საქმე... სოფლის ერთ-ერთმა თავკაცმა, როცა გაიგო, მითხრა: რატომ არცხვენ შვილებსო, შერცხვენაა ეს?!, — და მან ფარული სიამაყით გადახედა, თავის ნამზად საუცხოოდ ორნამენტირებულ ქვევრებს.

— არა, ეს სასახელოა ოთხმოც წელს მიღწეული კაცისათვის!

— განა მარტო თქვენთვის, ყველა ჩვენთგანისათვის! — განვაგრძე მე და სინდისის ქენჯნა ვიგრძენი. იმის ნაცვლად, რომ სახალხო კერამიკოსებს ვახალისებდეთ, მუშაობის ნორმალურ პირობებს

ვუქმნიდეთ, ვავიწროებთ, ვდევნით... ნუთუ მათ დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს თავიანთი მძიმე შრომისათვის გასამრჯელოს აღება? უდავოა, რომ ადამიანს ხარისხობრივ ჩაისთან ერთად სჭირდება ქვევრები, საღვინეები, ჩაფები, ქოთნები, დერგები, სასმისები და სხვა. ჩვენი კერამიკული ქარხნები ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებენ მშრომელთა ფართო მოთხოვნილებას. ჭეშმარიტება მოითხოვს ვთქვათ, რომ ფაბრიკული ნაწარმი ვერ შეედრება ძველ ოსტატთა ნახელავს. ხალხური ჭურჭელი დახვეწილობით, სისადავით და ფორმის სინატიფით გამოირჩევა. მერედა, როგორ გვჭირდება ყველა ჩვენგანს, მხოლოდ სუვენირებად, საჩუქრებად კი არა, ყოველდღიურ სახმარად. სად თუნუქის სათლში ჩასხმული წყალი და სად ჭარიკაში ჩაყენებული. აღარას ვიტყვი ქოთნის ლობიოზე, ნიტრიდან და ჭინჭილიდან სასმელის შესმაზე და ა. შ.

აცანასა და აკეთში თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოდიან ადგილობრივი ჭურჭლის შესაძენად, ჩამოდიან და უკან ხელცარიელი ბრუნდებიან. ორიოდე ოსტატი, რომელთაც, სამწუხაროდ, თიხა საყიდელი აქვთ და თითქმის არალეგარულად უხდებათ მუშაობა, მოთხოვნილებას ვერ აუვა. ხელმძღვანელობა კი მათ ბედზე აქამდე ნაკლებად ზრუნავდა. ადრე აშკარად დევნიდნენ, ამჟამად კი ცოტა შემწყნარებლობას იჩენენ და ეს დამოკიდებულია თითოეული თავმჯდომარის ხასიათზე. იძულებული ვართ ამხანაგებს მოვაგონოთ სსრ კავშირის კონსტიტუციის მეჩვიდმეტე მუხლი: „სსრ კავშირში კანონის შესაბამისად ნებადართულია ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა შინამრეწველურ-ხელოსნური საწარმოების, სოფლის მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სფეროში, აგრეთვე საქმიანობის სხვა სახეობანი, რომლებიც დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა პირად შრომაზე.

სახელმწიფო აწესრიგებს ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას, უზრუნველყოფს მის გამოყენებას საზოგადოების ინტერესებისათვის“. ხოლო 27-ე მუხლში ხაზგასმულია: „სსრ კავშირში ყოველნაირად ეწყობა ხელი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას“. ამასვე ითვალისწინებს საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისი (მე-17, 27-ე) მუხლები.

საკვირველია, რატომ არ ვიყენებთ ასეთ კარგ შესაძლებლობას. ადგილობრივი ჭურჭლის დამზადებით ხომ დავიწყებისაგან ვიხსნით ხალხური რეწვის ტრადიციულ დარგს და თან მნიშვნელოვან შე-

მოსავალს მივიღებთ. დროა დავფიქრდეთ ამ საკითხზე, ეს სრულებით არ არის მეორეხარისხოვანი და წვრილმანი საქმე.

განსაკუთრებულ მზრუნველობას და პატრონობას მოითხოვს შარაგულის — წნული ჭურჭლის დამზადებაც. ნიშანდობლიეა, „ანდრია მოციქული წირვას რომ მორჩებოდა, თავის სარჩენად კალათებს წნავდა და ჰყიდიდა“ [23, 32]. ხალხური ხელოსნობის ეს დარგი, რომელიც კარგი ოსტატის ხელში მხატვრულ ღირსებას იძენს, დღეისათვის ისევე საჭიროა, როგორც მეთუნეობა. უფრო მეტიც, ჩაის მეურნეობა, მეხილეობა, მევენახეობა, წარმოუდგენელია გიდლების, გოდრების, სალასტოებისა და კალათების გარეშე. მიუხედავად ამისა, აქაც ადგილი აქვს გაუმართლებელ სტიქიურობას. ოსტატებს ხელს არავინ უწყობს, პირიქით, ზღუდავენ — მოზარდ ხეს ანადგურებენო. ამის გამო, მათი რაოდენობა თანდათან მცირდება. სწორედ ამის შედეგია, რომ ტკეჩის გოდორი ბაზარზე 30—35 მანეთი ღირს. ხე-ტყის მდგომარეობა მართლაც დამაფიქრებელია, წნულ ჭურჭელზე ხის მხოლოდ ჩქოლა მერქანი გამოიყენება, რის გამოც აუცილებელია არა შემთხვევითი, არამედ გეგმაზომიერი ჭრა. ძველად ტყეები გამოყენების თვალსაზრისით იყო დანაწილებული. ჰქონდათ სამასალე, სასარე, „ნამაშვარი“ და სხვ. საგანგებოდ აშენებდნენ „საბელავებს“ და „სამორავ ხეებს“. ნამაშვარი ანუ ნამაშარი სამ-ოთხ წელიწადში პირწმინდად საკაფი იყო, საიდანაც იღებდნენ ფიჩხსა და წნელს. ასეთი ტყისათვის შედარებით ვაკე ადგილებს არჩევდნენ — ჭალებს, მერეებს, რათა ღვარცოფები არ გაჩენილიყო. ძირზე მოკაფვის წესი ტყეს უბერებელს და პროდუქტიულს ხდიდა. სამწუხაროდ, ახლა ტყის გამოყენების ხალხური მეთოდები თითქმის დავიწყებულია. უფრო რაციონალური. მეცნიერული საშუალებანი კი პრაქტიკაში ნაკლებად ინერგება, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სატყეო მეურნეობანი მაღალკვალიფიციური სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული. ვინ იცის რამდენი ათასი წნული ჭურჭელი მზადდება საქართველოში, რისთვისაც ნედლეულის მოპოვება მეტწილად შემთხვევით ხასიათს ატარებს, რაც ბუნებრივია მწვანე საფარველზე უარყოფითად მოქმედებს, მაგრამ აქ შარაგულის ოსტატები კი არ ტყუიან, არამედ ისინი, ვინც მათთვის საექსპლოატაციოდ ტყის საჭირო მასივებს არ გამოჰყოფს.

ბაზრობაზე დღესაც შეხვდებით ხის ჭურჭელს, მეტადრე როდინებს, კოთხოებს (ფელამუშისა და ფქვილისათვის), სასმისებს, საყველე „გვარდებს“, კიდევ აკენებს, შიბაქებს, კოვზებს, ხაფანგებს და სხვ. ხალხი მათ ხალისით ყიდულობს, ოსტატი კი ისევ შემ-

კრთალი და დაშინებულია. აქა-იქ ჩონგურსაც თლიან (სოფ. აცანა), „წმალაჯს“ (ქვავის ღერო), სამზეურ ქუდებს და ჭილის ჭილოფებს (სოფ. ჯურუვეთი) ქსოვენ, ქვის ნივთებსაც აკეთებენ (სს. ვან-ზომლეთი, სამება) და ა. შ. ბუნებრივია, დღემდე შემონახულია ის, რისი შეცვლაც მრეწველობის ნაწარმით შეუძლებელია. უნდა გამოვავლინოთ ამ საშვილიშვილო საქმის ოსტატები, აუცილებელია მათ დაეხმაროთ, წაავახალისოთ, მივცეთ შემოქმედების ფართო ასპარეზი. პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ვერავითარი „გაერთიანება“, ფაბრიკა, ქარხანა და მისთანანი ვერ დაამზადებს სრულყოფილ ხალხურ სუვენირებს. ხალხის შემოქმედება უბადლო და მიუწვდომელია, ამიტომ მას თვალისჩინივით უნდა გაფრთხილება.

ხალიჩების, ფარდაგების, ჯეჯიმების, ჭილოფებისა და სხვათა ქსოვის ხელოვნებაც გაქრობის პირზეა. სიტყვა მივცეთ ხელოვნებათმცოდნეს: „განა მომხიბლავი და დამაფიქრებელი არ არის, როდესაც ფშაველი ქალი ბაბალე მათეს ასული წოწკოლაური, სოფელ მაღაროსკარის მცხოვრები, 1946 წელს ქსოვს საფენს „ეთერისა და გოდერძის (აბესალომ და ეთერის ფშაური ვერსია) უკვდავ სიყვარულზე... ფშაველ ქალს გოდერძი თანამედროვე წითელარმიელად ჰყავს წარმოდგენილი და გამოსახული. ასევე ეთერი თანამედროვე ტანსაცმელში გამოწყობილი ქალია. რა თქმა უნდა, მქსოველი თანამედროვეობაში განხორციელებულს ხედავდა გოდერძისა და ეთერის სიყვარულს... იქნებ ეს წითელარმიელი მისი „გოდერძი“ იყო შინ გამარჯვებით დაბრუნებული... როგორც ვხედავთ, მას სხვანაირად არც შეეძლო, მისთვის ხალხური ძველი თქმულება ახლებურად აღერდა და თანამედროვეობით იყო ხორცშესხმული და ამით უკვდავი...

ასევე თანამედროვე მტკივნეულ საკითხს, საყოველთაო მშვიდობის დაცვას ეძღვნება მის მიერვე მოქსოვილი ხალიჩა, რომლის ორნამენტულ არშიაშია ჩაქსოვილი მოწოდება „მშვიდობა მსოფლიოს“, ხოლო შუაგული ვარდებითაა მოფენილი. ხალიჩის მთელი ფერადოვანი გამა მეტად ღღერადი და საზეიმოა. სანათა პავლეს ასული ღრუბელაშვილი კი, სოფ. გომეწრის მცხოვრები, ქსოვს ფარდაგებს „ვარდ-ბულბულიანის“ თემაზე... ეს უჭკნობი სიუჟეტი მუდმივი თანამგზავრი იყო და არის ახალგაზრდა ,ახლად ფეხადგმული სიყვარულისა“ [52, 44].

ასე წერდა აწ განსვენებული მეცნიერი ზაქრო მაისურაძე. 1965 წ. დაიბეჭდა ეს წერილი და მორჩა, მერე არავინ დაინტერესებულა ამ ხელოვანი ქალების ბედით, იქნებ დაინტერესდნენ კიდეც, მაგრამ ასეთი იშვიათი შემოქმედნი რატომ არსად ჩანან?! რატომ

არ არიან პოპულარულნი?! მათი მსგავსნი ხომ თითო-ოროლა შე-მორჩა საქართველოს!

შინაური მეაბრეშუმეობაც დაეიწყებას მიეცა. ძველად გასა-თხოვარი ქალი სამზითვოდ თვითონ იქსოვდა მთის მდელოსავით ნაირფერ ხალიჩას, ცისარტყელასავით დასარტყლულ ფარდაგს, აბ-რეშუმის ნაზ ქსოვილებს, დარაიებს, ყალამქარებს, აკეთებდნენ სირ-მას, ოქრომკედს. ახლა ძალიან ცოტამ იცის ეს საქმე. მათი გარ-დაცვალების შემდეგ საბოლოოდ დაიკარგება ქართული ხატოვანი ქსოვილების შექმნის ხანგრძლივი ტრადიცია და ასეთ კრიტიკულ მომენტში, როგორ შეიძლება გულხელდაკრეფილი ვიყოთ და არაფერი ვიღონოთ?! მსგავსი მდგომარეობაა საქართველოს თით-ქმის ყველა რაიონსა და ქალაქში [126]. ხალხური მხატვრული რეწვა ან დეენილი და მივიწყებულია ან უხამსი ხალტურის და ხალ-ხური ხელოვნების გაყალბების გზით მიედინება. გამკითხავი კი, ჯერჯერობით, არავინ ჩანს. წარმოების რენტაბელობისათვის „გა-ერთიანებათა", „ფირმათა" თუ „კომბინატთა" ხელმძღვანელობა ცდილობს ეფექტურად გამოიყენოს ხალხური სტანდარტები და აჩ-ქარებს მათ სერიულ გამოშვებას. მუშაობის პირველ ეტაპზე ეს გა-საგებია, მაგრამ ერთგვარი სახიფათო გზაა, ჩვენ ხომ ერის შემოქ-მედებასთან გვაქვს საქმე. უეჭველია, ახალ წარმოებას გამარჯვება მაშინ დაებედება, თუ იგი ყოველმხრივ არის მოფიქრებული, უკეთ, რომ ვთქვათ, თუ სწორ მეცნიერულ-თეორიულ საფეძველზე დგას, მით უმეტეს, თითოეულ წამოწყებას ნდობისა და ავტორიტეტის მოხვეჭა დასაწყისშივე სჭირდება.

ბუნებრივია, პირველ რიგში, სწორედ მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ჩატარებაა აუცილებელი, ხოლო შემდეგ სხვა წამოწყება-ნი, მაგრამ სუვენირების საწარმოებს, რა თქმა უნდა, კვლევით ინს-ტიტუტად ვერ ვაქცევთ. მათ გარკვეული ვალდებულებანი და მიზან-დასახულობა აქვთ. აქედან გამომდინარე, ხალხური მხატვრული რე-წვის, მისი კერების გამოვლენა-აღდგენისა და შესწავლის საქმე კვლავ უყურადღებოდ რჩება. შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებებს. მტკიცედ განსაზღვრული თავიანთი სამუშაო გეგმები და თემატი-კა მოეპოვებათ. მაშასადამე, ხალხური გამოყენებითი ხელოვნების მომაკვდავი დარგების შესწავლისათვის ამჯერად არავის სცალია...

გამოყენებითი ხელოვნების ისტორია და პრაქტიკული საკითხ-ები განსაკუთრებით კარგადაა შესწავლილი უცხოეთში [159; 160; 161; 165; 166; 169; 170; 171; 172; 175; 177; 178; 179; 180; 181; 184]. მოსკოვში, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რეს-პუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან, არის

მხატვრული მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. გამოდის სათანადო ლიტერატურა [152; 153 და სხვ.]. ასეთი ინსტიტუტის შექმნისათვის საჭიროა ჩვენთანაც მომზადდეს ნიადაგი, ხოლო სანამ ეს განხორციელდებოდეს, აუცილებელია ამ საქმესთან ახლო მდგომ ინსტანციათა (ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, სამხატვრო აკადემია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, ხელოვნების მუზეუმი, საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ღია ცის ქვეშ მუზეუმი, მხატვართა კავშირი, მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური სახლი და სხვა) საქმიანობის კოორდინაცია, რათა დროულად გატარდეს საერთო ღონისძიებანი გამოყენებითი ხელოვნების ადგილობრივი კერების, ცალკეული დარგებისა და ამ საქმის მიმდევარი პირების გამოსავლენად.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს მხატვრული რეწვის მივიწყებულ დარგებსა და ნახევრად ჩამქრალ კერებს. მათი აღდგენა-გამოცოცხლება მეტად საშური საქმეა. ამასთანავე, უნდა შემუშავდეს კრიტერიუმი, რომლითაც დადგინდება შინამრეწველობის ეს თუ ის დარგი ხელოვნებას ეკუთვნის თუ ხელოსნობას, ესა თუ ის პირი ხელოვანია თუ ხელოსანი. ამის შესაბამისად განისაზღვრება შრომითი ანაზღაურება და უფლება-მოვალეობანი.

ადგილი რომ არ ჰქონდეს ხალხური შემოქმედებითი ნიმუშების გაყალბებას, მათი სერიული წარმოების საკითხი უნდა გადაწყდეს უმაღლეს დონეზე შექმნილი ავტორიტეტული კომისიის მიერ, ხოლო ის საამქრონი, რომლებიც ხალხურის მიბაძვით სუვენირებს ამზადებენ, „ხალხურობას" არ უნდა შეეფარონ და სწორ, შესაფერის სახელს უნდა ატარებდნენ. საკუთრივ მათ, და მეტადრე, მათ მიერ გამოშვებულ საქონელს არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია, რომ თითქოს ის ხალხის შემოქმედების ნაყოფია. აქ კარგად უნდა განისაზღვროს ორიგინალი და ასლი, რათა ვიღაც სარფის მოყვარულის სასარგებლოდ არც თავი მოვიტყუოთ და არც მომხმარებელი შევიყვანოთ შეცდომაში.

ამჯერად, ჩვენი აზრით, მეცნიერულ-საექსპედიციო მუშაობის ბაზად უნდა იქცეს თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმი, რომელიც შენების პროცესშია, აქვს ფართო ტერიტორია, შეუძლია მოითავსოს საჭირო ნაგებობანი. ეს მუზეუმი მომავლისათვის ითვალისწინებს თავის ექსპოზიციაში აჩვენოს ცოცხალი ყოფაც, სახელდობრ, სხვა-

დასხვა დარგის ოსტატები საქმიანობის დროს. ხალხური ხელოვნების საჭიროებისათვის უნდა მოხდეს მუზეუმის რეორგანიზაცია, მიეცეს სათანადო შტატი: ეთნოგრაფები, არქიტექტორები, ხელოვნებათმცოდნეები და სხვ.

როცა საქართველოში არსებული გამოყენებითი ხელოვნების ყველა კერა და ამ საქმის მიმდეარი პირი აღირიცხება, მაშინ ეტაპობრივად მოეწყობა კონკურსები. კონკურსში გამარჯვებულთ მიენიჭებათ არა მარტო პრემიები, არამედ შეექმნებათ მუშაობის პირობები. შემუშავებული გრაფიკის მიხედვით, ისინი ღია ცის ქვეშ მუზეუმში თავიანთ საქმიანობას მნახველებს აჩვენებენ. ამით მუზეუმს ექნება მუდმივი ცოცხალი ექსპოზიცია.

ხალხური გამოყენებითი ხელოვნებისა და შინახელოსნობის პოპულარიზაციისათვის აუცილებელია გამოიცეს ჟურნალი.

ვფიქრობთ, ეს ღონისძიებანი თუ დროულად გატარდება, გადაარჩენს და შთამომავლობას შემოუნახავს ქართულ მხატვრულ რეწვას.

დღეს შველა შეიძლება, ხვალ გვიან იქნება!

§ 4. ᲕᲘᲜ ᲛᲝᲭᲡᲝᲕᲡ ᲜᲝᲮᲡ

ყვირას ქედის წარმტაც კალთებზე ჩაქარგულია სოფელი ჩქვალერი. თეთრი, სპეტაკი კირქვების რიყეში ლურჯ ზოლად იღვრება მდინარე მოროჟა და საჩინოსთან ინწირას ერთვის. ზევით ლარამედანი და ჯგალია, ქვევით ჯვარი და ლია. სახელთა ეს სიმფონია ამ დიდებული ბუნების საკადრისია. ვის არ მოხიბლავს აქოჩრილი მუქმწვანე მთები, თეთრად აქათქათებული ხეობები, მადლიანი დობიროები და ფუძემოუშლელი ნაფუძვრები. ქვიშამოყრილი გზებიც თეთრად გადაპენტილან. მზის ოქროცურვილში უხვი სიმწვანე და სისპეტაკე ახლად ჩასულ, შეუჩვეველ კაცს ატყვევებს, აჯადოებს. ამ უფლისხელით დახატულ გარემოში დასაბამიდან ცხოვრობენ ძველი კოლხები — ფიფიები, ჭანტურიები, მატუები — გამრჯე, მამაცი, ნიჭიერი და პატიოსანი ხალხი. ვის არ მოხიბლავს აქაური სტუმართმოყვარეობა და ნატიფი ზრდილობა., ვაჟკაცთა სიმარჯვე, სიჩაუქე, ქალთა მოხდენილობა და დახვეწილი ხელგარჯილობა. სწორედ ამიტომ მივაშურეთ მუზეუმის მუშაკებმა ჩქვალერს და ადგილობრივი საშუალო სკოლის პედკოლექტივის შემწეობით მრავალი საინტერესო ექსპონატი შევაგროვეთ. გავიცანით ზინა ტაგუს ასული ჭანტურია — ხალიჩების, ნოხების და ფარდაგების ერთ-ერთი უკანასკნელი ხელოვანი. სამოცდაათი წლის ქალი შრომაში დამდნარა, დალეულა, მაგრამ საქსოვი დაზგა არ მიუტოვებია და დღესაც

ქსოვით ტეხს ღამეებს: — „მა დოვღურუქი, მინ დოშუს ორხეს!“ (მე რომ მოვკვდები, ვინ მოქსოვს ნოხს) — ჯავრობს ზინა და არცთუ უსაფუძვლოდ. მთელ ამ მხარეში ის ერთადერთია, რომელიც კიდევ ქმნის ქართული ხალხური გამოყენებითი ხელოვნების შედევრებს. შეეფინთ თუ არა მის პატარა, კოპწია სახლში, ერთბაშად მოგვხიბლა ხატოვანმა ფარდაგმა, რომელსაც მთელი კედელი დაეჭირა და ტახტიც დაეფარა. ჩქვალერის განუმეორებელი ფერთა გამა ბორჯღალებში, ვარდულებში, კლაკნილებსა და თეეზფხურებში განსხეულებულა. მაგრამ ხელოვანი არ დასჯერებია მამა-პაპათგან გადმოცემულ ორნამენტთა დაკანონებულ სილამაზეს, მას საკუთარი ფანტაზია გაღვიძებია, შორს არ წასულა, ჩქვალერული ბარჩენალი ვეეანი ძროხა გამოუხატავს გატიკნილი ცურით და კოკობა რქებით, ლეგა თხასაც არჩვივით მოუღერებია ყელი — ნეკერს ეძებს თუ ციკანი მონატრებია. ძირს ქორბუდა, ფაფარაყრილი ხარირემი და ფურირემია, მათ ფერხთით ბალახში ბოხდენილად ფეხებშეკეცილი ნუკრი წევს, გამოუცდელობის სიმშვიდე დაუფლებია, არხეინადაა, ნამდვილი ოჯახური იდილიაა. ეს წავი თითქოს ახლახანს ამოვიდა წყლიდან, გგონია სადაცაა ბეწვს დაიფერთხს. ერთი ყურაქვიტა საკუთარ თათებში განაბულა, მეორე უკანა ფეხებზე შემდგარა და ეთამაშება. თვით ბუნების გულწრფელობა და უშუალობა გადმოუცია ქსოვის ჯადოქარს ამ ვეებერთელა ფარდაგზე. უმზერ და ძალაუნებურად გაგონდება ფიროსმანი, მართალია ზინას არასდროს უნახავს მისი სწორუპოვარი ქმნილებანი, მაგრამ სახალხო შემოქმედთა სულიერი ნათესაობა, რომელიც ქართველი ხალხის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ღველფივით ღვივის, ჩვენდა გასაბარად ზოგჯერ ასე დიდებულად გამოაშუქებს და ერთხელ კიდევ დაგვარწმუნებს, რომ ერთი ხის რტოები ვართ...

ზინას ნახელავი ფარდაგი ამჟამად ქართული ხალხური ხეროთმოძღვრებისა და ყოფის თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმს ამკობს. როცა გაიგო მუზეუმს სჭირდებაო, მან უყოყმანოდ დასთმო თავისი მრავალი წლის ნაამაგარი.

ზინა ნაბდის მოთელვის ოსტატიცაა. მისი ნამზადი ნაბდები უძღვნეს საბჭოთა კავშირის გმირებს ეგოროვსა და ქანთარიას, მსოფლიო ჩემპიონს ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილს, ერთი ნაბადიც თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმს გადასცა.

სამამულო ომის წლებში ზინა ჭანტურია მენაბდეთა მთელ ბრიგადას ხელმძღვანელობდა და მათ საბჭოთა მეომრეობისათვის ხუთი ათასი ნაბადი დაამზადეს. ვინ იცის რამდენი მებრძოლი გათბა, დასველებას და გაცივებას გადარჩა ხელმადლიან ჩქვალერელ ქალთა

მოხდენილი ნაბდების წყალობით. იქაური ნაბდები, რომელთაც გარედან კულულებად აყრია ხუჭუჭა მატყლი ხომ სასიამოვნოდ თბილი და კოხტაა. არათუ მეომარი, მას ხალისით ატარებს ბევრი მოქალაქე, ვინც ჯერ კიდევ იცის ეროვნული ტანსაცმლის ფასი. რა დასანანია, რომ ეს საქმე თვალსა და ხელს შუა ქრება.

— „მი დობოკუნის ნაბადის!“ (ვინ მოთელავს ნაბადს), — ჯავრობს ზინა და სიყვარულით ავლებს ხელს სამუზეუმოდ დამზადებულ ჯარისკაცთა, მონადირეთა და მწყემსთა ამ იმედს. აღსრულ, ნაბადო!

არა, ნაბადი აღარავის სჭირდება, სამაგიეროდ ნაბდის ქუდების მსურველნი აქა-იქ კიდევ მოიპოვებიან. ზინაც აკეთებს მეგრელ მწყემსთა საყვარელ ფართო ფარფლიან ქუდებს — „ჩვენებურ სომბრეროს“, როგორც იხუმრა ერთმა ახალგაზრდამ. ამზადებს სვანურ ქუდებსაც. სიტყვამ მოიტანა და არ შეიძლება არ ვთქვათ, საქართველოს ყველა კუთხეს თავისი დამახასიათებელი ქუდი ჰქონდა, რომელთა სრული კოლექცია თვით მუზეუმებსაც არ მოეპოვებათ, მაღაზიებს აბა რაღა უნდა მოვთხოვოთ. საქართველოში ევროპული მოდის ყოველნაირ ქუდს იშოვით, გარდა ქართულისა. მხოლოდ ზინასნაირი თითო-ოროლა ხელმადლიანი უხანგრძლივებს ქართულ ქუდებს სიცოცხლეს...

— „მი აკეთენს ქუდის!“ (ვინ გააკეთებს ქუდს), — ჯავრობს ზინა.

ძველად ყველა ოჯახში ასწავლიდნენ გოგონებს ხელსაქმეს: რთვას, ქსოვას, ქარგვას, ყაჭის ამოსხმას. განთქმული იყო მეგრული „ღართი“ — საჩოხე შალი, ყაბალახები, ნაბდები, აბრეშუმის დარაიები... ახლა აღარავინ მისდევს ამ საქმეს. შალი ვის სჭირდება, მაგრამ დასანანია ხატოვანი ქსოვილების ხელობა რომ გადავარდა. ხელით ქსოვის დროს ხომ ფერთა სიმრავლით მაღალ ხელოვნებას აღწევდნენ, რაც ფაბრიკაში არ ხერხდება. შინნაქსოვი თითოეული ხალიჩა, ნოხი თუ ფარდაგი დამოუკიდებელი, თავისთავადი ქმნილებაა, ისევე როგორც კარგად დაწერილი პოემა, ლექსი, ფაბრიკულ პროდუქციას კი შტამპის ბეჭედი აზის.

ზინამ ხატოვან ქსოვილთა დამზადება დედისაგან ისწავლა. დედას კი სოფელ ზანადან მოსული ოსტატი ქალისაგან აუთვისებია. ჰანტურიების შორეულ ნათესავს ჩქვალერში შინასაოჯახო სკოლა გაუხსნია, შემოუკრებია ქალიშვილები და ყვავილნარიევით აფერადებული ხაოიანი ხალიჩები, დასურათხატებული ნოხები და ფარდაგები უქსოვიათ. ასე სწავლობდნენ უწინ ხელსაქმეს, რომელიც დაუწერელი კანონის ძალით გასათხოვარ ქალს აუცილებლად უნდა

სცოდნოდა, ასეთი იყო ადათი, ახლა კი ამას ბევრი თაკილობს. მთელ ჩქვალერში არავინ მოძებნილა, რომ ზინას მიებაროს, ღმერთმანი გასამრჯელო არ უნდა, რაც იცის დაუზარებლად, უსასყიდლოდ ასწავლის ყველას, ოღონდ ეს დედის ნაანდერძევი ხელობა არ მოკვდეს. ჩვენ ვთხოვეთ ჩქვალერის საშუალო სკოლის დირექტორს აპოლონ ჭანტურიას, რომ ზინასთან ხელგარჯილობით დაინტერესებული რამდენიმე მოსწავლე ატაროს, იქნებ გადარჩეს, შთამომავლობას შემოენახოს მისი, დღესაც მეტად საჭირო ცოდნა.

თითზე ჩამოსათვლელია ქართული ხალხური გამოყენებითი ხელოვნების უკანასკნელი მოჰიკანები. ისინი ჩვენგან შეუმჩნევლად მიდიან და საფლავში მიაქვთ მხატვრული რეწვის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები. დაყოვნება დაუშვებელია, სანამ კიდევ შესაძლებელია, ვისწავლოთ მათგან!

§ 5. ჩოხა ქართული

ზაქარია ჭიჭინაძე გვაუწყებს: „დერეიკები და თერძები იყვნენ მრავლად და ჰკერაედნენ ქართველ მამაკაცთა კაბებს, ქულაჯებს, ჩოხებს, ჩერქეზკებს და სხვათაც მრავალთ“ [115, 18]. ჩავხედოთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს: „დერეიკი იგივეა, რაც თერძი“; „თერძი მამაკაცის ტანსაცმლის მკერავი. თერძი კერავდა ქართულ ტანისამოსს: ჩოხას, ქულაჯას, ახალუხს, შარვალს“. სათანადო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ საქართველოს დაბა-ქალაქებში თერძ-დერეიკნი უხვად ისხდნენ და მოსახლეობა ძირითადად მათი ნახელავით იმოსებოდა. ასე იყო ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე, მერე ევროპულმა ტანსაცმელმა იმძლავრა, ზოგი თერძი გაკოტრდა და საქმეს თავი დაანება, ზოგიც ახალი მოდის ტანსაცმლის კერვას დაეუფლა. თუმცა მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში აქა-იქ მოჰკრავდით თვალს თერძის დუქანს და მის ლია დარაბაში ქართულ ტანსაცმელს, დღეისათვის კი პროფესიონალი თერძების მრავალრიცხოვანი ლაშქარი დალეულა და ამ ძველი ხელობის მცოდნე სანთლით საძებარი გამხდარა. ეს კანონზომიერია, ყოფიდან ქართული ტანსაცმელი გაქრა და ოსტატიც მას მიჰყვა. რაც შეეხება სცენის საჭიროებას მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს კულტურის სამინისტროს საწარმოო კომბინატთან არსებული ნაციონალური ტანსაცმლის სამკერვალო საამქრო და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სამინისტროს № 5 ატელიეს პატარა განყოფილება, სადაც შეეხვდით და გავიცანით ერთ-ერთი უკანას-

კნელი თერძი-დერციკი მიხეილ ალფეზის ძე ფანჩულიძე. 72 წლის ჭარმაგი ვაჟკაცი ფანატიკურადაა შეყვარებული თავის ხელობაზე და ქართული ტანსაცმლის უარყოფას მწვავედ განიცდის: — „არა ბატონო, არ იყო ასე ადვილად გადასაგდები ჩვენებური ჩაცმულობა. ბევრს არ დავიქადნი და ტანსაცმლის ყადრი კი ვიცი, ცხრა წლიდან ნემსი მიჭირავს ხელში. დუნიაზე არ არის სამოსი, რომელსაც ტანის სილამაზის დახატვა ისე შეეძლოს, როგორც ქართულს. ვისაც ტანი არ უვარგა ჯანდაბას, რაც უნდა ის ჩაიცვას, მარა კი საჩოხე ბიჭს რომ დავინახავ, ხელი ამიკანკალდება, გასამრჯელო არ მინდა, ისე შევუკერავ, ოღონდ ჩაიცვას, ჩოხა-ახალუხით დამშვენდეს და ქალაქიც დაამშვენოს! ხშირად ნახავ თბილისში გარეჟვეყნების ხალხს, შემოუხვევიათ ფალას-ფულასი და მიცუხცუხობენ, კოსტუმი კი ეშოვებათ, მარა ჯიბრზე დამდგარან — თავისი ურჩევნიათ, ამით გვეუბნებიან ტანისამოსითაც გამორჩეულნი ვართო. თავი ნუ მომიკვდება, მომწონს, აფერუმ მათ ვაჟკაცობას!.. ჩვენ ბატონო, ოღონდაც უცხო ვნახოთ რამე და მეტიც არ გვინდა — მოდას მივყობით... გული მიკვდება რუსთაველზე ისეთ ჩაცმულ ახალგაზრდებს ვხვდები, ე ტყაპუჭები და უშნო ლანჩიანი, უსაშველოდ სქელძირიანი ფეხსაცმელები რაღას შემოიღეს. ამ შარვლების საცოდაობით ვიწვები, რას არ უშვებიან კაცო! მოდაა ბატონო, მოდაო, კი მარა, ეს ქართული ტანსაცმელი რატომ არ შემოდის მოდად, თუ ფრანგებს არ გაუგიათ ჯერ მისი ყადრი, მოგეცა სიცოცხლე, ევროპაში თუ ჩაიცვეს ჩვენებურ ჯეელებს ვეღარ დააკავებ. არა გეთაყვა, შინაურ მღვდელს შენდობა როდის ჰქონია“.

სიხარულის ღიმილი ვეღარ დამალა მიხამ, როცა სახელოსნოში გვერდით მივუჯექი და მისი შეგირდობა-ხელოსნობის ამბავი წვრილად გამოვკითხე. და ჩემს თვალწინ გაცოცხლდა ძველი საჩხერე, მოდინახეს ციხის ჩრდილში, დამფრთხალი წიწილებივით შეყუჟული, დარაბიანი დუქნები, ენაკვიმატი ხელოსნები: თერძ-დერციკები, მეწაღენი, მეუნაგრენი, ოქრომჭედლები, მეყაითნენი... ცხენოსნები და ეტლოსნები. თორნეებიდან მონადენი ახლაღ გამომცხვარი პურის თავბრუდამხვევი სურნელი და რუმბმეცელა მიკიტნების როხროხი...

მოგონებათა გულაჩქროლების ცრემლები უციალებს მიხას თვალებში. რაც მართალი მართალია, იმ ყველაფერსაც თავისი გემო ჰქონდა.

მამამ, ალფეზ ფანჩულიძემ — მთელს იმერეთში განთქმულმა მეუნაგრემ, უფროს ვაჟს უშანგის თავისი ხელობა ასწავლა, ხოლო საშუალო მიხა დერციკთან მიაბარა, უმცროსმა დავითმა ხელოსანთა

ბოჰემას ულალატა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გახდა.

ოთხი წელი იყო მიხა შეგირდად, ერთი წელი ქარგლად იმუშავა და 1918 წ., 16 წლისა ოსტატად ეკურთხა, საკუთარი დუქანი გახსნა და საქმეს შეუდგა. 1938 წლიდან თბილისში გადმოდის. ახალბედა თერძმა დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინა, მაშინვე ბევრი მუშტარი მიიზიდა.

— თერძებს თარგი და ესკიზი არ გვჭირდებოდა, — გვარწმუნებს მიხეილი, — ადამიანის ტანი გვეუბნებოდა, როგორ მოგვერგო, ავუღებდით ზომას, ერთხელ გავასინჯებდით და ეგ იყო. თერძის ხელისაა ჩოხის, ახალუხის, შარვლის, პაიჭების და ყაბალახის შეკერვა. ზოგიერთმა ნაბდის გამართვა-გაწყობაც ვიცოდით. ჩრა ბატონო, ქართული ჩოხის შესადარი ჩასაცმელი ქვეყნიერებაზე არაა, უწინ ღია და მუქი თაგვისფერი დიგორული და ონური შალები მოდიოდა, არც მაგათი ბადალი ქსოვილი მეგულება სადმე, ერთ საჩოხეს მუჭში მოიმწყვდევდი. ახლა, ხელში როგორი დაბეყოლი იყო, წვეთივით მოადგებოდა ტანს. რა ვქნა ბატონო, რომ არ ვთქვა არ შემიძლია, დღევანდელი ფაბრიკული მაუდი რას შეედრება! რაც არ უნდა კარგი შალი იყოს, თავი რომ მოიკლა, ციზურს ვერ გაუკეთებ, შინნაქსოვი დიგორული და ონური შალები ისე ციზურდებოდა თვალით კი არა, გამადიდებელი შუშით ვერაფერს შეატყობდი. ციზური ბატონო, თერძული კერვაა, ახლა რომ საკერავ მანქანას ავარახრახებთ ნაკერს ნაკერი დააჩნდება, ისე არ იყო უწინ, ჩოხა კვერცხივით უნდა გამოყვანილიყო, მაკრატლისა და ნემსის განაკრავი არსად უნდა დამჩნეოდა, ეს კი ციზურით კეთდებოდა: ქსოვილი უკუღმა პირით ერთმანეთზე დაგვირისტდებოდა, მერე წაღმა ამობრუნდებოდა და დარჩენილი ნაწიბური ისე ამოიკემსებოდა, არაფერი აღარ ეტყობოდა. იმნაირი ხაო ჰქონდა დიგორულ და ონურ შალებს ციზურს იმშვენებდა, ახლა ბიძია, ვერ მოგატყუებ, არ კეთდება. ჰმ, ძნელი? ძნელი და საგვიანო იყო, მარა შენი ნახელავი იმდენად გაგახარებდა სულ ყურება გინდოდა. ახლა ბატონო, გვეჩქარება და საქმე მიფუჩეჩებული გამოგვდის. ღილკილო ავიღოთ, თითქოს უბრალოა, თუმცა მამალი რომ გამონასკვო თოთხმეტი ამოყვანა უნდა. ბევრი კაი მკერავია დღეს ჩვენში, ღილკილოს გამონასკვა ორმა-სამმაღა თუ იცის. იოლს არიან ნაჩვევი — დაახვევენ კვანძს, შემოკერავენ და ჰაიდა ამნაირი ღილკილო რად გინდა, ორ შებნევაზე იშლება, გარეგნულად არაფრად ვარგა. პატარაა თუ დიდი ყველა საქმეს თავისი მუღამი და

ყადრი სჭირდება. ჩვენი ძველები საიოლოს საძნელოს იმიტომ ამ-ჯობინებენ, რომ გამძლეობასა და სახიერებაში იგებდნენ.

ღილკილო ყაითნისა უნდა ყოფილიყო. უწინ განთქმული იყო ჩხარული ყაითანი წმინდა აბრეშუმისა. სირმაც იყო ოქრომკედის ძაფისა, ოღონდ ქართული ჩოხის გაწყობას ყაითნით ვარჩევდით. ჩვენებური კაცი წყნარ, ზომიერ ფერებს მისდევდა, მოსირმული ჩოხა პრისტავებს უყვარდათ. უფრო მეტად სირმით შემკობა ყაბალახებისა ვიცოდით. ჩოხის ქილებს ოქრომჭედელი აკეთებდა. მკერდზე შევხედავდით ვაჟკაცს და ვიტყოდით რამდენი ქილა დასჭირდებოდა. შემხვედრია თორმეტ-თორმეტი ქილიანი ჩოხის შეკერვა. ასეთ ჩოხას რო გამართავს, ის კაცი დევივითაა. ახალუხი ატლასისა იყო, შარვალი „ყარაბანდული". წუღა-მესტზე ზოგი ტყავის აზიურს მოირგებდა, ზოგი პაიჭს ამჯობინებდა. პაიჭები საჩოხე შალისაგან იკერებოდა და ჩოხის ყაიდაზე, წინ ყაითნით ან სირმით იყო გაწყობილი. კარგა ხანია პაიჭი აღარ შემიკერავს. ხუთიოდე წლის წინათ ერთი გურული კაცი ჩამოვიდა იმან შემაკერინა — ტყავზე უკეთესად ფეხს პაიჭი ადგებაო, ეს იყო და ეს. დღეს სათეატრო ტანსაცმლის კერვაზე ვარ გადაგებული. გეგმას ყოველთვის გადაჭარბებით ვასრულებ, მადლობები და სიგელები არ მაკლია, მაგრამ მხატვრის ხელი რომ შეეხება ტანსაცმელს, ის ჩვენებური აღარაა და ეს ნამეტანი მაწუხებს. მოცეკვავეებისა და მსახიობებისათვის თოთხმეტნაირი სამოსი მაინც იკერება, ყველა ქართულს გავს. თუმცა ნამდვილი ქართული არც ერთი არაა. ხანდახან ვინმე მოხალისე მოვა და მაშინ თუ შევკერავ ძველებურ ჩოხა-ახალუხს, უფრო ბავშვები იჩემებენ, ზოგიერთი ხნიერი კაციც იკერავს, მარა რად გინდა, გამოსაჩენ ადგილზე არავინ იცვამს. ოციოდე ჩემი ნახელავი საზღვარგარეთაც გაიგზავნა. რა ექნა, სათეატრო ტანისამოსის კერვა ხელობას მიფუჭებს, არა და გადადის ჩვენი საქმე. თხუთმეტი-ოცი წელი იქნება, რაც თბილისში დაიხოცნენ განთქმული ოსტატები: ტრიფონ ჭიჭინაძე, ვასო კინწურაშვილი, სვანიძე, ფაილოძე... ამ ქვეყანას ვინ შერჩენია, ყველა წამსვლელი ვართ და სამარეში რად უნდა წავიღოთ ჩვენი ხელობა, იქნებ კიდევ ვინმეს დასჭირდეს დერეფანობა. ერთიც ვნახოთ, მოეხასიათა ახალგაზრდობას ქართული ტანსაცმლის ჩაცმა, ვინ უნდა შეუკეროს?!

მართალი ხარ ჩემო მიხეილ, ამ საქმეს უფრო მეტი ყურადღება სჭირდება. მხატვართა მიერ გამომუშავებული, ქართულის მიბაძვით დამზადებული ტანსაცმელი ხალხური არ არის. მას აკლია ფერთა ზომიერება, ის სისადავე და ორიგინალობა, რასაც შთამომავლობით მიღებული ჩვევებით, ხალასი ნიჭითა და ინტუიციით თერძ-

დერციკები აღწევდით. დიახ, არტელური წესით დამზადებული ჩოხა, ნაბადი, ყაბალახი თუ ქუდი ვერ შეცვლის და შეედრება ძველ ოსტატთა ნახელავს. არა მარტო ქართული ტანსაცმელი, დავიწყებას უნდა გადაურჩეს ღილკილო და ციზური. ამ უკანასკნელი ტერმინის სრული განმარტებაც კი არ მოგვეპოვება და შენი მეხსიერება თუ გვიშველის, მიხეილ!

იმაშიც მართალი ხარ, სადღაც ატელიეში, ყრუ პატარა ოთახში არ უნდა იჯდე, არამედ გამოსაჩენ ადგილას, ვთქვათ ქართული ხალხური ხეროთმოძღვრებისა და ყოფის ღია ცის ქვეშ მუზეუმში, თერძის დუქანი უნდა გედგას, ტანთ საკუთარი ხელით შეკერილი ახალუხი და დერციკის ქალაქური ხალათი გეცვას და საქმიანობდე. გარს შეგირდები უნდა გეხვიოს, რათა წინაპართაგან მადლად მიღებულ საკუთარ ოსტატობას და სიბრძნეს უზიარებდე. იმედია ჩვენს სიტყვას ვინმე საქმედ აქცევს, ჩემო მიხეილ!

თავი მეოთხე

ქართული ეთნოგრაფიის სადღეისო ამოცანები

> დაიწყება ისტორიისა მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და წარწყმედისაც. წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა.
>
> ილია ჭავჭავაძე

§ 1. სოფლის სატკივარი

ახლა, როცა ჩვენს რესპუბლიკაში უდიდესი გარდაქმნებია, როცა თანამედროვე მჩქეფარე ცხოვრების ყველა მხარეს ანალიზს ვუკეთებთ და ახალ-ახალი მწვერვალებისაკენ მიმავალი გზების მეცნიერულად გაკვლევა-გააზრებისათვის ვიღწვით, არც ერთი დარგის მუშაკს, არც ერთ პატიოსან მოქალაქეს უფლება არა აქვს მხარში არ ამოუდგეს ჩვენს კომუნისტურ პარტიას, ცენტრალურ კომიტეტს და თავისი მოკრძალებული წვლილი არ შეიტანოს ამ ბეშმარიტად სახალხო და საშვილიშვილო საქმეში.

დიახ, ეთნოგრაფებმაც უნდა ვთქვათ სათქმელი და ვეცადოთ ქართული მეცნიერების ავანგარდში ვიყოთ. ჩვენი კვლევის საგანი ხომ ხალხის ყოფა და კულტურაა, მისი გრანდიოზული მრავალფეროვნებით. არ არსებობს ადამიანის ცხოვრების რომელიმე მხარე, რომელსაც ეთნოგრაფი არ სწავლობდეს. იგი მუდამ ხალხში ტრიალებს, იგი მუდამ ხალხთანაა, ხალხია მისი შემოქმედების სათავე და სიბრძნის წყაროსთვალი. ამჟამად, თვით ცხოვრების აუცილებლობამ ეთნოგრაფია პრაქტიკულ მეცნიერებადაც აქცია. ჩვენს გლობალურ ხანაში, როცა ხალხთა დაახლოებას მანძილი და სივრცე ვეღარ ზღუდავს, როცა მსოფლიო ცივილიზაცია ნაციონალურ თავისებურებებს ავიწროებს და გაქრობით ემუქრება, სწორედ ეთნოგრაფებს ძალუძთ შთამომავლობას შეუნარჩუნონ ის ეროვნული, ის განსხვავებული, რაც ამა თუ იმ ხალხს ახასიათებს. მეტადრე,

დიდი პასუხისმგებლობის წინაშე ვართ ქართველი ეთნოგრაფები, ქართველები ხომ სამყაროს უძველესი ხალხია. ჩვენს წიაღში ხომ გარდასული ცივილიზაციის მრავალი ელემენტია შემონახული, რომელთა მეცნიერულ ფიქსაციას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება. ეს წმინდა თეორიული თვალსაზრისით; ახლა პრაქტიკულად რამდენი რამ გვაქვს გასაკეთებელი, მოსაგვარებელი. არის ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოელის, რათა ჩვენმა რესპუბლიკამ შეინარჩუნოს ეროვნული სახე, ის განუმეორებელი კოლორიტი, ყოფის, ხასიათისა და ბუნების სიმშვენიერე, რაც ასე იზიდავს და ხიბლავს ასეულ-ათასობით ადამიანს. საქართველოს კომუნისტური პარტიის მეათე პლენუმზე (1973 წ. 28 ივლისი) ხაზგასმით აღინიშნა: „ჩვენს რესპუბლიკას დიდი პერსპექტივები აქვს იმისა, რომ უახლოეს მომავალში იქცეს არა მარტო საკავშირო, არამედ საერთაშორისო ტურიზმის დიდ ბაზად და მაშინ მთაში განსაკუთრებით დაგეჭირდება ხალხი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო სერიოზულად ფიქრობენ მთის რაიონების ეკონომიკის, კულტურის და ყოფა-ცხოვრების აღმავლობის ღონისძიებათა კომპლექსზე. ეს ჩვენი დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა, რომლის გადაჭრა საქართველოს კომპარტიის ღირსების საქმეა". რა თქმა უნდა, ამ საშვილიშვილო წამოწყებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ეთნოგრაფებმა, როგორც საქართველოს მთიანი რაიონების საუკეთესო მცოდნე სპეციალისტებმა. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ზოგიერთ მტკივნეულ საკითხზე.

საქართველო მთიანი ქვეყანაა და გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, მთის ავ-კარგი მთელი ჩვენი რესპუბლიკის აწმყო და მომავალია. ახლა ჩვენში ვერ შეხვდებით მოაზროვნე კაცს, რომელსაც არ აწუხებდეს მთიანი რაიონების ბედი. ამ საკითხზე ბევრი იწერება და იბეჭდება, მაგრამ ძალები დაქსაქსულია და წამოყენებული დებულებანი კეთილ სურვილებად რჩება. სწორედ ამიტომ აუცილებელია, რაც შეიძლება, დროულად გადაწყდეს სადირექტივო ორგანოებთან საკოორდინაციო ცენტრის შექმნა, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით, არა მარტო საზოგადოებრივ აზრს შეაჯამებს, არამედ პრაქტიკულ ნაბიჯსაც გადადგამს.

მთიდან ბარში მოსახლეობის დენადობა ან პირიქით, ბარიდან მთაში გადასახლება ქართული ისტორიული სინამდვილისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ყოველივე ამას თავისი დროის შესაფერისი სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები ჰქონდა. საერთოდ დასახ-

ლების პრობლემა რთულია და ამ საკითხს ქართველი ეთნოგრაფები კარგა ხანია სწავლობენ [96; 117; 118; 40]. მათ დაადგინეს, რომ დასახლების ტიპს, ძირითადად, საწარმოო ურთიერთობანი განსაზღვრავს, აგრეთვე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბუნებრივი გარემო და მეურნეობის ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ ეს დებულება დღეს აღიარებულია, პრესაში ზოგჯერ შეხვდებით მეცნიერულად უმწეო და დაუსაბუთებელ მოსაზრებებს, რომ მთის „მიუვალ“ ადგილებში მცხოვრებთა დასახლება საქართველოს ძნელბედობის — მუდმივი ომიანობის შედეგია. დღეს კი, როცა მშვიდობიანობა დამყარდა, მოსახლეობა მთიდან ბარისაკენ ეშვება, რაც სრულიად კანონზომიერი და სასიხარულო მოვლენაა. მთებში მერცხლის ბუდეებივით მიყუჟული პატარა სოფლების ნაცვლად ერცელი, კეთილმოწყობილი დაბები შეექმნათო და ა. შ. ეს ფრიად კეთილხმოვნად ჟღერს, მაგრამ მთელი საქართველოს მოსახლეობა ერთ თანამედროვე ქალაქში რომ მოვათავსოთ, მსოფლიო ასპარეზზე ეს ქალაქი მაინც პატარა გამოჩნდება, უძველესი კულტურის მქონე, მრავალფეროვნებით განთქმული ჩვენი სამშობლო კი თავის სახეს დაკარგავს. აბა, რას ემსგავსება სვანეთისა და ხევსურეთის მთები უადამიანოდ? ან საქართველო ჩაითვლება საქართველოდ ხევსურეთისა და სვანეთის გარეშე?!

ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კომპლექსურად იქნეს შესწავლილი მთის თითოეული სოფელი. გამოვლინდეს ის სახსარი, რამაც მათი წარმოქმნა და დღემდე მოღწევა განაპირობა. აქ დასადგენია ისტორიულ-სოციალური და ბუნებრივ-ეკონომიკური ფაქტორების მთელი სისტემა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ჯერჯერობით, ამოცნობილი არ გვაქვს. ამიტომ არის საჭირო მთიანი რაიონების ეკონომიკურ-გეოგრაფიულ, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და სოციოლოგიურ ჭრილში ინტენსიური გამოკვლევა, გაკეთებულის შეჯამება და მთის თითოეული რეგიონის მომავლის მეცნიერული გააზრება. დასამალი არ არის, რომ მთიდან ბარისაკენ მცხოვრებთა ლტოლვამ ფართო ხასიათი მიიღო. მოსახლეობის ადგილობრივი თუ შორეული მიგრაციები თავისებურად ერწყმის თანამედროვე ურბანიზაციის პროცესს. საქართველო მხოლოდ ლამაზი მთები და ხეობები როდია, მათ ადამიანები ამშვენებენ. ადით მთათუშეთში და იგრძნოთ, თუ რა არის მიტოვებული სახლები, გაბალახებული გზები, ღობე და ჭიშკარმოშლილი საცხოვრებლები. მოსახლეობისაგან იცლება ქვემო ქართლის ქართული სოფლები. აბა ვინ არ იცის ტანძია, სულხან-საბა ორბელიანის ნააკვნარი. იგი ბოლნისის რაიონში მდებარეობს. ვისაც კლდოვან ბორცვებზე ჩადუ-

ღაბებული ქვეშის ციხე უნახავს, მერე ალიშანას მცირე ხეობას აღმა აჰყოლია და აქოჩრილ ,ქედის ძირას მწყერივით განაბული ტანძია დაუთვალიერებია, დიდხანს ვერ დაივიწყებს მის მომხიბლაობას. რა არ გადახდენია ამ სოფელს, მაგრამ დღემდე მაინც მოუღწევია და შთამომავლობისათვის გადაუცია თავისი სახელოვანი შვილის ფაქიზი სიყვარული. სოფლის თავში ორბელიანთა ნამოსახლარი, მეწამული ქვით ნაგები, ტანკენარი ეკლესია და მარმარილოში ნაკვეთი სულხან-საბა ორბელიანის ქანდაკებაა. ეს ადგილი წმინდათაწმინდაა ტანძიელთათვის. ჩასულ კაცს მაშინვე მეგზურობას გაუწევენ, დაუფარავი სიამაყით გაუძღვებიან და გზადაგზა ხალისით უამბობენ თანასოფლელი ბრძენის განუზომელ ღვაწლსა და საოცარ თავგადასავალზე, და ბოლოს, როგორც დიდ საიდუმლოს ისე გაანდობენ: „კიდევ დაიბადებაო ჩვენს სოფელში სულხანისთანა კაცი“.

უმზერ ამ თვალწარმტაც სოფელს, ფერდობებზე დაღლილივით ჩამუხლულ ისტორიულ ძეგლებს, ქარტეხილებთან ბრძოლაში დაბრძენებულ კაკლის ხეებს და კმაყოფილებასთან ერთად სინანულიც გიპყრობს — სოფელს აკლია მზრუნველი ხელი. გზა ცუდია, უამინდობის დროს თითქმის გაუვალი ხდება, ამიტომ მწარედ ხუმრობენ ტანძიელები: „ჩვენ სოფელში ამოსვლას დარუბანდს მგზავრობა ჯობიაო“. სწორედ უგზოობაა იმის მიზეზი, რომ ტანძია რაიონის ცენტრთან ავტობუსით დაკავშირებული არ არის, სოფელს კლუბი არა აქვს, მხატვრულ თვითშემოქმედებაზეც ლაპარაკი ზედმეტია, კინოსურათებს იშვიათად უჩვენებენ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ტანძიელები სოციალისტური სოფელის კულტურული ცხოვრების მიღმა დარჩენილან. გარდა ამისა, ტანძიას არა აქვს სარწყავი წყალი. ძველად ეს სოფელი მდინარე შოშინეთიდან გამოყვანილი რუთი ირწყვებოდა, მოუვლელობის გამო, ჩვენი საუკუნის დამდეგს, არხი გაფუჭებულა და მისი განახლება დღემდე არავის უცდია. ყოველივე ამით არის განპირობებული, რომ დღევანდელ ტანძიაში მოხუცებს უფრო შეხვდებით, ვიდრე ახალგაზრდებს. სოფელს დაცარიელების საფრთხე ემუქრება, მხოლოდ ორმოციოდე კომლია დარჩენილი. ისინი, ვისაც მამაპაპისეული საძვალე ვერ დაუთმია, ყველა ჩამომსვლელს შესჩივიან შვილთა მოუსვლელობაზე, კარმიდამოთა გატიალებაზე...

ტანძიელები სიცოცხლისუნარიანი, გამრჯე და შრომისმოყვარე ხალხია. იქ კიდევ შეხვდებით შვიდ, რვა და ცხრაშვილიან დედებს. მაგრამ რა, პატარები წამოიჩიტებიან თუ არა, ბუდიდან ამოფრინდებიან და ტანძიაში მხოლოდ სტუმრად თუ ჩამოვლენ, მარჯვენა-

მოუღლელ, წლებით დამძიმებულ, მხვნელ-მთესველებს კი შეჰ-ცვლელი სჭირდება.

— ჩემი ბიჭები რუსთავს სიცხე'ში ირუჯებიან, მე კი მათ ნატ-ვრაში ამომდის სული! —გაგვიზიარა თავისი დარდი 86 წლის მო-ხუცმა ივანე აბრამიშვილმა, — აბა, გზაკვალი და სარწყავი წყალი იყოს აქ, მაშინ თუ წავლენ სხვაგან!

არ შეიძლება არ დაეთანხმო ამ მრავლისმომსწრე კაცს. ადამი-ანი ყველგან საჭიროა, მაგრამ ის კერა, სადაც შობილხარ და გაზ-რდილხარ, მხოლოდ დასასვენებელ ადგილად არ უნდა იქცეს. სოფ-ლიდან ბუნებრივი ნამატი აუცილებელია წავიდეს, რათა შეიქმნას ახალი ქალაქები, ახალი სოფლები, ოღონდ საბუდარში კვერცხი არ უნდა გაცივდეს, ბუდე ბუდედ უნდა დარჩეს!

ტანძიის, ამ ისტორიული სოფლის დაცარიელება დაუშვებე-ლია. და განა მარტო ტანძიისა?! საქართველოში მთის ბევრ სო-ფელს სჭირდება განსაკუთრებული მზრუნველობა და პირდაპირ ვიტყვით, გადარჩენა.

პერიოდულ პრესაში არცთუ იშვიათად ქვეყნდება „სოფლის სამდურავი", მაგალითად: „ტოლები სამტრედიის რაიონის მთაგო-რიანი სოფელია. 1930 წელს აქ ხუთი სოფლიდან ტოლების 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობა შეიქმნა, ხოლო 1960 წელს კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობად გადაკეთების საკითხი და-ისვა. ადგილობრივი მოსახლეობა ამას სიხარულით შეხვდა, გვე-გონა ეს გაუმჯობესებდა საყოფაცხოვრებო-კულტურული მომსა-ხურების დონეს, მაგრამ მოხდა პირიქით — სოფელს არა აქვს გზა, სასმელი წყალი, რადიო, კლუბი. სასოფლო საბჭოს აღმასკომი და სამკითხველო მოთავსებულია ავარიულ შენობაში, სადაც წვიმის დროს კაცი თავს ვერ შეაფარებს. ფოსტა, საბავშვო ბაღი, საექიმო უბანი მოთავსებულია უვარგის ბინაში, მოსახლეობას არა აქვს კულტურული გართობისა და დასვენების ადგილი..." („კომუნისტი", 24 დეკემბერი, 1974, გვ. 3).

მეტად ნიშანდობლივია ლეჩხუმიდან გამოგზავნილი ერთი კო-რესპონდენცია: „ცაგერა. არის ასეთი სოფელი ცაგერის რაიონში, — გვამცნობს კორესპონდენტი, — იგი, მართალია, პატარაა, 50 კომლისაგან შედგება, მაგრამ ყველა კოლმეურნე ბეჯითი შრომისა და ნოყიერი სავარგულების წყალობით შეძლებულად ცხოვრობთ. ამის მიუხედავად, ერთი დიდი გასაჭირი მაინც ვერ მოვიშორეთ. ეს არის გზისა და სასმელი წყლის უქონლობა. ჩვენი სოფელი ალპა-ნის გამსხვილებულ კოლმეურნეობაში შედის და კოლმეურნეობის ძლიერებაში საკმაო წვლილიც მიუძღვის, მაგრამ არც კოლმეურ-

ნეობის და არც სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავკაცებს აღნიშნულ საჭიროებათა მოგვარებით თავი არ შეუწუხებიათ. სოფლისათვის გზისა და სასმელი წყლის გაყვანა არცთუ ძნელია, რადგან რელიეფი ამის საშუალებას გვაძლევს. კიდევ უფრო იოლია წყალსადენის მოწყობა, ძვირფასი წყარო სოფლიდან მხოლოდ ერთ კილომეტრზეა დაშორებული. ახლა წყალსადენი მილებიც იშოვება და ფულადი სახსრებიც, მაგრამ სოფლის თავკაცთა ხელმძღვანელობისა და დახმარების გარეშე ამ საქმის ხელში აღებას ვერავინ ბედავს" [5].

აქ საქმეს კიდევ არა უშავს, ყაზბეგის რაიონის მაღალმთიან სოფელ ცდოს მისი თავკაცები მთლად აყრას უპირებდნენ, რაზედაც იქაური მკვიდრი მიხეილ წიკლაური „სოფლის ცხოვრებაში" გულისტკივილით წერდა: „განა უფრო სწორი არ იქნება, ცდოში შევქმნათ ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები, ვიდრე სოფელი ავყაროთ, ხარჯები გავწიოთ და რისთვის, მთების დასაცარიელებლად და გაუსაკაცრიელებლად?" [112].

არასახარბიელო მდგომარეობაა არაგვისპირეთშიც: „დიდი მუშაობაა გაჩაღებული ჟინვალპესის მშენებლობაზე, — იუწყება კორესპონდენტი, — სოფლებიდანაც ბევრი ჩამოსახლდა ახლად მიზომილ ადგილებში. ჯერ ისედაც გარბოდა ხალხი დუშეთის რაიონის სოფლებიდან: ახალციხიდან, კენჭაკლიდან, გურგალეკიდან და ახლა მითუმეტეს.

1967 წ. შემდეგ, როდესაც პატარ-პატარა კოლმეურნეობების ბაზაზე არაგვისპირეთის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა, სამუშაოს ხალხი მხოლოდ სეზონზე თუ შოულობს, მაშინ ძალიან უჭირთ ამ ღღრო-ჩოღრო გზებზე რამდენიმე კილომეტრზე მეურნეობამდე ფეხით სიარული. პირველი მოთხოვნილების საგნების შეძენა ადგილზე შეუძლებელია, ასეთი რამისათვის ხეობის მაღაზიაში უნდა წავიდეთ (შესაძენად კი არა, პატარა ცნობისათვისაც, რადგან ხეობის საბჭოზე ვართ მიწერილი, როცა ტერიტორიულად ჟინვალი უფრო ახლოა ჩვენთან). გზების გაყვანასა და ძველის შეკეთებაზე არავინ ფიქრობს. ჩვენ გვიჭირს ხეობაში წასვლა, ამიტომ იქაური მაღაზიით მხოლოდ ქუბრიანთკარისა და ბულაჩაურის მოსახლეობას შეუძლია სარგებლობა, ჩვენთვის კი მცირე ფარდულის გახსნა გაჭირდა, რომლითაც ისარგებლებდნენ ახალციხის, გურგუალის, კენჭაკლდის, საცხავატოს მცხოვრებნი.

ჩვენი ქვეყნის სოფლების უმეტესობა ქალაქის ტიპის დასახლებად იქცა. მათთვის უცხო არაა კულტურული ცხოვრების სიკეთე, ჩვენ კი ბევრ რამეს მოკლებულნი ვართ. როცა სოფელში კოლმე-

ურნეობა იყო, კლუბისათვის შენობა ავაგეთ. აკლდა ჭერი, იატაკი და შელესვა. საბჭოთა მეურნეობების შექმნის შემდეგ შენობა უპატრონოდ მიატოვეს და ახლა ივი სოფლის პირუტყვის საფგომად არის გადაქცეული. ჩვენ კი გვეგონა გვეღირსებოდა კლუბი და წელიწადში ერთი-ორჯერ მაინც ვნახავდით კინოს. სასწრაფო საექიმო დახმარება რომ დაგვჭირდეს, ექიმს ვერაფრით მოვიყვანთ.

ყველა ამ მიზეზის გამო ჩვენი სოფლებიდან ახალგაზრდობა მიდის ისეთ ქალაქებსა და სოფლებში, სადაც მუდმივი სამუშაო ექნება, არ გაიტანჯება უგზოობით, მოკლებული არ იქნება ცხოვრების ყოველგვარ სიკეთეს. ჩვენ რა ვქნათ, რომელთაც გვენანება მამა-პაპათა სამყოფელის მიტოვება. მერედა როგორი სამყოფელისა — ჯანსაღი ჰაერითა და წყლით" [73].

ფაქტები დადასტურდა, ზომები მიღებული იქნა, დამნაშავენი დაისაჯნენ, მაგრამ ხომ შეიძლებოდა საქმე აქამდე არ მისულიყო. მითითებულ სოფელთა ხელმძღვანელები ახლო წარსულის ნეგატიური მოვლენების ტყვეობაში რომ არ ყოფილიყვნენ, დაკისრებული მოვალეობის შესრულების დროს მეტი გულისხმიერება და პრინციპულობა გამოეჩინათ, ბუნებრივია, ზოგიერთი მტკივნეული საკითხი ადგილზევე მოგვარდებოდა. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მარტოოდენ სოფლის ხელმძღვანელთა უგერგილობაში არ არის საქმე. აქ უფრო ღრმა მიზეზებია, სახელდობრ, დასაქმების მოუგვარებლობა, ანაზღაურების არარენტაბელობა, კულტურულ და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობა. დიახ, ასეთია რეალური სინამდვილე სოფელთა იმ ნაწილში, რომლებიც თავიანთი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, თანამედროვე ცივილიზაციის სიკეთეთა მიღმა დარჩენილან. როგორც მოტანილი მასალებიდან ირკვევა, ეკონომიურად წელგამართულ მცხოვრებთაც იმდენად აწუხებთ კულტურულ და საყოფაცხოვრებო პირობების მოუგვარებლობა, რომ მშობლიურ ადგილებში აღარ ეცხოვრებათ. სწორედ ამის შედეგია ახალგაზრდობის განთესვა, ანდა მთელი სოფლების აყრა და ახლად შექმნილი საბჭოთა მეურნეობის ან გამსხვილებული კოლმეურნეობის ცენტრში ჩასახლება. მაშასადამე, ტრადიციული ქართული სოფელი თავისი კოპწია კარმიდამოებითა და ნაგებობებით გზას უთმობს თანამედროვე კეთილმოწყობილ დასახლებას, სადაც არის კლუბი, სკოლა, საავადმყოფო, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საზოგადოებრივი კვების, სავაჭრო და სხვა ობიექტები. მაგრამ აღარ არის ჩუქურთმებით გადაქარგული ოდასახლები, კოინდარით ებიბინებული ეზოები და საერთოდ ქართული სოფლის ის კოლორიტი,

რომლის სრულყოფილად დახატვა ან აღწერა შეუძლებელია. ბევრი მცხოვრები ვერ თმობს ამ სილამაზეს და განა მარტო სილამაზეს? — მამაპაპურ სახლკარს, ვენახს, ჯანსაღ ჰაერს, წყალს, სახნავ-სათესს, საძოვარს, ტყეს და სრულიად კანონზომიერად მოითხოვს დახმარებას. დიახ, ეს საკითხი ძალიან სერიოზულია, იმდენად სერიოზული, რომ მის ვადაწყვეტასთან დაკავშირებულია, თუ როგორი იქნება ჩვენი სამშობლოს მომავლის პროფილი — შევინარჩუნებთ ჩვენი ცალკეული კოთხეებისა და სოფლების ეროვნულ სახეს ნიუანსური თავისებურებებით, თუ მოხდება ყოველივეს ნიველირება ე. წ. „კეთილმოწყობილ დაბათა" სასარგებლოდ, რომელთაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, წმინდა ესთეტიკური თვალსაზრისით, ჯერჯერობით, მეტად საეჭვო ღირებულება აქვთ.

ამრიგად, კოლმეურნეობის გამსხვილება ანდა წვრილ, ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ბაზაზე ახალი საბჭოთა მეურნეობის ჩამოყალიბება, არა მარტო ეკონომიკურ ფაქტორს უნდა ითვალისწინებდეს, არამედ ამ რეგიონის თითოეული სოფლის ავ-კარგს —მცხოვრებთა დასაქმებიდან დაწყებული, გზითა და ტრანსპორტით უზრუნველყოფამდე.

დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ სოფლის ბედს დღეს მისი მდებარეობა და რელიეფი წყვეტს. ძველ სოფელთა დასახლების ტიპი და განლაგება შეესაბამებოდა მაშინდელ კომუნიკაციებს, ფეხით მიმოსვლას, საჭაპანო და საკიდარ ტრანსპორტს. ამჟამად მდგომარეობა შეიცვალა, სოფელი საავტომობილო გზისაკენ დაიძრა, რადგან ავტომანქანა გახდა მიმოსვლისა და ტვირთზიდვის უმთავრესი საშუალება. მოკლედ, სადაც ავტომანქანა დაუბრკოლებლად მიდის, იქ მოსახლეობა მეტწილად ადგილზე რჩება, ხოლო მთაგორიანი ადგილები ხალხისაგან იცლება. მიგრაციის მრავალ მიზეზთაგან, ჩვენი აზრით, ეს ერთ-ერთი არსებითია. ახლა თითქმის ყოველი გზატკეცილის ირგვლივ თვითნებურად იქმნება დასახლებანი, რომლებიც უგემოვნობითა და ქაოტურობით გამოირჩევიან. სამოსახლოს მოუხერხებლობისა და სიმცირის გამო გლეხს კარმიდამო ზოგჯერ არა აქვს და იძულებულია „ქალაქურად" იცხოვროს, ე. ი. ბაზრიდან ზიდოს სურსათი, მესაქონლეობის ნაწარმი, ბოსტნეული, ხილი... ეს პროცესი ძალზე ინტენსიურად ვითარდება და ხეხილში ჩაფლულ ვენახებითა და მტილებით დამშვენებულ, საძოვრებითა და ტყით მდიდარ, თვალწარმტაც ქართულ სოფელთა ნაცვლად ვიღებთ ნაუცბათევ, ჩამოუყალიბებელ დასახლებებს, რომელთაც მხოლოდ ერთი უპირატესობა აქვთ — საავტომობილო გზასთან სიახლოვე.

სოფელი თავისთავად ისტორიული კატეგორიაა. მისი აღმოცენება დამყარებულია ბუნებრივ-გეოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ საფუძვლებზე. საქართველოში — ბინადარი ცხოვრებისა და მიწათმოქმედების უძველეს ქვეყანაში — შემთხვევით არცერთი სოფელი არ არის გაჩენილი. თვით ყოველი უბანი გააზრებულად წარმოიშობოდა და მის ირგვლივ მდებარე ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად ათვისებას უზრუნველყოფდა. ახლა გლეხობის ნაწილი მკვიდრ გარემოს შორდება და ბაზრის, გარედან შემოტანილის შემყურე ხდება, რის უარყოფითმა შედეგებმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიძვირის სახით კარგა ხანია იჩინა თავი. ამიტომ თითოეული სოფლის, უბნის და კომლის ბედის გადაწყვეტა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა და დიდი სიფრთხილე და წინდახედულებაა საჭირო. მიუხედავად ამისა, ამ ჭეშმარიტად ეროვნულ საქმეში ზოგჯერ მიუტევებელ უდარდელობას იჩენენ. მაგალითად, ხაშურის რაიონში მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სადაც საავტომობილო ხიდია და ავტობუსი დადის (ხცისი, წრომი, რბონა. დამჩხეულა და სხვ.), სოფლები ხალხმრავალია, მაგრამ მოსახლეობა გარბის თაგვეთ-ქაშვეთიდან, გაქრნენ ღუდა და ჯვარმუხა. მძიმე სანახავია ეს ნასოფლარები, იავარქმნილი ნოყიერი ნაფუძვრები, გაპარტახებული ნავაზარ-ნავენახრები, გავერანებული კარმიდამოები. ქაშვეთიც არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის. უგზოობა, ცივილიზაციის თანამედროვე სიკეთეთა უქონლობა შეუბრალებლად სდევნის მკვიდრთ მშობლიურ ადგილებიდან, რაიონული ხელმძღვანელობა კი ნაკლებად ზრუნავს. მართალია, მტკვარზე საავტომობილო ხიდის აგება ერთი რაიონის შესაძლებლობას აღემატება, მაგრამ რამდენიმე სოფლის ყოფნა-არყოფნის საკითხი ყოველგვარ ხიდზე ძვირფასია. აშკარა უყურადღებობის თუ დაუდევრობის შედეგია ქვიშხეთის ზემოთ, სოფელ მონასტერში, ბეღლითსა და სხვაგან, თვით ზაფხულის კარგ ამინდშიც რომ ვერ მიდის ავტომანქანა. იქ მაინც არაა საჭირო ხიდის გაკეთება, მიუხედავად ამისა, უგზოობის გამო ის სოფლებიც იცვლება და განმკითხავი არავინ ჩანს.

ამ ათიოდე წლის წინათ აყარეს და სურამის სანახებში ჩაასახლეს ულუმბა, ჭიშორა და ნინისი. დაცარიელდა ისტორიული ადგილები, დაობლდა ძეგლები, გაუქმდა დოვლათისა და სიკეთის ის წყარო, რაც ამ სოფლებს გააჩნდა. იქაურები ახლაც ვერ შელევიან ძველ ადგილებს და იძულებულნი არიან საძოვრისა და ტყისათვის იქ, საკმაოდ შორ მანძილზე წავიდნენ.

ბუნებრივია, სოფლის ადგილგადანაცვლება ერთი ხელის დაკ-ვრით კი არ უნდა გადაწყდეს, არამედ კომპლექსური მეცნიერული შესწავლის შედეგად. მაშინ თავიდან ავიშორებთ მოუტეველელ შეცდომებს, რაც ხშირად თითო სოფლად გვიჯდება. სოფლის ბედის განსჯის დროს არა მარტო ეკონომიურ სარგებლიანობას უნდა გაეწიოს ანგარიში, არამედ ისტორიულ ასპექტსაც, საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა წარსულის მქონეა ესა თუ ის სოფელი და ამის მიხედვით განვაგოთ მისი მომავალი. მაგალითად, ცნობილ სამონასტრო სოფლის ულუმბას გაუკაცრიელება არაფრით არ არის გამართლებული.

დასახლების ტიპი და ნაგებობანი სურამის ქედის მიდამოებში შეუსწავლელია. აქ ეთნოგრაფი მხოლოდ საკუთარ აღლოსა და შეკრებილ მასალას უნდა დაეყრდნოს. ერთი თვალის გადავლებითაც შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ ქედს გადაღმა მთური რელიეფის მიუხედავად გაშლილი კარმიდამოები სჭარბობს მრავალპროფილიანი ეზოებით, ოდებით და ნაირნაირი „ნამშრალებით" (სამეურნეო ნაგებობანი), ხოლო გადმოღმა ადგილ-ადგილ ქართლისათვის დამახასიათებელი მჭიდრო „უეზოო" დასახლებანია, უფრო სწორად შერეული ტიპი. მაგალითად, ალში, ბრილში, ქემფერში. ფლევში და სხვ. ვიწრო „ქართლურ" ეზოში, სახლის ირგვლივ, არცთუ მაინცდამაინც გეგმაზომიერად, თავმოყრილია მარანი, ბეღელი, საბძელი, სახლ-ბოსელი, თონე და ა. შ. იგრძნობა, რომ მოსული იმერელი ჯერ კიდევ ვერ შელევია თავის მამა-პაპისაგან ტრადიციულად გამომუშავებულ დასახლების სისტემას, თან ხარკს უხდის თუ იძულებულია შეეგუოს „მიწაზე ჯდომის" ადგილობრივ წესსაც.

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ქედის დასავლეთით ტერასულმა კარ-მიდამოებმა. რთულ რელიეფს შეჭიდებული გლეხი გამარჯვებული გამოსულა და ხრიოკი ფერდობები აყვავებულ უბნებად უქცევია. სახლი და ყველა „ნამშრალი" შესაბამის ტერასზეა განლაგებული. ჩვეულებრივ, მარანი, ბეღელი და სათონე „ერთ ფარგალშია", ცალკე მხარე აქვს დათმობილი საბძელ-ბოსელს, საღორეს, საქათმეს და საცხვრეს. ისიც კი არის გათვალისწინებული, ნიავი საით უბერავს, რათა ცუდმა სუნმა სახლამდე არ მიაღწიოს. ყოველ ნაგებობას არა მარტო დანიშნულების მიხედვით აქვს ადგილი შერჩეული, არამედ თითოეული ოსტატურადაა შეხამებული უაღრესად დანაწევრებული რელიეფს. სწორედ ეს ქმნის იმ განუმეორებელ სილამაზეს, რასაც იმერელი გლეხის კარმიდამო ჰქვია. მიწის ყოველი მტკაველი მიზნობრივად გამოუყენებიათ, ნაკვეთი, რომლის დამუშავება შესაძლებელია დასასახლებლად არ გაუმეტე-

ბიათ, სამაგიეროდ თავი არ დაუზოგავთ, კარმიდამო, როგორც ადგილობრივნი ხატოვნად ამბობენ, „კორტოხისათვის წაერთმიათ“. ახლა საავტომობილო გზის უქონლობის გამო კულტურის ეს მონაპოვარი იკარგება, მოსახლეობა სოფლის მეურნეობისათვის ძვირფას სავარგულებს ეუფლება (ზოგჯერ არცთუ უანგაროდ), რაც მეტად არასასურველია. საბოლოო ჯამში ამ მიწების მოცდენა უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე ყველა უბანში გზატკეცილის გაყვანა.

მიწის რაციონალურად გამოყენება ქართველ ხალხს ისტორიულად მოსდგამდა. ეს იყო მცირესავარგულებიანი ქვეყნის სასიცოცხლო აუცილებლობა. ძველი მცხეთის არქეოლოგიურმა და ისტორიულ-ტოპოგრაფიულმა შესწავლამ ცხადყო, რომ სამოსახლოდ, დასამუშავებლად უვარგისი ქედის თხემ-კალთები შეურჩევიათ, ხოლო ნოყიერ ზეგან დაბლობებში ბაღ-ვენახები და მარან-საწნახლები უშენებიათ [50, 62].

„ძველი იმერეთი“ სამეურნეო ნაგებობებში უფრო იგრძნობა. შესანიშნავია იქაური ძელური მარნები და სახლ-ბოსლები. სახლ-ბოსელი ორიგინალური შენობაა მუხის ან წაბლის „დაწარბენილი“ ძელებით ნაგები, მოგრძო, სწორფერდად დახურული. წინ განზიდული „გადასაწვიმებელი ლაფაროთი“. ერთ „თვალში“ ბოსელია, მეორეში საცხოვრებელი, შუაცეცხლით, ნაჭათი და სამფეხ-საქვაბურათი. ზოგან შემორჩენილია ხის ფართო ტახტები. სახლ-ბოსლის დღემდე შემონახვას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მას ფუნქცია არ დაუკარგავს, იგი ბოსლად და სამზადისად ახლაც გამოიყენება.

რაც შეეხება სახლს, მისი ადგილობრივი ტიპი თითქმის გამქრალია. ეთნოგრაფის ყურადღებას აქა-იქ მხოლოდ ვივან „დაჭოჭიალავებულ“-„მოფიგურებული“ ძელური ან ფიცრული ოდები თუ მიიპყრობს. ამჟამად ყველგან აგურითა და „ბლოკით“ ნაგები, ვეებერთელა კიბეებით დამძიმებული, ე. წ. „ქალაქური“ სახლები გაბატონებულა. ნიშანდობლივი მოვლენაა, რომ ქართველი კაცის ბუნება უაივნობას ვერ შეგუებია და ახალმოდის ყუთისებრი შენობებისათვის ირგვლივ რკინა-ბეტონის „ვერანდები“ შემოურტყამთ. ყოველივე ეს მნახველზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს, ტრაფარეტული გამოსახულებებით „შემკულ“ რკინის ჭიშკარ-გალავნებიდან მოკიდებული, თუთიის სახურავების აჟურულ სამშვენისებამდე.

ასევე დამაფიქრებელი მდგომარეობაა რაჭაში. დღეისათვის, განსაკუთრებით რიონის მარჯვენა სანაპიროზე გაშენებულ სოფლებში, ირღვევა ტრადიციულად დამკვიდრებული დასახლების ტიპი და შრომის ორგანიზაცია. მცხოვრებნი სტიქიურად მიისწრაფ-

ვიან მთავარი გზატკეცილისაკენ და იქვე სახლდებიან. ადგილის უქონლობის გამო, ბევრ მათგანს აღარ გააჩნია კარმიდამო, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ოჯახის ეკონომიკაზე. სოფელ ხვანქარაში უკვე მოიშალა ნემსიწვერიძეების, ლუხუტაშვილების და ნაწილობრივ ტყეშელაშვილების ძველი უბნები. ჩამოსახლების მიზეზად მოსახლეობა საავტომობილო გზის უქონლობას ასახელებს. სხვა მხრივ სამოსახლო ადგილის მიმართ საყვედურს არ გამოთქვამენ. პირიქით, ენანებათ კიდეც მამაპაპური „ეზო-მიდამოს“ დატოვება. „გლეხის პირობაზე იქ უკეთესად ვიყავით, — ამბობენ ისინი, — ტყე ახლოს გვქონდა და საბალახო; ჰაერიც კარგი იყო. მაგრამ ახალმა დრომ შეცვალა ჩვენი ცხოვრება, ხარ-ურემი აღარ გვყავს, ავტომანქანას ყველგან ვერ მიიყვან. ფქვილი, პური, ნავთი მაღაზიიდან მოგვაქვს, ჯობია გზასთან ახლოს ესახლო, ვინემ გორეებზე“, საგულისხმო სიტყვებია. მართალია დროს თავისი გააქვს, მაგრამ როცა სოციალისტური სოფელი სახეს იცვლის ეს მხოლოდ და მხოლოდ გეგმაზომიერად უნდა ხდებოდეს. ასევე სტიქიურობის შედეგია სოფელ ჩორჯოსა და ღვიარას ბოლოს ქაოტურად განლაგებული ახალშენები. უგემოვნო და უეზოო სახლები. იქ ვეღარ ნახავთ მრავალგვარ შრამელ-ბურულებს. ერთადერთი, რაც გლეხს დარჩენია, საავტომობილო გზასთან სიახლოვეა. და ნუთუ ამისათვის ღირს საუკუნეთა მანძილზე გამომუშაებული დასახლების ტიპის მოშლა? რაც მთავარია „ნამოსახლის“ დაშორება მის ირგვლივ მდებარე, საარსებო რესურსების სრულყოფილად გამოყენებას აბრკოლებს. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ჩამოსახლებულთ ძველ ადგილებში სამუშაოდ წასვლა ეძნელებათ. მიწათმოქმედების ნაცვლად ისინი უფრო იოლ საქმინობას ეძალებიან და ძალაუნებურად საკოლმეურნეო შრომას გაურბიან. რაჭა, იმთავითვე, მცირემიწიანი კუთხე იყო და იქ ერთი „ფეხის დადგმაც“ არ რჩებოდა გამოუყენებელი, ამჟამად კი ბევრი სავარგულია გატყიურებული. სწორედ ამის მიზეზია ადგილობრივ ყურძნის, სიმინდისა და ხორბლის მოსვლის შემცირება, მომარაგების ოდნავი შეფერხებაც კი საკმარისია, რომ პურის მაღაზიის წინ რიგი გაჩნდეს. სამამულო ომის დროს ქვემო რაჭის მთიანი სოფლები მარცვლეულით ამარაგებდნენ ვენახიანი ზოლის სოფლებს. სიმინდის მოსავლით განთქმული იყვნენ ლაბეჭინა და გენდუში. კოლმეურნეობების გამსხვილებასთან დაკავშირებით, ამ სოფლის მცხოვრებნი ქვედა ჭყვიშსა და ქვედა ჟოშხაში ჩ.ამოესახლნენ და დღეისათვის მათი ყანები აღარ მუშავდება. ადამიანის საცხოვრებლისა და შრომის ადგილის ერთიანობის დარღვევას ხშირად არასასურველი შედეგი მოაქვს. კიდევ და კიდევ უნდა

გავიმეოროთ, რომ ვერც ერთი სოფელი დღემდე ვერ მოაღწევდა, თუ მას არ ექნებოდა საარსებო საშუალებათა გარკვეული კომპლექსი. და როცა რომელიმე სოფლის არსებობის საკითხი დგება, უპირველეს ყოვლისა, მისი ყოველმხრივი შესწავლა უნდა მოხდეს ახალ სამოსახლო ადგილთან შეპირისპირებით და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადაწყდეს გადასახლების საკითხი.

გურიაში ძალუმად შეიგრძნობა სოციალისტური სოფლის მაჯისცემა. გამონაკლისს გარდა, ყველგან დანერგილია თანამედროვე ქალაქისათვის დამახასიათებელი კულტურის მიღწევები. ჩვეულებრივია მოასფალტებული ქუჩები, ლამპიონები, ქანდაკებებით, აუზებითა და შადრევნებით შემკული ბაღები და სკვერები. ხუროთმოძღვრული ანსაბლით (ადმინისტრაციული შენობები, სკოლები, კულტურის სახლები, კინოთეატრები, მუზეუმები, მაღაზიები, რესტორნები, საყოფაცხოვრებო მომსახურების სალონები, საავადმყოფო, სამშობიარო და სხვ.) დამშვენებული ცენტრი. მოსახლეობის უმეტესობასაც, გაფორმებული ფასადებით, ქუჩისპირას ჩარიგებული ახალი სახლები აქვს.

დღევანდელ გურიაში ქალაქსა და სოფელს შორის ზღვარის წაშლის მეტად საინტერესო პროცესი მიმდინარეობს, რაც შემდგომ მეცნიერულ დაკვირვებას და შესწავლას საჭიროებს. ამჟამად ყურადღებას გავამახვილებთ აღნიშნულ კუთხეში ახალი ქალაქური ტიპის სოფელთა ფორმირების მხოლოდ ზოგიერთ საკითხზე. უპირველესად, რაც ეთნოგრაფს თვალში მოხვდება, ეს არის კარმიდამოებისა და საცხოვრებელ ნაგებობათა ერთგვარი სტანდარტიზაცია. გურიის სოფელი თანდათან კარგავს ტრადიციულ ელფერს. ზოგიერთს ეს ფაქტი ცხოვრებისეულ და ამდენად კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია, რასაც ვერ დავეთანხმებით. რა თქმა უნდა, ტალახიანი ორლობეებისა და საცხოვრებლად მოუხერხებელი ჯარგვალების შენარჩუნება უაზრობაა, მაგრამ წინაპართა მიერ საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული რეალიების ხელაღებით უარყოფაც დაუშვებელია. ნუთუ არ შეიძლება ჩვენი სოფელი თანამეღროვეც იყოს და ეროვნულიც. ჩვენ სამშობლოში ხომ სრულყოფილად იყო გამოყენებული საცხოვრებელი გარემო. ყველა კუთხეს თავისი მეურნეობის ფორმირებისა, მიკროჰავის და ეკოლოგიური პირობების შესაბამისად გამომუშავებული ჰქონდა ეზოების, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ტიპები. ქვეყნის სოციალისტურმა გარდაქმნამ, ბუნებრივია, აქ თავისი კორექტივი შეიტანა, მაგრამ, ძირითადად, ჩვენი სოფლებისა და ქალაქების განაშენიანება მაინც ნაციონალური, ქართული უნდა დარჩეს. და უფრო მე-

ტიც, ყველა კუთხემ უნდა შეინარჩუნოს საკუთარი ეთნოგრაფიული (კარგი გაგებით) სახე. ამრიგად, სახლის აშენება და კარმიდამოს გამართვა სრულებითაც არ არის კერძო საქმე. ზემდგომი ორგანოების დადგენილებით 1974 წ. იანვრიდან აკრძალულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მფლობელის შეხედულებისამებრ აშენება. „იყო შემთხვევები, როცა ზოგიერთი საცხოვრებელი სახლის ფართობი მნიშვნელოვნად აღემატებოდა საზოგადოებრივი ნაგებობების ფართობს. დაწესებულია ფართობის მაქსიმუმი, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სათავსოებისათვის. საცხოვრებელი სახლები აიგება მხოლოდ იმ პროექტებით, რომელთაც „საქსოფლმშენპროექტის“ რეკომენდაცია მიეცემა. სოფლის ინჟინერი და რაიონის არქიტექტორი კონტროლს გაუწევენ მშენებლებს ზუსტად დაიცვან დედანი“ [15]. მაგრამ ეს აკრძალვა ხალხური ხუროთმოძღვრების დაბრკოლებად არ უნდა იქცეს. უდავოა, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს კიჩის ყოველგვარ გამოვლინებას, ოღონდ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებულ, თვითმიხვედრით მოფიქრებულ პროექტს. თუგინდ არასპეციალისტისა იყოს, შეიძლება ხორცი შეესხას, ბუნებრივია სათანადო განხილვის შემდეგ. ეს პრაქტიკულადაც აუცილებელია, რადგან არქიტექტორები ყველა მოთხოვნას ვერ აუვლენ, ხოლო ორიოდე ტიპიური პროექტის მიხედვით ინდივიდუალურ სახლთა მასიური მშენებლობა შაბლონურ სტანდარტიზაციას გააღრმავებს, რაც საბოლოო ჯამში უარეს შედეგს მოგვცემს. მით უმეტეს, დღევანდელი სოფლის ახალ ნაგებობათა უმრავლესობა სხვა არაფერია, თუ არა უნიჭოდ გააზრებული, ე. წ. „ქალაქური სახლის“ ხელმოცარული მიბაძვა, თუმცა ამ უნებლიე ცოდვის ფესვებს თუ მივყვებით პროფესიონალ ხუროთმოძღვართა სახელოსნოებს მივადგებით.

მიუხედავად იმისა, რომ გურიაში ქვის საბადოები უხვად იყო და მათი გამოყენება-დამუშავების საქმე ძველთაგანვე მაღალ დონეზე იდგა, ნესტიანი ჰავის გამო, ქვის საცხოვრებლებს ხისას ამჯობინებდნენ. დღეს კი სურათი შეიცვალა. ხის სახლი რატომღაც ათვალწუნებულია, სოფლად ფეხმოდგმულია ცემენტისა და აგურის შენობები, რომლებიც უგემოვნო არქიტექტურით გამოირჩევიან, ფასადები ტრაფარეტულია, ძველქართული აივნები გამქრალა, ულაზათოდ დგას კიდობანივით შეკრული შენობა, რომელზედაც ბასტიონივითაა მიშენებული რკინა-ბეტონის უზარმაზარი კიბე. ამ კიბით ზედა სართულში რომ მოხვდე, ზოგჯერ საჭიროა მთელი ეზო მოიარო. სახლებს ჩვეულებრივ თუნუქი ხურავს და ხშირად მამლები თუ რაღაც მათი მაგვარია კუთხეებსა და წვეროებზე

თუნუქითვე გამოყვანილი. ეს ძვირადღირებული, მაგრამ იაფფასიანი „ჩუქურთმები“ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს და ცხადყოფს, რომ ჩვენი ქალაქების არქიტექტურული წუნი ეპიდემიასავით მოსდებია სოფლებს. შესცქერი ამ ნაგებობებს და ძალაუნებურად გაგონდება სოფ. ზოტსა და ჩხაკაურაში (ჩოხატაურის რაიონი) შემონახული ძველქართული სახლები, რომელთაც ეროვნულ კოლორიტთან ერთად შენარჩუნებული აქვთ მომხიბლავი უბრალოება, ამასთანავე ისინი საცხოვრებლად ძალზე მოხერხებულია. პირველი სართულიდან, შიგვე დატანებული კიბით, მეორე სართულზე ახვალთ, რომელსაც მთელ სიგრძეზე ჰკვეთს „დეფანი“. ხელმარჯვნივ „სარძიე“ და ბუხარიანი სამზარეულოა, საგანგებო „ფიტონ-ხარიხებზე“ განლაგებული ჯამ-ჭურჭლით. სამზარეულოს გვერდით სასადილო ოთახი და საკუჭნაოა, ხელმარცხნივ ბეღელია (ზოგჯერ ბეღელი უშულოდ სახურავქვეშაა ატანილი და კაკვების საყრდენის „ვაცის“ მოვალეობას ასრულებს), ბეღლის მიღმა ორი საწოლი ოთახია. დეფანი აივანზე გადის, საკუჭნაოსა და აივნის კუთხეში შენიღბულ ადგილას ტუალეტია. ავეჯი ძველებურია შემონახული: ფეხდაბალი ტახტები და ტაბლები, კუთხეებში დატანებული კარადები, სკივრები, ზანდუკები, „საზურგულიანი სკამები“ და სხვა. ასეთ სახლში, როგორც იტყვიან, ფეხი არ დაგისველდება, გარეთ გასვლა არ დაგჭირდება. ეს არის სახლი, რომლის ყველა კუნჭული საცხოვრებლად გამოყენებულია, მაშინ როდესაც ახალი მოდის შენობების მეორე სართული ფაქტიურად უქმადაა, უცხოური ავეჯით გადატვირთულია და მდარედ შესრულებულ სამუზეუმო ექსპოზიციას ჰგავს.

სამწუხაროდ, ქართულ ავეჯს, რომელიც მოხერხებულობით, დახვეწილობითა და მიმზიდველობით გამოირჩევა, მხოლოდ ძველ სახლებში შეხვდებით ან სამზადებში. მას ზოგიერთი დღესაც კი ქედმაღლურად „პრიმიტიულ საოჯახო ნივთებს“ უწოდებს, მაშინ როდესაც ჩვეულებრივი საკარცხულის, სკამლოგინის, ტახტის, სუფრის, სკივრის, კიდობნის, მაქალოზის, ტაგრუცის და სხვათა აუცილებლობა დიდი ხანია იგრძნობა, როგორც პრაქტიკული საჭიროებისათვის, ისე სუვენირებად. ნუთუ დრო აღარ არის ავეჯის ფაბრიკებმა გაითვალისწინონ ხალხის მიერ შექმნილი სტანდარტები და მომხმარებელს მიაწოდონ ნამდვილი ეროვნული, სადღეისოდ სახმარად გარდაქმნილი ავეჯი, რომელიც თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით, ქართულ ტრადიციებზე აგებულ სახლებში განლაგდება და მარტოოდენ ჩვენთვის დამახასიათებელ, თავისებურ გარე-

მოს შექმნის[1]. ზოგიერთი რამ ჯერ კიდევ ყოფიდან არ გამქრალა და თითო-ოროლა ოჯახი ეროვნულ სურნელს ისევ ინარჩუნებს, მაგალითად, სოფ. ცხემლისხიდში (მახარაძის რაიონი) გიორგი სალუქვაძის სახლ-კარი:

ხევსმოკიდებული რიყის ქვის ყორეს კოხტა მესერი გადაუყვება. ხის თაღოვანი ჭიშკრით ვრცელ, მწვანედ აბიბინებულ „წინაეზოში" შეხვალთ, ხელმარჯვნივ ჭა ჩანს ოწინარით და მთლიანი ქვის გვიმით. ღობეს თავს დასცქერის რტოებგაშლილი „სამორავი ხეები" რცხილა და იფნა. ეზოს სიღრმეში ნაყოფით დახუნძლული ხეხილია. თავისუფალ კუთხესთან, წყავის ქვეშ სტუმრებს დინჯად ელოდება ქვაში ფაქიზად ნაკვეთი მრგვალი მაგიდა. ვეება ცაცხვის ჩრდილში ერთსართულიანი წაბლის ოდა დგას, რომელსაც ფართო აივანი ამშვენებს თავისი ნახარატევი მოაჯირით, ნაჩუქურთმევი სვეტის თავებით და კამარებით. აივანს თითქოს შეზრდილია მუქი, თლილი ქვის კიბე.

სასტუმრო, სასადილო, საძინებელ ოთახებს და საკუჭნაოს შესაფერისი, ძველებური ავეჯი უხდება. აგერ „წამოსაწოლ ტახტზე" შინნაქსოვი ფარდაგი, გიშრისფერი ხავერდის მუთაქები და უცხოდ ნაქარგი ყურთბალიშებია. კედელზე სადაფით შემკული ჩონგური დაუკიდიათ. ნიგვზის ჩარჩოებიდან შთამაგონებლად იმზირებიან წინაპართა სახეები.

სახლში იმდენი სივრცე და სიხალვათეა, ლამის ფრთები შეგესხას, დგამ-ავეჯი კედლებს ისე შერწყმია, სულ არ იგრძნობა. ყველგან წესრიგი და სისუფთავე სუფევს, 95 წლის დიასახლისს ოლღა სალუქვაძეს მისაბაძი გემოვნება და მოუღლელი მარჯვენა ჰქონია.

სახლს უკან „სახმარი ეზოა", სადაც ისლით დახურული სამზადი და მარანია. მარნის კედლები წნელით არის მოწნული. შიგ მხართეძოზე ნებივრად წამოწოლილა გურული, მრგვალი საწნახელი. ჭურები გარეთაა ჩაფლული ბებერი წყავის გრილოში. აქვე მესერზე წამოსკუპებულა კოპე, ორკოპე, ორჩხუში, ჯანტარა, ძელბარა და სხვ. მარნის მიღმა ღობით გამოყოფილი „საჭყინტო" სიმინდის ყანა და ბოსტანია. ძველად იქვე იყო გაშენებული სამკურნალო მცენარეები. ეზოში გახვალთ და მზის სხივები თვალს მოგჭრით, ვაზებით დაბარდნილ ხურმებს შეეფარებით და „შავ ეზოს" მოკრავთ თვალს. მაღალ ბოძებზე შემდგარი ნალია თითქოს თავს იწონებს, მოშორებით „კარია" — საქათმეა, შორს კი, ქართაში სა-

[1] ამ მხრივ თბილისში სათანადო ინიციატივა გამოიჩინეს და ქართული სტილით დამზადებულმა ავეჯმა სახელმწიფო „ხარისხის ნიშანიც" კი მიიღო. პირველი ცდის ესოდენ დიდი წარმატება მრავლისმეტყველი ფაქტია.

ღორე და „კონახია“ (საქონლის საზამთრო ბინა, წნელი და „ალიზა“ მიწით შელესილი). თუ კიდევ ბილიკს გაპყეებით, ხეხილის ბაღს და მაღლარ ვენახს გაივლით, ნაკადულის ჩურჩულს გაიგონებთ და თხმელნარებში მოგრუტუნე ერთი ბეწო წისქვილს ისილავთ.

კარმიდამოც ესაა და ცხოვრებაც ამას ჰქვია. აღწერა, თუგინდ ეთნოგრაფიული, ხშირად უსრული და ნაკლოვანია, ყველაფერი ეს საკუთარი თვალით უნდა ნახოს კაცმა, რათა დარწმუნდეს გურული გლეხის მახვილგონიერებასა და ნიჭიერებაში.

ტერასული კარმიდამოს კარგი ნიმუშია ვარლამ ცეცხლაძის ეზო-გარემო (სოფ. გოგიეთი, მაკვანეთის თემი). გამორჯე ადამიანებს მთის ფერდობი დაუკავებიათ და ვრცელ, მშვენიერ ეზოდ უქცევიათ. ეზო, მიუხედავად რთული რელიეფისა, გამოყენების თვალსაზრისით, აქაც სეგმენტირებულია და მის ყველა ნაწილში ბურული (ნაგებობა) დგას. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კლდეში შეჭრილი ხელოვნური გამოქვაბული, რომელიც ბუნებრივი მაცივრის მოვალეობას ასრულებს და წკანწკარა წყარო — „საცივი“.

დიახ, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გურიაში ეთნოგრაფისათვის საინტერესო. „ქალაქური სახლების“ ფასადებს მიღმა ისევ ძველებურად განაგრძობენ ცხოვრებას მამაპაპური სამზადები, მართალია, მათ გაზის ქურები შეუფარებიათ, მაგრამ კერიას მაინც ინარჩუნებენ, რადგან შუაცეცხლზე გამომცხვარი მჭადი და ხაჭაპური, გამოშუშებული ღომი და შემწვარი ქათამი სულ სხვა გემოსია. მარნებში ისევ წვანან დარბაისლურად საწნახელები და „ჩაოში“ (ჩრდილში) ჭურები ჩაბუდებულან, რადგან ვერც ერთი სასმელი ვერ შეედრება ძველხალხური წესით დაყენებულ ღვინოს. არა, ისინი შეუცვლელია, განვითარების რა დონეც არ უნდა იყოს. მათი დაკარგვა შეიძლება, შეცვლა კი არა.

დასასრულს ისლის სახურავზედაც უნდა აღინიშნოს. წინდახედული გურული მეურნე შესაფერის ნაკვეთზე ისლს საგანგებოდ აშენებდა და როგორც ყანა-ვენახს ისე უვლიდა. ეს იყო „საისრე“ — საისლე, რომელიც თავის დროზე ითიბებოდა და სახურავისათვის საჭირო მასალას „კარიყურში“ იძლეოდა. ამჟამად, გურიაში საისლე თითქმის არ გვხვდება. თვით ისლის სახურავი თითო-ოროლა სამეურნეო ნაგებობასღა თუ აქვს შენარჩუნებული, ხოლო ისლით სახლის დახურვა ხომ დიდ სირცხვილად ითვლება. ისლი დღეს ჩამორჩენილობისა და სიღარიბის ასოციაციას იწვევს. წარსულის ამ მძიმე მემკვიდრეობის დაძლევის შედეგად ისლის სახურავი, როგორც გლეხის სიდუხჭირის სიმბოლო, მოისპო. ხანგრძლივი ძიების

შემდეგ, ერთ განაპირა სოფელში, ძლივს ვიპოვეთ ისლით დახურული კონახი. მასპინძელმა ჩვენი მეგზური — სოფლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი საყვედურებით აავსო: „დროზე არ მომეცით წესიერი სახურავი და ახლა თავი მომეჭრა, მარტო მე გავხდი საამბო და საგაზეთოო“. ჩვენმა ახსნა-განმარტებამ, რომ ისლი სახურავთა შორის ყველაზე საუკეთესოა, შესანიშნავად ინარჩუნებს ნორმალურ ტემპერატურას, საცხოვრებელში უზრუნველყოფს ჯანმრთელ მიკროკლიმატს, თუ ის კარგად გაკეთებულია და „ნაფუტვარი“, ე. ი. კვამლზე გამოყვანილი გამძლეობა საკმაო აქვს, ევროპისა და ამერიკის ბევრ სახელმწიფოში სააგარაკო კოტეჯებს ისლით ხურავენ და სხვა, ნაყოფი არ გამოიღო და თუ ეს ფაქტი საჯაროდ გამოგვაქვს, იმიტომ, რომ ნიშანდობლივად ააშკარავებს წარსულის მემკვიდრეობის შეუფასებლობას. ის, რაც ჩვენს ხალხს ემპირიულად, უხსოვარი დროიდან მოუპოვებია, მეცნიერული კვლევის შედეგად, ზოგიერთ ქვეყანაში ახლა აღმოაჩინეს და მის ყოფაში დანერგვას ცდილობენ. ჩვენ კი მიუტევებელ გულგრილობას ვიჩენთ და წინაპართა მაღალ კულტურას ზოგჯერ ჩამორჩენილობად ვაცხადებთ. სხვათა შორის, ვაზის ქართულად სხვლის უძველესი წესი, რომელიც ადრევე გახდა ფრანგ მკვლევართათვის ცნობილი, საქართველოს დაუბრუნდა, როგორც ფრანგული. ვშიშობთ, ასევე არ მოხდეს ისლის სახურავთან დაკავშირებით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხალხის ზოგიერთი ემპირიული მიგნება მეცნიერების მიღწევებს როდი ჩამორჩება, პირიქით, უფრო ხელსაყრელი, მრავალმხრივ შემოწმებული და საიმედოა, ამიტომ ღრმად უნდა შევისწავლოთ ის ცოდნა-გამოცდილება, რაც ჩვენს ერს ხანგრძლივი არსებობის მანძილზე დაუგროვებია.

დღეს, არნახული შემოქმედებითი შრომისა და მშვიდობის ხანაში, ოფლითა და სისხლით მონაპოვარს დავიწყების ფერფლით ნუ შევმოსავთ!

1973 წ. ივნისში საშუალება მოგვეცა, ხანმოკლე საველე-ეთნოგრაფიული მუშაობა გვეწარმოებინა კახეთში, სახელდობრ გურჯანიის რაიონში. მართალია, იქ სულ სხვა მიზნით ვიყავით ჩასული, მაგრამ ძალაუნებურად ჩვენი ყურადღება მიიქცია დასახლების ტიპმა, უპირველეს ყოვლისა, უაღრესმა სიმჭიდროვემ. სოფელთა შორის ზღვარი თითქმის წაშლილია და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს დაუგეგმარებელ ქალაქში მოვხვდი.

იშვიათია გურჯაანის რაიონში სოფელი, რომელიც დღეს თავის ძველ ადგილას იყოს დარჩენილი. თანამედროვე კომუნიკაციებმა აქაც გადამწყვეტი როლი ითამაშა და გზატკეცილის თუ რკინიგ-

ზის ირგვლივ მივიღეთ უთავბოლო განლაგების, ერთმანეთზე მიჯრილი მჭიდრო დასახლებანი, რკინა-ბეტონის ზღუდეებში ჩამჯდარი შეჯავშნული სახლებით, რომელთა უმრავლესობა კიჩის აყვავების მრავალისმეტყველი დადასტურებაა. ამ კონგლომერატში ამაოდ ეძებს თვალი ადგილობრივის დამახასიათებელ ბრწყინვალე ხალხური არქიტექტურის ნიმუშებს.

მოხუც მთხრობელთა მტკიცებით, სოფლები ძველად ცივგომბორის ქედის კალთებზე იყო შეფენილი, იქ, სადაც ხშირი ტყეები იწყებოდა. ხის მასალა, შეშა, ფიჩხი ახლოს ჰქონდათ. სოფლის ქვემოთ „წაფენება მზვარეები“ ვენახებს ეჭირა. ვრცელი „გასატევარი“ — სახნავ-სათესი, საძოვარი, „ვაკიტყეები“ ალაზნის ჭალებში იყო. იქ დროებით „ბინებსაც“ აშენებდნენ, ოღონდ სოფელი „ადგილიდან არ იძვროდა“, რადგან ჯანსაღ ჰავას („ზაფხულ გრილი, ზამთარ თბილი“) და ცივ-ანკარა, მოჩუხჩუხე წყაროებს ვერ თმობდა. მერე მედიცინამ ციებ-ცხელება დაამარცხა, ყოფაში მიმოსვლის თანამედროვე საშუალებანი დამკვიდრდა და ხალხიც „გზისპირებისაკენ“ დაიძრა.

მოვინახულეთ სოფელი ზიარი, რომელიც არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის. უგზოობამ გაანადგურა მთელი ეს მიდამო. ძირფესვიანად ამოვარდა სოფლები — ფხოველი და დარბა. მოსახლეობისაგან დაიცალა სახელგანთქმული ჭერემი, რომლის აღდგენა ახლა მიმდინარეობს. სამოთხისებრი ადგილები უკაცოდ დარჩა. სარეველებში გაპარულა ვაზი, აღარ ბიბინებს ჯეჯილი და ბეითალმანად ქცეული მიწას ჭრილობებივით ამჩნევია ნასახლარები. აქ ხომ გადაულახავი მაღალი მთები და კლდოვანი, ღრმა ხეობები არ არის, ნუთუ არ შეიძლებოდა თავის დროზე გაეყვანათ გზა, გაეხსნათ საექიმო პუნქტი, მაღაზია, კლუბი, ბიბლიოთეკა.

ასეთია იმ კუთხეთა შესახებ ჩვენი ზოგადი დაკვირვებანი, სადაც შესაძლებლობა მოგვეცა ვყოფილიყავით.

საზოგადოდ, საქართველოს დღევანდელი სოფლის დასახლების ტიპისათვის დამახასიათებელია ძირეული ცვლილებები, რაც გარეგნულად კარმიდამოთა და ნაგებობების მოდერნიზაციაში გამოიხატება. სადირექტივო ორგანოების მიერ უკვე აღინიშნა, რომ ამ სათუთ საქმეში, უკანასკნელ ხანებამდე, განუკითხაობა და სტიქიურობა სუფევდა. ანგარიში არ ეწეოდა ტრადიციულად შემუშავებულ დასახლების სისტემას, რომელიც მოცემული რეგიონისათვის ყოველმხრივ შესაფერისი იყო. მართალია, სოციალურ ცვლილებებს სერიოზული კორექტივი შეაქვს მოსახლეობის განლაგების სტრუქტურაში, მაგრამ ბუნებრივი გარემო, ძირითადად, იგივე რჩება და

ამდენად წინაპართა გამოცდილებას სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს. მით უმეტეს, საქართველოს ყველა კუთხეს დასახლების საკუთარი, ორიგინალური სტილი მოეპოვება, რომელიც ყოველგვარი ზედმეტობისაგან თავისუფალია. სწორედ ზედმეტობამ, კიჩმა, როგორც ვნახეთ, ბევრი ჩვენი სოფელი დაამახინჯა. ამ უცხო, ქართველი ხალხისათვის შეუფერებელ მოვლენას ხარკს უხდიან იოლი მონახვეჭით გამდიდრებული ელემენტები, რომელთაც ჩვეულებრივისაგან განსხვავების აღვირახსნილმა სურვილმა ბანალური გემოვნება განუვითარა. ფრიად სასიხარულო მოვლენაა, რომ დღეს მაო სიხარბეს და მსუყე მისწრაფებას ზღვარი დაედო. ბუნებრივია, ქართული სოფელი ყოველგვარი კიჩისაგან უნდა განიწმინდოს, იგი უაღრესად თანამედროვე, ამასთანავე ტრადიციული, საკუთარი სახის მქონე — ეროვნული უნდა იყოს.

* * *

სოფლის სატკივარს ქალაქისაც უნდა მივუმატოთ. საერთოდ, საქართველოს ქალაქების ეთნოგრაფია ნაკლებად შეისწავლება. შორს ნუ წავალთ, ვილაპარაკოთ თბილისზე, რომელმაც ჩვენ თვალწინ დაკარგა ჩვეული მომხიბლაობა და ორიგინალობა. ნაცვლად იმისა, რომ მთელი უბნები და კვარტალები ეთნოგრაფიულ ნაკრძალებად გამოგვეცხადებინა (ამისათვის ხომ დროულად იღწვოდა აკად. ივ. ჯავახიშვილი) საფუძვლიანად დავანგრიეთ ისინი. ას წელზე მეტი გავიდა, რაც თბილისის ისტორიასა და ეთნოგრაფიაზე დ. ბაქრაძისა და ნ. ბერძნიშვილის წიგნი გამოქვეყნდა. იმის შემდეგ თბილისის ისტორიის შესახებ ბევრი დაიწერა, ეთნოგრაფია კი თითქმის დავიწყებულ იქნა. პოეტ-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილის (ისიც ნაწილობრივ) და ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ამ საქმისათვის ხელი არავის მოუკიდია. ახლა ამაოდ დაეძებენ მწერლები, რეჟისორები, სცენარისტები, დრამატურგები, კომპოზიტორები, მხატვრები და სხვ. თბილისის გარდასული ყოფა-ცხოვრების ამსახველ ნაშრომებს. მაშინ, როდესაც საკმაო სამეცნიერო დაწესებულებანია ამ საქმისათვის მოწოდებული (თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი, მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი ინსტიტუტები, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი და სხვ.). ჩამოთვლილთაგან ბევრი მათგანი გატაცებულია არქეოლოგიით, ალბათ იმიტომ, რომ არქეოლოგია ეფექტურ, ხმაურიან აღმოჩენათა შესაძლებლობას იძლევა, ეთნოგრაფიას კი

და მოსახლეობისათვის ყუათიან, მაღალკალორიულ საკვებელს იძლეოდნენ.

ნიადაგის დაცვა-გაპატივებისა და რწყვის ხალხური წესებიც [18] ანგარიშგასაწევია და სადღეისოდ გამოსაყენებელი. ხალხის მიერ ხანგრძლივი დაკვირვებით მიღებული შედეგების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია მთის საძოვრების რაციონალური ექსპლუატაცია. მხედველობაში გვაქვს მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის შერჩევითი ძოვება, ე. ი. საბალახოთა დანიშნულების მიხედვით ტრადიციული განაწილება [87], რაც დღეს დავიწყებულია. ასევე ითქმის თიბვისა და საკვების საზამთროდ დაუნჯების წესებზედაც და სხვა მრავალზე.

მაშასადამე, როცა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგების განლაგებისა და სპეციალიზაციის მოდელირების პრობლემები წყდება, სერიოზული ანგარიში უნდა გაეწიოს ეთნოგრაფიულ კვლევას.

კაპიტალისტური გარემოცვის მავნე ზეგავლენა კიჩის სახით ჩვენს ჯანსაღ ყოფაშიც შემოყონავს ხოლმე. ზოგიერთ მერყევ ელემენტში თავს იჩენს უცხოური მოდით გატაცება, სქესი, ნარკომანია. ყოველივე ამ:ს ჩვენი კომუნისტური იდეოლოგიის გარდა, უნდა დავუპირისპიროთ ძველხალხური, საუკუნეებით შემოწმებული და გამობრძმედილი ტრადიციები.

არა მარტო ბუნების მშვენიერებით, ვაზის, ხილის, ხორბლის ჯიშების სიუხვით, არამედ ნაციონალური ტანსაცმლის მრავალფეროვნებით საქართველოს იშვიათად შეედრება რომელიმე ქვეყანა. და აი, რა ხდება, თაყვანს ვცემთ უცხოურ მოდას, ხოლო ქართული ტანსაცმელი, რომელიც ადამიანის ტანის სილამაზეს სრულყოფილად გადმოსცემდა, სრულიად დავიწყებული გვაქვს. რა თქმა უნდა, არ ვქადაგებთ ყველანი ჩოხა-ახალუხში გამოეწყონ, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ხევსურული, ინგილოური, სვანური, მეგრული, აჭარული, რაჭული და სხვა კუთხეთა ნაირგვარი სამოსის ნიმუშების მიხედვით შეექმნათ თანამედროვე ტანსაცმელი, რომელიც წარმატებით გაუწევს მეტოქეობას უცხოურ ზიზილ-პიპილოებს.

ქართული ავეჯის დახვეწილი სტილი და მოხდენილობა მრავალ მოგზაურს აოცებდა. თვით მეფის მაღალი რანგის ჩინოვნიკი და მეცნიერი ბარტოლომეი, რომელიც დიდმპყრობელური ზიზღით უყურებდა ადგილობრივ მცხოვრებლებს, აღტაცებას ვერ ფარავს სვანური საკურცხილების ხონჩა-ტაბაკების, სამამაცო ხაკმების და საერთოდ სახლის მოწყობილობის გამო. ჩვენებური ფერხომიერი ხალიჩა-ფარდაგები, სირმა, ოქრომკედი, და ნაქარგობანი ხოშ

მთელს წინა აზიაში პირველობდნენ. რად ვთქვით უარი ყოველივე ამაზე, რატომ ვეძალებით უცხოურ ავეჯს და ქსოვილებს. თუმცა ამასაც თავისი რეალური გამართლება აქვს, ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმი ხალხური სტანდარტების დონემდე, ჯერჯერობით, ვერ მაღლდება, სახალხო ოსტატებს კი მუშაობის საშუალებას არ აძლევენ.

რატომ ავიღეთ ხელი ძველებურ დღეობა-კარნავალებზე (ბერიკაობა, ყეენობა და სხვ.), ევროპული კაფე-რესტორნების ნაცვლად, რატომ გზას არ ვუხსნით ქართულ ფუნდუკებს, სადაც დუდუკს დაუკრავენ, მწვანილს, ცოცხალს და ჭიქა ღვინოს მოგართმევენ.

მთელი ბულგარეთი დღესასწაულობს ვაზისა და ღვინის დღეს, ჩვენთან კი ამის მსგავსს ვერ შეხვდებით, მაშინ როდესაც, ძველად საქართველოში ყველა ოჯახმა იცოდა „რთველისჩამოლოცვა", „კალოკვრობა". ეს იყო მოსაელის მოწევისა და დაბინავების დღეობა, სადაც აჯამებდნენ წლის ნაამაგარს, შრომის ნაყოფით ხარობდნენ და ზეიმობდნენ, აქებდნენ გამრჯე ადამიანებს, ქირდავდნენ და დასცინოდნენ ზარმაცებს... ყოველივე ამას ღრმა აზრი ჰქონდა, კარგად ჩანდა ხალხის სიბრძნე და მიზანდასახულობა.

ნადი — მამითადი თავისი დამახასიათებელი სიმღერებითა და სიხალისით ხომ კოლექტიური შრომის აპოთეოზი იყო. ჩვენი ძველები შრომაში ხალისს ისეთივე მნიშვნელობას ანიჭებდნენ, როგორც წესიერ კვებას. მაგალითად, მესვეურად თოხნის, მკის, რთველის, ტეხა-კრეფის და სხვ. დროს იწვევდნენ კარგ მუშა. ენამახვილ ვაჟკაცს, რომელსაც სიტყვაც უჭრიდა, სვეს გატანაც ემარჯვებოდა და მოლხენაც საუკეთესო იცოდა. მესვეური მხოლოდ მოწვეული უნდა ყოფილიყო (მასპინძლისათვის უხერხული იყო), იგი მუშებს საკუთარი მაგალითით აქეზებდა და ამხნევებდა. თუ ვინმე სიზარმაცის გამო ჩამორჩებოდა, გააქილიკებდა, ისარივით სტყორცნიდა ფრთიან, მსუსხავ სიტყვას. დროდადრო მუშაობის რიტმის გასაცხოველებლად სიმღერას დააგუგუნებდა და ნადს ორმაგ საქმეს აკეთებინებდა. საქართველოში ჯერ კიდევ გვყავს ასეთი მესვეურები. მაგრამ ვაი, რომ მათ ვერ ვაკლენთ და ვერ ვიყენებთ. დასამალი არ არის, შრომის პროცესში დავიწყებული გვაქვს მორალურ-ესთეტიკური ფაქტორი. ხშირად მინახავს თავმჯდომარე ან ბრიგადირი, რომელიც კოლმეურნეს ემუქრება სამუშაოდ არ გამოხვალ საკარმიდამო ნაკვეთს ჩამოგართმევო, დამეთანხმებით ბევრი ვერაფერი წახალისებაა.

ზოგჯერ იფეთქებს კამპანია „ტრადიციული" ტირილის ან ქორ-

წილის წინააღმდეგ. ეს ახალი მოვლენა არ არის, ვისაც XIX ს. საქართველოში გამოსული პრესა გადაუფურცლავს, მსგავს პოლემიკას ხშირად შეხვდება. მაშინაც და ახლაც იწუნებენ ამა თუ იმ ადათს, სამაგიეროდ გვთავაზობენ მზამზარეულ რეცეპტს — „ასე ვოვიქცეთო!“ დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ რეცეპტი განზე რჩება, ცხოვრება კი თავისი გზით მიდის.

საზოგადოდ, ზედაპირული განსჯა ისეთი სერიოზული საყოფაცხოვრებო მოელენების, როგორიცაა ტირილი და ქორწილი, რომლებიც აჯამებენ ადამიანის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ეტაპებს, ყოვლად დაუშვებელია. საფუძვლიანი, ღრმა ანალიზი კი, ჯერჯერობით, არ ჩანს. ერთი რამ ნათელია, ქართულ ტირილსა და ქორწილში შემთხვევითობა გამორიცხულია. იქ საუკუნეთა მანძილზეა გათვლილი და დაკანონებული ყოველივე. ხარჯიდან მოყოლებული ჩქოლა ხის მოჭრის ჩვეულებამდე, ყველაფერს თავისი საფუძველი და გამართლება აქვს. აქედან გამომდინარე, საჭიროა ჯერ შევისწავლოთ, ჩავწვდეთ, ავხსნათ ესა თუ ის წესი და მერე დავგმოთ, თორემ ტრადიციის ხელაღებით უარყოფას ხანდახან სავალალო შედეგი მოაქვს. მაგალითად, მოკამათეთა გულისწყრომას იწვევს ტირილსა და ქორწილში გაწეული „უაზრო ხარჯები“, რომელიც „მძიმე ტვირთად აწვება ოჯახს“. მართალია, აქ, ერთი შეხედვით, თითქოს საკამათო არაფერია, მაგრამ ეს ხარჯები მართლა უაზროა? პირიქით, „აზრიანობას“ და მორალურ კოდექსს ეწირებოდა აურაცხელი ნივთიერი საფასური. ხალხი მატერიალურს თმობდა, რათა სულიერ სფეროში მოეგო. ადამიანის გარდაცვალების ან ახალი ოჯახის შექმნა — ეს განსაკუთრებული ფსიქოლოგიური აქტია და მისი გაუბრალოება გამოუსწორებელ სულიერ ზარალს იწვევს. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ორ უმნიშვნელოვანეს მოვლენასთან დაკავშირებით, ეკლესიის მიერ შემუშავებული ნორმები კვლავ უპირატესობას ინარჩუნებს. კარგა ხანია მმაჩის ბიუროების ნაცვლად ქორწინების სახლები მოქმედებენ (ჯერჯერობით მხოლოდ დედაქალაქსა და ზოგიერთ დიდ ქალაქში), მაგრამ უკვე აქაც იჩინა თავი ტრაფარეტულმა ერთფეროვნებამ, არაფრისმთქმელმა, მოსაწყენმა ცერემონიალმა. ამის გამო, შემთხვევითი არ არის, რომ ქორწინების სახლის შემდეგ, ახლადშეუღლებული წყვილები ეკლესიას მიაშურებენ ხოლმე. ეკლესიაზე უპირატესობის მოპოვებას მაშინ შევძლებთ, თუ მის აქსესუარებს და რიტუალებს დავჯაბნით, მოვერევით და უფრო მიმზიდველ, უფრო მომხიბვლელ ცერემონიალს შევქმნით.

ხშირად ვახსენებთ „წარსულის მავნე გადმონაშთებს“, მაგრამ თვით ბუნება გადმონაშთებისა ამომწურავად გარკვეული არ

გვაქვს. ზოგჯერ ის, რაც წარსულის გადმონაშთებად მიგვაჩნია, არცთუ დიდი ხნის წინათ, ჩვენს წიაღშია წარმოშობილი. სამაგალითოდ ავიღოთ მომხვეჭელობა, სპეკულაცია, ლოთობა და ხულიგნობა. ძნელია ზუსტად განისაზღვროს კაცობრიობამ ეს მანკიერებანი სად და როდის შეიძინა, მაგრამ ერთი რამ ცხადია — არც ერთი მათგანი ქართველი ხალხისათვის ტიპიური, ტრადიციული არ არის, ისინი შემდგომ, უპირატესად ზედაფენის მიერაა შეთვისებული და მათი შანთით ამოწვა თუ გვინდა, ჯერ ფესვებს უნდა მივაგნოთ, რადგან ავთვისებიანი სიმსივნის ზედაპირულ მკურნალობას აზრი არა აქვს.

არცთუ იშვიათად, ყოველდღიურ პრესაში გამოქონავს ხოლმე — სვანეთსა და ხევსურეთში სისხლის აღებას, ქალების მოტაცებას და მისთანათ კიდევ აქვს ადგილი. დიახ, ცალკეული მახინჯი ფაქტი თუ საქართველოს მთაში მოხდა, მაშინვე წინაისტორიული ხანა გვახსენდება, ხოლო დედაქალაქში ფიქსირებულ მსგავს შემთხვევას ასეთ „მაღალმეცნიერულ დონეზე“ ვეღარ ვანზოგადებთ. ყოველივე ეს სათავეს კავკასიის ხალხების ჩამორჩენილობის დრომოქმედ თეორიებში ჰპოვებს, რაც ყოვლად მიუღებელია თანამედროვე მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებისათვის.

მხედველობიდან გვაქვს გამორჩენილი ეთნოგრაფიის უტილიტარული მხარე. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჯერ კიდევ XIX ს. მეორე ნახევარში ეთნოგრაფიას პრაქტიკული მიზნებისათვის იყენებდნენ, სახელდობრ, სამრეწველო-სავაჭრო ფირმებს ჰქონდათ საგანგებო სამეცნიერო-კვლევითი ბიუროები, რომლებიც სწავლობდნენ მომხმარებელთა გემოვნებას და სურვილებს, რის შედეგადაც მეცნიერულ მონაცემებზე დაყრდნობით საქონლის რეალიზაციას გამიზნულად, წარმატებით ეწეოდნენ. მაშასადამე, ეთნოგრაფიის გამოყენება სახელმწიფო ვაჭრობაშიც შეიძლება, თუ სათანადო მომზადების კადრი გვეყოლება, რომელიც დააღგენს, ვთქვათ, რა ფერისა და მოდის ტანსაცმელი, ქსოვილები, ფეხსაცმელი, სურსათი, ავეჯი, საამშენებლო მასალები, რკინა-კავეული, წიგნები, კულტსაქონელი და ა. შ. მოსწონს ამა თუ იმ რეგიონის მოსახლეობას. მაშინ მაღაზიებში გაუყიდავი საქონელი აღარ დაგროვდება.

ეთნოგრაფიის გამოყენება აუცილებელი გახდა მედიცინაშიც. აღარას ვამბობთ ძველხალხურ რაციონალურ მკურნალობის უეჭველ სიკეთეზე, მხოლოდ მკითხველს მოვაგონებთ იმ ფაქტს, რომ შეუძლებელია განსაკუთრებით საშიშ დაავადებათა პროფილაქტიკა და

დამარცხება, თუ მაქსიმალურად არ შევისწავლით ცალკეული ხალხების ცხოვრების ნირს, ზნე-ჩვეულებებს. აქედან გამომდინარე, ძალაუნებურად ასპარეზი ეხსნება მეცნიერების ახალ დარგს სამედიცინო ეთნოგრაფიას.

რა გვქონდა ძველად და რა გამოდგება დღეს — აი, უპირველესი პრობლემა, რომელიც უნდა გადაწყვიტოს ქართულმა ეთნოგრაფიამ. ეს შეეხება როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის ყველა სფეროს. ეთნოგრაფიული მეცნიერება ახალ ყოფას უნდა სწავლობდეს ძველთან მოუწყვეტლივ, მასთან მჭიდრო კავშირში. ეთნოგრაფიული თემისათვის მიჯნად რომელიმე თარიღი არ გამოდგება, ისევე როგორც ენათმეცნიერების, ფიზიკის, მათემატიკის ან ქიმიისათვის.

სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის პერიოდში ახალი ყოფის შესწავლის მავნე პრაქტიკა დამკვიდრდა, ეთნოგრაფები იძულებულნი იყვნენ ზერელედ, მაამებლობისა და ნაკლოვანი მხარეების მიჩქმალვის გზით წარმოეჩინათ რომელიმე კოლმეურნეობის ან საწარმოს ყოფა. ასეთი ნაშრომის საზეიმო, პათეტიკური ტონი და მეცნიერული უსუსურობა იმთავითვე გახდა ცნობილი. ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიისათვის ეს უკვე განვლილი ეტაპია და, ბუნებრივია, მას აღარავინ დაუბრუნდება, როგორც ამას ზოგიერთი მოითხოვს.

დიახ, ჩვენ უნდა შევისწავლოთ საბჭოთა საქართველოს სისხლსავსე ცხოვრება, მრავალფეროვანი ყოფა და კულტურა, ფაბრიკები, ქარხნები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, ოღონდ არა მარტო მოწინავენი, არამედ ჩამორჩენილებიც. მე ვიტყოდი, უპირველეს ყოვლისა, ჩამორჩენილებს უნდა მივაშუროთ, რათა ჩავწვდეთ ნაკლოვანებათა მიზეზებს და მათი აღმოფხვრისათვის სათანადო რეკომენდაციები შევიმუშავოთ.

§ 2. ნიადაგის დაცვის ხალხური საშუალებანი

ასე ამბობენ თმაშეეერცხლილი გუთნისდედანი და მეევნახენი: თუ მიწა არ გიყვარს და მას თვალისჩინივით არ უფრთხილდები, თვალსა და ხელს შუა გაგეპარება, მშიერს დაგტოვებს და სიცოცხლეს სანანებლად გაგიჩდის. მიწა პურ-ღვინო არ არის, მაგრამ ორივეს მომცემია. მიწას ენა რომ ჰქონდეს კაცს ეტყოდა: შემინახავ? შეგინახავო! მიწაა ჩვენი სიმდიდრე, მარჩენალი და სავანე.

ბუნების დაცვა კაცობრიობის გლობალურ პრობლემად იქცა-

დედამიწას და ატმოსფეროს მოვლა-პატრონობა სჭირდება. მითუმეტეს ახლა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში. ზოზოგიერთ ქვეყანაში ჟანგბადის შიმშილი დაიწყო. ინტენსიურად ნადგურდება ტყის საფარველი, რაც არა მარტო ჟანგბადის, არამედ წყლის ნაკლებობასაც იწვევს. მასიურად იხრამება და იფიტება ნიადაგები, ამიტომ დღეს წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა საერთო-სახალხო საქმედ იქცა. 1958 წ. 23 ნოემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, ერთ-ერთმა პირველმა საბჭოთა კავშირში, მიიღო კანონი „ბუნების დაცვის შესახებ". აღსანიშნავია აგრეთვე დადგენილებანი: სახელმწიფო მინაორსაცავი ტყის ზოლების გაშენებისა და „რესპუბლიკაში ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" (1967 წლის 6 ივლისი). უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება 1973 წ. ივნისის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივ დადგენილებას „ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ", სადაც რესპუბლიკის ბუნების დაცვა-გაჯანსაღებისათვის გრანდიოზული პროგრამაა დასახული. ამ მიმართებით, თანამედროვე მეცნიერული კვლევის შედეგების ცხოვრებაში დანერგვასთან ერთად, მეტად ფასეულია ხალხის მრავალსაუკუნოვანი საწარმოო პრაქტიკა, მეტადრე მთიან რაიონებში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა. რთული, დანაწევრებული რელიეფი ხომ უსსოვარი დროიდან აიძულებდა ქართველ მთიელს მაღალი საშინაოთმოქმედო ტექნიკა ჰქონოდა და ამასთანავე ნიადაგის დაცვის ეფექტური სისტემა შეემუშავებინა.

ვისაც მესხეთი მოუვლია და იქაური „ოროკოები" უნახავს, ადვილად დარწმუნდება, თუ რა დონეზე იდგა „შვეტი" — ძლიერ დაქანებული ფერდობების გამოყენება [10]. მართალია, ასეთი კლასიკური სახით, ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებში ტერასული მეურნობის ნაშთები ამჟამად არ გვხვდება (გამონაკლისია ატენის ხეობა, სადაც ჯერ კიდევ ცოცხალია დატერასების მაღალი ხელოვნება), მაგრამ ფერდობის ათვისებისა და დაცვის სხვადასხვაგვარი ხერხები საქართველოს ოითქმის ყველა თემშია შემონახული [94; 155; 18; 62; 103]. მიუხედავად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობისა, ეს საკითხი, ჯერჯერობით, ნაკლებად შესწავლილია.

შესაძლებლობა გვქონდა ნიადაგის დაცვის ხალხურ საშუალებებზე დაკვირვება გვეწარმოებინა რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო სვანეთსა და გურიაში, აქ სწორედ ამ ნაკლებად ცნობილ მასალას მო-

ვიტანთ, მითუმეტეს ეს საჭიროა, რადგან ფერდობის ექსპლუატაციის ძველ წესებს ცხოვრებაში ახლა ნაკლებად იყენებენ. მკვლევარი პ. ჯაფარიძე გულისტკივილით აღნიშნავს: რაჭაში „ვენახები უმთავრესად გაშენებულია დაქანებულ და ძლიერ დაქანებულ (ციცაბო) ადგილებზე, არ არის გამოკენებული ტერასები, ჯებირები და წვიმის დროს მოვარდნილი წყლების ასაქცევი თხრილები. ამ მიზნით ეროზიის გავლენას განიცდის როგორც გაშენებული, ისე სხვა ფართობიც“ [125]. სწორედ ამის შედეგად რაჭაში ბევრი ვენახია გამოფიტულ-დაკნინებული. რატომღაც თავის დროზე არ იქნა გათვალისწინებული, რომ მიწის პლანტაჟი ციცაბო ადგილზე დაუშვებელია. ჯერ კიდევ 1913 წ. გაქართველებული ფრანგი აგრონომი ემილ ჟანი რაჭველ და ლეჩხუმელ მევენახეებს ურჩევდა: „იქ სადაც ძალიანი ფერდობების გამო შეიძლება მიწის ჩამოცურება, ვაზი (იგულისხმება ნამყენი ლ. ფ.) უნდა ორმოებში ან თხრილებში იქნას ჩარგული“[65], ოღონდ საჭიროა სავენახე ადგილი წინასწარ გაიწმინდოს, გადაიბაროს და დაკვალვა აუცილებლად სიმაღლეზე — „ცერად“ მოხდეს. ამგვარად, სწავლული აგრონომი დაქანებულ ფერდობზე ნამყენი ვაზის გაშენებას ხალხური მეთოდით ამჯობინებდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვენახი, მეტადრე თუ ის ძველი წესით იყო გაშენებული, ციცაბოს ჩამორეცხვა-გამოფიტვისაგან იცავდა[119; 306; 127].

ვაზის გაშენების გარდა, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ფერდობის დაცვის სხვა ეფექტური საშუალებანიც დადასტურდა, სახელდობრ მოზვინვა-დაკაბდოება, დაჯებირება, შეყორვა, დალტვნა-დაროკვა-დაგლანვა-დაბოგვა-დაბიგვა, დაღობურება, დაჯარჯვა, დაკვალვა — წყალსაყარების-საღვარეების და საწრეტების შოწყობა, მიწის ჩანაცვლება-ჩაბრუნება, ხვნისა და თოხნის თავისებურება, დანიხვა, ბეგების (აჭეების) გაშვება, ტყე-ბუჩქნარისა და საბელავების გაშენება, ვაზისა და ნათესების მიერ ნიადაგის დაცვა, ჭარისა და როყნალის გამოსახმარისება.

მ ო ზ ვ ი ნ ვ ა-დ ა კ ა ბ დ ო ე ბ ა. ფერდობის ხელოვნურ დაკაებას და უსწორმასწორო ადგილების გასწორებას რაჭაში „მოზვინვა“ ეწოდება (შდრ. იმერული „მიწის მოკავება“) [40,102]. ამავე მნიშვნელობით ხმარობენ ლეჩხუმში „დაკაპტოებას“. „კაპტო“ (კაბდო) ხარებშესაბმელი მიწის მოსასწორებელი იარაღია. კაბდოთი უმეტესად ავაკებდნენ ეზოებსა, კალოებს და თუ საჭიროება შოითხოვდა სავენახესაც. ეს საქმიანობა მეტად შრომატევადი, რთული და თავისებურია, იმიტომ ცალკე, სპეციალურ განხილვას საჭიროებს, მითუმეტეს, აღნიშნულ კუთხეთა კარმიდამოების მნიშ-

ენელოვანი ნაწილი ხელოვნურ ტერასებზეა დაფუძნებული. უწინ ხომ სამამულედ და სახნავ-სათესად ვარგის მიწას დასასახლებლად არ იმეტებდნენ, ქვიან და ხრიოკ ნაკვეთებს, საარაკო შრომის შედეგად „გამოასახმარისებდნენ“ და სამოსახლოდ აქცევდნენ.

ჯ ე ბ ი რ ე ბ ა. ლეჩხუმში ტერმინი „ჯებირება“ ტერასების მნიშვნელობით დავადასტურეთ, მას განმაზოგადებელი ხასიათი აქვს და მიწისა და წყლის დამაგრების ყველა ხელოვნური საშუალების აღმნიშვნელადაც იხმარება.

ტერასები ისეთი გამოკვეთილი სახით, როგორც მესხეთშია, ამჟამად ჩვენს საკვლევ რეგიონში არ მოიპოვება, მაგრამ მათი კვალი აშკარად ჩანს სოფ. ღვედში. ხელოვნური ტერასები ქვემო სვანეთში, ჩოლურის თემშიც ყოფილა, ალ. დოლგუშინი წერს: „ადგილ-ადგილ ვიწრო ხეობა, რომელზედაც ჩვენი გზა გადიოდა, ფართოვდებოდა და თვალწინ იშლებოდა ერთ ვერსამდე სიგრძის მცირე ველი. ასეთ ველზე განლაგებულია სოფლები. რომელთაც უშუალოდ ეკვრის ხნული. ჩვენ ფრიად გაოცებულნი დავრჩით, როცა შევამჩნიეთ, რომ ველის ორივე მხარე ასეთ ადგილებში ძალიან სწორ ტერასებად ეშვება და ყოველი ტერასის პირი საგულდაგულოდაა ქვით ამოშენებული. ჩვენმა განცვიფრებამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია, როდესაც გავიგეთ, რომ ყველა ეს ტერასა ხელოვნურია. ეზიდებიან მიწას და ფერდობები, რომლებიც წინათ არც ერთი კულტურისათვის არ ვარგოდა საუკეთესო საყანედ გარდაიქმნა, რომელზედაც თესავენ სიმინდს, ფეტვს, ხორბალს. უფრო მაღლა კალთებზე კი — ქერს და ჭვავს“ [133, 146-7].

ჩოლურის თემის სოფლებში, კერძოდ ბულეშსა და მეწვდში ძველი ტერასები ახლაც შეიმჩნევა. ხელოვნურად დაკაკებულ ადგილს ქვემო სვანეთში „ყილნაკე“ ეწოდება. იქ „ყილნაკეზეა“ ფერდობი სოფლების სამოსახლოთა უმრავლესობა, ასევეა რაჭა-ლეჩხუმშიც, მაგრამ სახნავად და საკენახედ მიწის დატერასება ამჟამად არც ერთ კუთხეში არ დასტურდება. ძველიც მოუვლელია და მხოლოდ გამოცდილი თვალი თუ მიაგნებს მათ ნაშთებს. დასამალი არ არის, რომ, ჯერჯერობით, საკოლმეურნეო სავარგულების მოვლას, მიუხედავად მთავრობის საგანგებო დადგენილებისა, ნაკლები ყურადღება ექცევა.

ძლიერ დამრეცი ფერდობის, ანუ ლეჩხუმური გამოთქმით, „რიცეს“ დაცვის გარდა, ჯებირებას ფართოდ იყენებდნენ ღელეებისა და მდინარეების ასალაგმავად. იქ, სადაც ნაპირს „შხივი“ (წყლის მთავარი ტალღა) სცემდა და მიწა მიჰქონდა, ჯებირა ჩაუდგამდნენ. ჯებირი ან წნული ღობისა ან „ყურეამოყვანი-

ლი — დაქილიქებული როკებისა“, ღიობს, ჩვეულებრივ, რიყის ქვებით ამოუყორავდნენ. ჯებირებით ზოგჯერ მდინარეს მთლად უცვლიდნენ კალაპოტს, თავისუფალი რიყე დროთა განმავლობაში „გადამიწდებოდა“, „გაბალახდებოდა“, თხმელნარით, ეკალ-ბარდებით შეიმოსებოდა, მერე უსარგებლო „ძეგვებს“ გაკაფავდნენ, თხმელის ხეებს შერჩევით დატოვებდნენ, ვაზს მიურგავდნენ და ასე გაშენდებოდა დობირო, სწორედ ასეთი დობირო უნახავს სოფ. ჩხუტელში, ცხენისწყლის პირას, ა. იაკოვლევს, რომელსაც საკმაოდ დაწვრილებით აღწერს.

შ ე ყ ო რ ვ ა. „ყორე“ ანუ „ნაშენი“, სვანურად „ჟვილა“ კარბიდამოს მოზღუდვისა და ნიადაგის დამაგრების გავრცელებული საშუალებაა. „ნამუშევარი მიწის“ ძირს დაწევის შემთხვევაში, მთელ სიგრძეზე „სანაშენე ბალავერს“ ამოვრიან და ყორეს გააკეთებენ. ერთ სავარგულში, საჭიროების დროს, შეიძლება ერთმანეთის პარალელური რამდენიმე ყორე ააშენონ, მაგრამ ფერდობის ხელოვნურ გავაკებას არ მიმართავენ. მშრალად ნაგები ქვა მიწისქვეშა წყლებს სადინარს აძლევს და ნიადაგს ჩამოშლისაგან იცავს. სწორად უთქვამს ხალხს: „ყორიფელს უნდა მუღამი, ვინ ნახა ყორეს დუღაბი“.

დ ა ლ ა ტ ვ ნ ა - დ ა რ ო კ ვ ა - დ ა გ ლ ა ნ ვ ა - დ ა ბ ო გ ვ ა - დ ა ბ ი გ ვ ა. შეყორვას ზოგჯერ „დალატვნით“ სცვლიან. ყორე დიდ შრომას და ხარჯებს მოითხოვს, ამიტომ „დარყეულ ნაშუშევარ მიწას“ ხანდახან, როგორც დროებით საშუალებას, „ლატნებს შეაშველებენ“. ლატნები გრძელი, „სორსალი“ ხეებია.

ლეჩხუმში „როკი“, „გლანი“, „ბოგი“, „ბიგი“ ეწოდება ზომაზე დაჭრილ ლატანს, რომელსაც „ქანობის სამაგრად“ ხმარობენ. როკები ფერდობის მთელ სიგრძეზე ჰორიზონტალურ რიგებად არის განლაგებული და პალოებით ჩამაგრებული [103, 108]. რიგთა შორის მანძილს ფერდობის დაქანების ხარისხი განსაზღვრავს. რაც უფრო ციცაბოა „რიცე“ მით უფრო ახლო-ახლოსაა „როკების შარები“, საშუალოდ ორი მეტრიდან ათ მეტრამდე.

„მიწის დაროკვა“ ფართოდ იყო გავრცელებული ლეჩხუმში, როგორც სახნავი ადგილების, ისე ეზოების „დასაკავებლად“, ხოლო ვენახებში არ დაგვიდასტურებია. დაროკვის ნაშთები ამჟამად შენარჩუნებულია ზემო ონჭეიშში ადგილ „ატმანში“, სოფელ ბენთქოულასა და ოფიტარაში.

გლანებით აკავებდნენ აგრეთვე დამრეც გზებსაც. „დაგლანული გზები“ სოფ. ორბელში (ცაგერის რაიონი), გლოლასა და ხირხონისში (ონის რაიონი) დღესაც არის.

დ ა ღ ო ბ უ რ ე ბ ა. ნიაღვრისაგან გაჩენილ ხრამებს „დაღობურებენ“, ე. ი. რამდენიმე ადგილას, ერთმანეთის გასწვრივ, ნარგილებს ჩაასობენ და ამოღობავენ. ავდრის შემთხვევაში ღობე წყალს საშუალებას არ მისცემს ჩამონარეცხი წაიღოს, ხრამი ნელნელა ივსება და თავისთავად სწორდება. ხშირად სარები ტირიფის ან ვერხვისაა, ისინი ადვილად ხარობენ და საბელავ ხეებად იქცევიან.

„დაღობურება“ ენანახშიც იციან. ეთნოგრაფ ნ. რეხვიაშვილს ძეგლეველ (ზემო რაჭა) მეენახეთაგან ჩაუწერია: „შარებ შუა პატარა ღობურებს გავაყოლებთ, წყალმა რომ არ ჩამოთხნიკოს“ [89,54]. საჭიროების დროს, ღობურებს „ფხნეკზე“ გაშენებულ ვაზის ძირებსაც უკეთებდნენ.

დ ა ჯ ა რ ჯ ვ ა. ადგილის დახრამვისას, ხრამის სათავესთან და კალაპოტში ჯარჯებს ჩაყრიდნენ და სარებით დაამაგრებდნენ. საჯარჯე მასალად წალამს და ტყის ნაკაფს იყენებდნენ. ახოებში ძველად მიწის დაკავება ფიჩხის კონებითაც იცოდნენ. ჯარჯებით ამაგრებდნენ აგრეთვე „ნაშვავ“ ადგილებს ნამწყარ გზებს და სხვ.

დაჯარჯვა ეწოდება ციცაბო ფერდობზე გაშენებული ვაზის ძირების ერთ გონებამახვილურ საშუალებას: წალმის პატარ-პატრა კონებს შეკრავენ დ თითოეულ მათგანს ვაზის ძირთან, ქვედა მხრიდან პალოებით ჩაამაგრებენ. კოხა მიწას იჭერს და ფესვებს გაშიშვლებისაგან იცავს. „ვაზების დაჯარჯვა“ უკანასკნელ ხანებამდე სოფ. ჩორჯოში იყო შემორჩენილი.

დ ა კ ვ ა ლ ვ ა — წ ყ ა ლ ს ა ყ ა რ ე ბ ი ს-ს ა ღ ვ ა რ ე ე ბ ი ს დ ა ს ა წ რ ე ტ ე ბ ი ს მ ო წ ყ ო ბ ა. დაკვალვა ნიაღვართან ბრძოლის ეფექტური საშუალებაა. მთხრობელთა ხატოვანი თქმით, „რიცე საღვარეებით უნდა იყოს დალიანდაგებული“. ისეთ ადგილს, სადაც ავდრის შემთხვევაში ღვარცოფების გაჩენაა მოსალოდნელი, გაკრიან მოზრდილ არხს, ე. წ. „წყალსაყარს“, რომელიც ჯარმიდამოს, ყანას თუ ვენახს საიმედოდ იცავს. მას ჩვეულებრივ საღვრები უერთდება, ამ უკანასკნელთ კი საწრეტები კვებავს. მათი განლაგება ადგილის თავისებურებაზეა დამოკიდებული. მეურნე თვალდათვალ ატყობს „საითკენ მიდის საწვეთელი“ და საწრეტებიც იმის მიხედვით გაჰყავს. საერთოდ, წყალსაყარებსა და საღვარეებს ადგილის განაპირას აკეთებენ, ხოლო კვლებს ყანა-ვენახის შიგნითაც შეხვდებით.

მ ი წ ი ს ჩ ა ნ ა ც ვ ლ ე ბ ა-ჩ ა ბ რ უ ნ ე ბ ა. მიღებული ზოზების მიუხედავად დამრეცი ნიადაგი მაინც ცვდება, მიწა ქვემოთ იწევს და კენახის თავში „ბრეკები“ ჩნდება, ვაზებს კი ფესვება

უშიშვლდება. სწორედ ასეთ შემთხვევაში არის აუცილებელი მიწის ჩანაცვლება-ჩაბრუნება. „ბრეკებს მოწვდიან“ და ვაზებს შორის გაშლიან. თუ შესაძლებლობაა მიწას ზემოთ მდებარე ტყიდან და — „უყიდანაც“ (ცორდი, ყამირილ. ლ. ფ.) ჩამოსწევენ.

მიწის ჩანაცვლება ფერდობი ყანებისთვისაც აუცილებელი იყო. ამასთან დაკავშირებით სვანეთის სიძველეების კარგმა მცოდნემ, ეხცოვანმა პედაგოგმა სპირიდონ ონიანმა გადმოგვცა: „სოფ. ახუნდერში ვაკეყანა ჰქონდა სპირიდონ გაგანს, მას გრიგოლ ონიანის ფერდი ყანა ებმოდა. დროდადრო გრიგოლს მოცვეთილ ყანაში მიწა, რომ ჩაენაცვლებია, სპირიდონისაგან იყიდა ორი საჯენი სიგანის ადგილი, ორმაგი ფასი მისცა. იქედან ყოველ ხუთ წელიწადში გრიგოლი მიწას ჩამოსწევდა და გვარიან მოსავალს იღებდა“.

ხვნისა და თოხნის თავისებურება. ფერდობებზე ხვნის თავისებურებანი ქართველ ეთნოგრაფებს საგანგებოდ აქვთ შესწავლილი [123] და ამ საკითხზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, მხოლოდ მოვიყვანთ ერთ დამახასიათებელ მაგალითს: სოფელი მეორე ტოლის (ამბროლაურის რაიონი) ზედა უბნებს „ქედი“ და „სატყი“ ეწოდება. ისინი ადრე მემნიდვრეობის ბრიგადაში იყვნენ გაერთიანებულნი, ხოლო ქვედა, „ჭალის“ უბნელები — მეევნახეობის ბრიგადაში. მერე ბრიგადების ასეთი დასპეციალება მოიშალა და ყანა-ვენახი სამუშაოდ ყველას თანაბრად გაუნაწილდა. ქვემოურებს ხვდათ „საფაფიის“ ყანები, რომელსაც ადრე ქედელები და სატყელები ამუშავებდნენ. 1946 წ. გაზაფხულზე, საფაფიაში სახნავად ქვედა უბნელი ახალგაზრდები წავიდნენ. მათ იცოდნენ, რომ ქედისა და სატყის მცხოვრებნი „ფხნეკ“ ადგილებს უცნაურად, ხარვეზებით ხნავდნენ: ორ კვალს რომ გაავლებდნენ, მესამეს დაუხნავს ტოვებდნენ, რაც უფრო დაქანებული იყო ფერდობი, დაუხნავი ადგილის სიდიდეს მით უფრო ზრდიდნენ. გამოუცდელ ახალგაზრდებს უფიქრიათ მიწა რად მოვაცდინოთო, მიმდგარან და პირწმინდად დაუხნავთ. ამას სავალალო შედეგი მოჰყვა, საფაფიის ყანები პირველი, ძლიერი წვიმისთანავე ჩამოირეცხა და იქ ახლა უნაყოფო ხრიოკებია.

მეურნე ციცაბოზე გაშენებულ ვენახს განსაკუთრებული გულისყურით „ხელამოდ“ ამუშავებდა. ერიდებოდა ნადის მოწვევას, ცდილობდა თვითონ დაებარა და გაეთოხნა. რაც შეიძლება პატარა ბელტებს აბრუნებდა და „თავისსავე ნადგომში აწვენდა“. ვაზს ისე შემოუთოხნიდა, რომ ქვედა მხარეზე ბევრი მიწა დარ-

ჩენოდა. გარდა ამისა, მეურნეს „საღვარიო კვლები“ ხშირად ენდა გაეწმინდა.

საერთოდ, სახვნელით მუშაობას „რიცეზე“ ერიდებოდნენ და მის თოხით დამუშავებას ამჯობინებდნენ, მაგრამ, როგორც ვნახეთ, თოხის გამოყენებაშიც ზომიერება იყო საჭირო. თოხნა ჩეეულებრივ ქვემოდან ზემოთ წარმოებს, ზოგიერთი მეურნე, მიწა ძირს რომ არ დაწეულიყო, მუშაობის სირთულის მიუხედავად, ფერდობს განზე თოხნიდა. ქვემო სვანეთში ახლაც ყვებიან საინტერესო გადმოცემას ,ჩოლურის მებატონე გერგ გარდაფხაძის ერთი ახირებული სიმკაცრის გამო. გერგს ყმებად ჰყოლია ხაბულიანები, მუკბანიანები ზურაბიანები, ლიპარტელიანები, ბაბლუიანები და სხვ. მათ თურმე დაქანებული ფერდობი „ტენი გოლაი“ გააკაფვინა და დაამუშავებინა, თან უბრძანა: „ყოველთვის თავდაღმა (უკუღმა) იმუშავეთო, არ ვნახოთ თოხი ზევით, წაღმა დაარტყათო!“.

მოყურიადედ მოერავი მიუჩინა და ვაი მისი ბრალი, ვინც ბატონის ბრძანებას გადავიდოდა. გაუპირდათ გლეხებს; სასლი თავში აწვებოდათ და არაქათი ეცლებოდათ. ბატონმა ამბის გასაგებად დიაკონი გაგზავნა:

—„ყური დაუგდე რას ამბობენ ჩემზეო!“

გლეხებმა მსტოვრის მოსვლა იგრძნეს, განკენ გამხიარულდნენ და ხმამაღლა იწყეს ლაპარაკი:

—„აშენდა ჩვენი ბატონის ოჯახი, ეს რა კარგ წესზე მოგონა მუშაობა, ქვები ფეხებში არ გვხვდება, არც სილა და მტვერი გვაწუხებსო!“

როცა გერგიმ თავისი ყმების ასეთი „კმაყოფილება“ შეიტყო ფიცხლად ბრძანა:

—„წაღმა თოხნონ, უკუღმა მუშაობა რას მიქვიანო!“

თავდაღმა თოხნა მთლად ახირების გამო არ უნდა იყოს მოგონილი. საფიქრებელია, რომ ბატონი ზემოდან ქვემოდ თოხნით ,ეუთვნილ ფერდობს გამოფიტვისაგან იცავდა, ყმების წკალება კი არაფრად მიაჩნდა.

დ ა ნ ი ხ ვ ა. ხვნის დაწყებამდე გუთნისდედა ყანას წინასწარ „დანიხავდა“, ე. ი. საბუნელით დაკვალავდა. კვლებს შორის მოქცეულ ადგილს „ნიხა“ ეწოდება. შემოდგომაზე, მოსავლის აღების შემდეგ ფერდობი ყანის ჰორიზონტალურად დანიხვა იცოდნენ. „ნიხა-ნიხა“ — ერთმანეთის ,პარალერულად ,გავლებული. კვლები ნიადაგს ჩამორეცხვისაგან იცავდა, თან თოვლის წყალს და პატივის „მოღავს“ (სიმსუქნეს) უკეთ ისრუტავდა.

ბ ე გ ე ბ ი ს (ა ჭ ე ე ბ ი ს) გ ა შ ვ ე ბ ა. ერცელ ფერდობზე, ზანივად 3—4 მ სიფართის მონაკვეთს არ დაამუშავებდნენ და ზედ ყანაში მოკრებილ ქვა-ღორღს მიაყრიდნენ. ასე წარმოიშობოდა „ხვილა“ (ამ შემთხვევაში „ხვილა“ ნაყარი ქვების გროვას აღნიშნავს და მას რაჭა-ლეჩხუმში, ყორიდან განსხვავებით, ასეთი მნიშვნელობით ხმარობენ). ხვილა დროთა განმავლობაში „გაბალახდებოდა“, ბუჩქნარით დაიფარებოდა და „ბეგად“ (რაჭ.) — „აჭედ“ (ლეჩხ.) იქცეოდა. გრძელ „რიცეზე“ რამდენიმე ასეთი ბეგი იყო დატოვებული. მსგავსი საშუალებით ნიადაგის დაცვას აკად. ნ. კეცხოველი მაღალ შეფასებას აძლევს: „ზოგან... ნაკლები დაქანების ფერდობზე დღესაცაა მთის მეურნეობის თავისებური წესი. მიწა ფერდობის გარდიგარდმო გადახნულია 15—16 ᲬᲛ. სიგანეზე, შემდეგ 3—5 მ სიგანის ბუჩქნარია დატოვებული. ამის შემდეგ კვლავ მოხნულია 15—25 მ სიგანეზე და კვლავ დატოვებულია მაღალმოზარდი ხეების ზოლი. ამგვარად, იქმნებოდა განურ-მინდვრიანი ოროკო ბუნებრივი ბუჩქნარის შესანიშნავი ზოლით, რომელიც ფერდობს ნიადაგის ჩამორეცხვისაგან იფარავდა. ასეთი მინდვრები ჩვენს მთიან მხარეში იშვიათი არ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად ამ მინდვრის ზოლებს ზოგიერთები ძირკვავენ, მინდვრებს აერთიანებენ, ეს კი დიდი შეცდომაა, რადგან მთის მინდორს თუ დამფარავი ზოლები არ ექნება, იგი მალე ჩამოირეცხება, ჩამოხრიოკდება, სანავ-სათესსაც დავკარგავთ და ტყეც ვერ განახლდება“ [41, 344].

ტ ყ ე-ბ უ ჩ ქ ნ ა რ ი ს ა დ ა ს ა ბ ე ლ ა ვ ე ბ ი ს გ ა შ ე ნ ე ბ ა. დამეწყრილ ადგილებში ღელეებისა და მდინარეების სანაპიროზე, სწრაფად მოზარდ ხის ჯიშებს რგავდნენ (ტირიფი, ვერხვი, თხმელა, ალვის ხე, აკაცია და სხვ.). ამათგან ზოგს საბელავად იყენებდნენ, ზოგიერთს კი სამასალედ ზრდიდნენ.

ღიდ ხრამებსა და კბოდეებში „აჭეებს — ბუჩქნარს (ეკლოვანი მცენარეები, აგრეთვე თხილი, შვინდი, არწკლი, ღორტყემალა, ბროწეული, ლეღვი, კვინჩხა, კვიდოლა და სხვ.) უშვებდნენ და გაჩეხვას კრძალავდნენ.

სასურველია ფერდობი ვენახის ან ყანის თავში ტყე იყოს, იგი მას ნიაღვრისა და ქარისაგან იცავს. იქიდან ჩამონაყონ წყალს „მოღავი“ ჩამოაქვს და ნიადაგს ანოყიერებს, ჩასაბრუნებელ მიწას და ხარდანს იძლევა. აქედან გამომდინარე, მეურნე ყოველთვის ცდილობს სავარგულს შიშველი თავი და ნაპირები არ ჰქონდეს. საზოგადოდ, ირგვლივ ხეხილი, ბუჩქნარი და საბელავები თითქმის ყველა ადგილობრივი ვენახისთვის დამახასიათებელია.

ვაზისა და ნათესების მიერ ნიადაგის დაცვა. განსაკუთრებული მოვლის მიუხედავად, დამრეცი ადგილების საყანედ — სახნავად დიდხანს გამოყენება დაუშვებელი იყო, რადგან ყოველწლიურად „მიწის დაძვრა" გამოფიტვას ხელს უწყობდა. მიწის უკმარობა მათი ხანგრძლივად მოცდენის შესაძლებლობასაც გამორიცხავდა, ამის გამო მეურნე „რიცეზე", ძველი ქართული წესით, ვენახის გაშენებას არჩევდა. ხშირი ვადაწვენის მეთოდებით, ეაზი ფესვთა ძლიერ სისტემას ივითარებდა და ნიადაგს საიმედოდ იცავდა. ასეთ ვენახებში შენაცვლებით ცერცვისნაირებს, ხორბალს, იონჯას და მისთ. გამოთესავდნენ ხოლმე. ეს კულტურები მიწას „აპატივებდნენ" და თან „სილას აგორების" საშუალებას არ აძლევდნენ.

ჭარისა და როყნალის გამოსახმარისება. „ჭარი" ძლიერ ნესტიანი ადგილია. მის „გამოსავარგებლად" უპირველესად „წყლის თვალისათვის" უნდა მიეგნოთ. შემდეგ სათავიდან ხევამდე ღრმა „საწურავს"— „საწრეტს" გაუჭრიდნენ. თუ ეს არ უშველიდა, მაშინ „საყონავებს" გამართავდნენ: საჭირო მიმართულებით მაღალ თხრილებს ამოიღებდნენ, შიგ ცერად რიყის ქვებს ჩაალაგებდნენ, თხმელის ნაკაფით (თხმელა სინესტეში ნაკლებად ლპებაო) შეხურავდნენ და ზედ მიწას დააყრიდნენ. „ჭარის გამომშრალების" ეს ოსტატურად მიგნებული ხერხი იმითაც იყო ხელსაყრელი, რომ ერთ მტკაველ ფართობსაც არ აცდენდა, საყონავების თავზე ხვნა-თესვა და ვენახის გაშენება ჩვეულებრივად შეიძლებოდა. დახურულ საყონავებს დანესტიანებულ —„გამოჭარულ" ვენახებშიც აწყობდნენ.

მიწას მონატრულ მეურნეს უზარმაზარი ლოდებითა და ქვაგოხებით ჩახერგილი ადგილი „როყნალიც" გამოუყენებია. თუკი მიწა ოდნავ მაინც ჩანდა, უსათუოდ შეეცდებოდა მის განთავისუფლებას. ლოდებს რკინის სოლებითა და ურითი შეძლებისდაგვარად დააპობდა, მერე ნადს, მოიხმარდა და ნიადაგს გაწმენდდა. ნაკვეთი ზოგჯერ „მთლად ბითუმ კლდეზე იყო", მაშინ დაცვეთილ მიწას შოზვინვით გააახლებდნენ და სავარგულად აქცევდნენ. ხანგრძლივი და მუყაითი შრომა ყველა დაბრკოლებას სძლევდა.

ნიადაგის დაცვისა და ათვისების აღწერილი წესები და საშუალებანი მეტ-ნაკლებად გურიაშიც დავადასტურეთ. ოღონდ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ თვალთახედვით იქ ხანგრძლივი საველე მუშაობა არ გვიწარმოებია, სწორედ ამიტომ ჩვენს მიერ მოპოვებული მასალა ფრაგმენტულია. გურიაშიც მრავლად არის ხელოვნურად დატერასებული კარმიდამოები, ყორით თუ ხის ძელებით

დაკავებული ნიადაგი. აშენებდნენ „სამორავ“ ხეებს, სწრაფად ბოსარდ ჯიშებთან ერთად დიდ მიწონებაში იყო რცხილა. შეიძ-ლება ითქვას, რომ ამ ხის კულტი დღესაც ცოცხლობს. რცხილა მა-ღლარი ვაზის გასაშვებ საუკეთესო ხედ მიაჩნიათ, წვრილი ფოთ-ლები აქვს და ყურძენს კარგად ამწიფებს, ფესვის ღრმად გატანა იცის და მიწის იკავებსო. სუფთა ხეა, უსუნო და უნაყოფო, ამი-ტომ ეზოებისა და ჭურისთავების ირგვლივ რგავენ. საუკეთესო შეშას იძლევა და ახალწლის წინა დღეს საგანგებო დღესასწაუ-ლიც არის „ცხემლის ჭრა“. საახალწლო ცეცხლი უსათუოდ რცხი-ლის შეშით უნდა დაინთოს და ა. შ. როგორც ჩვენი მასალებიდან ჩანს, გურიაში ხეების გაშენება ნიადაგის დაცვის ერთ-ერთი უმ-თავრესი საშუალებაა.

აღსანიშნავია „დამოდვილებული“ (დაღლილი, გამოფიტული) მიწის გატყევება. 10 — 15 წელი „ნამუშევარ ადგილს სულს მოათ-ქმევინებდნენ“, ე. ი. აღარ დაამუშავებდნენ, იქ ტყე წამოვიდოდა, ლის ფესვები მიწას საიმედოდ ინახავდა, ხოლო ფოთლები და ნა-ყოფი ანოყივრებდა. მდინარისპირა დაბლობ ადგილებში ე. წ. „მე-რეებში“ მიმართავდნენ წყალგამჯდარი მიწის დაშრეტასაც, რასაც დიდი გარჯა და „ტანჯი“ უნდოდა. ამ მიზნით, ზემოთ აღწერილი წესის მიხედვით, გაჰყავდათ არხები. რასაკვირველია, ჩვეულებრივი მოვლენა იყო ფერდობებზე სანიაღვრე წყალსაყარების, თხრილებ-ბისა და კვლების მოწყობა. იმ შემთხვევაში, როცა დაქანებულ ფერ-დობზე ღრმა არხის გაჭრა აუცილებელი იყო, მაშინ მის ფსკერს ატერასებდნენ, რათა „ნოღრო“ (ნიაღვარი) გატეხილიყო“, მიწა არ ჩაეჭრა და თხრილი ხევად არ ექცია. არხის ფსკერზე ტერასთა შო-რის მანძილს ფერდობის დაქანების ხარისხი განსაზღვრავდა (სოფ. შემოქმედი, მახარაძის რაიონი).

„შავის“ (თოვლის, ქვიშის, დაძრული მიწის) და „ნოღროს“ (ნიაღვრის) მავნე ზეგავლენის ასაშორებლად აკეთებდნენ „ჯეფი-რებს“ (ჯებირებს): საჭირო ადგილს, ჩაასობდნენ წაბლის მაგარ ბოძებს, ზედ გააკრავდნენ წაბლისვე „ლანდურებს“, რომლებზე-დაც ვერტიკალურად მიაყრდნობდნენ მრგვალი ხის „მორგვებს“ ან „პობილებს“. ამათ წვერები მიწაში ღრმად ჰქონდათ ჩასობი-ლი. დროთა განმავლობაში ეს მოწყობილობა მართალია მოისი-ლებოდა, მაგრამ ვიდრე არ დალპებოდა, ზემოდან წამოსულ ყო-ველგვარ მასას საკმაო დაბრკოლებას უქმნიდა. ასეთი ჯებირებით არა მარტო ყანა-ვენახს, არამედ სახლებსა და კარმიდამოებს იცავ-დნენ (სოფ. ბუქსიეთი, ჩოხატაურის რაიონი).

სოფ. მამათში (ლანჩხუთის რაიონი) წაბლის ლატნებს — „ლან-

დურებს „ნოღას“ უწოდებენ და დაჯებირების ნაცვლად ტერ-ძინ „დანოღვას“ ხმარობენ.

ნიადაგის დასაცავი ჯებირები ასედაც კეთდება: ახლო-ახლო დაასობენ „შხუნებს“ — ეული, ჩქოლა ხის „დაჭოკვრილ ფორჩ-ხებს“ (გაკაფულ და ზომაზე დაჭრილ მარგილებს). ზედ მიაყრიდ-ნენ „ქვეროს“ (ფოთოლგაუცლელი, ნედლი ნაკაფი) ან „ჩხერს“ (ფიჩხს). შესაძლოა ფორჩხები ამოეღობათ კიდეც, რაც უკეთესი იყო — ჯებირი გაიძლე და მაგარი ხდებოდა (სოფ. აცანა, ლანჩხუ-თის რაიონი).

მდინარისპირა ჯებირებს საყოველთაოდ ცნობილი წესის მი-ხედვით აკეთებდნენ და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

თავისებურია სავარგულის დაცვის ერთი წესი: ყანა-ვენახის ვაწმენდის დროს თავს იყრიდა ბალასტი — „გვანი“, რომელსაც ნაღვარევ და დახრამულ ადგილებში ყრიდნენ. ფერდობზე „გვა-ნებს“ ხის ან ქვის სამაგრებს უკეთებდნენ და ასე იქმნებოდა „კან-დო“ „აქედან „დაკანდოვება“), რომელიც ნიადაგის დაცვის ეფექ-ტური საშუალება იყო (სოფ. ბაოლიეთი, ჩოხატაურის რაიონი).

ასეთია ჩვენს ხელთ არსებული მცირეოდენი მასალა, უეჭვე-ლია შემდგომი, საგანგებო კვლევა-ძიება ნიადაგის ეროზიის სა-წინააღმდეგო მრავალგვარ ხალხურ წესს გამოაელენს, რომელთაც პრაქტიკული მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავთ.

§ 3. ფიქრები ქართულ ვაზსა და ღვინოზე

> მიწის დამუშავებისას გლეხი თანდა-თანობით გლეჯს ბუნებას ზოგიერთ საი-ღუმლოებას და მის მიერ აღმოჩენილი ჭეშმარიტება საყოველთაო.
>
> ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი

მევენახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი და ტრადიციული დარგია. იგი არა მარტო ქვეყნის ეკონომიკის საყ-რდენია, არამედ ქართველი ხალხის თავისებურებათა ჩამოყალი-ბების ერთ-ერთი საფუძველიც. ამ თვალსაზრისით წარმოებული კვლევა-ძიება, რასაც ქართველი ეთნოგრაფები ეწევიან, საგულის-ხმო შედეგებს იძლევა. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების საქმეში ხალხის ცოდნა-გა-მოცდილების გამოვლენას. აღმოჩნდა, რომ მევენახეობას არა მარ-ტო ბარის მცხოვრებნი მისდევდნენ, არამედ ქართველი მთიელე-ბიც. მეურნეობის წესიერად წარმართვისათვის გადამწყვეტი

მნიშვნელობა აქვს ვერტიკალურ ზონალობაში სასოფლო-სა-
მეურნეო კულტურათა სწორ განლაგებას, რასაც ძველი მეურნე-
ნი ემპირიულად ახორციელებდნენ. ყინვაგამძლე ვაზის საადრეო
ჯიშების გამოყვანით მევენახეობის საზღვარი ზღვის დონიდან
1100—1200 მეტრამდე აღწევდა, მაგრამ რაც უფრო მაღლა შენ-
დებოდა ვენახი, მით უფრო ეცემოდა მოსავლის ხარისხი, ამი-
ტომ მაღალმთიან ზოლში მცხოვრებნი ცდილობდნენ ვენახები
ზარად ჰქონოდათ. ქართველი მთიელები თავიანთ საცხოვრებლებზე
ათეულ კილომეტრობით დაშორებულ ვენახებს თვითონ ამუშა-
კებდნენ მაღალგანვითარებული საწარმოო ჩვევებისა და შრომის
ორგანიზაციის დახვეწილი ფორმების წყალობით. მაგრამ ვაზის
სოკოვანმა დაავადებებმა და ფილოქსერამ არა მარტო ძველი ვე-
ნახები გაანადგურა, არამედ ქართულ მევენახეობას ნაწილობრივ
დაუკარგა საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული თავისებურე-
ბა და ორიგინალური სახე. თითოეულ ვაზის ჯიშს თუ ვენახის ტიპს
წინათ მტკიცედ განსაზღვრული ადგილი მოეპოვებოდა და იგი
თავის არსებობას რაიმე დადებითი თვისებით ამართლებდა. ამის
გამო მაღ განლაგებას წინასწარ გამიზნული მკაცრი ლოკალურო-
ბა ახასიათებდა, რაც XIX ს. შუა ხანებიდან მოკიდებული დღემ-
დე თითქმის მოიშალა. მევენახეობაში ძველი ცოდნა თანდათან
დავიწყებას მიეცა და ქართული ვაზის ჯიშების სიმრავლე „უცნა-
ურ ფაქტად“ იქცა, ხოლო ვენახის ძირითად ფორმად საქართვე-
ლოს ყველა რაიონში დაბლარი გაბატონდა. ბოლოს საქმე იქამ-
დე მივიდა, რომ ზოგიერთმა სპეციალისტმა „არასტანდარტული
ჯიშებისაგან დანაგვიანებული ვენახების გაწმენდა“ მოიწადინა,
ამით, რაც დაავადებას გადაურჩა მისი შეგნებულად განადგურე-
ბა დაკანონდა. მართალია, საზოგადოებრიობამ და ცალკეულმა მე-
ცნიერებმა იმთავითვე ხმა აღიმაღლეს, მაგრამ განწირული ჯიშე-
ბისა და ვენახის სახეთა შესანარჩუნებლად პრაქტიკულად თითქმის
არაფერი კეთდებოდა. ჯიშის ღირსებას ავადმყოფობათა გამძლეო-
ბა და უხვი მოსავლიანობა განსაზღვრავდა. აღარ იგრძნობოდა
ცალკეული მიკროორაიონისათვის დამახასიათებელი ღვინოების
აუცილებლობაც, ამის გამო ვრცელდებოდა ასე ინტესიურად ე. წ
„სტანდარტული ჯიშები“ და საფუძველი ეცლებოდა ჩვენი მე-
ვენახეობა-მეღვინეობის მრავალფეროვნებას. ასე რომ გაგრძელე-
ბულიყო, აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ რქაწითელი დაგ-
ვრჩებოდა, ხოლო დასავლეთში ცოლიკოური, თუმცა საქართვე-
ლოს მევენახეობა-მეღვინეობის უმთავრესი ღირსება იმაშიც იყო,
რომ ჩვენი ქვეყნის მევენახეობის თითოეულ მონაკვეთს ვაზის სა-

კუთარი ჯიში და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი ღვინო ჰქონდა (ჩხავერი, ჯანი, ოჯალეში, ალექსანდრეული, უსახელოური, ტვიშური მწვანე, საფერავი—ქინძმარაული, მანავის მწვანე, ჩინური — ატენური და სხვა.). მრავლისმეტყველი ფაქტია, რომ უსახელოურმა იალტაში გამართულ ყურძნის ღვინოებისა და კონიაკების საერთაშორისო კონკურსზე კიდევ ერთი მაღალი ჯილდო — ვერცხლის მედალი მიიღო, მაშინ როდესაც ამ ღვინის მასიური წარმოება ნედლეულის უქონლობის გამო 1968 წ. შეწყდა. რაც დრო გადის „ხვანჭკარის“ ყურძნის მიღებაც ჭირს. მისი მომცემი ჯიშები ალექსანდრეული და მუჯურეთული მაღალჩარისხოვან ნაყოფს მაშინ ისხამენ, როცა ისინი გაშენებულია მათი ისტორიული გავრცელების სოფლებში (ჩორჯო, ხვანჭკარა, ტოლა, ჟოშსა, ჭყეიში), მწირ, სამხრეთით მიფიცხებულ, „მზიგულ“ ფერდობებზე. სამწუხაროდ, მოუვლელობის გამო, ეს ფერდობები გამოიფიტა და ზედ დანერგილი ვენახები გადახმა. ამის უმთავრესი მიზეზი გახდა შვეტი, ყაფარი სავარგულების მოვლა-შენახვის ძველხალხური წესების უგულვებელყოფა.

ღვინის დაყენების მამაპაპური ტრადიციებიც დავიწყებას ეძლევა, მაშინ, როდესაც ხალხური ტექნოლოგია, უპირველეს ყოვლისა, სასმელის ბუნებრიობას უზრუნველყოფდა, რაც ილია ჭავჭავაძემ სამართლიანად აღიარა ქართული ღვინის უმთავრეს ღირსებად. ამრიგად, უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქართველ მეღვინეთა შთამომავლობით გადმოცემულ, მრავალსაუკუნოვან ცოდნა-გამოცდილებას. არც ხალხური მეღვინეობის ინვენტარია უარსაყოფი, მით უმეტეს, როცა ადგილობრივი ტიპის, ისტორიულად ცნობილ, რჩეულ ღვინოს ვაყენებთ. სასმელი სწორედ ხალხური იარაღ-ჭურჭლის მეშვეობით იყო ლითონისა და სხვა მავნე ზეგავლენისაგან დაცული, რაც თანამედროვე მეღვინეობის ტექნიკაში ისევ აქილევსის ქუსლად რჩება. ამ საკითხზე ღირს დაფიქრება და სანამ ხალხის მონაპოვარი ხელიდან არ გამოგვცლია ვეცადოთ მის არა მარტო შესწავლას, არამედ პრაქტიკაში კვლავ დანერგვას.

ჩვენი აზრით, სამარკო ღვინოების წარმოებაში უნდა შეიზღუდოს რაოდენობით გატაცება და წინ წამოიწიოს სასმელის ხარისხი. მევენახეობის ცნობილ ქვეყნებში (საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, უნგრეთი და სხვ.) ეს პრობლემა დიდი ხანია მოგვარებულია, იქ ძვირფასი ღვინოების დაყენების დროს ხალხის საწარმოო პრაქტიკას ანგარიშს უწევენ, მევენახენი ვაზებს ზედმეტ ნაყოფს აცლიან, რათა საუკეთესო ნედლეული მიიღონ. ქარ-

ოული იდეალურად სრულყოფილი ჯიშები: ალექსანდრეული, უსახელოური, საფერავი, მუჯურეთული და სხვ. ასეთ ჩარევას არ საჭიროებენ, რადგან თითოეული მათგანის ნაყოფიერება თავისთავად ლიმიტირებულია, რისი მეშვეობითაც სანაქებო ყურძენს იძლევიან. ბედის ირონიით ეს ღირსება აღნიშნული ჯიშების შემცირების მიზეზად იქცა. ვინაიდან ისინი ზომიერად მოსავლიანი და სათუთად მოსავლელნი არიან, მათი გაშენებით თავს არავინ იწუხებდა, ძველი ვენახები კი თვალსა და ხელს შუა ქრებოდა.

რესპუბლიკის ახალმა ხელმძღვანელობამ შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად გარკვეული ღონისძიებები გაატარა: უსახელოურის გადასარჩენად ცაგერის რაიონში შეიქმნა სპეციალური საბჭოთა მეურნეობა; ამბროლაურის რაიონში ალექსანდრეულისა და მუჯურეთულის ნერგების გმოსაყვანად ჩამოყალიბდა ჭყვიშის სანერგე სახელმწიფო მეურნეობა.

ჩვენი აზრით, ამჯერად საჭიროა ზუსტად აღირიცხოს ძვირფასი ყურძნის მომცემი სავენახე მიწები, რათა ზღვარი დაედოს სხვა მიზნით მათ გამოყენებას. დასამალი არ არის, რომ ამ უნიკალურ ადგილებში ტყეებს აშენებენ და სხვათა შორის ეს „ტყეები" მოუვლელობის გამო უკვე გადამხმარია. რაც შეიძლება მალე, მეცნიერულ დონეზე, შესწავლილ უნდა იქნეს აღნიშნულ სავარგულთა დატერასების, საერთოდ შექანიზებული ათვისების და ეროზიისაგან დაცვის შესაძლებლობანი, ხოლო სანამ ეს ღაიგეგმებოდეს და განხორციელდებოდეს ძვირფასი სავენახე მიწები, კარგი იქნება კოლმეურნეებს თუ დაუნაწილდება მკაცრი გაპიროვნებით, რათა დაცულ იქნეს ნიადაგის დაცვის ხალხური საშუალებანი და ჯერ კიდევ გადარჩენილი ვაზის მოვლა-მოშენების როგორც აგრონომიული, ისე მამაკაპური წესები. კოლმეურნეთა ძნელი შრომის საფასურად უნდა გამოინახოს, ანაზღაურების შესაბამისი სისტემა, რომ ვენახის მოსავლიანობითა და ყურძნის ხარისხის ამაღლებით მწარმოებელი დაინტერესდეს, რითაც, ბუნებრივია, გაიზრდება შრომის ნაყოფიერება და მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობა. მითუმეტეს, მთის პირობებში ვაზის მოვლა მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული. ეს კულტურა მძიმე ფიზიკურ შრომასთან ერთად დიდ ცოდნა-გამოცდილებას და დახელოვნებას მოითხოვს. აქედან ცხადია, მთიელ მევენახეთა საქმიანობა არ უნდა შეფასდეს ისე, როგორც ჩვეულებრივი სასოფლო-სამეურნეო საშუშაო, არამედ სასურველია ის ხალხური ხელოვნების სპეციფიკურ დარგად ჩაითვალოს და ანაზღაურებაც ამის შესაბამისად დაწესდეს.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ საქარ-

თველოს შუამთისათვის მევენახეობა სწორედ ის ძარღვი იყო, რომელიც უხსოვარი დროიდან მკვიდრად ამაგრებდა მოსახლეობას მიწაზე. მევენახე გლეხი თავის კარმიდამოს თითქმის არასდროს არ ტოვებდა, თუკი მტერი განდევნილა, მშვიდობიანობის ჟამს უკან ბრუნდებოდა და აჩეხილ ვაზნარს ხელახლა ააღორძინებდა. ახლა საქართველოს შუამთის მევენახე მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ქალაქს მიაშურა, რისი მიზეზების ყოველმხრივი გამოვლენა და აღმოფხვრა გადაუღებელ საქმედ გვესახება.

ასეთი ვითარებაა რაჭა-ლეჩხუმში. ამ კუთხეთა მევენახეობა-მეღვინეობა ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მონოგრაფიულ დონეზე გვაქვს შესწავლილი. ამჟამად ვმუშაობთ გურიაზე და წინასწარი მონაცემების გათვალისწინებით შემდეგი უნდა განვაცხადოთ:

მევენახეობა და მეღვინეობა გურიის მცხოვრებთა ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი საქმიანობა იყო. იქაური ვაზის ჯიშები: ჯანი, ჩხავერი, ტევანდიდი, მტრედისფეხა და სხვ. განსაკუთრებული მაღალხარისხოვნებითა და ნაყოფიერებით გამოირჩეოდნენ. ჯანი, რომელიც შავ, საუკეთესო გემოტკბილ ღვინოს აყენებდა, ოჯალეშის, ალექსანდრეულის, საფერავისა და უსახელოურის გვერდით იდგა. ჯანისა და ჩხავერის ღვინო ვაჭრობის საგნად ადრევე იქცა. ჯანი უმთავრესად გავრცელებული იყო და თავს იწონებდა აღმოსავლეთ გურიაში, სახელდობრ ბუკისციხის, სურეპის, ჩოხატაურისა და ხიდისთავის სანახებში.

ჩხავერისაგან ღია ვარდისფერი ან თეთრი, ნაზი, ცქრიალა ღვინო დგებოდა. ეს ჯიში მთელ გურიაში ხარობდა, მაგრამ საუკეთესო პროდუქციას ბახვში, ასკანაში, ლიხაურ-მაკვანეთსა და შემოქმედის თემებში იძლეოდა.

XIX ს. 40-იან წლებამდე გურია-სამეგრელოს ღვინო დასავლეთ საქართველოში პირველობდა. ზღვის სიახლოვის წყალობით იგი საკმაო რაოდენობით უნდა გაეტანათ საზღვარგარედაც.

ვაზის ფორმირება, ჩვეულებრივ, მაღლარად ხდებოდა. სწორედ ამიტომ სოკოვანი დაავადებების გაჩენამ გურიის მევენახეობას სასიკვდილო დარტყმა მიაყენა, ვინაიდან მაღლარად გაშენებული ვენახის მკურნალობა შეუძლებელი გახდა. ადგილობრივი, მაღალხარისხოვანი ჯიშები სწრაფად განადგურდნენ. გურიის მევენახეობა სრული მოსპობისაგან „ადესის" შემოტანამ იხსნა. მაგრამ იქ მეღვინეობა ისე დაეცა, რომ ჯერ კიდევ XIX ს. 60-იან წლებში საკუთარი საჭიროების დაკმაყოფილება აღარ შეეძლო.

გურიის მევენახეობა-მეღვინეობის კრიზისი დღემდე გრძელ-

დება. საბჭოთა ხელისუფლებას წლებში შეეცადნენ გადაშენებისაგან ეხსნათ ჩხავერი (ჯანი უკვე ამოვარდნილი იყო) და ამ მიზნით 1932 წ. შექმნეს სოფ. ბახვში საბჭოთა მეურნეობა, მაგრამ მაღლარი ვაზის მოვლა ვერ შეძლეს. 1957 წ. სოფ. საჭამიასერში ჩამოყალიბდა ჩხავერის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა, ვაზი დაბლარად გააშენეს, მაგრამ დაბლარზე ჩხავერი არ ამართლებს — ძლიერ მცირე მოსავალს იძლევა, თან საჭამიასერი არასდროს არ ყოფილა ამ ჯიშისათვის შესაფერისი კერა.

საჭიროა გურიაში ვაზის კულტურის კვლავ ძალღონძინებლად სათანადო მუშაობის ჩატარება. უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვლინდეს გადარჩენილი ძველი ვაზის ჯიშები და მათი კულტივირება მოხდეს ისტორიულად მიღებული წესის თანახმად — მაღლარად ან ოლიხნარად შესაბამის მიკრორაიონებში. შემუშავებულ უნდა იქნეს მაღლარი ვენახის მოვლისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები. საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები არა მარტო ჩაის მოყვანისათვის უნდა ზრუნავდნენ, არამედ აღგილობრივი მევენახეობა-მეღვინეობისთვისაც. მოსახლეობაც უნდა დავაინტერესოთ ამ ტრადიციული და რენტაბელური დარგით. მხოლოდ საგანგებო ღონისძიებების გატარებით შევძლებთ ვაზის კულტურა გურიაში აღვადგინოთ და ისტორიულად განთქმული გურული ღვინოებს დავუბრუნოთ ძველი სახელი და დიდება.

რაც შეეხება ქართლ-კახეთს, ნაკლები მასალა მოგვეპოვება, შარტოოდენ ორიოდე დაზვერვითი გასვლის შედეგად ვიცით, რომ მაინცდამაინც სახარბიელო მდგომარეობა არც იქ არის. ვაზის ჯიშთა ხელაღებით სტანდარტიზაციამ ძალზე შეზღუდა განთქმული ღვინოების მიკრორაიონები. შემცირდა ან გაქრა ღვინის გამაკეთილშობილებელი ფორმები. მთელი ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საუკეთესო ღვინოს ხომ ერთი წამყვანი და რამდენიმე დამხმარე ჯიშის შერევით აყენებდნენ, რაც, სამწუხაროდ, დღეს უგულვებელყოფილია.

საქართველოს ყველა კუთხეში ხალხს მევენახეობისათვის ვერტიკალური ზონალობის და ცალკეულ ჯიშთა სავეგეტაციო მონაცემების გათვალისწინებით ჰქონდა ადგილი შერჩეული. ჩვეულებრივ, საუკეთესო სავენახე ზოლი იყო მდინარისპირებსა და მთას მოშორებული დამრეცი, მზვარე ადგილები, სადაც უხვი მზე და ნაკლები ყინვა იცოდა. ახლა ეს მზვარეები სოფლებმა დაიჭირა, ხოლო ვენახებმა ძირს — ჭალებში ჩაინაცვლა. სწორედ ამან განაპირობა ვაზის მასიური მოყინვა, რამაც ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკას საგრძნობი ზარალი მიაყენა. ასე ძვირად დაგვიჯდა

ხალხური ცოდნის შეუფასებლობა, აქედან გამომდინარე, არც ერთი ნაკეთი ვენახის გაშენება არ უნდა მოხდეს მოცემულ რეგიონში მცხოვრებ ძველ მევენახეთა გამოცდილების გაუთვალისწინებლად.

სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ღვინის ფალსიფიკაციას, რაც მომაკვდინებლად მოქმედებს ბუნებრივად ტკბილი ღვინოების სახელზე. ფალსიფიკაციის შედეგად, ძალისა და ენერგიის აღმდგენელი ნექტარის ნაცვლად, ჯამრთელობისათვის მავნე სუროგატს ვიღებთ და, რაც მთავარია, ფალსიფიკაცია, როგორც ხალხი ამბობს, „ღვინის გაკეთება" უდიდეს და აუნაზღაურებელ მორალურ ზიანს გვაყენებს. ქართველ მევენახეებს ებღალებათ სული და პატიოსნება, „ღვინის გამფუჭებელი თვითონაც გაფუჭებულიაო" — ანდაზად ქცეულა ეს თქმა. შაქრის სიიაფემ არ უნდა შეიწიროს განუწყვეტელი ომების ქარცეცხლში გამოტარებული და დღემდე მოღწეული ბუნებრივად ტკბილი ქართული ღვინოების ღირსება. სუფთად უნდა შევინახოთ მარჯვენადალოცვილი მევენახის სინდისი — ზედაშეთი რომ ნათლავდა შვილებს, ეწეოდა რიტუალურ ქმედებას, მარანში ასრულებდა ღვთის მსახურებას და სიამაყით აცხადებდა: „ღვინო დაწმენდილი, სახლი განწმენდილიო!" მართალია, დღეს მირონცხება აღარ გვიჭრდება, მაგრამ ღვინის სისპეტაკე, რომელიც ქართველი კაცის ბუნებაში უხსოვარი დროიდან მორალურ სიფაქიზეს ტრადიციულად შერწყმია, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიკარგოს.

მევენახეთა წახალისების მიზნით საჭიროა მოეწყოს ხალხური წესით დაყენებული ღვინის რეგულარული დეგუსტაციები. საუკეთესოდ აღიარებულ სასმელს მივცეთ კუთვნილი ფასი და ბაზარი, რათა მეურნე დაინტერესდეს და თავისი ვენახიდან რაც შეიძლება მაღალხარისხოვანი ღვინო დააყენოს.

უნდა მივხედოთ ვენახის ძველქართულ სახეებსაც, რომლებიც ცალკეული მიკრორაიონის ბუნებრივ-ეკოლოგიური პიროზების გათვალისწინებით, მრავალმხრივი შრომის შედეგად, გამოიყვანა ქართველმა მევენახემ. ვენახის თითოეული სახე (მაღლარი, დაბლარი, ოლიხნარი და სხვ.) სწორად შერჩეულ გარემოში საკმაო რაოდენობისა და საუკეთესო ღირსების მოსავალს იძლევა. სამაგალითოდ გურული ჩხავერი, მეგრული ოჯალეში და ქვემოიმერული ალადასტური კმარა. საქმეში ჩახედული კაცი აუღელვებლად ვერ შეხედავს რაღაც სასწაულით გადარჩენილ ამ ჯიშების თითო-ოროლა მაღლარებს. დგანან ისინი დაბერებულნი,

დაუძლურებულნი, მაგრამ დიდბუნოვნად, მოთმინებით ელიან შემწეს და დამხმარეს.

კვლევა-ძიებამ დაგვარწმუნა, რომ უხსოვარი დროიდან დიდი გარჯითა და დაკვირვებით გამომუშავებული ვენახის ტიპები, რომლებიც საუკეთესოდ ერწყმოდნენ ცალკეული კუთხის ბუნებრივ თავისებურებებს, განვითარების დონისა და ინტენსიურობა-რენტაბელობის თვალსაზრისით თანაბარნი იყვნენ. დღეისათვის რომელიმე მათგანის დაკნინება, რაც შედეგია უცხო, გაუთვალისწინებელი მოვლენებისა (სოკოვან დაავადებათა გაჩენა, ფილოქსერა) მის პრიმიტიულობასა და პირველადობას არ ნიშნავს. ვენახის ქართულ სახეებს, ისევე როგორც ვაზის უნიკალურ ჯიშებს, დროული დაცვა-აღდგენა და შთამომავლობისათვის შემონახვა სჭირდება.

საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ,ქართული ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის შენარჩუნებისათვის განსაკუთრებულ ღონისძიებებს ატარებს. 1972 წ. საუკეთესო ათი ჯიშის (ალადასტური, ალექსანდრეული, კაბერნე, კრახუნა, ოჯალეში, პინო, საფერავი, უსახელოური, ჩხავერი, ხიხვი) ყურძენს ფასი მოემატა, მაგრამ უპირველესად გასათვალისწინებელია, რომ ისინი მხოლოდ თავიანთი ისტორიული გავრცელების ადგილებში (უცხოური კაბერნესა და პინოს გამოკლებით) იძლევიან მაღალხარისხოვან პროდუქციას, ამიტომ, ჩვენი აზრით, უფრო უპრიანია ცნობილი ღვინოების მიკრორაიონებს მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, გამოიყოს და მაქსიმალურად ათვისებულ იქნეს მიწის ეს ოქროდღირებული ფონდი, რომელიც გვაძლევს ხვანჭკარასა და უსახელოურს, ჩხავერსა და ოჯალეშს, ატენურსა და ქინძმარაულს. . .

სადირექტივო ორგანოებმა შეიმუშავეს ბუნებრივად ნახევრადტკბილი და სხვა უნიკალური ღვინოების წარმოების გასაფართოებლად ზოგიერთი ვაზის ჯიშის გაშენების გეგმა. ბუნებრივია, ამ გეგმის ცხოვრებაში დროულად და ქმედითად გატარება მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ქართულ მევენახეობა-მეღვინეობის სადღეისო მდგომარეობას, მით უმეტეს, ყურძენი და ყურძნის პროდუქტები ქართველი ხალხის აუცილებელი საკვებია. ხალხური ტრადიციული მევენახეობის ბიზანს არა მარტო მეღვინეობა წარმოადგენდა, არამედ ყურძნის ნილად მოხმარება, ბადაგის, ფელამუშის, ჩურჩხელის, ტკბილისაკვერისა და მისთანათა უხვი წარმოება. სწორედ ამითაც აიხსნება

საქართველოში ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება, საუკეთესო საღვინე ფორმების გვერდით, ჩვენს წინაპრებს მრავალი საყურძ-ნე ჯიში ჰქონდათ, რომელთა ნაწილი მწიფობისთანავე მოიხმა-რებოდა, ხოლო უმეტესობა საზამთროდ შესანახი იყო. როგორც წესი, იდეალურად სრულყოფილი საღვინე ჯიში ხანგრძლივად შესანახ საუკეთესო ყურძენსაც იძლეოდა (ალექსანდრეული, მუ-ჯურეთული, რქაწითელი...). იყო აგრეთვე საგანგებო სამაჭრე (მაისა, სადადეგო, სამაჭრია...), საბადაგე-სატკბილე-საჩურჩხლე (ბუერა, თავკვერი, ქიშური...), საჩამიჩე (ცხენისძუძუ, მეღრია, მსარგრძელი...), სამურაბე (რქახუილა, თითა, მსხვილთვალი...), საჭაჭე (სამჭაჭა თეთრი, შავი...) და საწნილე ჯიშებიც კი (დონდ-ღლაბი, ხარისთვალა, გორულა...).

რაჭა-ლეჩხუმში ვაზის კულტურის შესწავლამ გვიჩვენა, რომ საქართველოს ამ რეგიონში ე. წ. „ყურძნის ჯიშთა სიჭრელე" სრულიადაც არ იყო შემთხვევითი ხასიათისა, როგორც ამას ზო-გიერთი სპეციალისტი ამტკიცებს. გაირკვა, რომ ყოველ ფორმას შეუცვლელი ფუნქცია ეკისრებოდა და ამდენად მისი შენარჩუნე-ბა აუცილებელი იყო. მაგალითად, თვით ცალკეულ სოფელსაც კი თავისი მიკროკლიმატისა და ნიადაგის შესაფერისი ჯიში მოეპოვე-ბოდა (თხმორული, ხოტევური, ალპანურა, საირმულა, ორხულა...). მეკვენახეობის ვერტიკალურ საზღვარს მეტად ზრდიდა ვაზის შემ-დეგი ჯიშები: ბელარიანი, ქედურა, ნაცარა, ხაშარი და სხვა. მათ თავისებური ვეგეტაცია ახასიათებდათ, სახელდობრ, გვიან გამოს-ვლა და ადრე დამწიფება, რითაც ისინი წარმატებით აღწევენ თავს გაზაფხულის ნაგვიანებ ყინვებს და შემოდგომის ნაადრევ თოვ-ლიანობას. რა თქმა უნდა, ამ ფორმათა პრაქტიკული ღირებულება დღესაც ძლიერ დიდია, რის გამოც დაუყოვნებლივ საჭიროა თი-თოეული მათგანის გადარჩენისათვის საგანგებო ზომების მიღება.

სხვა დანიშნულების ჯიშთაგან აღსანიშნავია ღვინის გამაკე-თილშობილებელი საშუალებანი: ღვინისათვის სასურველი ფერის მიმცემი (საფერავი, არაბეული, ოცხანური საფერე...), სიტკბოს მოსამატებელი (ბერაული, კოდური, ბუტკუ...), ზომიერი სიმჟა-ვის მიმცემი (გაბაშა, კინწმაგარი, წითელოური...), სიმაგრის მო-სამატებელი (საირმულა თეთრი, ფაჩხატა, ცოლიკაური...), მოსა-ვლელად „გამაბევრებელი" (ტევანგრელი, ფორთუკა, ჭუბულო...). ერთმანეთს „აკეთებდა" და საუკეთესო ღვინოს იძლეოდა ალექ-სანდრეული და მუჯურეთული, უსახელოური და ბაბილო, ხიხვი და ფაჩხატა...

ისე შორს მიდიოდა ადგილობრივ სახალხო სელექციონერთა

ნიშეჯითე, რომ მათ არა მარტო საღვინე, ჩამაჭრე, საყურძნე, ღვინის გამაკეთილშობილებელი, მთის ჰავის სიმკაცრესა და ცალკეული სოფლის ბუნებრივ პირობებს ოსტატურად შეგუებული ჯიშებში გამოიყენეს, არამედ სეტყვის გამძლე, ჩრდილსა და უვარგის ადგილებს შეგუებული ფორმებიც შექმნეს. მაგალითად, ნაკუთნოული და ღარსაულა სქელი, უხეში, ვეება ფოთლებით სეტყვისაგან მტევნებს იფარავდნენ, ხოლო ჭუბულო „ჩერო ადგილებში გვარობდა“, ნაცარა კი იქ გადიოდა, სადაც მარტო გვიმრა ხარობდა. ამრიგად, მევენახეობას ძველად გაცილებით მეტი სარბიელი ექონდა, ვიდრე დღესა აქვს.

ძნელია მსოფლიოში მოიძებნოს ქვეყანა, სადაც ვაზის კულტურა ასე მრავალმხრივ, ამომწურავად იყოს გამოყენებული, როგორც ჩვენთან. ხალხი მეღვინეობის ნარჩენებისაგან ნამცეცს არ კარგავდა, თხლეს, არაყის გამოხდის გარდა, იყენებდნენ საკვებად. თხლის შეჭამადი — „მაჯიგარო“, საუკეთესო სამარხო საჭმელი იყო. მას სამკურნალო მიზნითაც ხმარობდნენ. აღარას ვამბობ „ღვინითბილსა“ და „ბოღლიწოზე“. ყურძნის წიპწებისაგან ზეთსა და საღებავს ამზადებდნენ. განსაკუთრებით დიდი გამოყენება ჰქონდა ჭაჭას, რაც რაჭა-ლეჩხუმში ბოლო დრომდე შემოინახა. იქ ჭაჭისაგან არაყის გამოხდის შემდეგ დარჩენილ მასას არ გადაყრიდნენ, არამედ გულმოდგინედ გაარჩევდნენ — ფორცხვებს — კუფხალს შოაშორებდნენ, მზეზე გააბმობდნენ და ასეთი სახით ბეღელში შეინახავდნენ. საჭიროების დროს ხმელ, გარჩეულ ჭაჭას ორ წილზე ერთ წილ სიმინდს შეურევდნენ და წისქვილში დაფქვავდნენ, ეს იყო „საღორებო“ — ღორების საუკეთესო საკვები. დღეს თვით სიტყვაც დავიწყებულია, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ამაოდ დაუწყებთ ძა ძებნას, სხვათა შორის, სამინდო წისქვილში საღორებოს დასაფქვავად, ბოლო ხანებამდე, ცალკე დოლაბი ჰქონდათ. საღორებოთი გასუქებული ღორის ხორცი დიდად მარგებელი და გემრიელი იყო. რაჭული ლორის პოპულარობა ამითაც უნდა აიხსნას. საღორებოთი არა მარტო ღორებს, არამედ მსხვილფეხა პირუტყვსა და ფრინველებსაც კვებავდნენ. ეს მალალკალორიული, ვიტამინით მდიდარი, ე. ი. როგორც ხალხი ამბობს, „მოღავიანი, ყუათიანი და მხურვალე“ საკვები, სასარგებლო იყო მეტადრე ზამთრობით, ქათმებს კვერცხს უხვად ადებინებდა და საერთოდ ხელს უწყობდა ცხოველთა ნაყოფიერებას. ამის გამო უთქვამთ: „საღორებო თუ გაქვს, ბერწობისა ნუ გეშინიაო“. ხალხის ეს გამოცდილება ამჟამად პრაქტიკაში არ გამოიყენება. დღეს საქართველოში — მძლავრი მეღვინეობის ინდუსტრიის ქვე-

ყანაში, მრავალი ათასი ტონა ჭაჭა თითქმის აუთვისებელია, მაშინ როდესაც მისგან საქონლისათვის ძვირფასი კომბინირებული საკვების მიღება შეიძლება. გურჯაანის რაიონში ფიქრობენ ჭაჭა ამ მიზნით გამოიყენონ, რასაც უსათუოდ წარმატება მოჰყვება, ვინაიდან ეს წამოწყება ხალხის მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკით არის შემოწმებული. ოღონდ ანგარიში უნდა გაეწიოს ხალხურ მარტივ, მაგრამ სანდო, უტყუარ ტექნოლოგიას. ვფიქრობთ, გურჯაანის რაიონს სხვებიც მიბაძავენ და ჭაჭა მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს საქართველოს მეცხოველეობას.

ჩვენს ტრადიციულ, მაღალგანვითარებულ სოფლის მეურნეობაში ხომ ყველა დარგი შერწყმული იყო და ურთიერთსარგებლობაზე დამყარებული. სწორედ ეს სიმბიოზური ჰარმონიულობა უნდა აღვადგინოთ და თანამედროვე მოთხოვნების დონეზე განვაკითაროთ, მაშინ, უეჭველია, შედეგიც უკეთესი გვექნება.

§ 4. ფასდაუდებელი სიმდიდრე

ჩვენი ქვეყნისათვის ტყეს სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. ტყეებთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველი ხალხის საოჯახო ყოფა და მეურნეობა. ხისაგან შენდებოდა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, კეთდებოდა პირველი მოხმარების საგნები. ხის ხუროობით განთქმულნი იყვნენ ლაზები და რაჭველები, რომელთა ნახელავი სახლები ახლაც ამშვენებს საქართველოს სოფლებს, ხოლო მუზეუმებში დაცულია მათი ნაოსტატარი ნატიფი ჩუქურთმები. იქვე ნახავთ ეროვნული კოლორიტის მატარებელ, სახმარად მოხერხებულ ხალხურ ავეჯს, ჭურჭელს, სასმისებსა და სხვ.

მიუხედავად მრავალმხრივი გამოყენებისა „ტყის ხარჯი" არასდროს არ აღემატებოდა ბუნებრივი ზრდის ნორმებს, რადგან ხალხი იმთავითვე ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს. მთიანი ქვეყნისათვის ტყე არა მარტო ყოველდღიური მოსახმარი იყო, არამედ არსებობის საშუალებაც, ამიტომ ძველთაგანვე შემუშავდა ტყის გამოყენების რაციონალური მეთოდები, რომელთაც მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს.

ტყის ხალხური მეურნეობისა და ექსპლუატაციის წესების შესწავლა საგანგებო კვლევა-ძიებას საჭიროებს, ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ რაჭა-ლეჩხუმში შემონახულ მევენახეობასთან დაკავშირებულ „ტყის ხარჯზე".

ვენახისათვის უნდა მომარაგებულიყო ათასობით ჭიგო, სარი,

ხარდანი, ხალახინი და სხვ. მეღვინეობის ინვენტარი, ძირითადად, ხისაგან მზადდებოდა. მიუხედავად ამისა, ხე-ტყის ნაკლებობა არ იგრძნობოდა, რადგან ტყის ჭრა მის მოვლასაც გულისხმობდა. მოვლილ ტყეს „ნამაშვარი" — „ნამოშვარი" ერქვა. ნამაშვარი, ჩვეულებრივ, კერძო მფლობელობაში ჰქონდათ და ისე ზრუნავდნენ მასზე, როგორც ვენახზე. ამის გამო უთქვამთ: „ტყე ვენახი არ არის, მაგრამ მოვლა იმასაც უნდაო".

ნამაშვარი სოფელთან თუ ახლოს იყო და პირუტყვი ეტანებოდა, შემოღობავდნენ, უსარგებლო „ძირკვებისაგან" და ეკლოვანი მცენარეებისაგან გულმოდგინედ გაწმენდნენ. მისი ხარჯი კი შემდეგნაირად იცოდნენ: ტყეს თვალდათვალ დაყოფდნენ, თითო ნაწილი თითო წელს, გვიანი შემოდგომით ან ადრე გაზაფხულზე პირწმინდად, ძირზე იჭრებოდა, საიდანაც სარი, ხარდანი, წნელი და ფიჩხი ამოიკაფებოდა. მთვარე უსათუოდ ძველი უნდა ყოფილიყო. სამაგიეროდ ახლად ამოსეთქილ „მორჩს" ყოველმხრივ იცავდნენ და ნორმალური ზრდა-განვითარების შესაძლებლობას აძლევდნენ. როცა ნამაშვარს სახარდნედ არ იყენებდნენ, ის „აშობილი ტყე" ხდებოდა. საჭიროების დროს მასაც ისევე უვლიდნენ და ჭრიდნენ, როგორც სახარდნეს.

„ნამაშვარი" და „აშობილი" ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად შესწავლილი (აკად. ნ. კეცხოველი) ვაკისა და ჭალის ტყეებში ჩამოყალიბებული სასარე და სამასალე მეურნეობათა პროტოტიპებია.

მრავალ ჭიგოს იძლეოდნენ საბელავებიც. საბელავად ბუნებრივ ტყესაც იყენებდნენ და ხელოვნურსაც. ახალგაზრდა ბუნებრივ ტყეს ჯაგნარისაგან ასუფთავებდნენ და მუხის, წაბლის, რცხილის, ნეკერჩხლის, თელისა და სხვ. ხეებს იმ სიმაღლეზე გადაჭრიდნენ, რომ პირუტყვი არ მიწვდომოდა. გადანაჭერზე ანუ „ბორჯოყოზე" „ალერდი" ამოხეთქავდა, რომელიც მესამე-მეოთხე წელს ხარდნად იქცეოდა. ხშირი ბელვისაგან ხის ზრო მსხვილდებოდა და უფრო მეტ ჭიგოს იძლეოდა. საბელავს, როცა ხიბერეს შეამჩნევდნენ, მისივე ფესვებიდან წამონაზარდ ყლორტს „სამომავლოდ" დაუტოვებდნენ.

საბელავების ხელოვნურ ტყეს ნამეწყრ, დახრამულ ანდა, საერთოდ, ხრიოკ ადგილებში აშენებდნენ, რათა დასამუშავებლად გამოუსადეგარი მიწა გამოეყენებინათ და გამოფიტვისაგან დაეცვათ. თუ ადგილი მშრალი და ქვიშიანი იყო, მაშინ წიფელს, რცხილას, თუთას, იფნას, აკაციას და სხვ. რგავდნენ, ხოლო „ჭარში" ტირიფის, ვერხვის და მისთანათა ნედლ, გაუქერქავ სარებს ასობ-

დნენ, რომლებიც ორ-სამ წელიწადში უკვე საბელავებად იქცეოდა.

საბელავების ტყე სათიბ-საძოვრებადაც გამოიყენებოდა, არც ისე ხშირი იყო, თან მას ვულმოდგინედ უვლიდნენ: ქვა-ღორღისაგან წმენდნენ და წამოზრდილ ეკალ-ბარდებს „ხელიერთბაშაღ" ძირკვავდნენ.

ვენახების ირგვლივ მიღებული იყო იფნისა და თუთის გაშენება. იფნა სწორ და გამძლე ჭიგოს იძლეოდა, აგრეთვე მისი ფოთოლი ჯარამწველი პირუტყვისათვის საკვებად გამოიყენებოდა. თუთის ხარდანი გამძლეობით იფნისას ჯობდა, თან აბრეშუმის ჭიის საზრდო ძვირფასი ფოთოლი ესხა. გარდა ამისა, თუთის კანი ვაზის ასახვევადაც იხმარებოდა. ამგვარად, ერთი და იგივე ხეს მეურნე მრავალგვარად იყენებდა.

საბელავების კულტურა საქართველოს მევენახეობით ცნობილ ყველა კუთხეში იყო გავრცელებული, მაგრამ ვენახის „შპალერზე" გადაყვანამ ეს მამაპაპური საქმე გაქრობის პირამდე მიიყვანა. დავიწყებულია აგრეთვე ტყის ექსპლოატაციის ხალხური წესები, რაც უარყოფითად მოქმედებს ჩვენი სამშობლოს ნიადაგებსა და მცენარეულ საფარზე.

§ 5. ვაზი და არქიტექტურა

საიდან სადაო? იტყვის ზოგიერთი; მართლაც, ბევრ ჩვენგანს ვაზი მხოლოდ ვენახში წარმოუდგენია, ხოლო ვენახს — პლანტაციას მოგეხსენებათ, ხუროთმოძღვრებასთან არავითარი ხელი არა აქვს. დიახ, ახლა ასეა, მაგრამ წარსულს თუ გადავხედავთ აღმოჩნდება, რომ მევენახეობასთან ერთად, ვაზი საქართველოში უმთავრესი დეკორატიული მცენარე იყო.

ცალკეული მიკროორიონის ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით ქართველმა ხალხმა ვაზის ფორმირების მრავალგვარი წესი შეიმუშავა, სახელდობრ, დაბლარი, მაღლარი, ოლიხნარი, ტალავერი, სანაპირაო ანუ ღობის ტალავერი, ნაგებობაზე აყოლიღი ვაზი ანუ კედლის ტალავერი და სხვ. ამათგან უმთავრესი სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა დაბლარს, მაღლარს და ნაწილობრივ ოლიხნარს, ხოლო დანარჩენი, ძირითადად, დეკორატიულ-ესთეტიკურ მიზნებს ემსახურებოდა. ოღონდ აქვე უნდა დავუმატოთ, რომ თვით სამეურნეო დანიშნულების ფორმებიც კი სილამაზეს მოკლებულნი არ იყვნენ, მაგალითად, მაღლარის ერთ-ერთი სრულქმნილი სახე — ხემამული დახვეწილი დეკორატიული

ხელოვნებით გამოირჩეოდა. სიტყვა მივცეთ ლეჩხუმის დიდებული მაღლარების თვითმხილველს „ნოვოე ობოზრენიეს“ უცნობ კორესპონდენტს: საყრდენი ხის „ფორმირება ადრევე იწყება, როდესაც ღეროს სიგრძე $1^1/_2$ — 2 გოჯს აღწევს. ამავე დროს ან ერთი წლით ადრე, ხის ახლოს ვაზს რგავენ. შემოდგომაზე ან ზამთარში ნორჩი იფნის ღეროს 1 — $1^1/_2$ არშინ სიმაღლეზე გადაჭრიან. ზაფხულში, წამოზრდილი ყლორტებისაგან, მათი რაოდენობის, განლაგებისა და სხვათა მიხედვით, ორ ან სამს ტოვებენ, დანარჩენები კი ძირშივე ეჭრება. დარჩენილი ყლორტებიც შეიკვეცება, არაუმეტეს ორი-სამი კვირტისა. მეორე შემოდგომის დამლეევს, დატოვებული კვირტების რაოდენობის მიხედვით, ახალი ყლორტებია ამოზრდილი, რომელთაგან თითოეულ შარშანდელ როკზე მხოლოდ ორ-ორს ტოვებენ, სხვებზე უკეთესად განლაგებულს, რათა შემდეგში მიიღონ კათხისებური ვარჯი. ეს ყლორტები ქვედა ორ კვირტზე იკვეცება. ყველა სხვა დანარჩენ ყლორტს, გარედან ან შიგნიდან წამოზრდილს უსათუოდ მოაშორებენ. ასე გრძელდება ყოველ წელიწადს, ვიდრე ხე ცოცხლობს და ვაზის კულტურისათვის გამოიყენება. თანდათანობით იქმნება კათხისებური ვარჯი, იმდენად სრულყოფილი, რომ თვით გოშეს, რომელიც ნაყოფის მომცემი ხეების ფორმათა შექმნის არქიტექტორი, სახელგანთქმული და დახელოვნებული ოპერატორია, თვალი ზედ დარჩებოდა.

„კათხები“ დიდი ზომისანი ხდებიან. მაღლა, სადაც გადაჭრილი ყლორტების ბოლოებია, რომელთა რაოდენობა წლობით შესაჩნევად იზრდებოდა, თუმცა ისინი მუდმივ მეჩხერდებიან, წარმოიქმნება თითქმის სრული სიმრგვალე, ანდა ოდნავ ელიფსური ზოლი, ხშირად 3 ან მეტი საჟენი დიამეტრისა. სასიამოვნო სანახავია ასეთი ქმნილება შემოდგომით, ფოთოლცვენის შემდეგ, როცა ადამიანის მთელი ზრუნვა ჩანს. მეტადრე მომხიბლავია ვაზის ვანაწილება ვარჯის როკებსა და ტოტებზე. უზარმაზარი „კათხის“ შიგნით არ აღმოჩნდება არასწორად განლაგებული არც ერთი ყლორტი, არც ერთი ტოტი. მათ გარედანაც ვერ ნახავთ არასწორად განლაგებულს. ეს გასაგებიცაა. ვარჯის ჩამოყალიბებისას მოხრილი ყლორტები სწორდებიან, სხვები გარეთ გადაიხრებიან, დანარჩენები, თუ ერთმანეთთან ძალზე ახლოს ამოიზრდებიან და საჭირონი არიან, განმბრჯენით გაიწევ-გამოიწევიან. ერთი სიტყვით, აკეთებენ ყველაფერს, რათა მიიღონ რაც შეიძლება სწორი კათხისებური ვარჯი. ვაზის ღერო იფნის ტანს მიყვება, რომელსაც 8 — 10 გოჯი დიამეტრისათვის მიუღწევია, შემდეგ 2—3 პირველად

მსხვილ, მოკლე და 5—6 გოჯიან როკზე გადადის, მერე კვლავ ტოტებს შეუყვება და მომდევნო წლების ნაყარს სულ კენწერომდე გასდევს. სადაც საჭიროა რქას ახვევენ. ვაზს ხეზეევე სხლაკენ, რადგან ის წლების მანძილზე იმდენად ძლიერ ეხვევა მას, რომ შეუძლებელია გამოხსნა-განცალკევება. ვაზის ღონიერი ზრო, ჩვეულებრივ, გრძელ რქებს დაიყრის, რომელთა უმეტესობა ახლახანს წარმოქმნილი, გზით განაწილდება, სხვები კი „კეთხას" სხვადასხვა სიმაღლეებზე ქამრებივით გარს ერტყმიან" [131-ა].

ეს პოეტური აღწერა ჩვენ მიერ მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალაში დასტურდება. უცნობმა კორესპონდენტმა, XIX ს. დამლევს, ლეჩხუმის მაღლარები საკუთარი თვალით ნახა და ამიტომ მისი მონათხრობი ადგილობრივ მევენახეთა მაღალი ხელოვნების დამადასტურებელი, უტყუარი საბუთია.

ხილამაზე და მშვენიერება არც ოლიხნარს აკლდა. ვისაც სოფელი ორბელი (ცაგერის რაიონი) უნახავს, ვერ დაივიწყებს ტანმაღალ ვაზნართა მუქმწვანე იარუსებს, რომელთაც მთელი მიდამო მოუცავთ და ოდა-სახლების დაფარვასაც ლამობენ. XIX ს. სპეციალისტები და ცნობისმოყვარე მოგზაურები აღტაცებას ვერ იოკებენ ორბელელთა საუცხოო ვენახების გამო. იტალიელი მეცნიერი ემილ ლევიე გაოცებული წერს: „ორბელიდან რომ გავედით, ერთ მშვენიერ და მეტად მდიდარ მხარეში ვიმოგზაურეთ. ვაზი ადამიანის მონად გამხდარა, ერთი ხიდან მეორეზე გადადის, სწორედ ისე, როგორც ტოსკანაში" [26,34].

რაც შეეხება ტალავერს, მეურნენი მას „სამშვენებელს", „საგრილებელს" ეძახიან. მართლაც, ტალავერს, ჩვეულებრივ, შეხვდებით ჭურისთავების, წყაროს, ეზოების, ვენახის ნაპირების, გზების, ბილიკებისა და სხვათა საჩრდილობლად. გერმანელ მეცნიერს გუსტავ რადეს ლენტეხში ტალავერით დაბარდნილი ქუჩები გაუვლია. იგი გვაუწყებს: „სოფელ ლენტეხზე გამავალი გზები უმთავრესად ვაზის ამწვანებული გირლიანდების თაღებქვეშ მიემართებიან. ვაზს აქ ქართული წესით უვლიან, ის მაღალ ბოძზე აჰყავთ და უხეშ ჰორიზონტალურ ხარიხებზე ჰიმავენ" [150, 68]. ასეთივე ტალავრები რადემ ზემო სვანეთშიც ნახა [150,153]. მხცოვან მთხრობელთა გადმოცემით, ძველად სოფლის გზებისა და წყაროების ტალავრებით შემკობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, დღეს კი ეს კარგი ჩვეულება დავიწყებულია.

ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ტალავერი დასავლეთ საქართველოში მევენახეობის დამხმარე საზეა, უმეტესად იძლევა სუფრის ყურძენს, მას უფრო დეკორა-

ტიულ-ესთეტიკური დანიშნულება აქვს, ვიდრე სამეურნეო, ამიტომ ვაზის ფორმირების ეს წესი მევენახეობის განვითარების შედარებით გვიან საფეხურზე უნდა იყოს წარმოქმნილი. მაგრამ იგი ჩვენში ძველი დროიდანვე ჩანს, რის საბუთად შეიძლება გამოგვადგეს არგონავტების მითში შემონახული კოლხეთის მეფის აიეტის ოთხი დიდებული შადრევნის აღწერა, რომელთაც „ფარავდა ხშირ ფოთლოვანი და ჩრდილოვანი ვაზები“ [116, 32]. ამ მხრივ საინტერესოა რადეს მითითება: მურის ციხესთან, „სამხრეთით მდებარეობს ჭვეშიო ძალიან გულმოდგინედ ამოშენებული წყარო, რომელიც ვაზის მწვანე ფოთლებითაა დაფარული“ [150,54]. ეს ფაქტი ტრადიციის უწყვეტობის მაჩვენებელია. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილი „ტალავერს“ მევენახეობის უძველეს ქართულ ტერმინად მიიჩნევს [119,310]. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს ქართული მევენახეობის ადრეულ ეპოქაში სრულყოფას. ირკვევა, რომ ჩვენი ხალხისათვის ვაზი, ჯერ კიდევ უძველეს ხანაში, არამარტო სამეურნეო მცენარე იყო, არამედ საზოგადოებრივი ადგილების გასამშვენიერებელი საშუალებაც, რაც თავისთავად მაღალი გემოვნების მაჩვენებელია.

სხვათა შორის, რაჭა-ლეჩხუმში ვაზს თვით ვენახებს შესამკობლად იყენებენ და ამისათვის შემუშავებული აქვთ საგანგებო ფორმა — „სანაპირაო“ ანუ „ღობის ტალავერი“. ეს არის ვენახის კიდეებზე წალიკად გაშვებული, ნაწილობრივ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ საყრდენებზე განლაგებული ვაზნარი. აქ საყრდენები და სახე შერჩეულია ვაზის ცალკეული ჯიშების მოთხოვნილებათა და სიძლიერის მიხედვით. „სანაპირაოთი დასარტყლული ვენახი“ სასიამოვნო სანახავია.

,ნაგებობაზე აყოლილ ვაზს ხალხი „კედლის ტალავერს“ უწოდებს. ქართულ ხალხურ კოლორიტულ არქიტექტურას სავსე მტევნებით დახუნძლული ვაზები ორიგინალურად ერწყმოდა და განაშეორებელ, წარმტაც სანახაობას ქმნიდა. ვაზით გაცოცხლებულ სახლის აივნებს აქა-იქ ახლაც შეხვდებით, მაგრამ ეს ტრადიცია თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის. არამცთუ ვაზი, ყოფიდან თვით აივანიც გაქრა. ამჟამად იშვიათად აკეთებენ ჩუქურთმებით შემკულ ფართო აივანს იგი შუშაბანდმა შეცვალა. აივანს მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა, იქ მზეზე აფიცხებდნენ მარცვლეულსა და ხმელ ხილს, ქვეშაგებს, ტანსაცმელს და სხვ. სახლის ირგვლივ გაშლილი გრძელი და ფართო აივნები ხელს უწყობდა ოთახების განიავებას. XIX ს. შუა ხანებში ერთი უცხოელი მოგზაური ვაზებით დაჩრდილულ ქუთათურ აივნებზე აღტაცებული წერდა: „ფართო აივნები

მოჩუქურთმებული რიკულებითა და ბოძებით არის დამშვენებული და შენობის ყველაზე საუკეთესო, ლამაზ ნაწილს წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზედ ვაზია შეყოლილი". მოგზაური იქვე განაგრძობს: „მე ვცხოვრობდი ასეთ სახლში... ჩემს აივანს ვაზები ჩრდილავდა, ოთახებში ყოველთვის სუფთა ჰაერი იყო" [151,302]

ასე იყო ძველად. დღეს კი ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში ვაზის სიღარიბე იგრძნობა, მაშინ, როდესაც სამხრეთ რუსეთსა და უკრაინაში საცხოვრებელი ნაგებობების ვაზით შემკობა ბოლო დროს ძალიან გავრცელდა. ოდესის ოლქის ხელმძღვანელებმა ამ სტიქიურ პროცესს ორგანიზებული ხასიათი მისცეს. პროფ. ს. მელნიკმა გამოაქვეყნა წიგნი [141], სადაც ავტორი მსურველთ რჩევა-დარიგებას აძლევს, როგორ დარგონ ნაგებობებთან ვაზი და როგორ მოუარონ მას. რუსეთისა და უკრაინისათვის ეს საქმე შედარებით ახალია, მიუხედავად ამისა, ვაზმა შენობებთან ფეხი ფართოდ მოიკიდა. საქართველოში სახლთან ვაზის დარგვა, ისევე როგორც წყაროსთვლებთან — ბინულებთან, ძველთაძველი ჩვეულებაა, მაგრამ დღეისათვის რატომღაც ნაკლებად მივსდევთ და თითქმის სულ დავივიწყეთ. ქალაქებისა და დაბა-სოფლების პერსპექტიული, ხუროთმოძღვრული აგეგმარების დროსაც ვაზს და მის დეკორატიულ თვისებებს არ ვითვალისწინებთ, სწორედ ამიტომ იშვიათია ვაზის ხეივნები და ფანჩატურები, მაშინ როდესაც მრავალი თვითმხილველი და მათ შორის ქართველი ხალხის მეგობარი, მწერალი არტურ ლაისტი დიდად ნასიამოვნები იყო თბილისური ბაღების შესანიშნავი ხეივნებით, „რომელზედაც აუყვანიათ ყურძნის მტევნებით დატვირთული ვაზები" [46,192]. მართალია, თითო-ოროლა მოხალისე ცდილობს აივნები ვაზით შეამკოს, მაგრამ როცა არქიტექტორის ჩანაფიქრი ნაგებობასთან ამ მცენარეს არ ითვალისწინებს, ეფექტიც ნაკლებია და პირიქით, უფრო უარყოფით შთაბეჭდილებას ახდენს. მართლაც არასასიამოვნოა ნაგებობაზე ძალად მიტმასნილი, მოუვლელი ვაზი აბუწული რქებით, ჩამჭკნარი, დაფორაჯებული ფოთლებით და უდროოდ ჩაშავებული, გამხმარი მტევნებით. სახარბიელო მდგომარეობა არც ცალკეულ ეზოებსა და ბაღჩებშია, აქა-იქ დარგული ვაზი ხშირად დაკნინებულია და დეკორატიული თვალსაზრისითაც, ბუნებრივია, უმწეოდ გამოიყურება, თითქოს „ვენახის ხელი" დაგვიწყებია და გემოვნება გაგვლარიბებია. ყოველივე ამაზე არაერთხელ აღინიშნა პრესაში, მაგრამ ვაზის დასახლებებთან დამკვიდრებას ორგანიზებული ხასიათი ჯერჯერობით მაინც არ მიუღია. დროა მას ღირსე-

ული ადგილი მივცეთ თანამედროვე ლანდშაფტურ არქიტექტურაში, ეს ღვთაებრივი მცენარე, უეჭველია, ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ყველგან, სადაც ამის შესაძლებლობაა. უფრო მეტიც, ჩვენთან ყოველ ნაბიჯზე უნდა იგრძნობოდეს ვაზის კულტი — საქართველო ხომ მევენახეობა-მეღვინეობის საყოველთაოდ აღიარებული ერთ-ერთი კერაა.

§ 6. ცხოვრების ჯარნახით

თანამედროვე ყოფა რთული და მრავალფეროვანია. იგი მოიცავს ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტს ოჯახური გარემოდან მოკიდებული საზოგადოებრივ ურთიერთობამდე. საბჭოთა წყობილება კაცობრიობის ისტორიაში პირველია, სადაც არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, არ არსებობენ პრივილეგიური და ჩაგრული კლასები. საბჭოთა სახელმწიფო ემყარება რა მუშების, გლეხების და ინტელიგენციის მჭიდრო კავშირს, გეგმაეს და არეგულირებს წარმოებას, უზრუნველყოფს სოციალურ თანასწორობას და ეროვნული შემოსავლის თანაბარ განაწილებას. ამრიგად, სახელმწიფოს მიერ გეგმაზომიერადაა მოწესრიგებული მოსახლეობის დასაქმება და მატერიალური ანაზღაურება. ასევე საბჭოთა სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეთა სულიერი კულტურის მოთხოვნილებათა სრულფასოვნად დაკმაყოფილებისათვის. ყურადღების ცენტრშია ხალხის ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება, სადაც ახალთან ერთად, ჯერ კიდევ რელიეფურად, იჩენს თავს ძველი ტრადიციები, ადათ-წესები და გადმონაშთები. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ბაზისის შეცვლის მიუხედავად ზოგიერთი, ძველი ზედნაშენური მოვლენა ახალ პირობებს ეგუება და დაბრკოლებად იქცევა ხოლმე. განსაკუთრებით მავნე ხასიათისანი არიან გადმონაშთები (გ ა დ მ ო ნ ა შ თ ი — წარსულის „ნარჩენი" მოვლენა: საზოგადოებრივი ურთიერთობის რაიმე ელემენტი, ან თვით ურთიერთობა, ჩვეა, ჩვეულება, მოქმედების ნორმა, სტანდარტი, იდეა, შეხედულება, წარმოდგენა, გემოვნება, შემორჩენილი ახალი საზოგადოებრივი წყობის პირობებში, განვითარების უფრო მაღალ სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველზე). გადმონაშთთა კონსერვაცია, უმთავრესად რელიგიურად განწყობილ ადამიანთა შეგნებაში ხდება.

ცნობილია, რომ ესა თუ ის რელიგია საუკუნეთა მანძილზე ცდილობდა ჩასწვდომოდა და მოეწესრიგებინა ხალხთა ყოფა-ცხოვრება და საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინა. ცრუმორწმუ-

ნოებრივი ინსტიქტები, რომლებიც თავის მხრივ ნაირნაირ ადათებს ბადებენ, კულტის მსახურთა ხელში ყოველთვის ქმედით იარაღად იქცეოდნენ, ამიტომ გახდა რელიგია ხალხთა ოპიუმი.

დღეს, XX ს. 80-იან წლებში, როცა კაცობრიობა ატომის საიდუმლოებას ეზიარა და კოსმოსური მოგზაურობანი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რელიგია ისევ ინარჩუნებს ზემოქმედების ძალას და ყოფა-ცხოვრების სფეროშიც, ჯერჯერობით, თვალსაჩინოა მისი ზეგავლენა. მიუხედავად ამისა, კაცობრიობა თავისი არსებობის მანძილზე ძირითადად იკვებებოდა რაციონალური ტრადიციებით, რაც უპირველესად გამოხატულებას პოულობდა მდიდარ ჩაწარმოო ცოდნა-გამოცდილებაში და ხალხის დაუსაბამო მხატვრულ აზროვნებაში. ტ რ ა დ ი ც ი ა (ლათ. traditio) — გადაცემა, გადმოცემა, trado — გადავცემ) ისტორიულად ჩამოყალიბებული, და თაობიდან თაობაზე გარდამავალი ჩვევაა ან ჩვევათა კომპლექსი, წესი, წესჩვეულება, ქცევის ნორმა, თითოეული ხალხის ცხოვრების ნირი, თავისებურება, სპეციფიკა და სხვ.

თუ რა გამძლეობა აქვს ყოფა-ცხოვრების ძველ წესს განსხვეულებულს რწმენა-წარმოდგენებში, ადათებსა და ჩვევებში, ამის მაგალითია კაცობრიობის მთელი ისტორია. თვით რელიგიათა მრავალსაუკუნოვანმა სისხლიანმა ბრძოლებმა, რომელიც ევროპაში ინკვიზიციის კოცონებამდე დამდაბლდა, ვერ შესძლო აღმოეფხვრა ხალხში ხალხური. შორს ნუ წავალთ, მაგალითად ჩვენი სამშობლოს ისტორია ავიღოთ. ქართველმა ხალხმა ქრისტიანობა მაშინ მიიღო, როცა ეს მოძღვრება დაიხვეწა, მაშინდელი საზოგადოების იდეოლოგიად ჩამოყალიბდა და, რაც მთავარია, კარგად მოერგო ქართულ ეროვნულ მოდელს. ქართული ქრისტიანობა ინკვიზიციამდე არასდროს დაცემულა, მაგრამ ე. წ. წარმართულ იდეოლოგიასთან ბრძოლა ჩვენთანაც შეუპოვრად წარმოებდა. სწორედ ამის შედეგია, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ანბანის მქონე ხალხს ქრისტიანობის წინარე სამწერლობო ძეგლები, ჯერჯერობით, არ გააჩნია, ხოლო წარმართულ ტაძართა ნაშთებს მხოლოდ ახლაღა აშიშვლებენ არქეოლოგები. მიუხედავად ამ უკომპრომისო და უშეღავათო შინაომისა ქრისტიანობამდელი წარმოდგენანი და შეხედულებანი ქართულ ყოფას ისე რელიეფურად შემორჩა, რომ ცნობილმა ეთნოგრაფმა ვერა ბარდაველიძემ, როცა 40-იან წლებში ქართველთა რელიგიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის შედეგები შეაჯამა, უყოყმანოდ განაცხადა: ქართულ რელიგიურ სინკრეტიზმში ქრისტიანულ ელემენტებს წარმართული სჭარბობს. ქრისტიანული წმინდანების სახელით,

უმრავლეს შემთხვევაში, უძველესი ხალხური ღვთაებები იგულისხმება, ქრისტიანული უქმე-დღესასწაულების სახელწოდებით და ამ უქმე-დღესასწაულისათვის განკუთვნილ დღეებში არსებითად წარმართული წეს-ჩვეულებები სრულდებოდა" (ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1941, გვ.2).

ყოველივე ამაში ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ ხალხის ერთადერთი, თავისთავადი და განუმეორებელი იერსახე, რომლის მთლად დაფარვა და მით უმეტეს შეცვლა შეუძლებელია, გარედან რაგინდ იდეოლოგიური ზეგავლენა არ უნდა იყოს. ისტორიამ მრავალი ფაქტი იცის ხალხების შერწყმისა და უდიდესი ქვეყნებს გაქრობისა, მაგრამ თუ ერი ცოცხლობს, არსებობს, მას თავისი დერიტა ყოველთვის შეუბღალავად აქვს შემონახული, სწორედ ის აძლებინებს და უნარჩუნებს თავისთავადობას. ზოგადად ეს დერიტა ჩვენი უძველესი დედაენაა, შინაგანი მაღალი კულტურა, ქუდზედად დაყოლილი საოცარი ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობაა. ყოველივე ამას თუ ღვარძლი შეერეოდა, მაშინვე ხმას აღიმაღლებდნენ ერისკაცნი და უებარ წამალს გამონახავდნენ. სწორედ ასეთი დონითა და თვალთახედვით უნდა განვიხილოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 24 ნოემბრის დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ". დადგენილება ითვალისწინებს, თანამედროვე ყოფის ღრმამეცნიერულად შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე, ამა თუ იმ ყოფითი მოვლენის, ადათ-წესის, ტრადიციისა თუ გადმონაშთის ფიქსაციას, მისი ფესვების, გენეზისის კვლევას და ამის შედეგად სათანადო პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას. დადგენილება გამორიცხავს რა ყოველგვარ ზერელობას და ადმინისტრირებას, იძლევა სახელმძღვანელო დებულებებს ყოფის შემდგომი შესწავლისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის, რაც კომპლექსურად, თანმიმდევრულად უნდა განახორციელოს ჰუმანიტარული დარგის ყველა დისციპლინამ. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებებს კვლევის ახალი ამოცანები დაუსახა სკკპ XXV ყრილობამ, საანგარიშო მოხსენებაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ნათელყო, რომ „ქვეყნის განვითარების ახლანდელ ეტაპზე თეორიის შემდგომი შემოქმედებითი დამუშავების საჭიროება კი არ მცირდება, არამედ, პირიქით, იზრდება. როგორც ზოგადთეორიული, ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი ხასიათის ნაყოფიერი კვლევის ახალი შესაძლებლობანი იქმნება სხვადასხვა მეცნიერების, კერძოდ, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერების შესაყარზე.

ისინი სრულად უნდა გამოვიყენოთ". მაშასადამე, საზოგადოებრივი მეცნიერებანი დღეს მწარმოებლურ ძალადაა ქცეული, რადგან ძერწავს და აყალიბებს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაშიც წარმოების შეუცვლელი და წარმმართველი ძალის — ადამიანის სულიერ სიმყაროს, მის იდეურ და ზნეობრივ სახეს.

მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით შემოწმებული ჯანსაღი ტრადიციები სოციალიზმისა და კომუნიზმის პირობებშიც ისევე საჭირონი და აუცილებელნი არიან, როგორც წყალი და ჰაერი. დიდი ლენინი გვასწავლის, რომ ახალი საზოგადოების წარმატებით შენება მხოლოდ წარსულის მემკვიდრეობის კრიტიკულად ათვისების შედეგად არის შესაძლებელი. კომუნიზმი — კაცობრიობის ეს წარმტაცი ოცნება გულისხმობს ადამიანთა ყველა მონაპოვრის სრულყოფილად შეჯამებას და კვლავ ხალხის სამსახურში ჩაყენებას. ამგვარად, წარსულის შესწავლა და მეცნიერული ათვისება უაღრესად სადღეისო ამოცანაა. მას არა მარტო შემეცნებითი, არამედ უდიდესი პრაქტიკის მნიშვნელობა აქვს. როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის დადგენილებაშია მითითებული წარსულის დადებითი ტრადიციებიდან თუ ჩვეულებიდან შენარჩუნებას და ცხოვრებაში ფართოდ დანერგვას საჭიროებს კოლექტიური შრომის ხალხური ორგანიზაცია: საუკუნეთა მანძილზე დახვეწილი ზრდილობის წესები, უფროსუმცროსობის ადათი, სტუმართმოყვარეობა და სტუმრის დახვედრის ჩვეულება; მოკრძალება ქალისადმი და დედის კულტი, ოჯახური სიწმინდისა და პატიოსნების დაცვა, ქორწინების რიტუალი, წინაპართა ხსოვნა და მიცვალებულთა „გაპატიოსნება", კაცთმოყვარეობა, ჰუმანიზმი და სხვ.

ამასთანავე, დადგენილება უკომპრომისო ბრძოლას უცხადებს საბჭოთა ყოფისათვის შეუთავსებელ უცხო ზნე-ჩვეულებებს. აქ ძირითადად უნდა ვიგულისხმოთ კაპიტალისტური სამყაროდან შემოჭრილი მანკიერებანი, სახელდობრ კიჩი და მისთანანი. აგრეთვე წარსულის მემკვიდრეობით მიღებული, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში განზავებული, ზოგიერთი კონსერვატიული ჩვეულება, ადათი და დღეობა, „რომლებიც ანაქრონიზმად იქცნენ და შეურიგებლად ეწინააღმდეგებიან სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას". ასეთთა შორის, პირველ რიგში დასახელებულია საკულტო დღესასწაულები და ყოფა-ცხოვრებაში ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენების, როგორიცაა ქორწინება, ძეობა, გარდაცვალება რელიგიური ფორმითა და პირობითობით აღნიშვნა.

ახლო წარსულის მოჩვენებითი კეთილდღეობის, უდარდელობისა და განუკითხაობის პეროდში, როცა კერძომესაკუთრულმა ტენდენციებმა საზოგადოების ერთ ნაწილში ფეხი მოიკიდა და მრავალ ნეგატიურ მოვლენას დასაბამი მისცა, შეირყენა და ბოროტად იქნა გამოყენებული „სტუმრის კულტი", „ხელგაშლილობა", „ღვინის კულტი", „ოჯახური ტრადიცია" და ა. შ. დადგენილებაში ღნიშნულია: „წარსულის ტრადიციების ერთგულების ფარდის მიღმა ხშირად იმალება კუთხური შეზღუდულობა და კარჩაკეტილობა, აღმაშფოთებელი პროვინციალიზმი და მომძლავრებული მეშჩანობა. მაგალითად, „პატრიოტიზმის" ცნება ცალკეული ადამიანისათვის, რომელთა სიყვარული სამშობლოსა და ხალხისადმი ქეიფითა და ლიტონი სიტყვით ამოიწურება და სრულიად არ დასტურდება გამრჯეობით, გადაიქცა ფსევდოპატრიოტიზმის მახინჯ ფორმად". სწორედ ამ ვაიპატრიოტებმა შებღალეს ქართული სუფრის წესები და უაზრო ღრეობისა და ლოთობის ასპარეზად აქციეს იგი. თვით, ადამიანთათვის წმინდა, უფაქიზესი და ბარად სახსოვარი, ქორწილი და ტირილი არა მარტო გააყალბეს, არამედ სამარცხვინო მომხვეჭელობისა და ჩარჩული ანგარების არენად გახადეს. სწორედ ასეთ ტენდენციათა მოძალების შედეგია, რომ ჩვენი დაბა-ქალაქები და სოფლები მოიფინა პრაქტიკულად ნაკლებად გამოსაყენებელი ზიზილ-პიპილებითა და უგემოვნო სამშვენისებით მორთული ვეებერთელა სახლებით, ხოლო ძველქართული მოკრძალებული, უპრეტენზიო სასაფლაოების ნაცვლად მივიღეთ პომპეზური ნაგებობანი, რომლებიც აშკარად ამჟღავნებენ იოლად გამდიდრებულთა ბანალურ სულისკვეთებას.

მანკიერებათა წინააღმდეგ ბრძოლა სადღეისო, გადაუდებელ ამოცანადაა დასახული. დადგენილება გამორიცხავს რა აჩქარებასა და გადახრას, სახავს წარსულის მავნე მემკვიდრეობის დაძლევის ნათელ პროგრამას, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა მეცნიერებას ენიჭება. გარდაქმნები მხოლოდ მეცნიერული შესწავლისა და რეკომენდაციების შედეგად განხორციელდება. ამ თვალთახედვით აგიტაცია-პროპაგანდაში და საერთოდ იდეოლოგიურ მუშაობაში არსებითია დარწმუნების მეთოდი, უფრო რეალურის, უფრო საუკეთესოს, სასურველის, სასარგებლოს, მეტად მიმზიდველის, მშვენიერის არა მარტო შეთავაზება, არამედ ცხოვრებაში დანერგვა. სწორედ ამიტომ დადგენილება პრაქტიკულ ღონისძიებათა მთელ კომპლექსს ითვალისწინებს, რისი განხორციელებისათვის თანმიმდევრულად უნდა იბრძოლონ რესპუბლიკის საბჭოთა ორგანოებმა, სამეცნიერო-შემოქმედებითმა, სასწავლო, კულტურულ-

საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, გამომცემლობებმა და ა. შ. ამასთან დაკავშირებით უნდა გაიზარდოს და განმტკიცდეს შესაბამის ინსტანციათა მატერიალური ბაზა.

განსაკუთრებული როლი აკისრიათ მუზეუმებს. დღეს, გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქაში, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, ძველი ყოფის რეალიები სწრაფად ქრება. მათი გადარჩენის ერთადერთი შესაძლებლობა მუზეუმებში დაუნჯებაა და სწორედ ამ გადაუდებელ მოთხოვნილებათა შესაბამისად უნდა გარდაიქმნას სამუზეუმო საქმიანობა. ექსპონატების მოძიება-გამოვლენის არსებული ტემპი, ბუნებრივია, საკმარისი არ არის. მით უმეტეს ხალხში გაბნეულ რელიკვიებსა და ისტორიული ღირებულების მქონე ნივთებზე ძალიან ცოტა ინფორმაცია გვაქვს, რადგან ამ თვალსაზრისით მუშაობა საჭირო ინტენსივობით არ წარმოებს. მართალია, ცალკეული ინსტიტუტი, მუზეუმი და არქივი კოლექციების გამოსავლენად და შესაძენად გარკვეულ მუშაობას ეწევა, აწყობს ექსპედიციებს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. მაგალითად, პროფ. ვ. ბარდაველიძემ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გამოიკვლია და დეტალურად აღწერა რიტუალური დანიშნულების უამრავი ნივთი, რომელთა სამუზეუმო დონეზე დაცვა, ჯერჯერობით, ისევ განუხორციელებელია.

სვანეთის ეკლესიებში შემონახული განძის კომპლექსურმა შესწავლამ, რასაც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ნაყოფიერად აწარმოებს (ექსპედიციის ხელმძღვანელი მ. ჩართოლანი) დაგვარწმუნა, რომ ჩვენი მუზეუმების ფონდებში ნახევარიც არ არის დაცული იმ ეროვნული სიმდიდრისა, რაც ქართველ ხალხს გააჩნია. საქართველო სიძველეთა ქვეყანაა. უამრავი ძეგლი და მათ შორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ღირებულების მქონე ნივთები, დიდი და მცირე ხელოვნების ნიმუშები, მოსახლეობაში გაბნეული წერილობითი წყაროები და სხვა მრავალი, გამოწვლილვით შესწავლას საჭიროებენ, ოღონდ ეს შესწავლა უპირველესად მათი აღრიცხვით, ფიქსაციით უნდა დაიწყოს. ასეთი კვლევა-ძიება, რომელიც თავისი მნიშვნელობით არქეოლოგიურ გათხრებს არ ჩამოუვარდება, უნდა ვაწარმოოთ ყველა დასახელებულ პუნქტში, ყველა ოჯახში. ამასთანავე, გავწიოთ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა და შემოვიკრიბოთ აქტივი. ფონდ-საცავთა უკმარობის გამო, ამჯერად შეუძლებელია ყველა განძს მუზეუმში მოვუყაროთ თავი, მაგრამ კერძო პირთა ხელში სამუზეუმო მნიშვნელობის ქონება მეცნიერულად უნდა იყოს აღნუსხული. აუცილებელია მისმა

პატრონმა შეგნებულად იცოდეს რა საუნჯეს ფლობს — ნაგებობა იქნება ეს თუ ცალკეული ნივთი და მისი მოვლა-პატრონობა საზელმწიფოებრივ დონეზე დაეკისროს. რასაკვირველია, ზუსტად უნდა განისაზღვროს ისტორიული ღირებულების მქონე მატერიალურ ფასეულობათა შენახვა-დაცვის ვალდებულებანი. ყოველივე ამის განხორციელება არ არის ადვილი საქმე. როგორც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ითქვა, პირველ ყოვლისა, საჭიროა „მეცნიერული შრომის მეცნიერული ორგანიზაცია", ყველა სპეციალისტის მობილიზაცია და დარაზმვა. მხოლოდ საგანგებო ღონისძიებების გატარებით გამოვავლენთ, დავიცავთ და გადავარჩენთ ხალხში გაბნეულ რელიკვიებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მუზეუმი ბევრ რაიონსა და ქალაქში ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულებაა, სწორედ ამიტომ ის უნდა გახდეს ადგილებზე ტრადიციების კვლევის მაორგანიზებელი ცენტრი. ამდენად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წ. ნოემბრის დადგენილების პრაქტიკულად განხორციელებისათვის მუზეუმებს მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. სხვა დაწესებულებებთან შედარებით მათ ის უპირატესობაც აქვთ, რომ თვალსაჩინოების ქმედითი საშუალებანი მოეპოვებათ, რის გამოყენებაც წარმატებით შეიძლება საზოგადოებრივ დისციპლინათა დაუფლებასა და ათეისტურ პროპაგანდაში. ჩვენი აზრით, შესაძლოა მუზეუმი ახალი სოციალისტური წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების შესრულების ასპარეზად იქცეს. მართლაც, რა იქნება იმაზე ამაღელვებელი, დიდებული მუზეუმის ჭერქვეშ მოეწყოს მუშად თუ მევენახედ კურთხევა; საზეიმო ცერემონიალით აღინიშნოს მშრომელთა ღვაწლი, დაჯილდოვება, წახალისება და სხვა მისთანანი, თან საგანგებო სტენდებზე ყოველივე ეს მომავალ თაობებს შემოენახოს. უთუოდ განუზომელია ამ ქმედებათა მორალურ-ზნეობრივი ზეგავლენის ძალა.

თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამოყენებითი ეთნოგრაფიის პრობლემატიკას. სწორედ აქ მიზანსწრაფულად უნდა განხორციელდეს თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად ადამიანმა გაუგონარ წარმატებებს მიაღწია. მრავალ თაობის ოცნება რეალობად იქცა და მძლავრმა ტექნიკამ თითქმის დაჯაბნა ბუნების ძალები. აქედან გამომდინარე, წინ წამოიწია სიცოცხლისათვის საჭირო პირობების შენარჩუნების არანაკლები გრანდიოზული პრობლემა. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელი გახდა პროგრესის შედეგთა კრიტიკული შეფასება. და აი, უზუსტესი აპარატურით შეიარაღებუ-

ლი ამაყი მეცნიერული აზრი კელევითი ლაბორატორიებიდან ხალხის მრავალსაუკუნოვან ცოდნა-გამოცდილებას მიუბრუნდა, რათა ხალხური სიბრძნე მიღწევათა უკუშედეგების მალამოდ გამოიყენოს. ამრიგად, ეთნოგრაფიას ყველა ქვეყანაში ფართო ასპარეზი გადაეშალა, რუდიმენტურ მოვლენათა კვლევის ნაცვლად ის სრულიად თანამედროვე და უაღრესად საჭირო მეცნიერებად იქცა. აღმოჩნდა, რომ ხშირად ემპირიული, მაგრამ ხალხის მრავალნაცადი ცოდნა დღესაც კი — ატომური ენერგიის ხანაში, ანგარიშგასაწევი და, რაც მთავარია, პრაქტიკულად გამოსაყენებელია. მაგალითად, ძველად საქართველოში მიწის დამუშავება მის მოვლასაც გულისხმობდა. მთიან, მცირემიწიან ქვეყანაში დასაბამიდან იძულებულნი იყვნენ სავარგულთა ათვისება-შენარჩუნებისათვის უაღრესად რაციონალური მეთოდები გამოემუშავებინათ, რათა მაქსიმალური მოსავალი მიეღოთ. ამასთანავე მარჩენალი მიწა მარად ნაყოფიერი გაეხადათ. ამ სასიცოცხლო ამოცანის შესასრულებლად მრავალი საშუალება იქნა მიგნებული, რომელიც ხანგრძლივი საწარმოო პრაქტიკის შედეგად დაიხვეწა და ჩვენამდე კლასიკური სახით მოაღწია. მარტო ფერდობი ნიადაგის დაცვა-ათვისების ხალხური სისტემა რად ღირს. ხვნის წესებსა და თვით სახვნელი იარაღების დამზადების ტექნიკაში გათვალისწინებული იყო ნამუშევარი მიწის ადგილზე დამაგრების აუცილებლობა. აღარას ვამბობთ ხალხის მიერ ვერტიკალურ ზონალობაში კულტურათა განლაგების კლასიკურ შეხამებაზე, მიზანსწრაფულ თესლთშერჩევასა და თესლბრუნვაზე, დაღლილი მიწის დროულ დასვენებასა და გაპატივებაზე, აგრეთვე სხვა მრავალ ფაქტორზე, მეტადრე რწყვასა და ქარსაფარი ზოლების მოწყობაზე, რასაც ქართველი ხალხი უხსოვარი დროიდან ახორციელებდა.

მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობა-მებაღეობის, მესაქონლეობისა და ისტორიულად მაღალგანვითარებული სხვა დარგების რაციონალური წესები დღეს არა მარტო ანგარიშგასაწევი, არამედ ცხოვრებაში კვლავ დასანერგია.

მეურნეობის ხასიათი, სამოსახლო ადგილის შერჩევა, ნაგებობანი, ტანსაცმელი და სხვ. ზუსტად პასუხობდა ამა თუ იმ კუთხის ეკოლოგიურ მონაცემებს. მსოფლიოში ძნელად მოიძებნება ქვეყანა, სადაც ასე მაქსიმალურად, სრულყოფილად იყოს შეცნობილი საცხოვრებელი გარემო, რომლის შესაბამისად დროთა განმავლობაში მოხდა საწარმოო დასპეციალება და ჩამოყალიბდა რეგიონალური თავისებურებანი. ეს თავისებურებანი არამცთუ საწარმოო ყოფაში, არამედ მცხოვრებთა მეტყველებაში, ხასიათსა და ტემპერამენტშიც აისახა. ყოველივე ამის შეცნობა, ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, საერ-

თოდ ეთნოგრაფიას ეკისრება, ხოლო გამოყენებითმა ეთნოგრაფიამ თავისი სიტყვა უნდა თქვას იმის შესახებ, თუ ამჟამად რა რეალიები, ტრადიციული წეს-ჩვეულებანი შემოგვრჩა და როგორია მათი ცხოვრებაში კვლავ დამკვიდრების ან უარყოფის პერსპექტივები.

ჩვენი დაბა-ქალაქებისა და სოფლების ეროვნული კოლორიტის შენარჩუნება, მატერიალური კულტურის, სახელდობრ ეთნოგრაფიული ძეგლების დაცვა, ხალხური გამოყენებითი ხელოვნებისა და შინახელოსნობის ადგილობრივი კერების განახლება, ძირითადად, ეთნოგრაფთა მეთაოვეობით უნდა მოხდეს.

პრობლემატიკა მრავალია და ისე არასდროს არ ყოფილა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება საჭირო, როგორც ახლა. მით უმეტეს, საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნული დადგენილებით ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ხალხის ნაციონალური ტრადიციების დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლა კამპანიური ხასიათისა კი არ იქნება, არამედ პრინციპული, გეგმაზომიერი, და, რაც მთავარია, უშეღავათო. სწორედ ამიტომ საჭიროებს ყოველი ყოფითი მოვლენა გამოწვლილვით შესწავლას. როგორც დადგენილებაშია მითითებული კომპლექსურად, მეცნიერულ საფუძველზე უნდა იყოს გამოკვლეული „ქართველი ხალხის ძველი ტრადიციების გენეზისი, ფესვები და გამძლეობის ფაქტორები, ახალი, რევოლუციური, ინტერნაციონალური, საბრძოლო, შრომითი, მოქალაქეობრივ-ყოფითი და ეთნიკური ტრადიციების სოციალური განზომილებანი, მოსახლეობის ცალკეული ფენებისა და საბჭოთა საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების წარმომადგენელთა ტრადიციებისადმი სხვადასხვა დამოკიდებულების მიზეზები". ეს გადაუდებელი პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადაჭრან ჰუმანიტარული დარგის დისციპლინებმა, რომელთაც მიზნობრივი კვლევის გრანდიოზული პროგრამა დაუსახა სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებმა.

ცნობილი დადგენილების — „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" ცხოვრებაში გასატარებლად უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯი. საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან ჩამოყალიბდა მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში ახალი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დანერგვის რესპუბლიკური მუდმივი კომისია, ხოლო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა სოციალურ-კულტურულ ტრადიციათა პრობლემების სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრი, რომლის მიზანია სამეცნიერო

კვლევა-ძიების ორგანიზაცია და მუდმივ კომისიებთან ერთად რეკომენდაციების შემუშავება.

საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან დაარსდა საწესჩვეულებო მომსახურების სამმართველო, რომელსაც დაევალა საქორწინო და სამგლოვიარო რიტუალების ახალი შინაარსით პრაქტიკულად განხორციელება.

აღნიშნული დაწესებულებანი მოწოდებულნი არიან მიზანსწრაფულად მართონ ყოფითი მოვლენები და ამ სათუთ საქმეში საზღვარი დაუდონ ერთგვარ სტიქიურობას, რასაც აღგილი ჰქონდა ახლო წარსულის მიშვებულობისა და უპასუხისმგებლობის პერიოდში.

დადგენილების მიღების შემდეგ, მიუხედავად გაწეული მუშაობისა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმზე (1976 წლის 26 აპრილი), საგანგებოდ აღინიშნა:

„კარგი, ძალიან დროული დადგენილებაა ბრძოლა მაკნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც იგი მივიღეთ, თითქმის ნახევარი წელი გავიდა. საესებით საკმარისი დროა, რომ შეგვეძლოს ვილაპარაკოთ მისი განხორციელების გზით გადადგმულ პირველ ნაბიჯზე. მაგრამ ჯერჯერობით ბევრი არაფერი გვაქვს სათქმელი. და ამაში კიდევ ერთხელ რწმუნდები მორიგი რელიგიური დღესასწაულის მოახლოვებისას. ზოგიერთი ამხანაგის შეშფოთება, რომელიც ამ გარემოებამ გამოიწვია, მოწმობს, რომ ძველი წეს-ჩვეულებისათვის ახალი ტრადიციების დასაპირისპირებლად ჯერჯერობით კონკრეტული არაფერი გაკეთებულა“ (კომუნისტი, 27 აპრილი, 1976).

დიახ, ამ მიმართულებით მართლაც ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მოსაგვარებელი. შექმნილი დაწესებულებანი თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში, ბუნებრივია, უნდა ემყარებოდნენ სამეცნიერო-კვლევით შედეგებს, უპირველეს ყოვლისა, სოციოლოგიური-ეთნოგრაფიული-ფსიქოლოგიური თვალთახედვით საგანგებოდ უნდა იყოს შესწავლილი თანამედროვე ყოფაში მიმდინარე პროცესები, კომპლექსურად გამოვლინდეს რაც შეიძლება უხვი ფაქტობრივი მასალა, რომელიც გააზრებული იქნება ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით და სათანადო მეცნიერული ანალიზის შედეგად საფუძვლად დაედება ყოველ პრაქტიკულ რეკომენდაციას. ამის მიღწევა მხოლოდ იმ შეთხვევაშია შესაძლებელი თუ რესპუბლიკის მასშტაბით, დღევანდელ მოთხოვნილებათა დონეზე გარდაიქმნება ეთნოგრაფიული მუშაობა, მეტადრე საველე-საექსპედიციო საქმე და წინ წამოიწევა გამოყენებითი ეთნოგრაფიის პრობლემატიკა.

დასკვნა

ეთნოგრაფია ისტორიული მეცნიერებაა, სწავლობს ხალხის ყოფასა და კულტურას. თეორიულ-შემეცნებით კვლევა-ძიებასთან ერთად, მეცნიერების ეს დარგი მოწოდებულია პასუხი გასცეს სადღეისოდ გადასაწყვეტ მრავალ პრობლემას, როგორიცაა ტრადიციული განსახლება. მეურნეობა, ზნე-ჩვეულებანი, საყოფაცხოვრებო მოვლენები და სხვა.

ქართულ ეთნოგრაფიას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ იგი სრულქმნილ, მარქსისტულ მეცნიერებად მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში ჩამოყალიბდა.

სამუზეუმო საქმიანობა ეთნოგრაფიული მუშაობის განუყოფელი ნაწილია. კოლექციების გამოვლენა-შეკრება და მათი დაუნჯება-დამუშავება მეცნიერული საქმიანობის რთული, სპეციფიკური სახეა, რომელიც ორ მიზანს ისახავს: ნივთის შთამომავლობისათვის შემონახვას და მის სამეცნიერო წყაროდ ქცევას. სრულყოფილად ფიქსირებული ექსპონატი ისტორიული დოკუმენტის ძალას იძენს, იგი მხოლოდ სამუზეუმო რელიკვია კი არ არის, არამედ მარადმეტყველი, სანდო საბუთი. ეთნოგრაფიული ნივთი კაცობრიობის კულტურის ელემენტი და „ადამიანის შრომის ჯამია", მის შექმნაში ჩაქსოვილია მწარმოებლის შესაძლებლობა, გაპირობებული მისივე განვითარების დონით.

წარსულში ხალხი რასაც თავისი ხელით აკეთებდა და იყენებდა, დღეისათვის ყველაფერი ეთნოგრაფიულ ძეგლადაა ქცეული, სახელდობრ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, ავეჯი, იარაღ-ჭურჭელი, ქსოვილები, ტანსაცმელი, რიტუალური ნივთები და სხვა.

ეთნოგრაფიული ძეგლები ორი რიგისაა: ადგილზე დასაცავი (ეთნოგრაფიული ნიშან-თვისებების მატარებელი ქალაქი, სოფელი, უბანი, ქუჩა, კარმიდამო, ნაგებობა, სასაფლაო და სხვ.) და მუზეუმში გადასატანი (ნაგებობანი — უმეტესად ხისა და სამეურნეო, საყოფაცხოვრებო თუ სხვა დანიშნულების ნივთები). პირველი რიგის ძეგლები ეთნოგრაფიულ ნაკრძალთა კატეგორიას განეკუთვნება, ხოლო მეორეთაგან მუზეუმებში დასაუნჯებული ექსპონატები შეირჩევა.

ადგილობრივი ისტორიულ-ეთნოგრაფიული და მხარეთმცოდნეობის მუზეუმები, რესპუბლიკურ სამეცნიერო ორგანოებთან ერთად, ზათთვის განკუთვნილ რეგიონში, ყოველგვარ ძეგლთა გამოვლენის, დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეს უნდა ხელმძღვანელობდნენ. ეს შედარებით ქმედითი და მოხერხებული იქნება, რადგან პასუხისმგებლობა უფრო კონკრეტული და ზღვარდადებული გახდება.

ტურიზმის განვითარების თანამედროვე დონე, მოსახლეობის ინტერესი საკუთარი ისტორიისა და მხარისადმი, პატრიოტულ-ინტერნაციონალური აღზრდა, აზრიანი, კულტურული დასვენება აუცილებელს ხდის მუშაობის კარდინალურ გარდაქმნას. რა თქმა უნდა, სულიერ მოთხოვნილებათა უმაღლესი ინდუსტრიის დროს კუსტარული მეთოდებით შრომა გაუმართლებელია. ძველი კულტურის ელემენტთა, ბუნებრივ და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ფასეულობათა დაცვა შენარჩუნება ჩვენი რესპუბლიკისათვის არა მარტო საპატიო, არამედ სასიცოცხლო ამოცანაა.

ხალხური ხელოვნება ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ერთ-ერთი საინტერესო სფეროა. მისი სპეციფიკა, ძირითადად, უტილიტარიზმში მჟღავნდება. არასაჭიროს, გამოუყენებელს ხალხი არ ინარჩუნებს, ხოლო სახმარად აუცილებელს ყოველთვის მოეძებნება ესთეტურად სასიამოვნო ფორმა. ამრიგად, ხალხური შრომის იარაღი, ჭურჭელი, სამოსი, ნაგებობა, მოცემულ რელიეფზე „ქართლური" თუ „იმერული" სტილით განლაგებული სოფელი და სხვ. ამავე დროს ხელოვნების ნიმუშიცაა. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ უტილიტარულსა და ესთეტიკურს ქართველი კაცი თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებდა. ეს იგრძნობა მეურნეობისა და განსახლების ფორმებიდან მოკიდებული ხელოვნების „წმინდა" დარგებამდე.

ქართული ხალხური მუსიკა — ქართველთა ეს სტიქია, სხვა არაფერია თუ არა ყოფის იმ მრავალფეროვნების უმაღლესი განცდა, რაც ჩვენს ქვეყანას ახასიათებს. რაჭამ დღემდე შემოინახა თავისებური ტემბრისა და კოლორიტის მქონე მუსიკალური ინსტრუმენტები — გუდასტვირი და ჭიანური, სამგლოვიარო სიმღერები ზარი და ზრუნი, როგორც ყოფას შეესისხლხორცებული, სულიერ მისწრაფებათა და საერთოდ ცხოვრებისათვის აუცილებელი ელემენტები. არა მარტო რაჭაში, მთელ საქართველოში მიცვალებულის დატირება სიმღერით ხდებოდა და ამას თავისი ღრმა აზრი და სიმბოლიკა ჰქონდა. ძველის, ტრადიციულის ახალთან შეპირისპირებით შესაძლოა პრაქტიკული შედეგების მიღებაც, სახელდობრ თანამედროვე სამგლოვიარო რიტუალების შემუშავების თვალსაზრისით.

ხალხური გამოყენებითი ხელოვნება ყოველი ეპოქისათვის

აუცილებელი და საჭირო დარგია. მისი შენარჩუნება და განკითარება სადღეისო ამოცანაა. მიუხედავად ამისა, ხალხური მხატვრული რეწვის ბევრი კერა ჩვენს თვალწინ ქრება და დღემდე მათი რაოდენობაც არ გვაქვს დადგენილი, მით უმეტეს, არავის უწარმოებია მხატვრული რეწვის შთამომავლობით მიმდევარ და მცოდნე პირთა აღრიცხვა. მართალია, ხალხური სუვენირების წარმოების მიზნით ჩამოყალიბდა „გაერთიანებანი“ და „ფირმები“, მაგრამ მეცნიერებთან ნაკლებია კონტაქტი და ადგილი აქვს ხალხური ნიმუშების გაყალბებას. უკეთ რომ მოხდეს მდიდარი ხალხური ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა და თანამედროვე მეცნიერულ დონეზე გაიშალოს შინამრეწველობის მოქმედი თუ აღსადგენი კერების გამოსავლენად და ასამოქმედებლად მუშაობა, ამისათვის საჭიროა შესაბამის ორგანიზაციათა და მეცნიერთა (ეთნოგრაფები, ხელოვნებათმცოდნეები) ერთობლივი მოქმედება.

სოციალისტური გარდაქმნის რთული პროცესი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს, განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს საზოგადოდ განსახლებასა და მეტადრე მთიანი რეგიონების სტრუქტურაზე. მოსახლეობის ადგილობრივი თუ შორეული მიგრაციები თავისებურად ერწყმის თანამედროვე გლობალური ურბანიზაციის ლოკალურ გამოვლინებებს. ამიტომ საჭირო ხდება მთიანი რეგიონების ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ეკონომიკურ-გეოგრაფიული და სოციოლოგიურ პრილში ინტენსიური გამოკვლევა, მიღებული მონაცემების შეჯამება და მთის თითოეული სოფლის მომავლის მეცნიერული გააზრება.

უხვი ფაქტობრივი მასალის გაანალიზების შედეგად ირკვევა, რომ ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების და კულტურულ მოთხოვნილებათა მინიმუმის დაუკმაყოფილებლობა მთაში, ადამიანებს აიძულებს მშობლიური ადგილები დატოვონ. მთიან რაიონებში რაიმე სახის მშენებლობა (ჰესები, მაღაროები, კურორტები, ტურისტული ბაზები და სხვ.) და განსაკუთრებით საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბება მეცნიერულად ყოველმხრივ მოფიქრებული და მოცემული რეგიონისათვის სასარგებლოდ გაანგარიშებული უნდა იყოს, ხოლო საკითხის ცალმხრივად, ნაჩქარევად გადაწყვეტას ხშირად სავალალო შედეგი მოაქვს.

მეცნიერების მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვის გვერდით, ანგარიშგასაწევია ხალხის საწარმოო გამოცდილებაც, რომელიც საუკუნეთა მანძილზე შემოწმებული და ხშირად ახალ პირობებშიც გამოსადეგია. მაგალითად, ნიადაგის დაცვის ხალხური საშუალებანი კარგად ითვალისწინებს ლანდშაფტის მოთხოვნებს. მიწის მოვ-

ლა-შენახვის თითოეული წესი, ცალკეული სავარგულის მიხედვით, ზუსტად იყო შერჩეული და მცირე დანახარჯებით სასურველ ეფექტს იძლეოდა.

ვაზის ჯიშთა ხელაღებით სტანდარტიზაციამ ძალიან შეზღუდა განთქმულ ღვინოთა მიკრორაიონები. შემცირდა ან გაქრა ღვინის გამაკეთილშობილებელი ყურძნის მომცემი ფორმები. მთელი ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საუკეთესო ღვინოს ხომ ერთი წამყვანი და რამდენიმე დამხმარე ჯიშის შეხამებით აყენებდნენ, რაც, სამწუხაროდ, დღეს უგულვებელყოფილია.

ვაზის კულტურა უამრავ ხე-ტყის მასალას საჭიროებდა. ვენახისათვის უნდა მომარაგებულიყო ათასობით ჭიგო, სარი, ხარდანი, ხალახინი და სხვ. მეღვინეობის ინვენტარიც, ძირითადად, ხისაგან მზადდებოდა. მიუხედავად ამისა, ხე-ტყის ნაკლებობა არ იგრძნობოდა, რადგან ტყის ჭრა მის მოვლასაც გულისხმობდა. მოვლილ ტყეს „ნამაშვარი" ერქვა (რაჭა-ლეჩხუმი). ნამაშვარზე ისევ ზრუნავდნენ, როგორც ვენახზე. ტყის ექსპლოატაციის ხალხური სისტემა მის გეგმაზომიერ გაწმენდა-განახლებას უზრუნველყოფდა.

ვაზმა ღირსეული ადგილი უნდა დაიჭიროს თანამედროვე ლანდშაფტურ არქიტექტურაში და იგი ნაგებობების, საზოგადოებრივი ადგილების გამწვანება-შემკობისათვის ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული. უფრო მეტიც, ჩვენთან ყოველ ფეხის ნაბიჯზე უნდა იგრძნობოდეს ვაზის კულტი — საქართველო ხომ მევენახეობა-მეღვინეობის საყოველთაოდ აღიარებული კერაა.

ძრავალი საყოფაცხოვრებო მოვლენა, ქორწილისა და ტირილის წესები, კვების რაციონი, გართობა-თამაშობანი, შობადობის, მოზარდის აღზრდისა და სხვა პრობლემები, საერთოდ ტრადიციულისა და თანამედროვე მოთხოვნების შეთანაწყობის აუცილებლობა საჭიროს ხდის ეთნოგრაფიული მეცნიერების გააქტიურებას, მიმდინარე ცხოვრების რიტმში გაბედულად ჩაბმას.

ეთნოგრაფი ქვეყნის ეროვნულ თავისებურებათა და ისტორიული ხახის შენარჩუნების ფხიზელი დარაჯი უნდა იყოს.

Л. А. ПРУИДЗЕ

БЫТ И ТРАДИЦИИ

(Этнографические этюды)

Резюме

Этнография — историческая наука, которая изучает быт и культуру народов.

На сегодняшний день, эта отрасль науки, наряду с теоретическо-познавательными исследованиями, призвана разрешить ряд проблем; традиционное расселение этноса, их хозяйство, обычаи и нравы, бытовые явления и др.

Грузинская этнография имеет длительную историю, но совершенствование и формирование ее на марксистской основе завершилось к 20-м годам текущего века.

Музейная деятельность неразделима от этнографических исследований. Выявление, сбор коллекций и их обработка — сложная специфическая часть научной работы, которая преследует две цели: сохранение экспоната для поколений и превращение ее в научный источник знаний.

Совершенно фиксированный образец является не только музейной реликвией, но и достоверным вечным историческим документом. Этнографический предмет является частью человеческой культуры, результатом человеческого труда, в его создание включены все возможности человека, обусловленные уровнем его же развития.

То, что люди в прошлом изготовляли своими руками, сегодня превратилось в этнографическую ценность, в частности жилые и хозяйственные помещения, мебель, посуда, ткани, одежда, ритуальные предметы и др.

Этнографические памятники являются двух порядков: памятники, которые охраняются на месте (города ,села, улицы, приусадебные участки, помещения, кладбища и др.) и памятники музейные (в основном помещения из дерева, предметы хозяйственные, бытовые и разных назначений).

Памятники первого порядка относятся к категории этнографических заповедников, а из второго порядка подби-

раются экспонаты, которые должны войти в сокровищницу музея.

Местные историко-этнографические и краеведческие музеи наряду с республиканско-научными органами в выделенном им регионе, должны руководить охраной и популяризацией памятников. Ответственность на конкретно указанный район значительно облегчит работу.

Современный уровень развития туризма, интерес населения к собственной истории и краю, патриотическо-интернациональное воспитание, осмысленный культурный отдых, делает необходимым кардинальное переустройство работы. Охрана и защита элементов старой культуры, естественно-этнографических ценностей нашей республики является делом не только почетным, но и жизненным.

Народное искусство является одним из интереснейших сфер этнографических исследований. Его специфика в основном проявляется в утилитаризме. Ненужное народ не сохраняет, а необходимому всегда находит эстетически приятную форму. Таким образом, народные орудия труда, посуда, одежда, помещения, с сель в «картлийском» и «имеретинском» стиле на данном рельефе и др. одновременно являются образцами народного искусства. Наблюдения показывают, что утилитаризму и эстетизму грузинский народ придавал одинаковое значение. Это чувствуется во всем, начиная с хозяйства и с систем расселения и кончая «чистыми» отраслями.

Грузинская народная музыка — это стихия грузин — это не что иное, как высшее проявление чувств грузинского народа, всего им пережитого, проявление разнообразия быта грузинского этноса. Рача до сегодняшнего дня сохранила музыкальные инструменты «гудаствири», «чиануpи», отличающиеся своеобразным тембром и колоритом, а также похоронные песни — «зари» и «зруни». Не только в Рача, но и во всей Грузии оплакивали покойника песней и это имело свой глубокий смысл.

Противопоставляя старые традиции новым, можно придти к практическим заключениям, в частности, в процессе установления современных форм траура.

Народное прикладное искусство характеризует каждую эпоху. Сохранение и развитие его являются нашей сегодняшней задачей.

Несмотря на это, очаги народного промысла исчезают на наших глазах. Никто не вел учет знатоков того или иного дела, переходящих по наследству. Хотя, с целью производства народных сувениров созданы «объединения» и «фирмы», они с учеными имеют мало контакта, в результате чего те-

ряется оригинальность и самобытность этих народных образцов.

Чтоб лучше внедрить в практику богатство народного значения и чтоб вести внутрихозяйственные воспитательные работы на современном научном уровне, необходима совместная работа соответствующих организаций и ученых (этнографов и искусствоведов).

Сложный процесс социалистических преобразований в нашей стране оказывает особое внимание на расселение народов и тем более на структуру горных районов.

Местные и дальные миграции своеобразно сливаются в локальные проявления современной глобальной урбанизации. Поэтому необходимы интенсивные исследования в историко-этнографической, экономико-географической, социологической области, суммирование полученных данных и научное осмысление будущего каждого горного села.

Путем анализа богатого материала выясняется, что неудовлетворение минимума элементарных бытовых условий и культурных потребностей в горах вынуждает человека оставлять родные места.

Строительство курортов, туристических баз, шахт и особенно совхозов в горных районах, должно быть осмыслено во всех отношениях и подсчитано с пользой, выгодой для данного района, в противном случае, при одностороннем решении вопроса — результаты часто бывают печальными.

Наряду с внедрением в практику достижения науки, нужно принять во внимание производственный опыт народа, который сохранился на протяжении веков, и часто является полезным в новых условиях. Так например, народные средства защиты почв, традиционные навыки по посадке и уходу за виноградниками и фруктовыми деревьями и др. хорошо учитывали требования ландшафта.

Стандартизация сортов винограда без разбора значительно сузила микрорайоны наших прославленных вин. Уменьшились или совсем исчезли винооблагораживающие сорта винограда. На протяжении длительной истории вина изготовлялись из одного основного и нескольких вспомогательных сортов винограда, что сегодня совершенно не практикуется.

Культура винограда требовала огромного запаса лесоматериала. Изготовлялись: кол, таркал и др. деревянные сооружения, требуемые для ухода за виноградом. Несмотря на это, недостаток древесины не чувствовался т. к. рубка леса подразумевала и уход за лесом. Ухоженный лес в Рача-Лечхуми назывался «намашвари». Об этих лесах они заботились, как и о винограднике. Народная система эксплуата-

ции леса обусловливала его плановую чистку и восстановление.

Виноградная лоза должна занять ведущее место в ландшафтной архитектуре Грузии и должна быть использована в озеленении построек, общественных мест. Больше того, у нас на каждом шагу должен чувствоваться культ винограда — ведь Грузия признанный очаг виноградарства.

Совмещение традиционного и современного в обычаях и нравах (игры, свадьба, траур, воспитание подростков) делает необходимым активизацию этнографической науки и введение ее в ритм текущей жизни.

Этнограф должен бдительно охранять национальное и историческое лицо своей страны.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ა რ ა ყ ი შ ვ ი ლ ი დ. დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერების კილოს წყობა. თბ., 1951.

2. ა ს ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი შ. ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ. I, თბ., 1954, II, თბ, 1956.

3. ა ფ ა ქ ი ძ ე ა. არქეოლოგიური მასალები მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში. თბ., 1955.

4. ა ფ ა ქ ი ძ ე ა. ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი გზა. თბ., 1972.

5. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი დ. სოფელი ღონიერია, მაგრამ... სკ, № 6, 10 იანვარი, 1975.

6. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე ე. ლიფანალი. მსე, ტ. 6, 1973.

7. ბ ა რ ნ ა ბ ი შ ვ ი ლ ი დ. მიცვალებულის ტირილი სამეგრელოში. „დროება", № 14, 9 აპრილი, 1971.

8. ბ ე დ უ კ ა ძ ე ს. ქვის დამუშავება მთიულეთში. მსე, ტ. 5, 1951.

9. ბ ე დ უ კ ა ძ ე ს. ქვის დამუშავება ალგეთის ხეობაში. თბ., 1973.

10. ბ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი ლ. მიწათმოქმედება მესხეთში. თბ., 1973.

11. ბ ე რ ი ძ ე ო. (ოზურგეთი) ხარჯი მიცვალებულის დროს. „დროება", № 46, 1868.

12. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., I, 1964; მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. I, 1938.

13. ბ რ ე გ ა ძ ე ნ. მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში. თბ., 1969.

14. ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შესახებ. „კომუნისტი", № 222, 21 სექტემბერი, 1973.

15. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე ლ. ტრადიციულიც, თანამედროვეც. სკ, № 24, 29 იანვარი, 1974.

16. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი გ. დიდი განძი. „კომუნისტი", 1 აგვისტო, 1975.

17. გ ე გ ე შ ი ძ ე მ. ქართული ხალხური ტრანსპორტი. თბ., 1956.

18. გ ე გ ე შ ი ძ ე მ. სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში. თბ., 1961.

19. გ ე გ ე შ ი ძ ე მ. გადავარჩინოთ შატილი. ლს, № 18, 1 მაისი, 1969.

20. გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი რ. აუცილებელი და გადაუდებელი. ლს, № 23, 6 ივნისი, 1969.

21. გ ი ო რ გ ა ძ ე გ. ხეთური „საიმუნიტეტო სიგელები". მიაეხის, № 4, 1976.

22. გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე ტ ი ს მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, თარგმანი და გამოცემა გ. გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს ა, თბ., 1962.

23. გ ო გ უ ა ძ ე გ. ერი პურადი, გულადი... (ქართული ხნე-ჩვეულებები და თანამედროვეობა). თბ., 1977.

24. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი პ. შინამრეწველობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ᲔᲘᲨ, ტ. 4, 1950.

25. დროების კორესპონდენცია. „დროება“, № 169, 1881.

26. ე მ ი ლ ლ ე ვ ი ს მოგზაურობა კავკასიაში. „მოამბე“, ტ. 9, 1894.

27. ერთი კულაშელი ვალდებული გლეხი. მიცვალებულის დასაფლავების წესი იმერეთში. „დროება“, № 16, 28 აპრილი, 1872.

28. ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941.

29. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე ე. ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება. თბ., 1955.

30. ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა. თხზულებანი, ტ. 6, თბ., 1956.

31. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე. ხელმწიფის კარის გარიგება. თბ., 1939.

32. იესო ქრისტეს წმინდა სახარება. ტფ., 1879.

33. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ. ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1966; ხევი ძველად და ახლა, საცხოვრებელი ნაგებობანი ძველ და ახალ ხევში. თბ., 1967.

34. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ნ. ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი. თბ., 1968.

35. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ნ. ჩინურ და ვიეტნამურ ენაზე. „კომუნისტი“, № 24, 1973.

36. კანონი და ცერემონია მეფე ე რ ე კ ლ ე ს გვამის დასაფლავებაზე. „ივერია“, № 38, 1898.

37. კანონი სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ. „კომუნისტი“, 31 ოქტომბერი, 1976.

38. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ. „კომუნისტი“, № 4, 5 იანვარი, 1978.

39. კ ა პ ა ნ ა ძ ე დ. ნუმიზმატიკური მასალები მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში. თბ., 1958.

40. კ ა ხ ი ა ნ ი კ. გლეხის კარმიდამო იმერეთში. თბ., 1964.

41. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი ნ. საქართველოს მცენარეული საფარი. თბ., 1953.

42. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი ნ. მკერდში დაჭრილი ბუნება. თბ., 1974.

43. კ ი კ ვ ი ძ ე ა. „შუა-სახლი“ რაჭა-ლეჩხუმში. ᲔᲜᲘᲛᲙᲘᲡ Მ. 5—6, 1940.

44. კ ი კ ნ ა ძ ე პ. სამუზეუმო მუშაობის საკითხები. თბ., 1965.

45. კულტურის ძეგლთა დაცვას შეუნელებელი ყურადღება. „თბილისი“, № 9, 12 იანვარი, 1972.

46. ლ ა ი ს ტ ი ა რ ტ უ რ. კოლხიდაში (მგზავრის შენიშვნები). „ივერია“, № 4—5, 1885.

47. ლ ა მ ბ ე რ ტ ი ა. სამეგრელოს აღწერა. თბ., 1938.

48. ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი. თხზულებანი. ტ. 35, თბ., 1953.

49. ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი. კულტურისა და ხელოვნების შესახებ. ᲫᲛ, № 5, 1965.

50. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე გ. საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I—XIII სს. (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). თბ., 1977.

51. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე გ. სად, როგორ? ისტორიული რელიკვიები... ᲪᲐ, № 54, 5 მაისი, 1973.

52. მ ა ი ს უ რ ა ძ ე ზ. ქართული მხატვრული ტრადიციების დაცვისათვის. ᲫᲛ, № 5, 1965.

53. მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს. მთის რაჭა. თბ., 1930.

54. მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941.
55. მ ა რ ქ ს ი კ., ე ნ გ ე ლ ს ი ფ. ფოიერბახი, მატერიალური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირება. თბ., 1968.
56. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წერილი ხელოსნობის ისტორიისათვის, აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს საერთო რედაქციით 5 ტომად. ტ. I, აღმშენებლობა და ავეჯი. თბ., 1976.
57. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი გ. საქართველოს ისტორიის შესწავლა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე. სწ, ნაკ. I, 1968.
58. მ ე რ კ ვ ი ლ ა ძ ე აფ. სატირალი და გასვენება. „მოგზაური", № 1—2, 1902.
59. მ ე რ კ ვ ი ლ ა ძ ე ს. წერილი რაჭიდან. „ივერია", № 207, 1902.
60. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი პ. სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვა და დაცვა. თბ., 1954.
61. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი რ. კიდევ ერთხელ ბოლნისისა და დმანისის ძეგლების შესახებ. ძმ, №—26, 1971.
62. მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ი ვ. ნიადაგის დაცვის ღონისძიებანი მთიანი რელიეფის პირობებში. თბ., 1953.
63. მ ო ლ ო დ ი ნ ი ლ. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთსახდელი იარაღები). თბ., 1963.
64. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე ბ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები. I, თბ., 1962.
65. ჟ ა ნ ე მ ი ლ. საუბარი მეევნახეობაზე. სბ, № 263, 1913.
66. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი ნ. რაჭაში მიელინების მოკლე ანგარიში. ენიმკის მ. 11, 1941.
67. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვა-გამოყენების მდგომარეობისა და ამ საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". „კომუნისტი", № 283, 4 დეკემბერი, 1977.
68. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების თაობაზე საქართველოს სსრ კანონის პროექტის შესახებ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ო. ე. ჩ ე რ ქ ე ზ ი ა ს მოხსენება. „კომუნისტი", 31 დეკემბერი, 1977.
69. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული გამოფენა. თბ., 1958.
70. ს ა ხ ო კ ი ა თ. ეთნოგრაფიული წერილები. თბ., 1956.
71. ს ა ხ ო კ ი ა თ. ქართული ხატოვანი სიტყვა-ქმანი. ტ. I, თბ., 1950.
72. სვანეთი. I, მასალები მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლისათვის. რედ. მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი. თბ., 1977.
73. ს ვ ი ნ ტ რ ი ძ ე თ. მთიელთა გულისტკივილი. სკ, № 48, 25 თებერვალი, 1974.
74. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ქ. ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომატია. თბ., 1956.
75. ს ო ხ ა ძ ე ა. სამუზეუმო ფონდების კლასიფიკაცია, პასპორტიზაცია და მეცნიერული შესწავლის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1961.
76. ს ო ხ ა ძ ე კ., პ ა პ ი ძ ე შ. ადამიანი და ძეგლები. თბ., 1972.

77. ს უ მ ბ ა ძ ე ლ. ქართული ხალხური ხეროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმი (გენერალური გეგმა და მისი ხეროთმოძღვრულ-გეგმარებითი გადაწყვეტა). ძმ, № 25, 1971.

78. ტ ო კ ა რ ე ვ ი ა. მოდა უგემოვნება ანუ ტრიუმფი კიჩის. ᲐᲯ, № 158, 25 დეკემბერი, 1973.

79. ფ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი ზ. ქართული ხალხური სიმღერების კრებული. თბ., 1909.

80. ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ ი ი. ქართული ღვინო № 22; „ქინძმარაული", მმმᲘᲨ, ტ. I, 1962.

81. ფ რ უ ი ძ ე ლ. რაჭული რიტუალური სიმღერები. სხ, № 12, 1962.

82. ფ რ უ ი ძ ე ლ. რაჭველი მესტვირეები. ᲚᲨ, № 43, 7 დეკემბერი, 1962.

83. ფ რ უ ი ძ ე ლ. მეევნახეობა და მეღვინეობა საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), წიგნი მესამე, ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი (ხელნაწერი).

84. ფ რ უ ი ძ ე ლ. ქვემო ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, მᲘᲐᲔᲮᲘᲡ, № 4, 1971.

85. ფ რ უ ი ძ ე ლ. თბილისის მუზეუმი ღია ცის ქვეშ, რაჭა-ლეჩხუმი, სხ, № 10, 1972.

86. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე დ. როდის მოვღება ბოლო ამ უწესო და მავნე ჩვეულებას? „მწყემსი", № 15—16, 1892.

87. შ ა მ ი ლ ა ძ ე ვ. ალპური მესაქონლეობა საქართველოში. თბ., 1969.

88. შ ა რ ა ბ ი ძ ე ა. მიცვალებულის ტირილი და მისი დამარხვა რაჭაში. „დროება", № 5, 5 თებერვალი, 1870.

89. შინაშრეწველობის მასალები. საქაღალდე № 9, ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის არქივი.

90. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი მ. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961.

91. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი მ. ვიდრე გვიან არ არის. ᲚᲨ, № 12, 22 მარტი, 1968.

92. ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი გ. ეთნოგრაფიული მასალა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. თბ., 1956.

93. ჩ ი ტ ა ი ა გ. პიტარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვები. სსმმ, III, 1927.

94. ჩ ი ტ ა ი ა გ. ქსნური მთის გუთანი. ᲔᲜᲘᲛᲙᲘᲡ მ, № 5—6, 1940.

95. ჩ ი ტ ა ი ა გ. დასახლების ტიპი მთიულეთში. მსᲫ, ტ. 6, 1953.

96. ჩ ი ტ ა ი ა გ. ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1943 წლისა. „მიმომხილველი", I, 1949.

97. ჩ ი ტ ა ი ა გ. საქართველოს ეთნოგრაფია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე. სᲬ, I, თბ., 1968.

98. ჩ ი ტ ა ი ა გ. ღია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობის ძირითადი პრინციპები. ძმ, № 25, 1971.

99. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი თ. ქართული ხალხური საცხოვრებლები. თრიალეთი, თბ., 1960.

100. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი თ. ამიერკავკასიის საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან. თბ., 1967.

101. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი მ. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. I, თბ., 1952.

102. ჩიქოვანი მ. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. თბ., 1956.
103. ჩიჯავაძე დ. ნიადაგის დაცვის ხალხური საშუალებანი აჭარაში. ამსკკ, ბათუმი, 1966.
104. ჩოხატაურელი ლ. ჩვენებური ტირილი და სამწუხარო შედეგი. „ცფ, № 197, 1897.
105. ცანავა ა. ქართული მესტვირეული პოეზია. თბ., 1953.
106. ცერემონია ერეკლე მეფის დასაფლავებისა... „მწყემსი", № 12, 1887.
107. ცისკარი, № 9, 1860.
108. ძველი საქართველო, ტ. II, გან. 5, ტფ., 1913.
109. ძიძიგური შ. ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან. თბ., 1954.
110. ძიძიგური შ. ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ. თბ., 1956.
111. წერეთელი აკაკი. მოთქმით ტირილი. „დროება", № 65, 30 ივლისი, 1875.
112. წიკლაური მ. სოფელს რას ერჩიან? სკ, № 23, 28 იანვარი, 1973.
113. წულაძე ა. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971.
114. ჭინკარაული ა. ხევსურეთის თავისებურებანი. თბ., 1960.
115. ჭიჭინაძე ზ. მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში. თბ., 1911.
116. ჭყონია ა. ისტორიული ნარკვევი. ტფ., 1890.
117. ხარაძე რ., რობაქიძე ა. სვანეთის სოფელი ქველად. თბ., 1964.
118. ხარაძე რ., რობაქიძე ა. მთიულეთის სოფელი ძველად. თბ., 1965.
119. ჯავახიშვილი ი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, ტფ., 1930; II, ტფ., 1935.
120. ჯავახიშვილი ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. წ. I, ტფ., 1938.
121. ჯავახიშვილი ი. ადამიანი ძველი ქართულ-მწერლობასა და ცხოვრებაში, ენისა და მწერლობის საკითხები, თბ., 1956.
122. ჯავახიშვილი ი. ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობის მოხსენება. ძმ, № 7, 1966.
123. ჯალაბაძე გ. აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან. თბ., 1960.
124. ჯაფარიძე გ. სანამ გვიან არაა. ლს, № 21, 23 მაისი, 1969.
125. ჯაფარიძე პ. მასალები ამბროლაურის რაიონის ზოვიერთი საწარმოო ვაზის ჯიშის შესწავლისათვის. მმსსშ, III, 1953.
126. ჯაფარიძე უ. ქართული ხალხური სამხატვრო სარეწები. სხ, № 11, 1973.
127. Абрамов А. Эффективность освоения горных склонов под виноградники, Махачкала, 1970.
128. Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. V. 1873.
129. Археологические материалы в краеведческих музеях, М., 1954.
130. Бобилев Ф. Несколько мыслей и замечаний об Имеретии в сельскохозяйственном отношении, ЗКОСХ, кн. III, 1856.
131. Бромлей Ю. В. Этнос и этнография. М., 1973.

131 а В.-Н.-Л. Сванетия и Лечхуми, «Нов. обоз», № 2297, 1890.
132. Габуния А. Г. Народное творчество Грузии, Тб., 1958.
133. Долгушин А. Через Сванетию к Эльбрусу. СМОМПК, 28, 1900.
134. Дорст Жан. До того как умрет природа. М., 1968.
135. Игнатьева В. Н. Музееведение. М., 1968.
136. История музейного дела в СССР. М., 1957.
137. Кантор К. М. Красота и польза, социологические вопросы материально-художественной культуры. М., 1967.
138. Карцева Е. Н. Кич, или торжество пошлости. М., 1977.
139. Ленин В. И. О культуре и искусстве. М.—Л., 1938.
140. Ленин В. И. О культуре и искусстве. М., 1956.
141. Мельник С. А. Виноград у стен жилых домов и других зданий. Одесса, 1948.
142. Микеладзе И. Д. Этнографическая работа юных краеведов Грузии, Тб., 1974.
143. Миндели Н. Селение Сори. СМОМПК, 19, 1894.
144. Музейное дело в СССР. 1971.
145. Нельсон Д. Проблемы дизайна. М., 1971.
146. О перестройке работы районных краеведческих музеев. М., 1950.
147. Основные положения о научно-исследовательской, собирательской, экспозиционной и массовой просветительной работе краеведческих музеев. М., 1950.
148. Очерки истории музейного дела в России (сборник статей). М., 1960.
149. Пералов А. С. Краткий очерк кустарных промыслов Кавказа. Спб, 1913.
150. Радде Г. И. Путешествие в Мингрельских альпах и в трех их верхних продольных долинах (Рионе, Цхенис-Цкали и Ингури), ЗКОИРГО, VII, 1966.
151. Рассказы о Кутаиси. «Кавк. календарь» на 1853 г. Тб., 1852.
152. Рыбаков Г. А. Русское прикладное искусство X—XII веков. Л., 1970.
153. Салтыков А. В. Использование народных традиций в развитии Советского прикладного искусства. М., 1956.
154. Ткешелашвили И. Кустарный музей Грузинской ССР. СЭ. № 4, 1964.
155. Читая Г. Горное земледелие на Кавказе. ∂ъ, XI, 1960.
156. Читая Г. С. Проблемы и методы полевой этнографической работы, СЭ, № 4, 1957.
157. Читая Г. Этнографические исследования в Грузии. СЭ, № 4, 1948.
158. Ackernecht E. Kitsch als kultureller Übergangswert. Bremen, 1950.
159. Weingartner J. Das kirchiche Kunstgewerbe der Neuzeit, 1926.
160. Blümner und von Schorn. Geschichte des Kunstgewerbes, 4 Teile, 1884—87.

161. Bossert. Geschichte des Kunstgewerbes aller Zeiten und Völker, 4 Bde, 1929—31.

162. Dorfles G. Der Kitsch, Tübingen, 1970.

163. Dorst G. Avant que nature meure, Snitzerland, 1965.

164. Egenter R. Kitsch und Christenleben. Ettal, 1950.

165. Falke von G. Ästhetik des Kunstgewerbes, 1883.

166. Falke von G. Geschichte des deutschen Kunstgewerbes, 1888.

167. Giesz L. Phänomenologie des Kitsches, Heidelberg, 1960.

168. Gonda A. Vom süßen und sauren Kitsch, Berlin, 1948.

169. Guiffrey. Histoire générale des Arts applipués à l'industrie du à la fin du XVIII siecle, Paris, 1911.

170. Hannover F. Danische Kunstgewerbe, 1922.

171. Heimatmuseen, Wesen und Gestalung, hrsg. von Schönichen, 1928.

172. Homburger Museumkunde (1924, mit reicher Literaturauswahl über alle Museumsfragen).

173. Karpfen F. Der Kitsch. Hamburg, 1925.

174. Klima J. Gesellschaft und Kultur des alten Mesopotamien, Prag, 1964

175. Kusche L. Überall ist Zwergerland, Berlin, 1960.

176. Lang Karl Österreichische Heimatmuseen.

177. Leisching. Die Kunst im Handwerk Osterreichs, 1924.

178. Mayer R. Geisterstunde, Dresden, 1962.

179. Monographien des Kunstgewerbes (seit 1901).

180. Museums in Modern Life, Royal Society of Art, London, 1950.

181. Pazaureck G. E. Geschmacksverirrungen im Kunstgewerbe, Stutigart, 1909.

182. Reisner J. Der Begriff Kitsch, Göttingen, 1955.

183. Smith R. C. A Bibliography of Museums and Museum Work, Washington, 1928.

184. Sohn-Wilner E. Das Kunstgewerbe des Ostens, 1923.

185. Schiller H. Kitsch und Irrtum in der Gestaltung, München, 1961.

186. Zamkl H. I. Kunst, Kitsch und Werbewirkung, Düsseldorf, Wien, 1966.

187. Zur älteren Geschichte der allgemeinen Museumslehre in Deutschland Münchener Jahrb. der bildenden Kunst, B. 5. 1928.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი . . 3

თ ა ვ ი პ ი რ ე ვ ლ ი. ქართული ეთნოგრაფიის განვითარების გზა (უძველესიდან უახლესამდე) . 12

თ ა ვ ი მ ე ო რ ე. ეთნოგრაფია და სამუზეუმო საქმე . 21

§ 1. ქართული ხალხური ხეროთმოძღვრებისა და ყოფის თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმი . . . 21

§ 2. ეთნოგრაფიული მუშაობა მხარეთმცოდნეობის, მემორიალურ და სასკოლო მუზეუმებში 31

§ 3. ეთნოგრაფიული ძეგლები . . . 34

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე. ხალხური ხელოვნების საგანძურიდან 54

§ 1. ძველი ხალხური საკრავები რაჭაში 54

§ 2. მიცვალებულის სიმღერით დატირება 66

§ 3. დღეს შველა შეიძლება, ხვალ გვიან იქნება 76

§ 4. ვინ მოკსოვს ნოხს 97

§ 5. ჩოხა ქართული . 100

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე. ქართული ეთნოგრაფიის სადღეისო ამოცანები 105

§ 1. ხოფლის სატკივარი . 105

§ 2. ნიადაგის დაცვის ხალხური საშუალებანი 130

§ 3. ფიქრები ქართულ ვაზსა და ღვინოზე 141

§ 4. ფასდაუდებელი სიმდიდრე 151

§ 5. ვაზი და არქიტექტურა 153

§ 6. ცხოვრების კარნახით 158

დ ა ს კ ვ ნ ა 168

რ ე ზ ი უ მ ე 172

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა 176

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი 183

Леван Акакиевич Пруидзе
БЫТ И ТРАДИЦИИ
(Этнографические этюды)
на грузинском языке

რეცენზენტები: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ქვაჩახია,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ალ. ლეკიაშვილი.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

•

ИБ 1142

რედაქტორი ვ. ითონიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ლ. ჯვებენავა
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
მხატვარი კ. გურული
კორექტორი ლ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 31.XII.1980; ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.III.1981;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 11,5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10;
უე 01054; ტირაჟი 8000; შეკვეთა № 4302;
ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19